დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II

ლოცვა-კურთხევით

ილია თავბერიძე

XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა

საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა
თბილისი. 2005

რედაქტორი **გვანცა კოპლატაძე,**
საქართველოს საპატრიარქოს
საგამომცემლო განყოფილების
თავმჯდომარე

კომპიუტერული დიზაინი **ლუკა გოცირიძე**

წიგნი გამოიცა **გიორგი ხანიშვილის,**
გიორგი და **ანდრია ჭკუასლეგის** შემწეობით.

გარეკანზე გამოყენებულია წმიდა ექვთიმე აღმსარებლის
(კერესელიძის) ხელნაწერი სანოტო კრებულის ფოტო.

ISBN 99940-720-9-9

© სსგ. 2005
© ილია თავგერიძე. 2005

წინასიტყვაობა

ქართული საეკლესიო გალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მკვლევართაგან მიჩნეულია, რომ ქართველებს ჯერ კიდევ V საუკუნეში პალესტინაში, საბა განწმენდილის ლავრაში ჰქონდათ თავისი ეკლესიები და მსახურება ქართულ ენაზე ასრულებდნენ.

საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის ყველაზე მძიმე XIX და XX საუკუნეები, ფაქტობრივად, ქართული საგალობლების გადარჩენისათვის ბრძოლით აღინიშნა. რუსი ეგზარქოსების ანტიქართული პოლიტიკისა და შემდგომ, ბოლშევიკების ანტირელიგიური ისტერიის პირობებში ქართული საეკლესიო გალობის კვლევა – ძიებისა და განვითარებისათვის ფასეული არაფერი შექმნილა. ქართველ მოღვაწეთა ბრძოლა საგალობლების გადარჩენისაკენ იყო მიმართული, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა მათი შენახვა მომავლისათვის ძნელი ხდებოდა. გალობის მცოდნეთა რიცხვიც მცირდებოდა, ქართულ ენაზე ლიტურგიის აკრძალვა კი თავისთავად იწვევდა საგალობელთა გაქრობას. სწორედ, ამიტომ, 1878 წელს წამოდგა მღვდელთმავარ ალექსანდრეს (ოკროპირიძე) ინიციატივით ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი შეიქმნა, რომელმაც მისნად დაისახა საგალობლების ნოტებზე გადატანა. ამ ერთგულ საქმეს განუსაზღვრელი ღვაწლი დასდეს წამოდგა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე), არქიმანდრიტმა მაკარიმ (მატათაშვილმა), ფილიმონ ქორიძემ, ძმებმა კარ-

ბელაშვილებმა, ანტონ და ლავით ლუმბაძეებმა, მღვდელმა ნესტორ კონტრიძემ, მელქისედეკ ნაკაშიძემ და სხვებმა. მათმა თავდადებამ და მამულიშვილურმა ღვაწლმა ღღემდე შემოგვინახა უძველესი საგალობლები, რომელმაც წმიდად შეინახა ქართული მართლმადიდებლური ტრადიცია. იგი გახლავთ „შუასაუკუნეების მართლმადიდებელ ეკლესიათა საგალობლებს შორის ერთადერთი მრავალხმიანი, ანალოგიის არმქონე პოლიფონია, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს“ (ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი.)

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გააქტიურდა საეკლესიო საგალობლების, მისი ნოტებზე გადაღების ისტორიის კვლევა – ძიება და მუსიკათმცოდნეობითი ანალიზი. საქართველოს საპატრიარქოსთან დაარსდა საეკლესიო გალობის ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს ეკლესია – მონასტრებში კანონიკური გალობის დამკვიდრებას. საეკლესიო გალობის კვლევა – ძიების ასეთი გააქტიურება ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ბოლო ათწლეულის მანძილზე მიმდინარე აღმშენებლობითმა პროცესებმა გამოიწვია, რომელიც უშუალოდ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II ღვაწლს უკავშირდება, მეორე მხრივ კი – გარკვეული წრეების მიერ წამოწყებულმა საუბარმა ქართულ ეკლესიაში ბიზანტიური გალობის შემოღების შესახებ, საჭირო გახადა საფუძვლიანად შესწავლილიყო ჭსა, რომელიც გამოიარა ქართულმა საეკლესიო გალობამ.

XIX საუკუნეში ნოტებზე გადაღებული საგალობლები XX საუკუნის ოციანი წლებიდან არქივების საცავებში მტვერმოყრილი ინახებოდა. ახალმა დროებამ იგი დღის სინათლეზე გამოიტანა. გამოიცა მრავალი საყურადღებო ნაშრომი. თავად საგალობელთა ნოტების კრებულების გამოცემით საეკლესიო გუნდებს ფასდაუდებელი სამსახური გაეწიათ. საგალობელთა ჩაწერისა და ნო-

ტებზე გაღაღების ისტორიისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციებსა და დასკვნებს შეიცავს ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: ივანე ჯავახიშვილის „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები“ და პოლიევქტოს კარბელაშვილის „ქართული საერო და სასულიერო კილოები“. უამრავი საკურადღებო მასალაა XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში.

მნიშვნელოვანი გამოცვლილებები ეკუთვნით: ქველი ჩხატარაიშვილს, ანსორ ერქომაიშვილს, ელიდარ ბუბულაშვილს, მანანა ანდრიაძეს, მაგდა სუხიაშვილს, მალხას ერქვანიძეს, დავით შუღლიაშვილს, დალი დოლიძეს და სხვებს. საეკლესიო გალობის ისტორიის შესწავლას მოშაყალშიც არაერთი მკვლევარი მიუბრუნდება.

ამ ბოლო ხანის ჩვენი მუშაობა XIX საუკუნეში გურიაში საეკლესიო ცხოვრების საკითხების შესწავლას ისახავს მიზნად. საარქივო მასალებსა და სხვა გამოცვლილებებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადატანისათვის ფილიმონ ქორიძის მიერ ოსურგეთში (1893-1910 წ.) ჩატარებულმა საქმიანობამ; ცნობილი გურული მგალობლის ანტონ ლუმბაძისა და მისი მოსწავლეებისაგან ჩაწერილი იქნა 5532 საგალობელი. საინტერესო და საკურადღებოა მღვდლების დავით ლუმბაძის, მაქსიმე ჩხატარაიშვილის, ნესტორ კონტრიძის, მგალობელ მელქისედეკ ნაკაშიძის მოღვაწეობა, რომელიც ფასდაუდებელ მასალას იძლევა XIX საუკუნის საქართველოს ეკლესიისა და მისი ერთ-ერთი ეპარქიის – გურიის სასულიერო ცხოვრების შესახებ. მათი მოღვაწეობის თაობაზე მასალების შეგროვებამ ღვის წესრიგში ლოგიკურად დასვა საკითხი – თვალი გაგვეცვენებინა XIX საუკუნეში ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და ნოტებზე გადატანის ისტორიისათვის, რაშიც გამოცვეთა ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა სახეები და ღვაწლი. ჩვენი დაინტერესება და კვლევა-ძიება არ გასცილებია ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს. გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა

და ნაშრომების გარდა ვისარგებლეთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო, უახლესი ისტორიის ცენტრალურ და იმერეთის რაიონულ არქივებში, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლისა და აგრ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული მასალებით. ფოტომასალების მოძიებაში დიდი დახმარება გაგვიწია ბატონმა ლუარსაბ ტოგონიძემ. რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

წინა პირობითად სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში წარმოდგენილია ნარკვევები, რომლებშიც ასახულია XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ღვაწლი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენისა და ნოტებზე გადატანისათვის; მეორე ნაწილი, უმეტესწილად, გურული მგალობლების, შემოქმედის სკოლის წარმომადგენლების მოღვაწეობას ასახავს. მესამე ნაწილში კი პირველად ქვეყნდება წმიდა ეკვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხელნაწერი - „ისტორია ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (ხელნაწერი Q-840) და ვარლამ სიმონიშვილის გამოუქვეყნებელი ნარკვევი „გურული სიმღერების წარმოშობა“ (ფრაგმენტი). ეს ხელნაწერი ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ფონდებშია დაცული. ორივე ხელნაწერი წარმოაღგენს უნიკალურ მასალას საგალობელთა ისტორიისა და ცნობილი ქართველ მგალობელთა მოღვაწეობის გაანალიზებისა და შესწავლისათვის.

ყველა საკურადღებო შენიშვნა და წინადადება ჩვენს მიერ სიამოვნებით იქნება გათვალისწინებული.



თავი პირველი

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში, ალბათ, არ ყოფილა უფრო მძიმე პერიოდი, ვიდრე მას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაუდგა (1801წ.). მეხუთე საუკუნიდან დამოუკიდებელ საქართველოს ეკლესიას 1811 წელს ავტოკეფალია ფაქტობრივად წაართვეს, კათოლიკოს – პატრიარქი ანტონ II (1788-1811) რუსეთში გაიწვიეს და ეკლესიის მართვა რუს ეგზარქოსებს ჩააბარეს, რომლებიც რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდს ექვემდებარებოდნენ.

საუკუნის მანძილზე რუსი ეგზარქოსები გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდნენ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ. რუსეთის ეკლესიის სინოდის ბრძანებით აიკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, რამაც გამოიწვია სასულიერო სასწავლებლებში რუსულ ენაზე სწავლების შემოღება. საქართველოს ერთ-ერთი ბოლო ეგზარქოსი, „თავად ეშმაკი და პირმოთნე"[1], ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე პიტრიმიც (ოკნოვი. 1914-15 წ.) კი რუსეთის სინოდის ობერპროკურორის თანაშემწეს თავად ნ. ჟევახოვს წერდა: „ჩემს შეგნებაში ვერ ეტევა მოთხოვნილება სინოდისა, რომ ვაიძულო ხალხს ილოცოს გაუგებარ ენაზე. უდიდეს ნაწილს ჩემი სამრევლოსი ძლივს ესმის რუსული ენა! მით უმეტეს, როგორ უნდა გაიგოს ეკლესიური სლავური ენა!"[2] ეს სიტყვები იწერება საქართველოს ეკლესიაში რუსი ეგზარქოსების მმართველობის დამყარებიდან საუკუნის შემდეგ. როგორც ჩანს, საუკუნეც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ქართველი კაცისათვის დაევიწყებინათ მამა-პაპათაგან დატოვებული „სამი ღვთაებრივი საუნჯე - მამული, ენა, სარწმუნოება".

ღვთისმსახურების რუსულ ენაზე შესრულების გამო ქართული საეკლესიო გალობა ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. რად-

გან წირვა-ლოცვის დროს იგი აღარ გამოიყენებოდა, მის სწავლებასაც ყურადღება აღარ ექცეოდა. ჯერ კიდევ ანტონ II – მ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, რუსეთში გაწვევამდე თხოვნით მიმართა საქართველოს მთავარმართებელს პ. ციციანოვს. პატრიარქი სახელმწიფო ხაზინიდან ქართული საეკლესიო საგალობლების სრულყოფისათვის თანხებს ითხოვდა. მთავარმართებელმა არ დააკმაყოფილა თხოვნა და პატრიარქისადმი გაგზავნილ მიმართვაში ქართული საეკლესიო გალობა თხის კიკინს შეადარა: „Сколько я не слыхаль оного (пению церковную) в церквах здешних, все похожи на блеяние козли... благоугодно было приказать учить Киевской ноте, переведя все окти на Русский язык....“[3]

ეგზარქოსმა თეოფილაქტემ (რუსანოვი. 1817-21 წ.), რომელიც რუსეთის პოლიციის საიდუმლო აგენტი, ინტრიგანი და ჯაშუში იყო, თბილისის ეკლესიებსა და სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართული გალობა. დავით ბატონიშვილი აღნიშნავდა: „ამან აღიღო გალობა ქართული და ნაცვლად მისსა მოაყოლა ქართულის ენით რუსთა და ლათინთა კილოზედ“.[4]

ეგზარქოს ვლადიმერის (ბოგოიავლინსკი. 1892-89) დროს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა ცნობილი გაფიცვის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ რექტორმა მათ ურჩია, სლავური პარტიტურის ნოტების ქვეშ მიეწერათ ქართული სიტყვები და ისე ეგალობათ,[5] ხოლო ქართული გალობა, როგორც არაჰარმონიული, დაევიწყებინათ. ამასვე წერს მღვდელი ვასილ კარბელაშვილი: „მე მეუბნებოდა სერაფიმე რექტორი: რუსულ მელოდიას მიუწერე ქართული სიტყვებიო.“[6] ავტორი ცნობილი წიგნისა „ბედი ქართული ეკლესიისა“, ნ. დურნოვო აღნიშნავს, რომ ერთი რუსი ეგზარქოსი ქართულ გალობას „ძაღლის ყეფას“ ადარებდა.[7]

ბუნებრივია, რომ რუსი საეკლესიო იერარქების ამგვარმა დამოკიდებულებამ დიდი საფრთხე შეუქმნა ქართულ საეკლესიო საგალობლებს. ღვთისმსახურებიდან მისი გამოდევნა მოასწავებდა მის დაღუპვას და გაქრობას. მცირდებოდა მგალობელთა რიცხვიც, ზოგი ბუნებრივი სიკვდილით მიდიოდა ამ ქვეყნიდან; აღარ იყო საგალობლების შემსწავლელი სკოლები; ეკლესია-მონას-

ტრების დახურვა იწვევდა მგალობელთა ტრადიციული სკოლების მოშლას. რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც ზოგიერთი რუსი ეგზარქოსის ხელშეწყობით გადაიდგა, საქმეს ვერ შველოდა, მაგრამ მათი დასახელება საგალობლების ისტორიის ობიექტურად გადმოცემისათვის აუცილებლად მიგვაჩნია:

ეგზარქოსმა მოსემ (ბოგდანოვ-პლატონოვი. 1832-34 წ.) თავის გარშემო შემოიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მგალობლები და თავად გადაჰქონდა საგალობლები ნოტებზე. ამ ცნობას ადასტურებს ილია ფერაძე: „ეგზარქოსი მოსე დიდი პატივით ეპყრობოდა საქართველოს ეკლესიის სიძველეთა, გარდამოცემათა, გალობას, ღვთისმსახურებას და სხვა... იმან დიდად ხელი შეუწყო ქართული საეკლესიო გალობის გამშვენების საქმეს. ხშირად თვისს სასახლეში შეაგროვებდა საქართველოს ყოველ კუთხიდგან საუკეთესო მგალობლებსა და ნაგალობებს თითონვე საგალობელს ნიშნებზედ (ნოტებზედ) იღებდა... თუმცა ცოტა ხანს. სულ ორი წელიწადი ცხოვრობდა ის საქართველოში, მაგრამ მისი სახელი მაინც ძლიერ შორს განითქვა... ეს იყო მიზეზი, რომ მისმა უდროვო სიკვდილმა ერთნაირი გულითადი გლოვა გამოიწვია საქართველოს ყველა კუთხეში“.[8] ისტორიკოსი ქ. ჩხატარაიშვილი მიიჩნევს, რომ „ესაა პირველი ცნობა ქართული გალობის ჩაწერის (ნოტებზე გადაღების) შესახებ.“[9] ეგზარქოს მოსეს ჩაწერილი საგალობლები აღმოჩენილი ჯერ-ჯერობით არ არის.

1844 წელს გორში განუზრახავთ ჟურნალ „სინათლის“ გამოცემა, რომლის მიზანი საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღება იყო. ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩენილა.[10]

1846 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით უნდა შეეკრიბათ ცნობები ძველი გალობის შესახებ. ეს ძველი საგალობლები ნებადართულად ცხადდებოდა.[11] ბრძანების მიღების შემდეგ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსებმა ეგზარქოსს აცნობეს, რომ გალობა ნოტებით არ ხდება, ძველ საგალობლებს ზეპირად სწავლობენო. ძირითადად, ეს ასეც იყო. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ძველი მგალობლები იყენებდნენ ორიგინალურ მუსიკალურ ნიშნებს, ე.წ. „ნევმებს“.

„ნევმების" შემცველი ხელნაწერი X საუკუნისა, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში ინახებოდა, მოსე ჯანაშვილს ფილიმონ ქორიძისათვის უჩვენებია. ხელნაწერი ეტრატზე ხუცური ასოებით ნაწერ სადღესასწაულო საგალობლებს წარმოადგენდა. საგალობელთა თითოეული სიტყვა აღნიშნული ყოფილა სხვადასხვა ნიშნით, რომლებიც წითელი მელნით იყო დაწერილი. ნიშნები ზოგი სტრიქონს ზემოთ და ზოგი ქვემოთ იყო ნაჩვენები, სიტყვის ხმოვან ასოზე. ერთმანეთისაგან სიდიდით და მოხაზულობით განსხვავებული ნიშნები: „ზოგი დაკლაკნილია, ზოგი სამ-კბილიანია, ზოგი ხუთ-კბილიანია და ზოგი ექვს-კბილიანი. ზოგგან გრძელი ხაზი ორს-სამს სიტყვას ეხვევა თავზე და გარდააბამს სიტყვებს ერთს მეორესთან". [12] - აღნიშნავდა ფ. ქორიძე. მან შეისწავლა ეს ნიშნები და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „დიდი და პატარა ნიშანი სიტყვაზე თუ სიტყვის ქვეშ აღნიშნავს დაბალის და მაღალის ხმების წყნარად და მძლავრად გამოთქმას. მუსიკალურად ამას ჰქვიან: ფორტე პიანო. მსხვილი და წვრილი ნიშნები აღნიშნავს ბანსა და მაღალ ხმებს, გრძელი და მოკლე ნიშნები – გრძლად და მოკლედ ხმების წარმოებას, დაკლაკნილი ხმების თრთოლვასა და მღელვარებას."[13]

ნევმური სანოტო დამწერლობა X-XI საუკუნეების ხელნაწერებში გვხვდება; უფრო გვიანდელია XVIII – XIX საუკუნეთა ხელნაწერებში. ნევმირებული სამგალობლო წიგნები „ქართული მუსიკალური პალეოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენენ... რომლებიც ასახავენ საქართველოში სამუსიკო ნიშნების სისტემის განვითარების საბოლოო ეტაპს. მხედველობაში გვაქვს XIX – XX ს.ს."[14] ასეთი სამგალობლო კრებულები ჰქონდათ ძველ მგალობლებს: ანტონ დუმბაძეს, დიმიტრი ჭალაგანიძეს, მელქისედეკ ნაკაშიძეს. შემორჩენილია არტემ ერქომაიშვილის პირადი სამგალობლო კრებული. ფ. ქორიძეს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ძველ მგალობელთა მოწვევა ამ ნიშნების საიდუმლოების ასახსნელად. მაგრამ, ეს განუხორციელებელი დარჩა.

ზემოთ დასახელებულ ღონისძიებებს ვითარება არ შეუცვლია. სწორედ ამიტომ, ქართული საზოგადოებრიობის წარმო-

მადგენლებმა XIX საუკუნის 60 - იანი წლებიდან აქტიურად გაილაშქრეს ქართული საეკლესიო გალობის მძიმე მდგომარეობის წინააღმდეგ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში თანამემამულეებს ასე მიმართავდა: „ქართველებო! აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების ჴმებზე ჴელი, რა შეედრება ჩუჱნს მამაპაპის სიმღერისა ჴმებსა...

გამიგონია გურიელები* კიდევ თურმე გალობდნენ მამა-პაპის გალობასა? ღუთის გულისათვის გურიელებო... თქუჱნ მაინც ნუ დაივიწყებთ თქუჱნი მამაპაპის ეკლესიების გალობას... იმ ღმერთის სასიამოვნოს, წყნარსა და მშვიდობიან გალობას“[15]. იმავე „ცისკარში“ დაიბეჭდა დავით მაჩაბლის წერილი „ქართუჱლთა ზნეობა. გალობა“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული გალობა „უმეტეს თხუთმეტისა საუკუნოჲსა გვრგვინავს ცად მიმართ საქართველოს წმიდათა ეკლესიებში, გარდმოიცემის საუკუნიდან საუკუნედ და ქართველთა მაღალსა ამას ზნეობასა იპყრობს თჳსსა ძალში.“[16] აღნიშნული წერილი საინტერესოა იმითაც, რომ დ. მაჩაბელი გამოყოფს ქართული მუსიკალური ფოლკლორის ცალკეულ სახეებსა და ტერმინებს. გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში გალობა არ იციან და საერო სიმღერებს მღერიან: „დღეს მთელ საქართველოში აღარსად არიან მგალობელნი ქართულის გალობისა ზედმიწევნით მცოდნენი, ესოდენ, რომელ ოდეს გალობენ წირვის წესსა; კუალად მაინც, მოგზაური საქართუჱლოში; შავი ზღუს პირებზედ, ძუჱლსა ეგრისსა, ანუ კოლხიდას, იმერეთსა და უმეტეს გურიაში ჰპოებს მგალობელთა მცოდნეთა შეძლებისამებრ;“[17]

ქართული გალობის მდგომარეობას XIX საუკუნეში ჟურნალი „მწყემსი“ ასე ახასიათებდა:

„XIX – ს შუამდის საეკლესიო გალობას, ისე როგორც სხვას, ჩვენში, როგორც იყო, კიდევ თავისი ფერი ედო, მაგრამ სამოცი წლებიდგან დაწყებული ჩრდილოეთის შემონაბერმა ცივმა ქარმა დასძლია სამხრეთის სითბოს, შეუბერ-შემოუბერა მას გვერ-

---

* მიმართავს ზოგადად გურულებს.

დანებზე, დართვილა, დააზრო შემოდგომის ხის ფოთოლივით და ბოლოს სული ამოახდინა. ამ თხუთმეტი წლის წინათ, როცა სოფელ-ქალაქებში ძველი დროის ჩამორჩენილი მღვდლები მსახურებდნენ, წირვა- ლოცვა მით მეტად გაჩაღებული და გალობით შემკული ჰქონდათ... თუ ყოველ წელიწადს არა, ორს-სამს წელიწადში მაინც ათთხუთმეტს ახალგაზრდა ყმაწვილებს აგზავნიდნენ გურიაში, სადაც ისინი სპეციალურად სწავლობდნენ წირვის წესს გამშვენებით. მეტად სასიამოვნოს და სასიქადულოს ვერას ისმენდა და ვერცა ნახავდა კაცი, როცა ეს ნასწავლი ახალგაზრდა გლეხობა ბრუნდებოდა შინ... სიღარიბე, დაუდევნელობა, გულგრილობა და უცოდინარობა უწყობს ხელს, რომ გალობა სულ ამოიფხვრას და დროა ამ საგანს კაცმა ყურადღება მიაქციოს, ვიდრემდის კიდევ არსებობს სოფლებში ძველი გალობა."[18]

როგორც ჩანს, ამ პუბლიკაციებისა და რეალურად არსებული ვითარების შეფასების შედეგად 1860 წელს თბილისში საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი შეიქმნა. ცნობას ამის თაობაზე მღვდელი დავით ღამბაშიძე, ჟურნალ „მწყემსის" გამომცემელი და რედაქტორი, გვაწვდის.

იმდროინდელ პრესაში ან საარქივო მასალებში კომიტეტის შემადგენლობისა და მისი საქმიანობის შესახებ მასალები არ ჩანს. საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ვითარება, როცა კომიტეტი ფართოდ გაშლილა მუშაობას.[19] დეკანოზი დავით ღამბაშიძე კომიტეტის არაეფექტური მუშაობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს დავას, იმის შესახებ, თუ რომელი კილოს გალობა გადაეღოთ ნოტებზე: „იმერულ - გურული კილო საეკლესიო გალობისა ქართლელთ და კახელებს არ მოსწონდათ. ქართლური და კახური კილოს გალობა იმერლებს, გურულებს და მეგრელებს არ მოსწონდათ. რუსებს კი არც ერთი და არც მეორე კილოს გალობა არ მოსწონდათ."[20]

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საეკლესიო გალობის გადასარჩენად გააქტიურებულ ბრძოლას ასპარეზზე „თერგდალეულების", წმიდა ილია მართლისა და მისი თანამებრძოლების გამოსვლამ მისცა ბიძგი.



გრიგოლ კარბელაშვილი

1862 წელს ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მაკარიმ (მატათაშვილი)* მოიწვია კახეთის სამღვდელოების კრება, რომელზეც გადაწყდა ბოდბის წმიდა ნინოს მონასტერში ქართული გალობის მასწავლებლად მოეწვიათ მცოდნე პირი. საქართველოს ეგზარქოსის ევსევის (ილინსკი. 1858-77) ნებართვით მონასტერში გადმოყვანილ იქნა გორის მაზრის სოფელ ჭალის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი **(1812-1880).

---

* არქიმანდრიტი მაკარი (მიხეილ მატათაშვილი) – დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1850 წლის 20 აპრილს აღიკვეცა მონაზვნად. მონაწილეობდა შუამთის, ალავერდის, ბოდბის და მცხეთის ტაძრების შეკეთება – განახლებაში. 1857 წლის 12 აპრილს ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრის წინამძღრად დაინიშნა. 1858 წელს აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. მას დიდი წვლილი მიუძღვის გამაჰმადიანებული ინგილოების მოქცევაში. გარდაიცვალა 1892 წლის 7 ივნისს.

** მღვდელი გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილი დაიბადა 1812 წლის 3 აპრილს, 1844 წელს ხელდასხმულ იქნა მღვდლად. 1864-1872 წლებში ასწავლიდა საეკლესიო გალობას თბილისის სასულიერო სემინარიაში. გარდაიცვალა 1880 წლის 24 აპრილს. დაკრძალულია ჭალის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

ბოდბის მონასტერში გალობის სასწავლებელი 1862 წლის 7 დეკემბერს გაიხსნა. ამ ფაქტისადმი მიძღვნილ შეკრებაზე მღვდელმა ფილიმონ კარბელაშვილმა მადლობა გადაუხადა არქიმანდრიტ მაკარის დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმის წამოწყებისათვის. მამა გრიგოლ კარბელაშვილისათვის დანიშნულ გასამრჯელოს კახეთის ეკლესიები იხდიდნენ.[21]

1863 წლის 4 მაისს ბოდბის წმიდა ნინოს მონასტერი მოუნახულებია დიმიტრი ყიფიანს. არქიმანდრიტ მაკარისადმი მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებლის საფლავის თაყვანისცემა ამ თხუთმეტს საუკუნეში მარად სანატრელი არს ყოველი ქართველისათვის თორმეტის წლის წინედ, პირველად რომ ვეღირსე მუხლის მოდრეკასა სანატრელის საფლავის წინაშე, გულიცა ჩემი მოდრეკილ – იქმნა მწუხარებისაგან: ამ მაისის დ (4) მეორედ შემხვდა მუნ ყოფნა და გული ჩემი დასტკბა, რა ვიხილე განახლება ყოვლისა ძვირად დასაფასებელითა ღვაწლითა თქვენითა; სული ჩემი დასტკბა, რა ვისმინე გალობა ჩვენი ძველებური, თქვენის ზრუნვითა და მეცადინეობით განახლებული და საამოდ შეთანხმებული...“ [22]

ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის საქმის გასაგრძელებლად მაკარი არქიმანდრიტმა 1878 წელს მოწოდებით მიმართა სამღვდელო და საერო პირებს.[23] მიმართვაში საუბარია ბოდბის მონასტერში გალობის აღდგენის ისტორიაზე. აღნიშნულია, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო გალობა, რომელიც ეკლესიაში ძველადვე დაწესდა, დაცემული იქნა, ხოლო თითქმის დაკარგულია ჩვენი მგალობლების დიდი გერონტის, პატარა გერონტის, არქიმანდრიტების სოფრონის (ერისთავი), თეოდოსის (ხელაშვილი), თ. ნიკოლოზ ციციშვილის, გიორგი თაზიშვილის, პეტრე კარბელაშვილის, დიდი საბას, საბა ჟღენტის, მღვდლების: სიმონ და ზოტიკე ინაევების (ეს ოთხი ბოდბეში მიტროპოლიტ იოანეს გუნდის წევრები ყოფილან) სიკვდილის შემდეგ. მცირედი ნაპერწკალი გალობის ცოდნისა ზემოთ მოხსენებული პეტრე კარბელაშვილის შვილების, მგალობლების პეტრე კარბელაშვილის და მღვდელ გრიგოლ კარბელაშვილის სახით გამოჩნდა. „ვიგრძენი რა ესრეთი დაკარგვა ძვირფასის ქართულის გალობისა, დროსა წინამძღვრო-



აღმოსავლეთ საქართველოს ძველი საეკლესიო გალობის მცოდნე მღვდლები. სხედან მარცხნიდან: ვასილ კარბელაშვილი, ალექსანდრე მოლოდინაშვილი, გრიგოლ მღებრიშვილი, პოლიევქტოს კარბელაშვილი. დგანან: ანდრია კარბელაშვილი და გიგა კარბელაშვილი (შემდგომში მღვდელი აეტრე). თბილისი. 1882 წ.

ბისა ჩემისა ხირსის მონასტერისა და ბოდბის წმიდა ნინოს სობორისა 1862 წელს, მოვიწვიე სიღნაღის უეზდის ბლაღოჩინები: დეკანოზი იოელ ნაცვალოვი, მღვდელი იოელ ხატიევი და გრიგორ ღამბაროვი და მათთან მოვილაპარაკე ამ საგანზედ, რომელთაც გამოაცხადეს მხურვალე გულის – მოდგინება აღსადგენლად, რაოდენთაც შესაძლებელ იქნებოდა, ქართულის გალობისა".[2]

1864 წელს მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებლად გადაიყვანეს. ეგზარქოს ევსევისა და თბილისისი სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ვიქტორინის ამ გადაწყვეტილებას შემდეგი გარემოება უძღოდა წინ: ანჩისხატის ეკლესიაში აღდგა ქართული გალობა, გრიგოლ კარბელაშვილის სამი მოსწავლის (ივანე დარჩიაშვილი, ტიტიკო ინაშვილი, ყარამან მენთეშაშვილი) მიერ. მათ

გვერდით ამოუდგნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები – ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, ლავრენტი არდაზიანი, ნიკოლოზ ბერძენოვი, ფილიპე ჩიკვაიძე, მიხეილ ქიქოძე და სხვები. მათ გაიღეს ხარჯები ჯამაგირისათვის. ანჩისხატის მგალობელთა გუნდს დიდი წარმატება ჰქონდა. [25] გ. კარბელაშვილის მიერ შედგენილი გუნდები კვირაობით ანჩისხატში გალობდნენ, ოთხშაბათობით სემინარიაში, დღესასწაულებზე კი თბილისისის სხვადასხვა ეკლესიაში.[26]

ამავე პერიოდში დავით ჩიჯავაძემ სამ და ოთხ ხმაზე ნოტებზე გადაიღო იოანე ოქროპირის წირვის წესი (ქართლ–კახური კილო). მაგრამ, იგი სიზუსტით არ ასახავდა ძველი ქართული საგალობლების კილოს. [27]

ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისათვის ბრძოლის კერძო შემთხვევები მაინცდამაინც საქმეს წინ ვერ სწევდა. რუსეთის მიერ საქართველოში დანიშნული ეგზარქოსები თავიანთი პოლიტიკის შცვლას არ აპირებდნენ. ცალკეული დათმობები, ვითარებას ძირეულად ვერ ცვლიდა. ისინი თავიანთი რეაქციული მიზნების გატარებაზე ხელს არ იღებდნენ. გრიგოლ კარბელაშვილის მოღვაწეობა თბილისში ქართული გალობის აღდგენისათვის იმით დასრულდა, რომ 1872 წლის სექტემბრიდან თავისი მრევლის ანაბარა დატოვეს და მისი შტატი სემინარიაში გააუქმეს. სემინარიაში მოისპო ქართულ ენაზე კითხვა და გალობა. [28]



თავი მეორე

საქართველოს ეგზარქოსად 1877 წელს მოვლინებული იქნა იოანიკე (რუდნევი. 1877-82 წ.). თანამედროვეთა მიერ ეგზარქოსის შეფასებებში აზრთა სხვადასხვაობაა. ილია ფერაძე წერდა: „მისივე (ეგზარქოსის) დახმარებითა და შუამდგომლობით დაარსებულ იქმნა ქართული ენის კათედრა ტფილისის სასულიერო სემინარიასა და საექსარხოსოს ექვს სასულიერო სასწავლებელში. დიდი ყურადღება მიექცა ქართული საეკლესიო გალობის ადგენისა და სწავლების საქმეს...“[1] ამ ღონისძიებათა ნებით თუ იძულებით გატარების მიუხედავად, იოანიკე ქართველთ მოძულე ეგზარქოსად იყო ცნობილი. კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) იგონებს, რომ სტუდენტობისას, 1891 წელს, კიევის მიტროპოლიტად დანიშნულ იოანიკეს წირვაზე დასწრების სურვილით მიუმართავს ინსპექტორ კოროლკოვისათვის. ამ უკანასკნელს კი დამცინავი ღიმილით უკითხავს სტუდენტი კალისტრატესათვის:

„-რატომ მოგინდათ მიტროპოლიტის ნახვა? მას ხომ თქვენ, ქართველები, არ უყვარდით და, შესაძლებელია, ახლაც არ უყვარხართ!... სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ როდესაც საქართველოდან მომავალი მიტროპოლიტი ჯვრის უღელტეხილს მიუახლოვდა, მობრუნდა საქართველოსკენ, პირჯვარი გადაიწერა და თქვა, გმადლობ, შენ, ყოვლად წმიდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი ამ ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდიო“[2]. მოგვიანებით, სტუდენტმა კ. ცინცაძემ საკუთარ თავზე იწვნია მიტროპოლიტის აგრესია; როცა გამოსაცდელთა სიაში ქართული გვარი ამოიკითხა, იოანიკემ სასწრაფოდ დაადგო სია და გამოცდა მიატოვა.[3]

ფაქტია, რომ იოანიკემ 1878 წლის იანვარში მხარი დაუჭირა წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ინიციატივას „ძველი ქართული ეკლესიებრი გალობის აღმდგენელი კომიტეტის შექმნის შესახებ“. კომიტეტში შედიოდნენ არქიმანდრიტი მა-

კარი (თავმჯდომარე), მღვდელი გრიგოლ მღებრიშვილი, ეგზარქოსის მგალობელთა გუნდის რეგენტი აუშევი და სემინარიაში გალობის მასწავლებელი მაჭავარიანი. [4]

არქიმანდრიტ მაკარის ცნობილი მიმართვიდან ვიგებთ, რომ გალობის აღდგენისა და მისი ნოტებზე გადაღების თაობაზე წინადადება მიიღო წმიდა მღვდელმთავარმა ალექსანდრემ (მაშინ გორის ეპისკოპოსი) და მის განსახორციელებლად თავის მხრივ 50 თუმანი შესწირა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას. „ამ საფუძველზედ სემინარიის გამგეობამ შეადგინა განაჩენი, რომელიც დაამტკიცა ყოვლადუსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსად მყოფმა ევსევიმ. ამა განაჩენისაებრ შესდგა კომისია ხუთთა სამღვდელოთა პირთაგან, რომლისა თავმჯდომარეთ ვარ დანიშნული მე", [5] - წერდა არქიმანდრიტი მაკარი.

როგორც ირკვევა, ეგზარქოს იოანიკეს კომიტეტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება წინამორბედის მიერ დახვდა მიღებული და თანხმობაც, ალბათ, იმიტომ მისცა მისი მუშაობის გაგრძელებას, რომ მდგომარეობა არ გაემწვავებინა.

კომისიას, პირველ რიგში, თბილისის სამღვდელოება შეუკრებია. მათ სთხოვეს ამ საქმისათვის შემწეობის სახით თვეში ხუთი მანეთი გაეღოთ. თუმცა კომისიის მიერ დასახული ამოცანებისათვის ეს თანხა საკმარისი არ იყო. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ გალობის ნოტებზე გადაღება, სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში გალობის სწავლება და სხვა.

„მივმართავთ ყოველთა ქართველთა, - წერდა არქიმანდრიტი მაკარი, ეკლესიის სამღვდელოთა და საერო პირთა და ვსთხოვთ უმდაბლესად, რათა მოგვცენ ამ საგნის სისრულეში მოყვანისათვის, შეძლებისამებრ, ფულით შემწეობა ერთ დროებით ანუ თვეობით". [6]

პრესაში („დროება", „ივერია") პერიოდულად ქვეყნდებოდა ცნობები კომიტეტის ანგარიშზე შესული შემოწირულობების თაობაზე. 1878 წლის 1 ოქტომბრიდან 1879 წლის 16 მაისამდე 655 მანეთი და 30 კაპიკი შეუტანიათ, მათ შორის: არქიმანდრიტ გრიგოლს- 6 მანეთი, გრიგოლ ორბელიანს -20 მანეთი, დიმიტრი ყიფიანს 25 - მანეთი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს – 30 მანე-

თი, სიონის ტაძრის საკრებულოს - 48 მანეთი, ქაშვეთის ეკლესიას- 30 მანეთი, ანჩისხატის ტაძარს – 15 მანეთი და სხვა. [7]

1878 წლის 12 იანვარს თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველომ გალობის აღმდგენ კომიტეტს გადაუგზავნა ანდრია მრევლიშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული იოანე ოქროპირის წირვის წესი. მარტში მღვდელმა გრიგოლ ჭრელაშვილმა გამოგზავნა მის მიერ ჩაწერილი საგალობლები. პ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ, „1877 წლის დეკემბერში მადლიანმა მამულისშვილმა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა წარმოადგინა სემინარიის სამმართველოში 500 მანათი ჯილდოდ, ვინც ქართულ გალობას ნოტებზედ დაუწყებდა წერასა. აეშალათ ფულის საღერღელი, ვისაც კი რამ ნოტებზედ ჰქონდა ნაწერი: ქუთაისიდან წარმოსდგა ბ. მრელოვისაგან ნოტებზედ დაწერილი წირვის გალობა, აგრეთვე ბ. ჭრელაშვილის ნაწერი, მაგრამ ორივე შრომა დაიწუნეს".[8] კომიტეტმა 1878 წლის 9 ივნისს სემინარიის სამმართველოს შემდეგი დასკვნა წარუდგინა: «Пригласить из Гурийской эпархии, где еще не исказилось грузинское пение, одного специалиста, при содействии которого комитет считает возможны переложение грузинского пения на ноты»[9]. მათ განზრახული ჰქონდათ ამ მიზნით გურიაში გაეგზავნათ არქიმანდრიტი მაკარი და დიაკვანი აუშევი.

სემინარიის სამმართველომ 1878 წლის 3 ივლისს ეს აზრი არ მოუწონა კომიტეტს და ურჩია გურიის ეპისკოპოს გაბრიელისათვის მიეწერათ, მოევლინებია თბილისში საუკეთესო მგალობელი.[10]

წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსის არქივში მოვიძიეთ გურიის ეპისკოპოსის, ყოვლადსამღვდელო გაბრიელის (ტუსკია) პასუხი თბილისში გალობის კარგად მცოდნე სპეციალისტის მოვლინებასთან დაკავშირებით:

„თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, მოწყალეო მწყემსმთავარო,

ურთიერთ არს მარჯუენეს ამბორებასა შეგკადრებ და თქუენს გრძელ ჟამიერს სიცოცხლეს ღმერთსა ვსთხოვ; სხუათა შორის გთხოვთ თქვენის მშვიდობის ამბავი მიბრძანოთ, რომელიც იქმნება ჩემთვის ძვირფასი მისაღები... მგალობელი ებრძანა მაღალყოვლადუსამღვდელოესს, მაგრამ, რომელიცა პირველი მგა-

ლობელი არის გურიაში ანტონ დუმბაძე დრუჟინაში გახლავს... და მეორე მასთან მგალობლათ ვარგებული მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი გახლავს და უპირებ მას გამოგზავნას თუ ღმერთმა ქმნა და სასიამოვნოთ [დარჩა]. სხუა არ სჯობს გურიაში და ვგონებ არც სხუამან [...].

სხვებრ დავშთები თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობის მოწყალის მწყემსმთავრის მორჩილი მოსამსახურე და ღვთისადმი მლოცველი.

ეპისკოპოსი გურიისა გაბრიელი" [11]

მაქსიმე ჩხატარაიშვილი უჩხობის (ოზურგეთის მაზრა) წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი იყო; ამავე დროს გალობდა ოზურგეთის საკათედრო ტაძარში.* ეპისკოპოსი გაბრიელი მაქსიმე ჩხატარაიშვილის შესახებ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას სწერდა: „ეს უკანასკნელი ჩემდა პირისპირ ცნობილ არს კარგის ყოფაქცევითა, მეცადინეობითა და ბეჯითობითა სამსახურისადმი".[12]

მაქსიმე ჩხატარაიშვილთან ერთად თბილისში გალობის კიდევ სამი მცოდნე – მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე და ივანე ხავთასი ** ჩამოვიდნენ:

„მ. მაკარი არხიმანდრიტმა ჩამოიყვანა ქალაქში გურული მგალობლები, რომელთ გალობაზედაც უნდა შეადგინონ ქართული ნოტები საეკლესიო გალობისა. რადგან კარბელოვის გალობაზედ ბევრს ლაპარაკობენ, რომ ეს არის ნამდვილი ქართული საეკლესიო გალობაო, ამის გამო, ჩვენის ჰაზრით, ურიგო არ იქნება, რომ ნოტების შედგენის დროს იმის გალობასაც მიაქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას", - წერდა „დროება". [13]

---

* გარდაიცვალა 1885 წელს.

** ივანე ხავთასი დაიბადა 1824 წელს. 1857 წლიდან გურიის საკათედრო ტაძარში გალობდა. შემდეგ გადაყვანილ იქნა აფხაზეთში ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ, აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებამდე. 1871 წელს ისევ გურიაში დაბრუნდა და ეპისკოპოს გაბრიელის მიერ გურიის საეპისკოპოსო ტაძარში მგალობლად დაინიშნა. მ. ნაკაშიძისა და ნ. კონტრიძის შესახებ ვრცლად იხილეთ, წიგნის მეორე ნაწილში.



ძმები კარბელაშვილები. მარცხნიდან მარჯვნივ: პოლიევქტოსი, ვასილი, პეტრე და ანდრია

ასეც მოხდა. 1878 წლის აგვისტოს ბოლოს კომიტეტი მზად იყო მოესმინა ქართული გალობის ორი მთავარი კილოს ცნობილი მგალობლებისათვის: აღმოსავლურ-ქართლურ კილოს წარმოადგენდა გრიგოლ კარბელაშვილი და მისი ვაჟები – პოლიევქტოსი და ვასილი, ხოლო დასავლურ – ქართულ (გურული) კილოს – მაქსიმე ჩხატარაიშვილი და მასთან ერთად: მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე და ივანე ხავთასი.

კამათი იმაზე, თუ რომელ კილოს ეკუთვნოდა უპირატესობა, ჯერ კიდევ XIX ს. 60 –იანი წლებიდან დაიწყო: ახლა ამ დისკუსიამ პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა.

ქართული საეკლესიო გალობის კილოებად დაყოფას ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" ვხვდებით:

„იოანემ ჰრქვა მეთოდის: ჭეშმარიტად იმერული გალობა დია სასიამოვნო ხმა არს და კარგად შეწყობილი, რომელ საკრავსა მიემსგავსების.

მეთოდი: მართალს ანბობთ, ქართულ გალობაზედ იმერული

გალობა უკეთ არის შეწყობილი, და თქვენ რომელი გისწავლიათ?

იოანე: მე ქართულის კილოთი".

იქვე:

„ძველად ქართველნი გალობდნენ ბერძნულის ხმითა და მერე ქართული უკვე გალობა გააკეთა წმინდამ გიორგი მთაწმიდელ ქართველმან, რომელიც იყო ბერძნულისა და ქართულის ენასა ზედა მეცნიერ და გალობათა და საკრავთა შინაცა გამოცდილ და მერე უფრორე განაშვენეს იმერთა და მეტადრე გურიაში ვითა აწ არსცა".[14]

„ივერიაში" ვინმე „არაგველი" მოითხოვდა კარბელაშვილების კილოს ჩაწერას, რადგანაც მან ბოდბის სასწავლებელში მოღვაწეობის დროს დაამტკიცა, რომ გალობის იშვიათი მცოდნე იყო: „საქართველოში თხუთმეტი მგალობელი ტყუილია, ვინც წირვის გალობა იცის, იმას ვერ დავარქმევთ მგალობელს. ჩვენ მარტო ერთი გვყავს ნამდვილი მგალობელი, მღვდელი გრიგოლ კარბელოვი, რომელსაც მტკიცედ ახსოვს გალობის კილოები. ესეც ჩვენდა საუბედუროდ მოხუცებულია".[15]

„არაგველს" იმავე „ივერიაში" ლ. ივერიელმა უპასუხა:

„მახსოვარი მგალობლები იმასაც იტყვიან, რომ სულ ყველგან რომ გადავარდნილა ქართული გალობა, გურიაში მაინც შენახულა და იქიდგან მობრუნებულაო. ახლაც შენიშნულია, რომ იმერეთში ყოველი ახალი სიმღერები გურიიდგან და ქობულეთის მაზრიდგან ვრცელდება... არიან განთქმულნი მგალობლები, რომლებმაც ორივე კილო საფუძვლიანად იციან, მაგრამ ახალზე გალობენ. გალობის საკეთილდღეოთ უფრო კარგი იქნებოდა, რომ ესენიც ძველ კილოს დაბრუნებოდნენ და იმაზე იგალობებდნენ. გურიაში ანტონ დუმბაძე, რომელსაც ძლიერ ტკბილ ხმებსაც უქებენ, განსაკუთრებით ბანს და მღვ. ჩხატარაიშვილი. იმერეთში: ნიკო მეძმარიაშვილი ამხანაგებითურთ და მეგრელიაში – დიტო ჭალაკანიძე".[16] იყო სხვა აზრიც. კ. მაღრაძე იმავე „ივერიაში" წერდა: „რა არის ქართლ-კახური და რა არის გურულ-იმერული კილო? რომ ავიღოთ და შევადაროთ ერთმანეთს ე.წ. გურულ-იმერული „სადა კილო" და ქართლ-კახური. ერთი და იგივეა, მხოლოდ აქა-იქ ხმის მიმოხვრით ოდნავ განირჩევა ერთი მეორისაგან."[17]

ჩვენი ამოცანა არ არის გავაანალიზოთ ამ პოლემიკის ჭეშმარიტი და მცდარი მხარეები. ერთგვარი შეჯამებისათვის მოვიხმობთ თანამედროვე ქართულ მუსიკათმცოდნეობაში გაკეთებულ დასკვნებს:

ვ. გვახარია: „მიუხედავად დიალექტური სხვაობისა, ყველა კუთხის მუსიკას საფუძვლად უდევს ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე"[18]

დ. შუღლიაშვილი: „ქართული გალობის პრინციპულ დაყოფაზე თუ არის ლაპარაკი, იგი უნდა დაიყოს სადა და გაევარჯიშებულ კილოებად და არა კუთხეების მხრივ, ანუ იმერულ-გურულად და ქართლ-კახურად, რადგან ორივე ერთი და იგივეა, მხოლოდ ხმის მიმოხვრით ოდნავ განირჩევიან ერთი მეორისაგან".[19]

ასეთი კამათის ფონზე დაიწყო თბილისში აღმოსავლეთისა და დასავლეთის მგალობელთა მოსმენა.

1878 წლის 2 სექტემბერს ანჩისხატის ეკლესიაში წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსისა და კომიტეტის წევრთა წინაშე მაქსიმე ჩხატარაიშვილმა თავის ამხანაგებთან ერთად პირველად იგალობა. „დროება" წერდა:

„ნეტავ გუშინ 5 საათზე ანჩისხატის სობოროში ჰყოფილიყავით და გენახათ, თუ როგორი მშვენიერი ქართული გალობა გვქონდა.

გურიიდან მოწვეული მგალობელი მღვდელი მოვიდა. გვსურდა შეგვეთანასწორებინა, ჰგავს თუ არა იმისი გალობის კილო ქართველისა? ამ მიზეზით მრავალი მგალობლები შევიკრიბენით იქ.

ლოცვის შემდეგ კომისიის წევრნი ხალხითურთ შევგროვდით არხიმანდრიტის ზალაში, სადაც დაესწრო ამ კეთილი საქმის მოთავე ალექსანდრე ეპისკოპოზიც".[20]

მაკარი არქიმანდრიტმა თავის მხრივ თვეში 8 მანეთის შეწირვა აღუთქვა მგალობელთ. მეორე დღეს, 1878 წლის 3 სექტემბერს, კვირას, ორბელიანთა ეკლესიაში ორივე გუნდმა იგალობა: „თ. ორბელიანთა ეკლესიაშიდ იყვნენ მოწოდებულნი ქართული გალობის მცოდნე პირნი: გურული მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი და უფ. კარბელოვი, შესადარებლათ იმისა, თუ რომლის გალობა იქმნება უმჯობეს ნოტებზედ გადასაღებად, ანუ ყურთა სმენისათვის საამო."[21] გალობას დაესწრნენ გრიგოლ ორბელიანი, გენერალი იოსებ ორბელიანი, არქიმანდრიტი მაკარი.

„მგალობლებმა მიიქციეს მსმენელების ყურადღება, მით უმეტეს, რომ ხშირად ართმევდნენ ერთ მეორეს პირიდგან დაწყებულ გალობას. ჩხატარაიშვილის გალობა უფრო საამო სასმენელი იყო. თუმც იმას არ ჰყავდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებსაც სცოდნოდათ იმის კილოზედ, მაგრამ ის მაინც ხან მაღალ ბანს, ხან დაბალს და ხან წვრილს ამბობდა და ამით გამოჰყავდა ამხანაგების ნაკლულევანება... რაც შეეხება კარბელოვის გალობას, ზოგიერთი ბევრად არ განსხვავდება, მე ასე ვგონებ, რომ გურული გალობიდან გარდმოკეთებული უნდა იყვეს".[22]

წირვის შედმეგ თ. გრიგოლ ორბელიანს ყველანი ჩაიზე მიუწვევია და მადლობა გადაუხდია ამ საქმის მზრუნველის, არქიმანდრიტ მაკარისათვის.

შემდეგი შეკრება სიონის საკათედრო ტაძარში შედგა 1878 წლის 14 სექტემბერს. „მარცხნივ ვგალობდით ძმები კარბელაშვილები, მარჯვნივ გურული მგალობლები".[23] 24 სექტემბერს, კომიტეტის თხოვნით, თბილისში მოხუცი მღვდელი გრ. კარბელაშვილი ჩამოვიდა. იმავე საღამოს, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, სადაც არქიმანდრიტ მაკარის რეზიდენცია იყო, გაიმართა კომიტეტის სხდომა. მას დაესწრნენ წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე, მღვდელი გრიგოლ კარბელაშვილი შვილებით, გურული მგალობლები... სხდომამ მგალობლებს დაუნიშნა გასამრჯელო – ნაკაშიძეს ოცი მანეთი და დანარჩენებს თითო თუმანი.

14 სექტემბერს სიონის ტაძარში შესრულებული ქართული საგალობლების თავისებურ შეჯიბრს გამოეხმაურა პეტრე უმიკაშვილი: „გალობა სიონში ორი დასისა იყო: მარცხნივ (ჩრდილოეთით) სადაც მუდამ მგალობლები დგანან, მაღლობ ტახტზე იდგა ერთი გუნდი ქართლ-კახეთის კილოთი მგალობლებისა, მარჯვნივ (სამხრეთით) იდგა დაბლა მეორე გუნდი გურულებისა, რომლებიც იმერეთ-გურიის კილოთი გალობდა."[24]

იმის გასარკვევად, რომელი კილო უნდა დაიწეროს ნოტებზე, ავტორი მიიჩნევს, რომ უნდა მოეწყოს მგალობლების გამოკითხვა. მოწვეულ უნდა იქნენ ნოტების მცოდნე სპეციალისტები. საქმე, რა თქმა უნდა, მოითხოვს ხარჯებს. „ამ ღონისძიებებისათვის პირველი მაგალითი მოგვცა ყოვლადუსამღვდელოესმა ალექსან-

დრემ ორმოცდაათის თუმნის შეწირვითა, - ახლა საჭიროა ამ მაგალითს მივბაძოთ და შეძლებისდაგვარად შევსწიროთ ამავე საგნისათვის."[25]

ერთობლივი გამოსვლები მომავალშიც გაგრძელდა. 17 ოქტომბერს „სიონში კიდევ იყო „გამოსაცდელი" გალობა გურულებისა; გუშინ, სამშაბათსაც, კიდევ ამგვარივე „გამოსაცდელი" გალობა იყო დანიშნული გურულებისა და კარბელოვისა. " საზოგადოებას, როგორც ჩანს, მობეზრდა ამდენი გამოცდა. „ეკლესია გამოსაცდელ ალაგად არ გამოდგება"-[26] აცხადებს „დროება" და მოითხოვს სასწრაფოდ გაირკვეს რომელი კილოს გალობას ეძლევა უპირატესობა ნოტებზე გადასაღებად. არქიმანდრტმა მაკარიმ 22 ოქტომბერს საკუთარ სახლში მოიწვია როგორც მგალობლები, ასევე მსმენელებიც. [27]

თბილისში დარჩენილი გურული მგალობლები – მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე და ივანე ხავთასი ქართული გალობის მასწავლებლობას იწყებენ. გალობის აღმადგინებელი კომიტეტი 1879 წლიდან მათ ჯამაგირზე ხუთ-ხუთ მანეთს უმატებს.[28] სასულიერო პირებისა და სემინარიის მოსწავლეებისათვის სწავლება უფასოდ გამოცხადდა.[29] კმაყოფილი მოსწავლეები გაზეთ „დროებაში" მადლობას უხდიდნენ მელქისედეკ ნაკაშიძესა და ნესტორ კონტრიძეს. ისინი 70- ზე მეტ შეგირდს ამეცადინებდნენ. „ბ.ბ. მელ. ნაკაშიძისა და ნესტორ კონტრიძის შემწეობით ველირსეთ ქართული ხმების გაგონებას ჩვენს სასულიერო სემინარიაში... ამ კეთილ საქმისა და ჩვენი დიდად დავალებისათვის გულითად მადლობას ვუძღვნით საქვეყნოდ ბ.მ. ნაკაშიძეს და კონტრიძეს მათი შაგირდები სემინარიელები".[30]

ამ ღონისძიებების მიუხედავად ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტის მუშაობას მაინც აკრიტიკებდნენ. „არაფერი ხელშესახები არ გაკეთებულა, „გროშ-კაპეიკის საქმე კი არა გაურიგებია-რა"-ო.[31]

1879 წლის ოქტომბერში არქმიანდრიტ მაკარის ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის თავი დაუნებებია. მას სათავეში ჩაუდგა წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე. კომიტეტში შედიოდნენ: არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანი,



არქიმანდრიტი გრიგოლ დადიანი

მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი, მღვდელი გრიგოლ მღებროვი, ეგზარქოსის გუნდის რეგენტი, დიაკვანი ვასილ აუშევი და მიხეილ მაჭავარიანი.[32] საყვედურები პრესიდან ისევ ისმოდა: „ქართული საეკლესიო გალობის საქმე ხეირიანად ვერ მიდის... მ. მაკარის ხელი აუღია ამ ჟამად ამ საქმიდამო. მგალობლები ხეირიანად ვერ ეკიდებიან თავის საქმეს... არ ასწავლიან აქაურ დიაკვნებსაო და ყველაზე უარესი კიდევ ის არისო, რომ უფ. მაჭავარიანისაგან შედგენილი ზოგიერთი ნოტები ქართულის გალობისა სრულიად არ ვარგაო".[33]

ამ პუბლიკაციას ვრცელი წერილით უპასუხა წმინდა მღვდელმთავარმა ალექსანდრემ. იგი დაწვრილებით განიხილავს კომიტეტის საქმიანობას, დადებითად აფასებს არქიმანდრიტ მაკარის ღვაწლს: „არქიმანდრიტმა მაკარიმ ბევრი იღვაწა ამ გალობისათვის და უჩვენა მას მრავალგვარი შემწეობა, რომლისათვისაც იგი ღირსია ჩვენ მიერ მადლობისა."[34]

პოლემიკაში, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის მ. მაჭავარიანის მიერ იოანე ოქროპირის წირვის

წესის ნოტებზე გადაღების გამო გაიმართა, ჩაერთო მელქისედეკ ნაკაშიძე; მან დაიწუნა მაჭავარიანის მიერ ჩაწერილი საგალობლები.[35] იგი არ მოიწონა მუსიკისა და ნოტების მცოდნე მ. სავანელმაც.

წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსი მიმართავდა ქართულ საზოგადოებას, თუ ვინმეს შეუძლია და ესმის მუსიკა, გასინჯოს მაჭავარიანის მიერ ჩაწერილი საგალობლები ნოტებზე. თუ იგი კარგია, თქვას, თუ უვარგისია, ესეც ეცნობოს საზოგადოებასო. აპირებდნენ ნოტები პეტერბურგში, ლამაკინთან*, გაეგზავნათ. საბოლოოდ, ეს ნამუშავარი არ მიიღეს.

კომიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საზოგადოებას ინფორმაციები პერიოდულად მიეწოდებოდა. თავდაპირველად კომიტეტს არქიმანდრიტ მაკარის დროს შეგროვილი 340 მანეთით მოუწია საქმიანობის გაგრძელება. წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს ძალისხმევით შიო მღვიმის მონასტერს 120 მანეთი შეუწირავს კომიტეტისათვის. შემოწირულობები შეუტანიათ ასევე: დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტ გრიგოლს; მან ერთი მგალობელი საკუთარ ხარჯზე აიყვანა; ქვაბთახევის მონასტრის გამგე მღვდელმონაზონმა ფილარეტმა ყოველწიურად 20 მანეთი შესწირა; ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ევსტრატიმ -15 მანეთი; ტფილისის ეკლესიებიდან 32 მანეთი შემოდიოდა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ამიტომ, თხოვნით მიმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის დამფუძნებელი და წევრი გახლდათ წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე. ეს საზოგადოება ყოველწლიურად 120 მანეთს სწირავდა მგალობლებს.[36]

საზოგადოების კრიტიკულ დამოკიდებულებას გალობის აღმდგენი კომიტეტის მუშაობისადმი წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ასე პასუხობდა: „ყველას იმასა ვსთხოვ, რომ ამ გალობის პირობაზედ მოთმინება იქონიონ. ჯერ არ არის დიდი ხანი, რაც ეს გალობა და მისი კომიტეტი დაწესდა და მე რომ სულ ახალი დად-

---

* გავრილ იაკიმის ძე ლამაკინი (1812–1885) – გამოჩენილი რუსი საგუნდო დირიჟორი, პედაგოგი, მუსიკათმცოდნე, კომპოზიტორი.

გენილი ვარ ამ ხსენებულის კომიტეტის თავს მჯდომარედ – ნურც ენით და ნურც კალმით ცუდათ ნურავინ ახსენებს ამ გალობას, ცუდ ხსენებით გალობის ატმოსფერო არ განიწმინდება. მე მაცალეთ ერთი, ორი და სამი წელიწადი და ვნახოთ ან გალობის საქმე როგორ წავა და ან ნოტის შედგენისა. ნათქვამია ჩქარს უგვიანდებოდესო. ბოლო იტყვის ყველას და დააგვირგვინებს საქმესა. იქნება ბოლოს სთქვან ძეთა ძველის იბერიისათა: გამობრწყინდა ნათელი ქართულ ეკკლესიურ გალობისა გორიზონტსა ზედა; გადაღებულ იქმნა წყობილად ეკკლესიისა გალობა ნოტებზედა."[37]

მაგრამ, საზოგადოების კრიტიკული დამოკიდებულება არ იცვლებოდა. წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომის თანავე (1884 წ.) ჟურნალ „მწყემსში" დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების საქმეში ბრალს ეპისკოპოსს სდებდა. რედაქცია მინაწერში აღნიშნავდა, რომ „იმედი გვაქვს, რომ ის შეგვატყობინებს, თუ რამდენი ფული მოიბოჭა გალობის აღსადგენად და სად ინახება ეს ფული."[38]

წმ. მღვდელმთავარმა ალექსანდრემ საპასუხო წერილი რამდენიმე პუნქტად ჩამოაყალიბა:

„1. მე წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვარ ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისა. პირიქით, ეგზარქოსის ნებართვით, თავად ვკისრულობ ქართლ-კახური კილოს საეკლესიო გალობის აღდგენას საკუთარი ხარჯით.

2. არასოდეს ვყოფილვარ წინააღმდეგი გურული კილოსი. ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ „გურულის კილოს" გალობა კარგია თავის სამშობლოში, გურიაში. ხოლო საქართველოში (ქართლში და კახეთში) გურული გალობა ვერ მოიდგამს ფეხს, როგორც ეს დაამტკიცა გარემოებამ და გვიჩვენა გამოცდილებამ.

3. საეკლესიო გალობის კომიტეტის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ უარს ვაცხადებ თავმჯდომარეობაზე.

4. ფული შეგროვდა სასწავლებლებში ქართული გალობის შესასწავლად, და არა ნოტებზე გადასაღებად". [39]

შეიძლება ვიფიქროთ, რომ საზოგადოების ასეთმა დამოკიდებულებამ აფიქრებინა ეპისკოპოსს, დაეტოვებინა თავმჯდო-

მარის პოსტი. ამასთან, ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა კატეგორიულად მოითხოვა კომიტეტს ან თავისი მიზანი გაემართლებინა, ან დახურულიყო[40] უფრო კი, დახურვისაკენ იხრებოდა. 1884 წელს, არქიმანდრიტების - გრიგოლ დადიანისა და მაკარი მატათაშვილის წინადადებით საეგზარქოსოსთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა ეზრუნა საგალობლების ნოტებზე გადასაღებად და დასაბეჭდათ. კომისიის სხდომას ქართული საზოგადოების თალსაჩინო წარმომადგენლები – აკაკი, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი და სხვები დაესწრნენ. სხდომაზე საკითხის წინააღმდეგ გამოვიდა სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. თავისი ანტიქართული განწყობილებით ცნობილი რექტორი მოგვიანებით სტუდენტმა ლაღიაშვილმა მოკლა. ამ ფაქტის გამო ეგზარქოსმა პავლემ ამბიონიდან დაწყევლა ქართველი ერი, რასაც საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. საპროტესტო წერილი ეგზარქოსს დიმიტრი ყიფიანმა მისწერა, რის გამოც იგი რუსეთში გადაასახლეს და გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

კომისიის სხდომაზე გამოსვლისას ჩუდეცკიმ აღნიშნა, რომ ამ „კეთილგანზრახულ და ღვთისაგან კურთხეულ საქმეს დიდი დაბრკოლება აქვს. მცოდნე პირებისაგან ვიცი, რომ ქართული გალობა იმდენად თავისებურია, სხვა ხალხის გალობისაგან იმდენად განსხვავდება, რომ მისი ჩაწერა არსებული რუსული ნოტებით შეუძლებელია. მოგვიხდება ქართული გალობის შესაფერი სამუსიკო ნიშნები გამოვიგონოთ. ამ საქმეს დიდი შრომა, დიდი დრო და დიდი ხარჯიც დასჭირდება; სამწუხაროდ, ქართულ ღარიბ ეკლესიას ასეთი ხარჯი არ შეუძლია გაიღოს.“[41]

მღვდელმა აუშევმა ჩუდეცკის მოურიდებლად მიახალა, რომ ეს აზრი მცდარი იყო. ჩუდეცკიმ ცოტათი კილო შეცვალა, მაგრამ მაინც იმავე აზრის დასაბუთებას შედგება: „შეითვისეთ კეთილხმოვანი, ღვთისაგან ნაკურთხი და დალოცვილი სლავური გალობა“. ამან დამსწრეთა დიდი აღელვება გამოიწვია.

„აკაკი წამოხტა, ჩუდეცკის სიტყვა შეაწყვეტინა და განაცხადა:

- თქვენ შეგიძლიათ ჩვენს განზრახვაზე პირდაპირ უარი თქვათ, ეს თქვენი უფლებაა. მაგრამ თქვენ ჩვენს წმიდათა წმიდას

ტლანქად შეეხეთ; თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ქართველები რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი ლოცვა -კურთხევით, სლავებად გადავიქცევით. ეს დიდი შეცდომაა! საქართველოს დიდი ისტორია, მდიდარი უძველესი კულტურა და ჩვენი საკუთარი წინსვლისათვის გაწალდული გზა აქვს. უხეშ ძალას ამ გზის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ასი წლის განმავლობაში ქართველ ერს თავისი სახე არ შეუცვლია და შეუცვლელად შეურჩენია. შემდეგშიაც შეირჩენს. ქართველი ერი თავის შეუდარებელ მუსიკას, რომელშიაც თავისი უკვდავი სული აქვს ჩაქსოვილ – ჩაქარგული, უთქვენოდაც მოუვლის და განავითარებს, თქვენი დახმარება არ სჭირდება!"[42] აკაკის შემდეგ გიორგი წერეთელი გამოვიდა. ალექსანდრე ყაზბეგმა გამოაცხადა, რომ კომისიაზე თქმული დეტალურად გამოქვეყნდება გაზეთებშიო. ჩუდეცკიმ ისღა მოახერხა, რომ კომიის სხდომა დახურა.

კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადაგომის შემდეგ წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსს არ შეუნელებია ზრუნვა ქართული გალობის აღდგენისა და ნოტებზე გადატანისათვის. 1884 წლის ზაფხულში მან ხელშეკრულება დადო თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორთან ი. იპოლიტოვ -ივანოვთან. მას უნდა ჩაეწერა ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის წესი და ეს სამუშაო 1886 წლის 1 ოქტომბრისათვის უნდა დაესრულებინა. გურიაში მყოფმა ეპისკოპოსმა ეგზარქოსს ამის თაობაზე 1884 წლის 3 მაისს მისწერა. საუბარი შეეხებოდა გალობის „ქართულ - კახურ კილოს". ეგზარქოსმა თანხმობის პასუხი იმავე წლის 16 ივნისს აცნობა ყოვლადსამღვდელოს.იპოლიტოვ-ივანოვმა 400 საგალობლის ნოტებზე გადაღება 2000 მანეთად იკისრა.[43] მას უნდა დახმარებოდნენ მღვდლები პოლიევექტოს და ვასილ კარბელაშვილები, ა. მოლოდინოვი, გრიგოლ მღებროვი. სამწუხაროდ მხოლოდ 76 საგალობლის ჩაწერა მოხერხდა.[44]

1896 წელს იპოლიტოვ-ივანოვმა საგალობლების კრებული სინოდში წარადგინა; სინოდმა კი დასკვნისათვის სასულიერო სემინარიას გადასცა. 1897 წლის 7 დეკემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში სპეციალურმა კომისიამ მოისმინა და დადებითი წერილობითი დასკვნით დასამტკიცებლად სინოდში გაგ-

ზავნა. 1899 წელს წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსის დაფინანსებით საგალობლები დაიბეჭდა „მაქსიმე შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში". მაქსიმე შარაძეს, სტამბის გარდა, საღმრთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი ჰქონდა დაარსებული, სადაც მელქისედეკ ნაკაშიძის ხელმძღვანელობით გალობას სწავლობდნენ. მათთან ხშირად სტუმრობდა ეპისკოპოსი. წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) იგონებს: „ხშირად მოიყვანდა დეკ. პეტრე კონჭოშვილი ეპისკოპოსს ალექსანდრეს და შემოსვლისთანავე გახარებული იტყოდა: გამარჯობა ჩვენო საქართველოს შვილებო! ქართლელებო, გურულებო, მეგრელებო, იმერლებო და ოსებო! ეცადეთ, ეცადეთ! ხოლო ჩვენ... შემოსვლისთანავე „ღირს არსსა" უგალობდით და მერე დასხდებოდნენ სამუსაიფოთ."[45]

სიცოცხლის ბოლო წლებში ყოვლადსამღვდელო ალექსანდრემ გურული გალობის აღსადგენად გურიაში საეკლესიო გალობის კაბინეტი დააარსა. თავისივე ხარჯით მოიწვია ორი მგალობელი: მელქისედეკ ნაკაშიძე და სვიმონ მოლარიშვილი. მათ დაევალათ, რომ ხალხისათვის უფასოდ ესწავლებინათ გალობა. მგალობლები რიგ - რიგობით დადიოდნენ გურიის სოფლებში და ხალხს ასწავლიდნენ. [46]

თუ იმდროინდელ პრესას თვალს გადავავლებთ, წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს უამრავ დამსახურებათა შორის, რომელიც მას მიუძღვის ქართული ეკლესიის წინაშე, ხაზგასმით გამოირჩევა ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისათვის გაწეული ღვაწლი.

„აბა, ბიჭო, მითხარი, - რომელი უფრო მოგწონს ამ სამ საგანში, თანაც თითებზედაც ჩამოსთვლიდა: საეკკლესიო გალობის აღდგენა, დარღვეული მონასტრების განახლება, თუ ჩვენი სასულიერო მწერლების ნაწერების ბეჭდვაო?" - არაერთხელ უკითხავს მას ჩემთვის და სხვათა მრავალთათვისაც. - „თქვენო მეუფებავ! სამივე ერთი ერთმანეთზედ უკეთესია და აბა, იმას რა ეჯობინება, რომ სამივე ესენი არ დააშოროთ ერთმანეთს! „ერიჰა! ეგ ხომ მძიმე და ძნელი საზიდი უღელია ჩემთვის, შვილო, მაგრამ მჯერა, რომ გულწრფელად მეუბნები მაგას და მართლადაც არ დაშორდებიან ეგენი. რა უყოთ? ღმერთი მოწყალეა! ორი შაუ-

რის მუშასა, მის დღეში არა უშავსა“. აი, რა სასოებით და მტკიცე იმედით შეუდგა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ქართული გალობის ნოტებზე გადაღების საქმეს.“[47] – აღნიშნავს ვასილ კარბელაშვილი.

წმიდა ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ საეკლესიო გალობის გადარჩენისა და ნოტებზე გადატანის გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული. მაგრამ ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოსს გაუჩნდა დიდი იმედი ამ საქმის კარგად წარმართვისა და დასრულებისა: 1881 წლის 5 აპრილს, ბზობას, იგი მოუნახულებია ცნობილ მომღერალს ფილიმონ ქორიძეს და შეჰპირებია ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღების საქმის დაწყებას. „ამ კეთილი განზრახვისათვის მადლობა მივუძღვენი ბ-ნ ქორიძეს და ამას იქით, იმედია, რომ ნოტებზედ გადაღების საქმე ეკლესიურ გალობისა კარგათ წავიდეს",-[48] წერდა წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე.

იწყებოდა ახალი ეპოქა ქართული საეკლესიო გალობის ისტორიისათვის.



თავი მესამე



ნობილი საოპერო მომღერალი ფილიმონ ქორიძე 1880 წელს ჩამოვიდა თბილისში. იგი იტალიაში, ლა-სკალას თეატრში მოღვაწეობდა და თბილისის საოპერო თეატრში მოიწვიეს. მომღერალი უკან დაბრუნებას აპირებდა, როცა მასთან მივიდნენ ცნობილი ქართველი მგალობლები (ე. კერესელიძის მიხედვით მელქისედეკ ნაკაშიძის ხელმძღვანელობით) და ჰკითხეს: შესაძლებელია თუ არა ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღება? თანხმობა რომ მიიღეს, ეჭვის თვალით შეხედეს მომღერალს. ფილიმონმა ისინი მეორე დღისთვის დაიბარა. „მოვიდნენ, იგალობეს, დავანყე ნოტებზედ, ვუგალობე მათი ნათქვამი და ფორტე-პიანოზედაც გავაგონე ახალი დაწერილი გალობები. მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართული გალობის ნოტებზედ დაწყობა შესაძლებელი ყოფილა“.[1] ეს ამბავი მთელ თბილისს მოედო. ფილიმონ ქორიძესთან მოდიოდნენ გალობის ძველი კილოების მცოდნე „სრული მგალობლები“:* ნესტორ კონტრიძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ივლიანე წერეთელი და სხვები.

როგორც ფილიმონის ვაჟი მიხეილ ქორელი იგონებს, მამამისს ხშირად იწვევდნენ ქართულ სუფრებზე, სადაც მღეროდნენ როგორც საგუნდო სიმღერებს, ასევე ძველ რომანსებს. ფილიმონი ბანს აძლევდა, მაგრამ ზოგჯერ გაჩერდებოდა და იტყოდა: „ამ სიმღერას ვეღარ ვცნობ... წინათ ამ სიმღერას სხვანაირად ამბობდნენ. ახლა სრულებით შეცვლილია, დამახინჯებულია, თავისი

---

* **სრული მგალობელი – “ტერმინი XVIII საუკუნეში ჩნდება. საბას ლექსიკონში “ლოდბარის” პარალელური ტერმინია (მოგვიანებით “ლოდბარი” მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელის მნიშვნელობას იძენს). საფიქრებელია, რომ სრული მგალობლობა არა მხოლოდ მთელი წლის საგალობო რეპერტუარის ცოდნას გულისხმობდა, არამედ “დასდებელის მეცნიერების” კანონების სრულყოფილ ცოდნასაც.” (მ. სუხიაშვილი. იხ. ქართული საეკლესიო გალობა. თბ. 2002 გვ. 13)**

ელფერი დაჰკარგვია“.[2] ასევე აღელვებდა მას ეკლესიებში ძველი საგალობლების ცვლილებები. მ. ბალანჩივაძის ნაამბობიდან ირკვევა, რომ სწორედ ამ დროს გაუჩნდა ფ. ქორიძეს სურვილი ჩაეწერა საეკლესიო გალობის სწორი კილოები.

1882 წელს მელქისედეკ ნაკაშიძემ და ნესტორ კონტრიძემ ფილიმონთან ერთად დაიწყეს ქართული საგალობლების გურული კილოს ნოტებზე გადატანა. მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი გახდა ეს საქმე, რომ ოპერას თავი დაანება და არც უცხოეთში წავიდა. მგალობლების მუშაობას ხშირად ესწრებოდა აკაკი წერეთელი, რომელიც ზოგჯერ მომღერლებს თურმე ეტყოდა:

„- ეს სიმღერა კარგია, მაგრამ ჩვენს ზემო იმერეთში სხვანაირი კილო გამიგონია!

- მაინც?

აკაკი სულ ჩუმად, ნახევარი ხმით დაამღერებდა, მელიტონი (ბალანჩივაძე) აღღოს მაშინვე აუღებდა: საჩხერის კილოა, წერეთლების. ბაბუაჩემისაგან გამიგონია.

გურულები – კონტრიძე და ნაკაშიძე შეედავებოდნენ. ფილიმონი მოისმენდა და ამ კილოსაც ჩაწერდა“. [3]

მუშაობა ენერგიულად და დიდი დატვირთვით მიმდინარეობდა. „რაც ჩაწერილია, ეს ერთი მეასედიც არ არის იმისა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს. კონტრიძე და ნაკაშიძე უფრო გურულ გალობა-სიმღერას იცნობენ. სხვებიც არიან, ჩვენი მუსიკის საფუძვლიანად მცოდნენი, ისინიც უნდა გავიცნო, დავიახლოვო“.[4] – ასეთი გეგმები ჰქონდა ფილიმონს, რომელიც ამ პერიოდში წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს შეხვდა და იმედი მისცა, რომ საგალობლების ნოტებზე გადაღების საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. 1883 წლის ბოლოს ფილიმონმა დაასრულა იოანე ოქროპირის წირვის წესის ჩაწერა. 1884 წლისათვის უკვე სასტამბოდ გამზადებული ხელნაწერი არსებობდა.

ეგზარქოს პავლესა და რექტორ ჩუდეცკის მიერ გალობის აღმდგენელი კომიტეტის მუშაობის ჩაშლამ (რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ), კამათმა გალობის კილოებთან დაკავშირებით, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს გადადგომამ კომიტეტის თავმჯდომარეობიდან პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა თბილისში ნოტებ-



მღვდელი დავით ღამბაშიძე

ზე გადაღებული საგალობლების დაბეჭდვა და მუშაობის გაგრძელება. ამ ვითარებაში უდიდესი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა აკაკის ფელეტონს „რამდენიმე სიტყვა ქართული გალობის აღდგინების გამო". აკაკი წერდა: „კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად ჰსურს გალობის აღდგინება, უნდა აიჩინოს მცოდნე პირი. იმან უნდა მოიაროს მთელი საქართველო. ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილო-ხმებს, თვითონაც შეისწავლოს; ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას, გამორიცხოს, რაც აკლია შეავსოს, აღადგინოს ნელ-ნელა, აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს: ამ გვარად შედგება სკოლა და გალობაც თან-და-თან სისრულეში მოვა. როგორც საქმის მოსარჩლე და არა პირადობისა, ვიტყვი, რომ ამ გვარი მოთავე კიდეცა გვყავს, ბ. ქორიძე. ვისაც გაუგონია მისგან ნოტებზედ გადაღებული გალობა და სიმღერები, თუ არ ჟინით, წინააღმდეგობას ვერ დაინყებს... განსაკუთრებით გურული კრიმანჭულები საუცხოვოდ არიან გადაღებულნი".[5]

სულ მალე ფილიმონ ქორიძე თბილისში ინახულა ჟურნალ „მწყემსი"-ს რედაქტორმა, მღვდელმა დავით ღამბაშიძემ, მან აც-

ნობა მომღერალსა და კომპოზიტორს, რომ ქართული საგალობლების ნოტებზე ჩაწერისა და დაბეჭდვის საქმით დიდად ყოფილა დაინტერესებული იმერეთის ეპისკოპოსი წმიდა გაბრიელი (ქიქოძე). ფილიმონმა წერილით მიმართა წმიდა ეპისკოპოსს, რომ ნება დაერთო ქუთაისში ჩასულიყო და გაეგრძელებინა საქმიანობა. „ამ წერილით გაბრიელ ეპისკოპოსმა დიდად გაიხარა და მაშინვე პასუხი მოსწერა ფილიმონს: დიდად მოხარული ვიქნები, პირ-იქით, იმ დროისათვის ბევრ გამოჩენილი პირსაც დავისწრებო".[6]

„მწყემსის" ცნობით, „იმერეთის ეპარხიალური სამღვდელოების შეკრებილება არის დანიშნული ნოემბრის რვას. მღვდელმთავრის მიწერილობაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ სამღვდელობას სასწავლო საქმეების გარდა ექნება მსჯელობა ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ და ამ საქმის წარმოებისათვის კომიტეტის დანიშვნაზე."[7]

1884 წლის 17-18 ნოემბერს ქუთაისში გაიმართა იმერეთის სამღვდელობის XXI კრება, რომლის თავმჯდომარედ დეკანოზი დავით ღამბაშიძე აირჩიეს. წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი კრებაზე გამოსვლისას შეეხო ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის საკითხს. მან შეკრებილთ უამბო ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის საქმიანობის შესახებ: „თფილისში არსებობდა ერთი საზოგადო კომიტეტი ქართული გალობის აღდგენისა, რომელიც ზრუნავდა გურული და ქართლური გალობის კილოს აღდგინებას ნოტებზე გადაღებით. მაგრამ ალექსანდრე ეპისკოპოსმა მიიღო თავის თავზე ქართლური კილოს გალობის ნოტებზე გადაღება თავისი ხარჯითა და იმერული კილოს გალობის აღდგინება ჩვენვე შემოგვატოვა. ამაზედ ექსარხოსისაგან მივიღე მე მოწერილობა, რომ აქ ჩვენ ცალკე კომიტეტი აღვირჩიოთ და ჩვენვე ვიზრუნოთ იმერული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის. მოიფიქრეთ ამ საგანზედ კარგად და დანიშნეთ კომიტეტი, რომ ამ საქმეს წაუძღვეს და ყველასთვის საგულის-გულო საქმე აღსრულდეს".[8]

სამღვდელოებას თავისი აზრი ფილიმონ ქორიძემაც მოახსენა, რომელიც კრებაზე სპეციალურად იყო მიწვეული. კრებამ აირჩია კომიტეტი ექვსი წევრის შემადგენლობით: თავმჯდომარე მღვდელი დავით ღამბაშიძე გახდა. წევრები კი - მიხეილ მჭედლიძე, ერ-

მალოზ ვეფხვაძე, სამსონ შენგელია, ნიკოლოზ ხუციშვილი, ანტონ ბალანჩივაძე და იაკობ მაჭავარიანი. [9]

კომიტეტმა პირველი სხდომა 1885 წლის 30 იანვარს გამართა. გადაწყვიტეს დაუყონებლივ დაეწყოთ გურიასა და იმერეთში მცოდნე მგალობლებისაგან საგალობლების ნოტებზე ჩაწერა. ფ. ქორიძესთან გაფორმდა კონტრაქტი. სულ უნდა გადაეღოთ 400 საგალობელი 2400 მანეთად. თანხის შესაგროვებლად იმერეთის ეპარქიის ყველა ეკლესიას ხუთ-ხუთი მანეთი უნდა შეეწირა, სხვა წყაროებით კი შეძლებული გლეხებიდან 500 თუმანი უნდა აეკრიბათ. [10]

ქუთაისში ჩასულ ფილიმონ ქორიძეს წმიდა ეპისკოპოსმა გაბრიელმა ცნობილი მგალობლები დაახვედრა შეკრებილი: ჯაბა, ტელემაკ გურიელები, ანტონ და დავით დუმბაძეები, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე (გურიიდან); როსტომ ჭალაგანიძის შვილი დიმიტრი (სამეგრელოდან); ნიკო მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი, რაჟდენ ხუნდაძე, ტარასი ტყეშელაშვილი, ივლიანე შოთაძე, დეკანოზი ვასილ ქუთათელაძე (იმერეთიდან); საარქიერო გუნდს ანდრია ბენაშვილი ხელმძღვანელობდა. [11]

წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის თხოვნით 1884 წლის მარტის პირველ რიცხვებში ქუთაისში გაიმართა სასულიერო კონცერტი. გაბრიელ ეპისკოპოსს სურდა ფილიმონის ნამუშევარს გასცნობოდა, რათა უფრო იმედიანს მიენდო მისთვის გალობის ნოტებზე ჩაწერის საქმე. კონცერტი წარმატებული გამოდგა. „მაყურებელი საზოგადოება მოიყვანა აღტაცებაში ორმა უმთავრესმა, დიახ, რომ სასიამოვნო გარემოებამ. ერთი ის, რომ ბატ. ქორიძეს შეუძლია ჩვენი გალობა – სიმღერის ნოტებზე გადაღება... მეორეც ისა, რომ ბატ. ქორიძეს ეხლავე შეუგნია ჩვენი გალობა-სიმღერის უმთავრესი ხასიათი და ეს ხასიათი გარდაუტანია ნოტებზე... ბევრმა სცადა ჩვენში გალობის ნოტებზე გარდაღება, მაგრამ მხოლოდ ბატ. ქორიძემ შესძლო პირველის, მართლა რომ რიგიანის ნაბიჯის გადადგმა“. [12]

ფ. ქორიძე ქუთაისში საკუთარ გუნდთან ერთად ჩასულა და ქუთაისის „სობორაში“ წირვაზე უგალობია. „გაბრიელ ეპისკოპოსმა და მასთან გამოჩენილმა ხალხმა, დიდი საქები და სადიდებელი სიტყვები მოახსენეს ფილიმონს, რომლის სიტყვების შინაარსი ასე გამოიხატებოდა: „ვმადლობთ ჩვენს დიდ მოთავე ქართველებს, რომლებ-

მაც ჩვენ ნიჭიერ ერის შვილს ფილიმონს, დახმარება გაუწიეს და უცხო ქვეყნებით სწავლა დაასრულებიეს, და მერე მობრუნდა თავის საყვარელ ქვეყანაში. მათი სწავლა-განათლება, ჩვენს ხალხსა და ერს ძღვნათ მოუტანა. ჩვენი ხალხის სიმღერა – გალობას, მძლავრის ხმით დასძახა: აწი უნდა აღსდგეო; და ჩვენი ხმათა სიმშვენიერე და სიდიადე, სხვათა სამეფოთა შორის უნდა იდიდებოდეს".[13]

ყოვლადსამღვდელო იმერეთის წმიდა ეპისკოპოსის გაბრიელის შენევნითა და ლოცვა - კურთხევით ქართული გალობის ნოტებზე გადაღების სამუშაოების შესასრულებლად 4. 000 მანეთი შეიკრიბა. ფ. ქორიძეს თითო საგალობლის ნოტებზე გადატანაში ეძლეოდა 6 მანეთი, მგალობლებს – ხუთი მანეთი. სულ გადაწერილი იქნა 400 საგალობელი, რომელიც შეამოწმა კომიტეტმა და მოიწონა.[14]

ნოტებზე გადაღებული გალობა ორჯერ იგალობეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ერთხელ ზესტაფონში და ერთხელ მარტვილში, პეტრე-პავლობას. გახარებული სამღვდელოება მადლობას უძღვნიდა ამ საქმის მოთავეებს: „პირველად ქება და დიდება იმას ეკუთვნის, ვინც გამოიწვია სამღვდელოება ამ კეთილ საქმისათვის, ე.ი. ყოვლადუსამღვდელოესს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მასთან თვით სამღვდელოებას, რომელმაც ამ საქმისათვის ხარჯი არ დაიშურა".[15]

ფ. ქორიძის მიერ ნოტებზე იქნა გადაღებული ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები. ახლა საჭირო იყო მისი დაბეჭდვა. ხელნაწერი 560 ფურცელს შეადგენდა. მოლაპარაკებები იმერეთის კომიტეტმა თბილისში ტატიშვილთან აწარმოა, რომელმაც 400 საგალობლის დაბეჭდვაში არანაკლებ 8000 მანეთისა მოითხოვა. კომიტეტი კი საქმის მოგვარებას 4000 – 5000 მანეთად ვარაუდობდა და სტამბებთან მიმოწერა ჰქონდა. საქმე არ იძვროდა. „ნუ თუ დასავლეთ საქართველოში არ აღმოგვიჩნდებიან იმისთანა კეთილნი პირნი, რომ გაიმეტონ ოთხი ათასი მანეთი და ნოტებზე გადაღებული გალობა თავის ხარჯით დააბეჭდვინონ და ამით დაამთავრონ ეს კეთილი დაწყებულება!" - საჯაროდ სვამდა შეკითხვას დეკანოზი დ. ღამბაშიძე.[16]

ასეთი კაცი გამოჩნდა. მაქსიმე შარაძის მიერ დაარსებულმა ამხანაგობამ ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენას ფასდაუდებული ღვაწლი დასდო.



თავი მეოთხე

1882 წელს მაქსიმე როსტომის ძე შარაძემ, რომელიც გურიის სოფელ ეწერში (ოზურგეთის რაიონი; ახლა სოფელ გურიანთაში შედის) 1859 წელს დაიბადა, თბილისში დააარსა „საღმრთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი“. ამ დროს იგი წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) მიერ დაარსებული „ივერიის“ ხაზინადარი და ექსპედიტორი იყო. წმიდა ილია მართალი მას დიდად ენდობოდა: „თავისი რიგიანობით, პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით მან მალე დაიმსახურა ილიას ნდობა და ილიაც ანდობდა მას სხვადასხვა საქმეს“.[1] ილია მას აბარებდა სახლსა და მთელ ქონებას, როცა სადმე წავიდოდა, იგი მის სახლში უფროსი მოურავი იყო.[2] „ივერიის“ ექსპედიტორად მაქსიმე 1886 -1900 წლებში მუშაობდა.

მაქსიმეს მიერ დაარსებული კაბინეტის მიზანი საღვთისმეტყველო განათლების მიცემა იყო. იგი ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა საეკლესიო გალობის შესწავლას. „იგი აღვიძებდა ჩვენში მშობლიურ ეკლესიურ ჰანგებისადმი სიყვარულს“.[3] – იგონებს დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე.

კაბინეტის დაარსების შესახებ ინფორმაციამ ეგზარქოსის ყურამდეც მიაღწია. ანტიქართული პოლიტიკით გამორჩეულმა ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა ბოქაულს სამი დღით დაატუსაღებინა მაქსიმე, დეტალურად გამოიკითხა საქმის ვითარება და რომ დარწმუნდა, მათთვის საშიში არაფერი ხდებოდა, გაათავისუფლა. მოგვიანებით, 1886 წელს მაქსიმემ დაასტამბვინა კაბინეტის წესდება და ცენზურის ნებართვაც მიიღო.

კაბინეტთან ერთად მაქსიმემ დააარსა სტამბაც. ეს 1890 წელს მომხდარა. მაქსიმეს მიზნად არ ჰქონია დასახული სტამბით გამდიდრება: „იმისთვის კი არ გვინდა სტამბის შეძენა, რომ ბევრი ფული მოვიგოთ და მდიდრულად ვიცხოვროთ. არა, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი სტამბით ბევრ კეთილ საქმეს აღვასრულებთო“.[4] საბეჭდი მანქანა გერმანიიდან გამოიწერეს. სტამბა, რომლის სრული

დასახელება ასეთი გახლდათ: „მ. შარაძე და ამხ. სტამბა", ნიკოლოზის ქ. № 21 (დღეს ჯავახიშვილის ქ. 7) – ში მდებარე სახლში განთავსდა, სადაც წმიდა ილია მართალი ცხოვრობდა და გაზეთ „ივერიის" რედაქციაც იყო განთავსებული. 1891 -1900 წლებში მაქსიმეს სტამბაში იბეჭდებოდა „ივერია; აგრეთვე თბილისში გამომავალი „ცნობის ფურცელი", „საქართველოს კალენდარი", „Кавказкий календарь"- ი, წმიდანთა ცხოვრებანი და სხვა ზნეობრივ – საღვთისმეტყველო წიგნები. ბევრი მათგანი ხალხში უფასოდ ერცელდებოდა. აქ დაიბეჭდა: „ფილოსოფოსი სოკრატე", „ცხოვრება ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოსი", „ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა", „ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა", ილიას „ქვათა ღაღადი", იაკობ გოგებაშვილის „Русское слово", ვალერიან გუნიას „დრამები და კომედიები" და სხვ.

1901 წელს მ. შარაძის სტამბა დახურეს პროკლამაციების ბეჭდვის ბრალდებით, რის გამოც ერთი წლის მანძილზე მუშაობა შეწყვეტილი იყო. მომავალი წლიდან არისტოვლე ქუთათელაძის თავდებით, სტამბას მუშაობის ნება მისცეს. ამავე დროს, დამამტკიცებელი საბუთიც ვერ ნახეს. მაგრამ მაქსიმე შარაძის ჯანმრთელობაზე ამ ფაქტმა ცუდად იმოქმედა. ნერვიულობამ და დარდმა იგი ფიზიკურად დააუძლურა.

ერთ გიორგობა დღეს მაქსიმეს ქაშუეთის ტაძარში მოუსმენია მელქისედეკ ნაკაშიძისა და მისი გუნდის გალობა. შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ „მაქსიმეს გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო."[5] შემდეგ გამოცნობია მელქისედეკს და უთხოვია გალობის სწავლებაში დახმარებოდა კაბინეტის წევრებს. ეს წინადადება ნაკაშიძემ სიამოვნებით მიიღო. მალე ეწვია მათ კაბინეტს და მოისმინა საგალობლები:

„გაგებული მქონდა ამ კაბინეთის საქმე,მაგრამ არა მჯეროდა, თუ ასე მოწყობილი იქნებოდა. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ თქვენ ნამდვილ კეთილ საქმეს ადგეხართ და თქვენი შეძლება და ცოდნა არა გშურთ ასეთის კარგის საქმისათვის; მეც დიდი სურვილი მაქვს, ჩემი შეძლება და ცოდნა თქვენსას შეუერთო".[6]

მელქისედეკის საშუალებით მაქსიმემ და მისმა ამხანაგებმა გაიცნეს იტალიიდან დაბრუნებული საოპერო მომღერალი ფილი-





მაქსიმე შარაძის მიერ დაბეჭდილი საგალობელთა სანოტო კრებულები

მონ ქორიძე, რომელსაც უკვე დაეწყო საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღება. „მაქსიმემ ნოტები ბატონ ფილიმონ ქორიძისაგან შეისწავლა და თავის ლოტბარობით მიჰყო ნოტების გალობის გავრცელებას ხელი“.[7] მ. შარაძის დაარსებულ კაბინეტში ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის საქმეს „ივერია“ გამოეხმაურა. იგი საზოგადოებას აუწყებდა, რომ „ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში № 21 „ქართულით წიგნთ – საკითხავში“ დაარსდა ნოტებით ქართული გალობის სწავლა. გალობას ასწავლის ბ-ნი ფ. ქორიძე, ახსნის და განმარტავს თვით ნოტების მნიშვნელობას იმ გვარად, რომ თითოეულს მოსწავლეთაგანს შეეძლოს თვითვე მონახოს ხმები და გალობა გამართოს.“[8]

მ. შარაძეს გალობისას სამივე ხმის შესრულება შეძლებია. ფილიმონთან კონსულტაციის შემდეგ მაქსიმემ მოსკოვიდან გამოიწერა სანოტო ნიშნები სტამბისათვის, რაშიაც მას დახმარება წმიდა ილია მართალმა აღმოუჩინა; მან წერილი გაუგზავნა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ მეცნიერს, მის მეგობარს ალექსანდრე

ხახანაშვილს. „ეს იყო საქართველოში ნოტების ასოების პირველი შემოსვლა". [9] ნოტების შრიფტი 1891 წლის 10 დეკემბერს ჩამოვიდა თბილისში.

მ. შარაძის სტამბაში თავდაპირველად ფ. ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული საგალობლების ბეჭდვა დაიწყეს. 1895 წელს გამოიცა „ქართული გალობა. ლიტურგია იოანნე ოქროპირისა". მალე მას მოჰყვა ფ. ქორიძის „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის", საგალობელთა მრავალი კრებული და ქართული ხალხური სიმღერების ნოტები. ასე დაიწყო ნოტების ბეჭდვა საქართველოში. თუმცა, 1885 წელს გამოვიდა ანდრია ბენაშვილის მიერ ჩაწერილი კრებული „ქართული ხმები. საეკლესიო გალობა. წმიდა იოანე ოქროპირის წირვის წესი ქართლ-კახურ კილოზე". ხელოვნებათმცოდნე მანანა ანდრიაძე თვლის, რომ „ბენაშვილის საგალობლები გამოიცა არა სტამბური აწყობის წესით, არამედ ძველებური გრავირების მეთოდით. ამას მოწმობს ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის I ტომში მითითებულია ცნობა, რომ ბენაშვილის წიგნი თბილისშია გამოცემული და „ქვაზედ დახატული და ამოჭრილი არის ქართული გრავიურის ცნობილი ოსტატის გრიგოლ ტატიშვილის მიერ".[10]

მ. შარაძისა და მისი ძმობის მიერ ქართული საგალობლების შთამომავლობისათვის შესანახად კიდევ ერთი მნიშვნელვანი ნაბიჯი გადაიგდა. 1893 წელს მათ დააფინანსეს ფილიმონ ქორიძის მივლინება ოზურგეთში, სადაც ანტონ დუმბაძისაგან უნდა ჩაეწერა საეკლესიო საგალობლები. ეს სამუშაო შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ მათი დაბეჭდვისათვის თანხები ვერ გამოინახა, რასაც ფ. ქორიძე ძლიერ განიცდიდა; შიშობდა არ დაკარგულიყო ეს ეროვნული საუნჯე. მაქსიმე შარაძე შესაფერ დროს ელოდა, მაგრამ 1908 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. სტამბისა და საეკლესიო საგალობლების ჩაწერის საქმე აირია. ამ საქმის ერთგული ბოლომდე დარჩა მაქსიმე შარაძის ამხანაგი ექვთიმე კერესელიძე: „მე ჩემს არსებობაში მყამდა მარტო ერთი ერთგული თანამშრომელი ამხანაგი, მაქსიმე როსტომის ძე შარაძე. იმანაც ცოტა ხანს იცოცხლა".[11]

ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილ საგალობლებს წინ დიდი მშფოთვარე დღები ელოდათ...



თავი მეხუთე



ილიმონ ქორიძისა და მაქსიმე შარაძის თანამშრომლობის შედეგად, 1893 წლიდან ოზურგეთში ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადატანა, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთი გამორჩეული ფურცელია. ფილიმონს, „მაქსიმე შარაძისა და ამხანაგობის“ ხარჯებით, ანტონ დუმბაძისაგან საგალობლების ჩასაწერად ფისგარმონია მოუთხოვია, რაც დაუყონებლივ შეუსრულეს. თითოეულ გადაღებულ საგალობელში კი სამი მანეთის გადახდას, ხოლო ყოველთვიურად – ათ თუმანს დაჰპირდნენ.

ოზურგეთში ფ. ქორიძის გაგზავნის ინიციატორები, ასევე, არისტო ქუთათელაძე და წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) ყოფილან: „არისტო, როგორც გალობის კარგად გამგები და დაფასებული, იყო ერთ-ერთ მოთავე გურიაში მუსიკოს ფილიმონ ქორიძის გაგზავნისა, - იგონებს სამშობლოში დაბრუნებული წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი.[1] იმ დროს ოზურგეთში იყვნენ კარგად ცნობილი გურული საეკლესიო მომღერლები - ამ საქმის ერთადერთი ნამდვილი სპეციალისტები იმდროინდელ საქართველოში... ამ საქმეში, არისტოს და სხვების გარდა, ვერიეთ მე და მესტამბე მაქსიმე შარაძის ძმა* (ილია ჭავჭავაძის მოურავი), ღვთისნიერი ადამიანი. შევაგროვეთ ფული და გავგზავნეთ ფილიმონ ქორიძე გურიაში. წელიწადზე მეტ ხანს დარჩა იქ და 12 ვრცელი ალბომი შეადგინა ძველი ქართული გალობისა. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და პირდაპირ სულზე მოუსწრო, თორემ ცოტა ხნის შემდეგ უკვე ვეღარ მოხერხდებოდა და იმ, ბედად კიდევ შემორჩენილ მგალობლებთან ერთად დაგვეკარგებოდა ძველის ძველი, შესანიშნავი რთული საგალობლები“.

ფილიმონ ქორიძე ოზურგეთში 1893 წლის 16 ივნისს, ოთხშაბათს გაემგზავრა რასაც საგანგებოდ ეხმიანებოდა „იერია“:

---

* როგორც ჩანს, აქ მცირედი უზუსტობაა. უნდა იყოს მაქსიმე შარაძე.

„დღეს, ამ თვის 16, მიემგზავრება ბატონი ფილიმონ ქორიძე, ქ. ოზურგეთს. მაშასადამე, ხვალ ორი მამულიშვილი, ბატონი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც ფოტოგრაფსავით სისწორით გადააქვს ჩვენი გალობა, და ბატონი ანტონ დუმბაძე, რომელიც სრული და შეუდარებელი მგალობელია მთელს საქართველოში, ერთად შეიყრებიან. „წყალობა და მშვიდობა შეიმთხვნიეს და ამბორი უყვეს ურთი–ერთსაო". – სწორედა ამას ემგავნება ხვალ იმათი შეხვედრაც. ხვალ ერთიერთმანეთზე უკეთესნი და უმჯობესნი, ერთი-ნოტებისა, ხოლო მეორე – ზეპირ გალობისა, ერთმანეთს მიესალმებიან და გაუზიარებენ ერთი-მეორეს სურვილსა და წადილს. ხვალ უნდა გადასწყვიტონ ამათ ჩვენი გალობის ბედ-იღბალი. საკვირველია და აუწერელი ამ ორის კაცის ბეჯითობა. ხალისიანობა და გულ - გაუტეხლობა გალობის საქმეში. კაცი რომ დააკვირდეს ხვალ ამათის გულის ძგერას, უეჭველად ამას ამოიკითხავს: ესენი თუ ანუგეშებენ, ამხნევებენ და თან ეჯიბრებიან ერთმანეთსა: აბა ვნახოთ, რომელი ვაჯობებთ და რომელი გავიყოლიებთ ბოლომდე ხალისს, რომ გალობა სრულიად ნოტებზე გადავიღოთ და მით ჩვენი წადილი შევასრულოთ..." [2]

ფ. ქორიძე ოზურგეთში ჩასვლისთანავე შეუდგა მუშაობას. იგი ცხოვრობდა ქალაქის მოედანზე, ფირცხალაიშვილის ოჯახში. თავად დადიოდა სოფლებში, ფისგარმონიას ურემზე დადებდა, თვითონ კი ფეხით მიყვებოდა. ეძებდა ძველ მგალობლებს, უსმენდა და იწერდა საგალობლებს. ძირითად სამუშაოს იგი ანტონ დუმბაძესთან ერთად ასრულებდა, რომელსაც თავისი შვილი მღვდელი დავით დუმბაძე და მოსწავლე სვიმონ მოლარიშვილი ეხმარებოდნენ. ხანდახან ანტონი ახალგაზრდა ვარლამ სიმონიშვილსაც გაუგზავნიდა თურმე, რომელიც შემდგომში გურული სიმღერების დიდი მოამაგე და ლოტბარი გახდა. „ვარლამი ზეპირად წაუმღერებდა ფილიმონ ქორიძეს და ისიც ნოტებზე იწერდა საგალობლებს."[3] ვარლამ სიმონიშვილმა სწორედ ფილიმონისაგან ისწავლა ნოტები: „ნათესავი ბიჭი წამოვიყვანე ლელვით სავსე კალათით და ამ უბრალო ნობათით ვეახელი დიდ მომღერალსა და მუსიკოსს ფილიმონ ქორიძეს, რომელიც ოზურგეთში ცხოვრობდა, მოედანზე ფირცხალაიშვილების ოჯახში; ბატონმა ფილიმონმა მიმიღო,



ფილიმონ ქორიძე და მისი გუნდი. ქუთაისი. 1901-02 წ.წ.

მომისმინა და დამაწყებინა ჩემი თხოვნით სანოტო სისტემის სწავლება. მეც დიდი გულისყურით ვსწავლობდი."- იგონებდა მოგვიანებით ვ. სიმონიშვილი. [4]

საქმე ბევრი იყო. ფილიმონი ყოველთვიურად თბილისში, მ. შარაძესთან აგზავნიდა ჩაწერილ საგალობლებს. იგი დიდი სიამოვნებით, ხალისიანად და აღფრთოვანებით ეკიდებოდა საქმეს: „ხშირად ვსთხოვ ხოლმე ანტონს: იმისთანა უცხო-უცხო საგალობელთა ჭრელები დამაწერიე, რომელიც სხვამ არავინ იცოდეს და დარჩეს შენდა სასახელოთ მეთქი, და ვართ გართობილი ამ შრომით... ხომ სხვა და სხვა სამეფოებში ვყოფილვარ და მომივლია, და მათი ყველაფერი შემისწავლია, მაგრამ, მთელ ქვეყანაზე არც ერთ ტომს, და არც ერთ სამეფოებს არა აქვს, ისე მრავალი, ისე რთული, ისე გამტაცი, ისე კაცის აღმაფრთოვანებელი წყობილი მუსიკა, გალობა და სიმღერა, როგორიც ამ ჩვენ პატარა საქართველოს ერსა გვაქვს! ამისათვის დღე და ღამე თავს ვაკლავ, მეტის მეტით შრომით, რომ არ დამრჩეს ნოტებზე გადაუღებული და დაუწერავი სიმღერა გალობის სხვა და სხვა ხმები." [5]

ქ. ოზურგეთის ინტელიგენციას სპეციალური კომიტეტი შეუდგენია, რომელმაც დაავალა ფ. ქორიძეს მგალობელთა გუნდების შედგენა სოფლებსა და დაბებში გალობის გასავრცელებლად. კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ თავადი დათა გუგუნავა, „ლხინის მამა“, ავტორი ცნობილი სიმღერისა „შავი შაშვი ჩიოდაო...“ დაუწყიათ საჭირო თანხების შეკრება; ასეთი გუნდი ფ. ქორიძეს შეუდგენია, იგი 12 კაცისაგან შედგებოდა, რომელიც ყველა კვირა და უქმე დღეებში ოზურგეთის საკრებულო ტაძარში გალობდა. „მიუხედავად ცუდი ამინდებისა, ყველა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა სიხარულით მიეშურება ეკლესიაში ნოტებით გალობის მოსასმენად. ყველაზე ღრმა და დიდს შთაბეჭდილებას ახდენს ეს გალობა. ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია ბ. ქორიძე, რომელმაც ეს ძვირფასი განძი ეროვნებისა, რომელიც ჰქრებოდა, გადაიღო ნოტებზე და უკვდავად აქცია.“[ბ]

თავისუფალ დროს ფ. ქორიძე მუსიკის სახელმძღვანელოს შექმნაზე მუშაობდა, რომელიც 1895 წელს გამოსცა „მ. შარაძე და ამხ. სტამბამ.“ ეს გამოცემა მარჯორ და ოლივერ უორდროპებისათვისაც გაუგზავნია 1896 წლის იანვარში. მათი მიმოწერა, რომელიც ოქსფორდშია დაცული, ბატონმა გურამ შარაძემ გამოაქვეყნა თავის წიგნში „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე.“

საყურადღებოა მარჯორი უორდროპის საპასუხო ბარათი:

”2\14 თებერვალს, 1896.

ღრმად პატივცემულო ბატონო ქორიძე!

დიდად გმადლობთ ქართული გალობისათვის – ორი ეგზემპლარი. წიგნი ღირსია დიდი ქებისა – ქალალდისათვის, დაბეჭდვისათვის და საზოგადოდ, მზრუნველობისათვის. როდესაც მთელი თხზულება გათავებული იქნება, უთუოდ სამუზიკო ერი ევროპაში დიდათ შეაგულიანის.

თუ წინასიტყვაობა იტალიანურად გეწეროთ და აჩვენოთ განთავისებულება და ისტორია საქართველოში, ძალიან საყურადღებო იქნება. შეიძლება შემდეგ პარტიტურაში ეს დააპირებთ კვლავ, კარგი იქნება იტალიანურადაც სახელი წიგნისა და პატარა ლექსიკონი ბოლოში სიტყვების სამუზიკო ქართულად და იტალიანურადაც [დაურთოთ].



ძმები გურიელები. მარცხნიდან მარჯვნივ (სხედან): ჯამბაკური, ტელემაკი, (დგანან): ვახტანგი და ვარდენი

ჩვენთვის საინტერესო იქნება ნახვა, როგორც იწერება განთვისებული გურული სიმღერა.

არ უნდა გეშინიან, რომ ჩვენ დაგივიწყებდეთ – არც თქვენ, არც სასიამოვნება, მიღებული თქვენი სიმღერიდგან, მშვენიერი ნადიმობა ოზურგეთში.

ბევრჯელ ჩვენ ვლაპარაკობდეთ ამ წიგნისათვის.

ჩვენი ერთობ გულითადი მოკითხვა და მადლობა მოგახსენეთ.

თქვენთვის კეთილის მსურველი **მარჯორი უორდროპი**."[7]

ქართული კულტურისა და საერთოდ, საქართველოს დიდი მეგობრების – და-ძმა უორდროპებისათვის ფილიმონ ქორიძეს შემთხვევით არ გაუგზავნია ეს წიგნი. მას, როგორც წერილიდანაც ჩანს, კარგად ახსოვდა 1895 წლის იანვარში უორდროპების სტუმრობა ოზურგეთში. მარჯორი უორდროპს ისე მოსწონებია შემოქმედის მონასტერი, რომ აქ სიკვდილი უნატრია და ანდერძიც დაუტოვებია, მონასტრის გალავანში დაემარხათ.[8] მათ მასპინძლობას უწევდა მთელი ოზურგეთი, მათ შორის ჯაბა და ტელემაქ გურიელები, ცნობილი მგალობლები და განსწავლული ადამიანები, პო-



წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი)

ეტ მამია გურიელის ძმები. ფილიმონ ქორიძისა და გურიელების ნაცნობობა ჯერ კიდევ ქუთაისში შედგა, როცა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა ყოველ კუთხიდან მოიწვია ცნობილი მგალობლები. მათ შორის ჯაბა და ტელემაქ გურიელები. ჯაბა გურიელი "ივერიაში" (1897 წ. № 135) საგანგებოდ გამოეხმაურა ქართული გალობის საკითხებს.

1894 წელს ოზურგეთში მამასთან ჩავიდა მიხეილ ქორელი. მოგონებების მიხედვით, ფილიმონს ოზურგეთში დიდი და სუფთა ოთახი ჰქონია დაქირავებული. კედელთან ფისგარმონია ედგა, უვლიდა მოხუცი დაისახლისი. მიხეილი სასწავლებლად მიემგზავრებოდა რუსეთში, რომელსაც მამამ საგანგებოდ შეგროვილი ფული გაატანა თან. მომავალში ფილიმონის შვილისთვის მატერიალურ დახმარებას არც წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) იშურებდა:

"ბატონო ექვთიმე!

მე ვერ ვპოულობ სიტყვებს გამოსახატავად იმ მადლობისა, რომელიც უნდა შეგწიროთ თქვენ და მთელს კომიტეტს ჩემი შვილის ამთავად დახმარებისათვის. ღმერთმა შეგვაძლებინოს მეც

და იმასაც, ჩემს შვილსაც, რომ თქვენის მზრუნველობის წინაშე პირნათლად გამოვსულიყოთ. გავიგე ბ. არისტო ქუთათელაძისაგან, რომ ამ ნოემბრისა გაგიგზავნიათ ზრუნებულის ჩემის შვილისათვის ოცდა ათი მანეთი. დანარჩენი, თუ შეიძლებოდეს, პირველ დეკემბერს გაუგზავნეთ, პირველს იანვარს და პირველ თებერვალსაც ერთი თუმანი, რომელიც შეადგენს 100 მანეთს. თქვენი უმორჩილესი

ფილიმონ ქორიძე

12 ნოემბერი, 1894 წელი."[9]

ოზურგეთში მუშაობის შედეგად ჩაწერილ იქნა „ყოველივე რვა-ხმა საგალობლები და ყოველივე სადღესასწაულო საგალობლები და მთლიანად სძლისპირთა საგალობელნი, აგრეთვე კილოს წირვის წესები და სხვა."[10] საგალობლების სწრაფად ფიქსირების მიზნით ისინი ერთ ხმაზე ჩაწერეს – „ცალ ხმაზე იმიტომ, რომ უფრო ბევრსაც წერდნენ და ჩვენი სურვილიც ის იყო, რომ დაუწერავი არ დაგვრჩენოდა, მოძახილისა და ბანის დაწერა შემდეგ დროებშიდაც შესაძლებლად მიგვაჩნდა."[11]

1897 წლის დასაწყისში ფ. ქორიძემ ოზურგეთში დაასრულა საგალობლების ნოტებზე გადაღება და 2 თებერვალს გამართა გამოსამშვიდობებელი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მის მიერ შედგენილმა გუნდმა.[12]

მაგრამ იგი ოზურგეთში მეორეჯერაც ჩავიდა 900-იანი წლების დასაწყისში. ნოტებზე გადაღებული საგალობლების ბეჭდვის საქმე საკმაოდ გაჭიანურდა, რადგან საამისო თანხები არ მოიძებნა. დასასრულებელი იყო ბევრი საგალობელი. 1907 წელს გარდაიცვალა ანტონ დუმბაძე. მისი საქმის გაგრძელება შვილმა, დეკანოზმა დავით დუმბაძემ და სვიმონ მოლარიშვილმა ითავეს. მათ დაასრულეს „ყოველივე რვა-ხმა საგალობლები და ყოველივე სადღესასწაულო საგალობლები და მთლიანად სძლის-პირთა საგალობელნი. ეგრეთვე კილოს წირვის წესები და სხვა... დაამთავრეს 1910 წლამდი."[13] ამ დროს ფილიმონი 80 წლის გახლდათ და საკმაოდ მოხუცებული იყო და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში გალობას ასწავლიდა. ყოვლადსამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს, გურიაში მოგზაურობის დროს



ფილიმონ ქორიძის ბიუსტი ქ. ოზურგეთში

მოუნახულებია იგი; ყურთასმენა უკვე დასუსტებული ჰქონია და მისი მოსწავლეების გალობითაც ეპისკოპოსი უკმაყოფილო დარჩენილა.

ფილიმონ ქორიძე 1911 წელს ბახმაროზე გარდაიცვალა. იგი ქ. ოზურგეთის ეკლესიაში დაასვენეს. გასვენებას დიდძალი ხალხი დასწრებია. გუნდი მისივე ჩაწერილ საგალობლებს ასრულებდა. გადმოცემით ცნობილია, რომ ფილიმონ ქორიძე დაკრძალეს ქალაქის ბაღში, სადაც იდგა ხის ეკლესია (ახლანდელი ჭადრების ბაღი, კინოთეატრის წინ). არსებობს მეორე ვერსიაც, რომ იგი დაკრძალული უნდა იყოს ქალაქის სასაფლაოზე. ფაქტია, რომ საფლავი არ არსებობს. 1990 წლის 21 მაისს ქ. ოზურგეთში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე დაიდგა ფილიმონ ქორიძის ძეგლი (მოქანდაკე ირაკლი რევაზიშვილი, არქიტექტორი გულღია სალუქვაძე).*

---

* 2004 წლის 29 სექტემბერს ბატონ ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივითა და ოზურგეთის რაიონის ხელისუფლების ძალისხმევით ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალის – „ჩვენ მშვიდობა" პროგრა-

მთავარი ამოცანა, მამის გარდაცვალების შემდეგ, მიხეილ ქორელის წინაშე მის მემკვიდრეობაზე ზრუნვა იყო. საგალობლების დაბეჭდვის გაჭიანურების გამო, ფილიმონი სიცოცხლეშივე დარდობდა, რომ მის მიერ გაწეულ შრომას ფუჭად არ ჩაეცლო. "ქართული გალობა-სიმღერის დაბეჭდვა და გავრცელება ფილიმონის "იდეა-ფიქსი" გახდა.'[4] ერთადერთი ადამიანი – მაქსიმე შარაძე ამშვიდებდა, მაგრამ 1908 წელს იგი გარდაიცვალა. ოზურგეთის ბინაზე არაფერი აღმოჩნდა დამტვრეული ვერცხლის საათისა და რომანსის ნახევი ფურცლების გარდა. დაობლებული იდგა კუთხეში მისი ფისგარმონია. "ჩემს ჩანერილს უპატრონე, შვილო, არ დაიკარგოს!" – თვალწინ ედგა მამასთან უკანასკნელი შეხვედრისას ანდერძად დატოვებული სიტყვები.

ოზურგეთში მიასნავლეს, ბათუმში მისი უახლოესი თანამშრომელი მელქისედეკ ნაკაშიძე ენახა. მელქისედეკი სახლში არ დახვდა. 1925 წელს მ. ქორელი ხელოვნების საქმეთა აჭარის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. მისი და მ. ნაკაშიძის შეხვედრა ამ დროს მოხდა. მელქისედეკმა უამბო, რომ იმედდაკარგული ფილიმონი იტალიაში აპირებდა წასვლას და ნოტების გამოცემას. მაგრამ, ფოსტით გაგზავნის ეშინოდა, თავად უნდოდა წაეღო.** თუ სად ინახებოდა საგალობელთა ნოტები მელქისედეკმა არ უთხრა.

მის ფარგლებში ფ. ქორიძის ბიუსტი გადმოტანილი იქნა კინოთეატრის წინ, ჭადრების ბაღში, სადაც გადმოცემით უნდა იყოს დაკრძალული ფ. ქორიძე. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოიცა მონოგრაფია „ფილიმონ ქორიძე" (ავტორები: მაგდა სუხიაშვილი, ეკატერინე სანიკიძე)

** შ. კაშმაძის მიხედვით, ფილიმონ ქორიძე „ოცნებობდა ქართული ხალხური მუსიკის უფრო მაღალკვალიფიციურ ჩაწერასა და დამუშავებაზე. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ნერილობით იტალიელ ოსტატებს, რომლებმაც დიდი სიამოვნებით მიიღეს მისი წინადადება და გამოუგზავნეს სამგზავროდ 500 მანეთი. აქედან 200 მანეთი მისცა ცნობილ მგალობელს მელ. ნაკაშიძეს, რომელიც თან უნდა წაეყვანა. ფილიმონის გარდაცვალების გამო ეს საქმე ჩაიშალა." (შ. კაშმაძე. „ფილიმონ ქორიძე" – ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის-საარქივო ფონდის მასალა)



ფილიმონ ქორიძის ვაჟი – მიხეილ ქორელი

იქნებ, არც იცოდა! მიხეილ ქორელთან მგალობელს სათხოვარი ჰქონდა – დამსახურებული მომღერლის წოდებას და პენსიის დანიშვნას ითხოვდა, რადგან ეკონომიურად ძალიან უჭირდა. ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის კომუნისტები ასეთ წყალობას არ იღებდნენ. ამიტომ, როგორც თავად აღნიშნავს, მ. ქორელმა ტყუილ დაპირებას გულახდილი უარი ამჯობინა, რამაც მელქისედეკი ძალზე გაანაწყენა. ამის შემდეგ, ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. ნოტების ხელნაწერების საქმე კვლავ ბურუსით მოცული დარჩა.

მ. ქორელს კარგად ახსოვდა, მამამ რომ უთხრა, ნოტებს "ძალიან სანდო ადამიანს ვაბარებ, ძალიან სანდოს... მერე გაიგებ!"[15] ხომ არ იყო იგი მაქსიმე შარაძის ამხანაგობის წევრი ესტატე კერესელიძე, რომელსაც ბოლო დროს ფილიმონი ძალიან დაუახლოვდა და ნოტებიც შეასწავლა? მას ჩაწერილი საგალობლების გადაწერას ანდობდა, გადაწერილს კი კორექტურას უკეთებდა. თბილისში დაბრუნებულმა ქორელმა მოიკითხა ესტატე კერესელიძე. სადღაც, მონასტერში ბერად წავიდაო, - უთხრეს.[16]



თავი მეექვსე



კადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული Q – 840 ხელნაწერი ექვთიმე (ესტატე) კერესელიძის მიერ ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების საგანგებოდ აღწერილ ისტორიას წარმოადგენს. მომცრო რვეულის 120 გვერდზე გადმოცემული ეს ისტორია* წმიდანად შერაცხული ექვთიმე აღმსარებლის ბიოგრაფიაცაა. მან ხომ მთელი ცხოვრება ამ საქმეს მიუძღვნა, ამ საუნჯის მოვლა-პატრონობას შესწირა.

თურმე, უსაფუძვლოდ არ ფიქრობდა ფილიმონ ქორიძე: „ძალიან მეშინია, მთელი ეს განძი, ჩემს შემდეგ, სადმე სარდაფში ან რომელიმე მუზეუმის თაგვების სახრავი არ გახდეს.“[1] ნოტებზე გადატანილ საგალობლებს, მართლაც მძიმე და ფათერაკებით აღსავსე გზა ელოდა წინ.

წმიდა აღმსარებელი ექვთიმე (ერისკაცობაში ესტატე კერესელიძე) 1865 წელს დაიბადა რაჭის სოფელ სადმელში. მალე იგი

---

* ეს ისტორია წმიდა ექვთიმე აღმსარებელს შალვა კაშმაძის თხოვნით დაუწერია. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის არქივში დაცულია შ. კაშმაძის მიერ დაწერილი ფილიმონ ქორიძის ბიოგრაფია, სადაც აღნიშნულია: „ფილიმონ ქორიძემ ჩასწერა 5532 საგალობელი. ამ რაოდენობას ზუსტად ასახელებს თავის „თავგადასავალში“ ექვთ. კერესელიძე. დაწერილია ავტორის კარნახით ჩემ მიერ და ინახება ჩემს ქაღალდებში.“ ე. კერესელიძის მიერ შ. კაშმაძის თხოვნით საგალობელთა ისტორიის დაწერას ადსტურებს მიხეილ ქორელიც (დასახ. ნაშრ. გვ. 128). შალვა კაშმაძე (1904-1955წ.წ.) იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო ხელოვნების მემატიანე, გამოჩენილი მუსიკოსი. ავტორი მონოგრაფიებისა: „გადატეხილი სალამური – ვანო სარაჯიშვილი“, „ზაქარია ფალიაშვილი“, „სანდრო ინაშვილი“, „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“ და სხვ.

თბილისში გადმოვიდა და ერთ-ერთი კერძო სასტუმროს მზარეულის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 1882 წელს მან გაიცნო მაქსიმე შარაძე, ილია ჭავჭავაძის „ივერიის" ექსპედიტორი, რომელმაც „საღმრთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი" ჩამოაყალიბა. ექვთიმე ამ კაბინეტის წევრი გახდა, სადაც საღვთო წიგნების კითხვა-შესწავლის გარდა საეკლესიო გალობასაც ეუფლებოდნენ. თავიდან საკუთარი ძალებით, მოგვიანებით კი მგალობელ მელქისედეკ ნაკაშიძის ხელმძღვანელობით. სანოტო ნიშნები მაშინ არც მელქისედეკმა იცოდა. სწავლა იმ პირადი სამგალობლო კრებულის მიხედვით ხდებოდა, რომელიც მელქისედეკს (როგორც ყველა დიდ მგალობელს) ჰქონდა. მასში მითითებული იყო სპეციფიკური სანოტო ნიშნები „ნევმები", რომლის ახსნა მხოლოდ მათ შეეძლოთ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ საგალობელთა კრებულიდან ერთ-ერთის მინაწერში წმიდა ექვთიმე აღნიშნავს: „1882 წელს სხვებთან ერთად დავიწყე მე ქართულ-იმერულ კილოზე ზეპირი გალობის სწავლა მგალობელ მელქისედეკ ნაკაშიძისაგან და რომ ადვილად გვესწავლა და არც ნასწავლი დაგვიწყნოდა, სწავლის დროს გალობის ყველა მუხლებს და სიტყვებს (სანამ ნოტები არ ვიცოდით) სხვადასხვა ნიშნებს უკეთებდით და ეს ნიშნები სწავლაში ძალიან გვეხმარებოდა... ეს ნიშნებიანი წიგნი შევინახე ნიშნად იმისა, რომ სანამ საქართველოში ჯერ ნოტების სწავლა არ იყო შემოღებული იმ ძველ დროებში, თუ რანაირის ნიშნების დასმით სწავლობდა ხალხი ზეპირ გალობას, ამ წიგნში ნახეთ."[2]

მოგვიანებით, მელქისედეკმა მაქსიმე შარაძეს და ამხანაგობის წევრებს გააცნო იტალიიდან დაბრუნებული ცნობილი საოპერო მომღერალი ფილიმონ ქორიძე, რომელიც აპირებდა საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადატანას. ფილიმონმა სიამოვნებით მიიღო მაქსიმეს და მისი ამხანაგობის წინადადება – ესწავლებინა მათთვის სანოტო ნიშნები; ცოტა მოგვინებით კი მაქსიმე შარაძის მიერ დაარსებული ამხანაგობის სტამბისათვის წმიდა ილია მართლის შუამდგომლობითა და პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის დახმარებით რუსეთიდან სანოტო ნიშნების შრიფტიც მიიღეს. ე. კერესელიძემ არა მარტო სანოტო ნიშნები შეისწავლა კარგად, არამედ ნოტების სასტამბო ანაწყობებსაც ის აკეთებდა. იგი „მისთვის ამ ახალ-

მა საქმემ მეტად გაიტაცა. ნოტების წერაში კარგი ხელი აღმოაჩნდა და ცოტა ხნის შემდეგ ფილიმონი მას თავის მიერ ჩაწერილი საგალობლების და სიმღერების გადაწერას ანდობდა და ავალებდა. გადაწერილს კორექტურას უკეთებდა და დიდი სიფრთხილით ინახავდა."[3] მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში" დაიბეჭდა პირველი სამგალობლო კრებულები, რომელიც ფ. ქორიძემ გადაიღო ნოტებზე, რამდენიმე ხალხური სიმღერა და სხვ.

1893 წელს წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილი), არისტო ქუთათელაძის, მაქსიმე შარაძის და წმიდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ინიციატივით და ხელშეწყობით ფ.ქორიძე ოზურგეთში გაემგზავრა და მგალობელ ანტონ დუმბაძისაგან ჩაიწერა საგალობლები. 1908 წელს მაქსიმე შარაძე გარდაიცვალა. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის, სპირიდონ ლოსაბერიძის მიერ შევიწროებული წმიდა ექვთიმე დაეთანხმა წმიდა მღვდელმოწამე სვიმონ მჭედლიძის წინადადებას და მისი კუთვნილი სტამბის ნაწილი ქუთაისში გადაიტანა. საგალობელთა კრებულიც კი ლოსაბერიძემ შუაზე გაყო და კიდევ კარგი, რომ მისი წილი საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოების მუზეუმში წმიდა ექვთიმე ღვთისკაცს (თაყაიშვილი) ჩააბარა, საიდანაც ისინი ითხოვა წმ. ექვთიმე აღმსარებელმა და გადმოიწერა.

ქუთაისში სტამბის საქმე თავიდანვე ურიგოდ აუწყო. მართალია, აქ იბეჭდებოდა ცნობილი ჟურნალი „შინაური საქმეები" (რედაქტორი, წმიდა მღვდელმოწამე სვიმონ მჭედლიძე), მაგრამ თავდაპირველად შეთავაზებული წინადადებები რეალური არ აღმოჩნდა. ვერ მოინახა სათავსო საგალობელთა კრებულების შესანახად. დაუცველობის გამო მისი ნაწილი განადგურდა და მას შემთხვევით ბაზარში, ხორცის გამყიდველებთან მიაგნეს, რომლებიც გასახვევად იყენებდნენ.

წმიდა ექვთიმემ ქუთაისში ყველა ხმაზე გამართა ჩაწერილი საგალობლები, რაშიც დახმარებას უწევდნენ მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე და ივლიანე ნიკოლაძე, ქუთაისის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის რეგენტი. მოგვიანებით, არეული დროით შეშინებულმა ექვთიმემ, საგალობლები მღვდელ რაჟდენ ხუნდაძეს მიაბარა. უკან დაბრუნების მოთხოვნისას მამა რაჟდენმა



მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე

არასაკმარისად მიიჩნია მისთვის გადახდილი თანხა. უფრო მეტის აღების იმედით კრებულებიდან ამოჭრა მის მიერ ნაგალობები და წმ. ექვთიმეს მიერ ნოტებზე გადატანილი საგალობელთა ხმები. ამით დაარღვია ის ხელშეკრულება, რომელიც 1911 წელს დაიდო ამ ორს შორის. ხელშეკრულების ტექსტი აკად. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდშია დაცული:

„მესტამბე ეს. კერესელიძის თხოვნა რ. ხუნდაძესთან საგალობლებისათვის მეორე და მესამე ხმების შეწყობის შესახებ. 1911-სა წელსა, 1-სა დღესა.

მე ქვემორე ხელის მომწერმა მესტამბე ესტატე სოლომონისძე კერესელიძემ მოგმართეთ და გთხოვეთ თქვენ მღვდელს რაჟდენ ხუნდაძეს ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე დაწერის შესახებ შემდეგის სახით:

მე და ჩემს ამხანაგს განსვენებულს მაქსიმე შარაძეს გვქონდა ქართული საეკლესიო საგალობლები რამდენიმე ასეული. ეს გალობები დავაწერინეთ ნოტებზე ფილიმონ ქორიძეს, ანტონ დუმ-

ბაძისა და მისი შვილის დეკანოზის დავითის გადმოცემით, და არის დაწერილი მხოლოდ პირველ ხმაზედ; აკლია მას მეორე და მესამე ხმები (ბანი და მაღალი ბანი).

დღეს დღეობით რადგან არც სამღვდელოება და არც ქართველი საზოგადოება არ ჩქარის ქართული გალობის აღდგენას, ამისთვის მოსალოდნელია, როგორც საზოგადოდ მცოდნე სრულად ქართული გალობისა, აგრეთვე მაღალი ბანის და ბანის კარგად მცოდნეც ველარ იშოვოს კაცმა, იმ დროს როცა საზოგადოება, თუ სამღვდელოება მოიგონებს და უსაჭიროესად ჩათვლის გალობის შეკრებას და აღდგენას მაშინ ამ ჩვენგან შეკრებილს ნოტებზე დაწერილს მარტო პირველ ხმას გალობის უცოდინარნი, ამ პირველ ხმაზე მიუწერენ სრულიად შეუსაბამო და ჩვენი გალობისათვის უჩვეულო ხმებს, რომლითაც გადამახინჯდება და სრულიად დაეკარგვის ნაციონალური, მშობლიური სახე და ბუნება. და ეს კი სავსებით დაუკარგავს ჩვენს შრომას მნიშვნელობას, რომლის მაგალითები მრავალია დღეს, დღევანდელ გალობის არმცოდნე ლოტბართაგან გალობის გადაკეთების სახით.

ამისთვის გთხოვე თქვენ, მამაო რაჟდენ, მიგეღო თავზე შრომა და ზემოხსენებულ საგალობლებისათვის [...] და მიგეწერა მეორე და მესამე ხმები (ბანი და მაღალი ბანი).

ამ საგანზე თქვენგან თანხმობის შემდეგ მე გადმოგეცი ის პირველ ხმაზე დაწერილი რამოდენიმე რვეული საგალობლებისა და დანარჩენიც უნდა გადმოგცეთ თანდათანობით როგორც [ჩვენ] ისე და თქვენ მას უნდა მოუწეროთ მეორე და მესამე ხმები და მაღალი ბანი, ისე როგორც წინეთ გალობდით ამ გალობას თქვენ და თქვენი ამხანაგები. დღიდან ამ თქვენგან შრომისა მოხსენებულ გალ[ობისა] სრული უფლება გექნებათ თქვენ, ამ ორი ხმისა, რომელიც თქვენგან იქნება შედგენილ-დაწერილი და არავის უფლება არა აქვს მიისაკუთროს, როგორც ნაშრომი, რადგან სრულს და საკუთარს თქვენს შრომას შეადგენს. ხოლო პირველი ხმა როგორც ზემოთ სთქვით საკუთარი ჩემი და ჩემი ამხანაგის საფასი [თ არის] დაწერილი, და ჩემის ამხანაგისაგან მე მაქვს დამტკიცებული ნატარიუსის წესით, ანდერძის ძალით და გადმოცემული სრულს ჩემს უფლებაში.



ესტატე სოლომონის ძე კერესელიძე

სია ამ საგალობლებისა, რომელსაც თქვენ დასწერთ, ჩემგან ხელმოწერილი თქვენ მღვდელს ხუნდაძეს გექნებათ და თვით საგალობლები კი მესტამბე ესტატე კერესელიძეს მექნება მობარებული დასაცავად.

მესტამბე ესტატე სოლომონის ძე კერესელიძე."[4]

წმიდა ექვთიმე აღმსარებელს ისღა დარჩენოდა, მთელი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილ ეთხოვებინა მამა რაჟდენისაგან, მის მიერ ამოხეული საგალობლების ნოტები და თავად გადაეწერა.[5]

1912 წელს იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლადუსამღვდელოეს გიორგის (ალადაშვილის) კურთხევით, ესტატე კერესელიძე მორჩილად გამწესდა გელათის მონასტერში, 23 დეკემბერს კი ღირსი ექვთიმე მთაწმიდელის სახელზე ბერად აღიკვეცა. 1913 წლის მაისიდან იეროდიაკონი გახდა. გელათის მონასტერში ღვთისმსახურება საეკლესიო ტიპიკონის სრული დაცვით სრულდებოდა, რამაც წმიდა ექვთიმეს საშუალება მისცა ტიპიკონის მიხედვით გაეწყო საგალობლები. მონასტრის მორჩილები და ბერები ხშირად ეტყოდნენ თურმე: „როცა შემოვდივართ, დღე და ღამე სულ წერ! ნე-

ტავი რა სარგებლობა გაქვს! უფულოდ ტყუილად რათ უჭირვებ შენს თავს! ხოლო მე პასუხს ვეტყოდი: მე მაგაზე არა ვფიქრობ, თუ უფასოდ რათა ვმუშაობ მეთქი, რადგან მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს თვითონ ფულია, თვითონ ძვირფასი განძია, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა! მე არ წარმომიდგენია, როგორც მუქთა საქმე. არა, არამედ მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროს მჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე! რომ მე უღირსი იმაში ხელს ურევ მეთქი!"[9]

ქუთაისში ი. კილაძის სტამბაში, წმიდა ექვთიმემ მუსიკოს ნიკო შარაბიძის თხოვნით ააწყო და გამოსაცემად მოამზადა „ქართულ ეროვნულ სამხმიან სიმღერათა კრებული, ნოტების მოკლე განმარტებით." ასევე კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის ეროვნული ჰიმნი „დიდება", რომელიც 1918-21 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, მოგვიანებით კი დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი იყო (2004 წლამდე). 1917 წელს წმიდა ექვთიმე კერესელიძე ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზონად.

1924 წელს საქართველოში არნახულად გაძლიერდა კომუნისტური ტერორი. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია. დაიჭირეს კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა ამბროსი (ხელაია), რომელმაც გენუის კონფერენციისათვის მიწერილ წერილში მსოფლიოს აცნობა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თაობაზე. ციხეში აღმოჩნდა თითქმის ყველა მღვდელმთავარი. დაკეტეს გელათის მონასტერი. წმიდა აღმსარებელმა ექვთიმემ კიდევ ერთხელ გადამალა ქუთაისში საგალობელთა ხელნაწერები. საჭირო გახდა მისი უფრო უსაფრთხო ადგილზე გადატანა. ასეთ დროს ღვთის მოწყალების სასოება შეაძლებინებს ადამიანს ერთ დღეს ურემზე დააწყოს რკინის ყუთებში ჩაწყობილი საგალობელთა კრებულები და წითელი ტერორისა და სხვა კრიმინალური ბანდების თარეშისაგან აკლებული შარა-გზების გავლით მცხეთაში უპრობლემოდ ჩამოიტანოს. სწორედ ასე მოიქცა ექვთიმე აღმსარებელი. იგი სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში დაბინავდა, გადანახულ საუნჯესთან ერთად. 1925 წელს ეპისკოპოს პავლეს (ჯაფარიძე) ლოც-

ვა-კურთხევით სვეტიცხოველის ტაძარში წმიდანმა სამ ხმაზე გადაიტანა იქვე შემთხვევით ნაპოვნი ხელნაწერი-წმიდანთა ყოველდღიური მოსახსენებელი კრებული. „ძლიერის წადილით მინდოდა და ვეძებდი კიდეც ყოველდღიური წმიდანების სახელის საგალობელთა (რომელსაც უწოდებდნენ ძველად მგალობლები: „მინასიპის" საგალობლად), თუ სადმე დაწერილს შევხვდებოდი. ამასობაში განვლო 32 წელიწადმა, და რადგან ვერ შევხვდი, კიდეც ვწუხდი მისთვის. 1925 წელში გარემოების შეცვლის გამო დროებით მომიხდა ცხოვრება მცხეთის სვეტის-ცხოვლის საკათედრო სობოროში და სწორედ, საღამოს, დალაგების დროს შემხვდა ცალკენ დადებული ძველი ხელნაწერი სძლისპირთა კრებულის წიგნი და იმ ხელნაწერში ენერა, რომელიც მინდოდა ყოველ დღიური წმიდანების სახელზე „მინასიპის" საგალობელი. რასაკვირველია, გამეხარა! – ყველა იგინი ვიგალობე და დავსწერე ნოტებზე ისე, იმ ხმით და იმ კილოთი, როგორც უგალობებიათ მგალობლებს, რომელიც იწყება ამ წიგნის 255 გვერდიდგან და თავდება აქ 268 გვერდზე", - მიუწერია წმიდა ექვთიმეს ამ ხელნაწერზე.[7]

1932 წელს წმიდა ექვთიმე ზედაზნის მონასტერში გაამწესეს. საგალობლებით სავსე რკინის ყუთები მან მონასტრის ეზოში ჩაფლა.

ექვთიმე აღმსარებელს განსაკუთრებული თბილი ურთიერთობები ჰქონდა კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან (ცინცაძე). 1941 წელს უწმიდესსა და უნეტარესს ექვთიმე თავის რეზიდენციაში მიუწვევია და მადლობა გადაუხდია იმ შრომისა და ღვაწლისათვის, რომელიც საქართველოს ეკლესიის წინაშე მიუძღვის: „შენ, ექვთიმე კერესელიძეს, იმდენი ნამუშევარი და იმდენი შრომა და ღვაწლი გაქვს დადებული საქართველოს საეკლესიო ნოტების საგალობლებზე და სიმღერებზედაც, რომელიც დასწერეთ საკუთარის თქვენის ხარჯით. ამ კეთილი საქმისათვის როგორც მე, ისე ყველა საქართველოს ერი დიდი მოხარული ვართ, ამ ხსენებულ დიდებულ საქმის მოგვარებისათვის."[8] კათოლიკოს-პატრიარქს წმიდა ექვთიმესათვის უთხოვია ნოტებზე გადაეტანა საღმრთო მსახურების დროს სათქმელი მცირე და დიდი კვერექსები, როგორც ის სრულდებოდა ძველად. წმიდა ექვთიმეს ეს თხოვნა შეუსრულებია.[9]

კ. ცინცაძის არქივში ასევე დაცულია ნოტებზე გადაღებული „მცირე კვერექსის კილოები“ და „საუკუნო კალენდარი დიდი ხელთა, ათ-ცხრამეტური, ზედნადები და სხვ.“, შედგენილი ექვთიმე კერესელიძის მიერ.[10]

კომუნისტური რეჟიმის მიერ საქართველოს ეკლესიისათვის შექმნილი უმძიმესი პირობების მიუხედავად, ჭეშმარიტ ქართველ ბერებს ბოლომდე არ მიუტოვებიათ მონასტრული ცხოვრება. XX საუკუნის 30-იან წლებში ბეთანიის მონასტერი ჭეშმარიტ ღვთიურ სავანეს წარმოადგენდა. დღეს უკვე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანებად შერაცხული წმიდა გიორგი-იოანე აღმსარებელი (მხეიძე) და წმიდა იოანე აღმსარებელი (მაისურაძე) მონასტერში გარდაცვალებამდე მოღვაწეობდნენ. სწორედ აქ გაიგო საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტის თანამშრომელმა დავით დავითაშვილმა ზედაზნის მონასტერში წმიდა ექვთიმე აღმსარებლის მიერ გადანახული საგალობლების შესახებ.

დავით დავითაშვილს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოში სამსახურებრივად ევალებოდა სიძველეთა დაცვის ინსპექცია სარემონტო სამუშაოებისა და ძეგლების აღრიცხვის მიზნით. ამიტომ, მას ალბათ, ხშირად უხდებოდა ეკლესია-მონასტრებში ყოფნა. მაგრამ მის დაინტერესებას საგალობლებით ექვთიმე აღმსარებელი უნდობლად შეხვდა. ვერ წარმოიდგინა თუ ახალი საბჭოთა ხელისუფლება ასეთ ინტერესს გამოიჩენდა. თავის „ისტორიაში“ იგი პატივისცემით მოიხსენიებს ახალ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: „არავის არ ვეუბნები, ჩუმათა მაქვს ნამუშევარი, და ჩუმათა მაქვს შენახული, რადგან მეშინია არ დახიონ, ან არ დაწვან და მეც ციხეში არ მიმცენ – შენ საეკლესიო საგალობლები რომ გიწერიაო, არ მითხრან“[11], - ასე გადმოსცემს იმ დროს შექმნილ მდგომარეობას, ეკლესიისადმი ხელისუფლების ნამდვილი დამოკიდებულების შინაარსს, რომელსაც ვითარებისა და უპირველესად, საგალობლების გადარჩენის მიზნით, „პატივ-ცემულ მთავრობად“ იხსენიებს.

დავით დავითაშვილმა წმიდა ექვთიმე მუზეუმ „მეტეხის“ (დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) დირექტორს, ცნობილ მხატვარს და ხელოვანს, მეტეხის ტაძრის გადამრჩენელს დი-

მიტრი შევარდნაძეს წარუდგინა: „მოქალაქე ექვთიმე კერესელიძეს დახედე, რა დიდი საქმე გაუკეთებიაო!"[12]

როგორც ჩანს, ისეთი დიდი მამულიშვილების რეკომენდაციამ, როგორებიც ამ საქმის მონაწილენი – დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ამირანაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი და სხვები იყვნენ, დაარწმუნეს მთავრობა, რომ წმიდა ექვთიმესათვის დაენიშნათ პენსია; საგალობლები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ჩაბარდა:

„სსსრ

სრულიად საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი.

25. III. 1937. №639

ცნობა

ეძლევა მოქ. ექვთიმე კერესელიძეს მის მიერ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საგალობლების 5081 რაოდენობით საქ. მუზეუმში 1935 წლის 30 ნოემბერს შესანახად და დასაცავად ჩაბარებული ნოტების შესახებ.

ამით ვადასტურებ, რომ მე ექვთიმე კერესელიძემ 1935 წელს 20 ნოემბერს ჩავაბარე, საქ. სახ. მუზეუმს 5081 დასავლეთ საქართველოს საგალობლები. ჩაიბარა კომისიამ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გ. მიროტაძე, წევრები: დ. არაყიშვილი, გ. ბოჭორიძე, დ. დავითაშვილი. საგალობლები ჩაბარებული ჰქონდა მუზეუმს ხელნაწერთა განყოფილებაში დასაცავად, თანამშრომელს გ. ბოჭორიძეს.

აღნიშნული ნოტები ჩემის თაოსნობით და ჩემივე ხარჯით დავაწერინე 40-41 წლის წინეთ მუსიკოს ფილიმონ ქორიძეს, რომელსაც ყოველთვიურად ვაძლევდი ას (100 მან.) მანეთს და ყოველი თითო საგალობლის დაწერაში ჰონორარს სამ (3მან.) მანეთს. აგრეთვე ვაძლევდი დამატებით ჰონორარს სამ მანეთს მგალობლებს, რომლების საშუალებით წერდა მოქ. ფ. ქორიძე აღნიშნულ საგალობლებს.

დაწერილი საგალობლების რაოდენობა უდრის 5081 ნომერს. უმეტესი მათგანი იყო დაწერილი ერთ ხმაზე. აქედან 3100 საგალობელს ჩემის თხოვნით მიუწერა მეორე და მესამე ხმა სრულ ქართულ საეკლესიო საგალობლების მცოდნემ რაჟდენ ხუნდაძემ.

ისე რომ აღნიშნულ საგალობლების (სამი ათასი საგალობელი) მეორე და მესამე ხმების **უფლებრივ ავტორად** ითვლება რაჟდენ ხუნდაძე. დანარჩენი საგალობლების ყოველგარი უფლებები მეკუთნის მე ექვთიმე კერესელიძეს და სხვას ვისმეს არა აქვს არავითარი საავტორო უფლება, ან რაიმე პრეტენზია აღნიშნულ საგალობლებზე.

აღნიშნულ განცხადებას ვადასტურებ
მე ხელის მომწერი **ექვთიმე კერესელიძე.**

P.S. მე-24 პწკარზედ ჩემს მიერ ჩამატებულ სიტყვებს „უფლებრივ ავტორად" ვადასტურებ ექვ. კერესელიძე."[13]

ზედაზნის მონასტრის ბერ-მონაზონი მონასტრის მცველად გააფორმეს, სადაც 1944 წელს სასიკვდილოდ დასნეულდა. ამ დროს „მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მიხეილი (მანდარია)... კომენდანტის საათის დარღვევისათვის სოფელ საგურამოს გზაზე მოკლეს, ახალგაზრდა ბერი პართენი (აფციაური) ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს, მოხუცი მწირ-ბერი საბა (ფულარიანი) გარდაიცვალა."[14] მარტოდ დარჩენილ ბერს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის მონაზვნები მზრუნველობდნენ. „1944 წლის ზამთარში მოძღვრის მოსანახულებლად ასულ მონაზონ ზოილეს (დვალიშვილი) და რამდენიმე დედას მამა ექვთიმე სარეცელზე მიჯაჭვული დახვდათ."[15] სულ მოკლე ხანში წმიდა ექვთიმე გარდაიცვალა. იგი ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხეველთან ახლოსაა დაკრძალული. მისი მდიდარი ბიბლიოთეკა სამთავროს მონასტერში გადაიტანეს, პირადი არქივი კი დაუდევრობით განადგურდა.

2003 წლის 18 აგვისტოს, ურბნისის საკათედრო ტაძარში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც იმსჯელა იღუმენ ექვთიმეს წმიდანად შერაცხვის საკითხზე:

„იღუმენი ექვთიმე კერესელიძე საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული მოღვაწეა. იგი სიყრმიდანვე თავმდაბლობისა და მოთმინების მაგალითი იყო. სასულიერო ცხოვრებაში კი მას დიდად მშრომელ და მლოცველ ასკეტ ბერად იცნობდნენ. ფასდაუდებელია მისი დამსახურება ძველი ქართული საეკლესიო გალობის გადარჩე-

ნის საქმეში. რომ არა მისი ურყევი რწმენა და თავდადება, ჩვენი ეროვნული საუნჯე დიდ საგანძურს დაკარგავდა. ამ საქმისადმი მამა ექვთიმეს თავგანწირულმა სიყვარულმა და შემართებამ შთამომავლებს 5532 საეკლესიო საგალობელი შეუნარჩუნა. მან საკუთარი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ფასად დაიცვა უნიკალური მემკვიდრეობა და მომავალ თაობებს მისცა შესაძლებლობა წინაპართა საოცარ სულიერ სიმაღლეთ ზიარებოდნენ.

წმიდა სინოდმა განაჩინა: იღუმენი ექვთიმე (კერესელიძე) ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენისათვის გაწეული ღვაწლის გამო შეირაცხოს წმიდანად და ეწოდოს სახელად ექვთიმე აღმსარებელი.

მისი ხსენების დღედ დადგინდეს ექვთიმე დიდის ხსენების დღე.* დაიწეროს ხატი და შედგეს ტროპარ-კონდაკი."[16]

19 აგვისტოს რუისის საკათედრო ტაძარში, წირვის შემდეგ წარმოთქმული ქადაგებისას, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II** მიულოცა მრევლს და სრულიად საქართველოს ახალი წმიდანების კანონიზირება და აღნიშნა: „წმიდანად ასევე შერაცხულია იღუმენი ექვთიმე კერესელიძე, რომელიც დიდი სასულიერო მოღვაწე იყო. იგი იოანე ზედაზნელის მონასტერში მოღვაწეობდა და ბევრი რამ გააკეთა ქართული გალობისა და ქართული კულტურის დასაცავად."[17]

დაიწერა წმიდანის ხატი და ტროპარი: „მარგალიტნი მრავალსასყიდლისანი სიღრმით უმეცრებისაით აღმოიტაცენ და ხმათა მიერ ანგელოზებრთა ეკლესიაი ქართველთა კვალად განაშუენე; გალობათა საღმრთოთა გამომხატველო. ღირსო მამა ექვთიმე ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის."

2004 წლის 2 თებერვალს წმიდა ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) ხსენების დღეს ქ. თბილისში, ვაკის წმიდა სამების ტაძარში სადღესასწაულო მსახურება აღასრულა მღვდელმა მიქაელ წულუკიძემ. ტაძარში გალობდნენ ყოვლადწმიდა სამების მშენებარე ტაძრის და ვაკის წმიდა სამების ტაძრის ვაჟთა გუნდები. ამავე დღეს სა-

---

* 20 იანვარი (ახ. სტ. 2 თებერვალი)



ექვთიმე კერესელიძის მოძღვარი
წმიდა ღირსი ალექსი (მუშანია)

ზეიმო წირვა აღესრულა ზედაზნის მონასტერში. წმიდა ექვთიმე აღმსარებლის საფლავზე გადახდილ იქნა პანაშვიდი.[14]

„მონა ვარ უხმარი, ხოლო რაიცა ჯერ იყო ჩემდა, ქმენ თიხამან, არა მე, არამედ ღმერთმა, რომელმანცა შემქმნა მე თიხა ესე სახმარად ძლიერისა მარჯვენისა თვისისა, მან ჰქმნა ყოველი კეთილი, მას ჰშვენის ყოველთა მიერ ქება-დიდება, პატივი და თაყვანისცემა ყოვლადვე მარად საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ხოლო მე შემინდევით, მამანო და ძმანო, და რაიცა შეცდომით გადმოვწერე წიგნსა ამას შინა, და შენიშნოთ უმეცრება ჩემი, ამისთვის ნუ მწყევთ, არამედ შემეედრეთ მოწყალესა ღმერთსა - მონა ღვთისა ესტატე კერესელიძე.“[15] - ერთ-ერთი კრებულის ბოლოს მიუწერია წმიდა ექვთიმე აღმსარებელს, რომელმაც წინაპართა საოცარ სულიერ სიმაღლეს გვაზიარა და ეს შრომა მიუძღვნა „საყვარელ სამშობლო მართლმადიდებელ ეკლესიას, ერთა, ქალაქთა და მგალობელთა, სადიდებლად ღვთისა, ამინ!“[16] თანამედროვე ქართული საზოგადოება მის ღვაწლს წმიდა ექვთიმე


ღვთისკაცის (თაყაიშვილი) ღვაწლს ადარებს: „ექვთიმე კერესელიძემ... ისეთივე მამულიშვილური საქმე იტვირთა საეკლესიო საგალობლების მიმართ, როგორც ექვთიმე თაყაიშვილმა ჩვენი საეკლესიო საუნჯის სხვა უბნის გადასარჩენად."[21]

●

ექვთიმე კერესელიძე საეკლესიო გალობის ცნობილს მაღლს ილია ჭავჭავაძის – „ივერიის" ფიალში, მაჩხიშე შარაძის მიერ დაარსებული ამხანაგობის წყალობით ესიარა. ილია ჭავჭავაძის ხელშეწყობით, რომელიც ევალა ღიდი ერთვნული საქმის ინიციატორი და მოსაწილე გახლდათ, რუსეთიდან პირველად შემოიტანეს საქართველოში სანოტო შრიფტი, საეკლესიო საგალობლების პირველი კრებულების გამოსაცემად. ალექსანდრე და გაბრიელ ეპისკოპოსების მიერ საფუძველჩაყრილმა მუშაობამ საგალობლების ნოტებზე გადატანისათვის, სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ქართული საეკლესიო გალობის განვითარების ისტორიაში. იგი გაგრძელდა ფილიმონ ქორიძის მიერ ცხრაგეთში გამგზავრებითა და საგალობლების ჩაწერით, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. ამ მეცნიერულობას ღირსეულად ეპატრონა ექვთიმე კერესელიძემ. მისი მოძღვარი ბერი ალექსი შიშანია იყო, რომელიც თავის სულიერ შვილს ამხნევებდა.

XX საუკუნის ბოლოს საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის განკრებითა და წმინდანისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით წმიდათა დასში შთაირიცხნენ წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე), წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), წმიდა ღირსი ალექსი (შიშანია), წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი), წმიდა აღმსარებელი ექვთიმე (კერესელიძე).

ქრისტეს სიყვარულით ერთი საქმისთვის ერთმანეთთან დაკავშირებული ქართველი მოღვაწეები სეციერი საქართველოდან მფარველობენ ჩვენ ქვეყანას, ეკლესია-ეკლესიას, მის აწმყოს და მომავალს.



თავი მეშვიდე

[illegible]ემოქმედი საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი ძველი [illegible]ეპარქიაა. ეპარქიის სასულიერო განათლებისა და კულტუ[illegible]რის მნიშვნელოვან ცენტრს შემოქმედის მონასტერი წარმოადგენდა (XII ს.). „გურიაში ორი საულიერო სასწავლებელი არსებობდა, ერთი ჯუმათელს ებარა და მეორე შემოქმედელს. ეს ორი სასწავლებელი სემინარებათ ითვლებოდნენ."[1] აქ ხდებოდა სასულიერო პირების მომზადება. სემინარიის მოსწავლეები მონასტერში ცხოვრობდნენ. თავად მონასტერი კი თავდაპირველი სახით არაა ჩვენამდე მოღწეული. „მთის მწვერვალზე აგებული იყო ტაძარი, ხოლო კალთებზე ნამდვილი მონაზონების (ბერების) სენაკები."[2] ამ სენაკების ქვემოთ, ცნობილ მგალობელს, მღვდელ გიორგი დუმბაძეს ჰქონია აშენებული საკუთარი და მისი თანამოსაგრეების სენაკები; მეორე მხარეს დედათა სენაკები ყოფილა.[3] 1820 წელს, ცნობილი საეკლესიო აჯანყების ჩახშობისას, რუსის ოფიცრებმა შემოქმედის ციხე ააფეთქეს, რომლის კედლებში იყო მოქცეული სამონასტრო ნაგებობანი.

შემოქმედის მონატრის სენაკებში მცხოვრები სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები, მორჩილები და ბერები ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად აქ საეკლესიო გალობასაც სწავლობდნენ. მღვდელი გიორგი დუმბაძე, ცნობილი მგალობელი და სასულიერო პირი, დუმბაძეთა გვარის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია, რომელიც თავადაც კარგად გალობდა და სხვებსაც ასწავლიდა. შემოქმედი დუმბაძეთა საგვარეულო სოფელი იყო. ამ გვარის წარმომადგენლები სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდნენ. „აქვე სახლობენ დუმბაძენი, რომელთა გვარშიაც თავი შეინახა ჩვენს დრომდე გურულმა, ე.წ. დუმბაძეების კილომ საეკლესიო გალობისამ, ამ რამდენიმე წლის წინათ ჯილ. ქორიძის მიერ ნოტებზედ გადაღებულმა. ამ გვაროვნობას ამ მხრივ იგივე მნიშვნელობა აქვს გურიისათვის, რაც ძმათა კარ-

ბელაშვილებს და კარგარეთელებს ქართლში, ჭალაგანიძეთა – სამეგრელოში"[4].

საქართველოში არსებული ტრადიციის მიხედვით სამგალობლო სკოლებს იმ ეკლესია-მონასტრის სახელს მიაკუთვნებდნენ, სადაც იგი არსებობდა. ამდენად, „გალობის სკოლას ანუ კილოს, რომელსაც დუმბაძეები, გოგიტიძეები და შემოქმედში მოღვაწე სხვა მგალობლები წარმოადგენდნენ, ძველად შემოქმედის სკოლა ეწოდებოდა"[5]. სწორედ ამიტომ, ჩვენი ნიგნის ამ განყოფილებას ასე ვუწოდეთ: „შემოქმედის სკოლის მგალობლები", რადგან ანტონ დუმბაძე, მელქისიდეკ ნაკაშიძე და ნესტორ კონტრიძე მისი ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან.

ა) მღვდელი გიორგი დუმბაძე



პ. კარბელაშვილი, თავის წიგნში „ქართული საერო და სასულიერო კილოები", გამოჩენილ მგალობელთა და მწერალ-მწიგნობართა შორის, პირველ ყოვლის, ასახელებს იაკობ დუმბაძეს (1647 – 1713)[6]. საუბარია XVII საუკუნის საეკლესიო მოღვაწეზე, შემოქმედელ მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძეზე. იგი იყო ფრიად პოპულარუ-

ლი პოეტი, რომელმაც ქართლის მეფის გიორგი XI –ის დავალებით გალექსა ბაგრატ ბაგრატიონიშვილის ნიგნი: „უსჯულოჲსა მუჰამედისა და ქრისტიანეთა გაბაასება“. შემოქმედელს ქებით იხსენიებენ არჩილ II, დავით გურამიშვილი, ანტონ I, იოანე ბატონიშვილი.

იაკობ დუმბაძის მოღვაწეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დუმბაძეებს ოდითგანვე მოსდგამდათ სამგალობლო ტრადიციები.

XIX საუკუნის II ნახევარში შემოქმედის მონასტერში მოღვაწე მღვდელი გიორგი დუმბაძე, თანამედროვეთა გადმოცემით, ჭეშმარიტი მოძღვარი და მზრუნველი მწყემსი ყოფილა თავისი სამწყსოსი. 1878 წელს გამოცემულ დიმიტრი ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, ავტორი წერს: „არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არა ვსთქვა ერთს ფრიად შესანიშნავ პირზე, რომელიც მე ვნახე შემოქმედში; ეს არის შემოქმედის მკვიდრი მღვდელი გიორგი დუმბაძე შობიდან 90 წ. მეტი, მაგრამ სიმხნით და გონებით იგი სრულებით არა ჰგავს ამ ხნის კაცს. ამ 40-50 წლების წინათ, როცა ჩურუქ-სუში ქრისტიანობა ჯერ კიდევ მთლად არ ყოფილა მოსპობილი და როცა ყველა აქაური ტაძრები ხელშეუხებელნი ყოფილან, მ. გიორგი გურიის სხვა მღვდლებთან ერთად, ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნით, დაიარებოდა თურმე აქ სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედების შესასრულებლად... 1828 წ. მ. დუმბაძეს მონაწილეობა მიუღია რუსეთის ომში სათათრეთის წინააღმდეგ და გენერალ გესენის ჯართან ერთად ყოფილა ჩურუქ-სუში და ციხის ძირში“[7].

მამა გიორგი მოგზაურობისას უნახავს თედო სახოკიასაც: „ამ ოცი წლის წინათ შემოქმედში ღრმად მოხუცებული მღვდელი გიორგი დუმბაძე ცხოვრობდა. რადგან ამ გორაკის (რომელზეც შემოქმედის მონასტერი დგას – ი.თ.), კლდეში მშვენიერი საშენი ქვაა, ეს მღვდელიც ხშირად მუშაობდა აქ და ქვას აზიდვინებდა“[8].

„მწყემსის“ რედაქციის დავალებით 1893 წელს მღვდელ რაჟდენ ხუნდაძეს შეუკრებია მასალები მამა გიორგი დუმბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გურიის საზოგადოება დიდ პატივს სცემდა მოძღვარს, მისი მტკიცე და ურყევი ხასიათის გამო. საღვთო წერილისა და გალობის ზედმიწევნით მცოდნე მოძღვრის სენაკის კარები მუდამ ღია იყო იმათთვის, ვისაც ქრისტიანული

სარწმუნოების შესწავლის სურვილი ჰქონდა. მოძღვარი განსაკუთრებით ნიჭიერებს ეხმარებოდა. არ გამოირჩეოდა სიტყვამრავლობით, საუბრობდა სადად და გასაგებად. ადამიანებს წოდების მიხედვით არ ასხვაებდა: თავადს, აზნაურს, ერისკაცს თუ ბერს, მღვდელს თუ მღვდელმთავარს სათქმელს დაუფარავად ეუბნეოდა. გარეგნულად ახოვანი, სასიამოვნო შესახედაობის ყოფილა. თავზე თათრული სარტყელი ჰქონია შემოხვეული, ზედ კი დიდი ფაფანაკის ქუდს იხურავდა. როცა ანაფორა დაუძველდებოდა, გურიის ეპისკოპოსს გაბრიელს სთხოვდა: „ორი ანაფორა თუ გაქ, ერთი მომეცი". ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსიც, რა თქმა უნდა, უსრულებდა ამ თხოვნას. საუბრის დროს მამა გიორგი ხანდახან შეხედავდა კაცს, და მისი მრისხანე გამოხედვა „თითქოს შეგიპყრობდა, გაფანტულებისაგან გაგანთავისუფლებდა, გონებას მოგიკრებდა და რაღაც ცნობისმოყვარედ გარდაიქმნებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ყოველ მის ნათქვამს ადვილად იმახსოვრებდა ყველა"[9].

მამა გიორგი ზრუნავდა მრევლის სულიერი მდგომარეობისათვის. მონასტერში წირვა-ლოცვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კანონიკის დაცვას. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ შემოქმედის მონასტერში ერთი მღვდელ-მონაზონი ღამისთევის ლოცვას ასრულებდა. როცა უნდა წარმოეთქვა სიტყვები: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი!" შეცდომა დაუშვა და თქვა: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე!" ამის თქმა იყო და მამა გიორგიმ მიაძახა: „რა მოგვფინა, რა მოგვფინაო?" მღვდელ-მონაზონი მიხვდა თავის შეცდომას და პასუხად თქვა: „ნათელი". ყველა როდი უწონებდა ასეთ პირდაპირობას. მონასტრის არქიმანდრიტის შენიშვნაზე, ასეთი შეძახება კაცს შეარცხვენსო, მამა გიორგის უპასუხია: „ღმერთთან ტყუილის თქმა კაცს არ ეპატიებაო; ერთი ეს და მეორე: ერთხელ რომ შერცხვება, მეორეთ დაუკვირდება და კითხვაში სიცრუეს აღარ იტყვისო"[10].

მართალია, მამა გიორგი მონასტერში ცხოვრობდა, მაგრამ სოფლის საქმეს არც ერთი წუთით არ მოწყვეტილა. სისტემატურად მუშაობდა სოფლის გზების შეკეთებაზე. მრევლს დიდ შეღავათებს აძლევდა გადასახადების მხრივ.

პ. კარბელაშვილის ცნობით, მამა გიორგი დუმბაძე 100 წელს მიტანებული გარდაიცვალა 1875 წელს.[1] მოსე დუმბაძის ხელნაწერი დღიურის მიხედვით, რომელიც აწ გარდაცვლილი მეცნიერის ქველი ჩხატარაიშვილის არქივში ინახება „გიორგი გიორგის ძე დუმბაძე გარდაიცვალა 1883 წელს; იგი იყო დაბადებიდგან ასი წლის, დიდი ნასწავლი საღმრთო წერილითა და ქართულის ენის წერა-კითხვითა და გალობითა. მას საღმრთო წერილი, გალობა და ნაკითხვა 300-მდე კაცისათვის უსწავლებია.“ [2]

მამა გიორგის ახლო ნათესავი და მოსწავლე იყო ანტონ დუმბაძე, რომლის მგალობლად ჩამოყალიბება მამა გიორგის ღვაწლთანაა დაკავშირებული.

ბ) ანტონ დუმბაძე



ანტონ ნიკოლოზის ძე დუმბაძე (1824-1907) სასულიერო პირი არ ყოფილა. იგი პოლიციის „პორუჩიკი“ გახლდათ.[3] შემოქმედის წმიდა გიორგის ეკლესიის მრევლის სიაში, რომელიც მღვდლის დავით ანტონის ძე დუმბაძის მიერაა შედგენილი, გვხვდება ცნობები მამამისის შესახებ. ანტონ დუმბაძეს ცხრა შვილი ჰყოლია:



ანტონ დუმბაძე (ცენტრში) და მისი ვაჟები

დავითი, ივანე, ნიკოლოზი, მიხეილი, იოსები, სამსონი, მელიტონი, მართა და ელენე.[1] ანტონ დუმბაძე რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის მონაწილე იყო. შვილები ძირითადად სამხედრო კარიერის გზას დაადგნენ: ივანე დუმბაძე იალტის გენერალ-გუბერნატორი და ნიკოლოზ II-თან დაახლოებული პირი ყოფილა; ნიკოლოზი – ფეხოსანთა დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი; იოსები – არტილერიაში მსახურობდა, გენერალ-მაიორი; სამსონი და მიხეილი – ასევე გენერალ-მაიორები; მელიტონი – სამოქალაქო სამსახურში გახლდათ. მხოლოდ დავითი იყო სასულიერო პირი და როგორც ქვემოთ ვნახავთ, ღირსეულად გააგრძელა დუმბაძეთა სასულიერო და სამგალობლო ტრადიციები.

1893 წელს, როცა მაქსიმე შარაძისა და წმიდა ექვთიმეს (კერესელიძე) ძალისხმევითა და ფინანსური მხარდაჭერით ფილიმონ ქორიძე ოზურგეთში, ქართული საეკლესიო საგალობლების ნო-

ტებზე გადასაღებად ჩავიდა, მას სწორედ ანტონ დუმბაძის იმედი ჰქონდა. მათი გაცნობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა ჯერ კიდევ ქუთაისში, 1885 წელს მოხდა, როცა ნმიდა გაბრიელ ეპისკოპოსმა ფილიმონის მიერ ნოტებზე გადატანილი საგალობლების შესამოწმებლად სხვადასხვა კუთხიდან ცნობილი მგალობლები მოიწვია. გურიიდან ანტონ და დავით დუმბაძეები ჩავიდნენ. ნოტები წიგნად გამოიცა თბილისში. გარეკანზე აღნიშნულია: „გადმოცემული ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარდიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და ნესტორ ე. კონტრიძისაგან.“[15]

ამ საშვილიშვილო საქმის დაწყებას „ივერია“ აუწყებდა საზოგადოებას: „ერთი სასიამოვნო ამბავიც: 17 ივნისს ჩამოვიდა აქ (ოზურგეთში – ი. თ.) ბ-ნი ფ. ქორიძე და უნდა, ბ-ნ ანტონ დუმბაძის დახმარებით, ამ კვირაშივე შეუდგეს გურული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას, ღმერთმა ხელი მოუმართოთ!“[16]

თავიდან, ანტონ დუმბაძეს თითქოს არ სჯეროდა რომ ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ შემდეგ ძლიერ მოუნდომებია. „ივერიაში“ იგი წერდა: „დიდი ხანი არის, რაც მთელს საქართველოში იყო აღძრული ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ შესაძლო იყო თუ არა გარდაღება ქართულის საეკლესიო გალობისა ნოტებზედ, რომელზედაც მეც იჭვნეული ვიყავი. ეხლა, მადლობა ღმერთს, ამ მოკლეს ხანში, ამ გვარს იჭვნეულობას და ლაპარაკს მოეღო ბოლო და მიეცა დასასრული, მით რომ ეს მეხუთე თვე არის, რაც პატივცემული ფილიმონ ქორიძე ყოველ დღე დაუღალავად მუშაობს და შრომობს ამ საქმეზედ ქ. ოზურგეთში, ერთად ჩემისა და ჩემის შვილის მღვდლის დავითისა და ერთის ჩემის შეგირდის მოლარიშვილის დახმარებით.

მე როგორც გამოცდილს და მცოდნეს სრულის საეკლესიო ქართულის გალობისა, ის მაქვს სასიამოვნოდ, რომ ყოველი ეკლესიური გალობა გადადის ნოტებზედ, ისე შეუცვლელად და უნაკლოდ იმ კილოზედ, როგორც არსებობდა და არსებობს გურია-იმერეთში.“[17]

ანტონ დუმბაძე საგანგებოდ აღნიშნავდა მაქსიმე შარაძისა და მისი ამხანაგების გულმოდგინებას და ზრუნვას, ძვირფასი საუნ-

ჯის – საგალობლების გადარჩენისათვის: „მან არ მიხედა არც შრომას, არც ნივთიერ ხარჯსა და სასჯელს და საუკუნოდ ავალებს საზოგადოებას. ეს კაცი არის ერთი გურულთაგანი გ. შარაძე და მას ეხმარებიან მისი ამხანაგნიც."[18]

ანტონ დუმბაძე სრული მგალობელი იყო. რაჟდენ ხუნდაძის ცნობით, იგი საგალობლებსა და ლოტბარობას გელათის მონასტერში დაეუფლა. უფრო საყურადღებოა ვარლამ სიმონიშვილის, ანტონ დუმბაძის ერთ-ერთი მოსწავლის ცნობები, რომელიც თავად ანტონისგან ჩაუწერია: იმერეთის ეპისკოპოს ექვთიმეს გურიის ეპისკოპოს გაბრიელისათვის საჩუქრად გამოუგზავნია მგალობლები – სამი ძმა ცქვიტიშვილები. ისინი სოფელ აკეთში დასახლებულან. მღვდელ გიორგი დუმბაძეს თხოვნა გაუგზავნია ძმებისათვის - ესწავლებინათ გალობა მისი ნათესავის, ნიჭიერი ახალგაზრდის ანტონ დუმბაძისა და მისი მონათლულის, მაქსიმე ჩხატარაიშვილისათვის და მიუვლინებია ისინი ხუთი წლით. სანაცვლოდ მამა გიორგი ცქვიტიშვილებს ყოველწლიურად მათთვის საყოფი ჩხავრის ღვინოს გაგზავნას დაჰპირებია, რომელიც შემოქმედის მონასტერში დიდძალი მოდიოდა თურმე.[19]

ანტონმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა თითოეული საგალობლის სამივე ხმა. გურიაში იგი პირველ მგალობლად ითვლებოდა. შემონახულია გურიის ეპისკოპოსის გაბრიელის წერილი წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრესადმი, რომელიც სთხოვდა თბილისში მოეველინებინა საუკეთესო მგალობელი: **„რომელიცა პირველი მგალობელი არის გურიაში ანტონ დუმბაძე** დრუჟინაში გახლავს..."[20](ხაზგასმა ჩვენი – ი. თ.). ამის გამო მაშინ თბილისში მაქსიმე ჩხატარაიშვილი ჩავიდა.

საყურადღებოა იმავე ეპისკოპოსის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გაეგზავნა: „მგალობელი გურიის სობოროსისა აზნაური ანტონ დუმბაძე იყო ჩემგან გათავისუფლებული მგალობლობისაგან თანახმად კანტორის უკაზისა. ხოლო დუმბაძე იგი მგალობლად განწესებულ იყო ჩემდ (1844) წელში განსუენებულის ეფთიმე ეპისკოპოსის მიერ, ჯამაგირს იღებდა იგი წელიწადში ორმოცდაათს მანეთს; ხოლო ჩყნბ(1858) წელში განკარგულებითა ჩემის წინემო-

ადგილის იოანე ეპისკოპოსის მიერ იყო მისდამი დანიშნული მომატებული ჯამაგირი სხვა მგალობლების ჯამაგირისაგან ოცდახუთი მანეთი, იმ პატივდებისა გამო იგია უფროსი ყველა მგალობლებშიდ გურიის ეპარხიისა, ნიჭიერებისა გამო და სწავლასა ავრცელებდა გალობას ამხანაგებში და სამღვდელოებათა შორისაცა, რომელიცა ეხლაც ავრცელებს გალობის სწავლას აქაურ ეპარხიაშიდ... 1878 წელი, 26 მარტი."[21]

ანტონ დუმბაძისათვის ნოტების კლასიკური სისტემა ცნობილი არ იყო. მას ჰქონდა საკუთარი წიგნაკი, სადაც საგალობლებს დასმული ჰქონდათ სპეციალური ნიშნები – „ნევმები", რომლის წაკითხვა მხოლოდ მას შეეძლო. ფ. ქორიძე იგონებს:

„ამ ნიშნების ახსნა-განმარტება შეუძლიათ მხოლოდ ძველ მგალობლებს, ანტონ დუმბაძეს, დეკანოზ ვასილ ქუთათელაძეს და დიმიტრი ჭალაგანიძეს. თითოეულ მათგანს აქვს წიგნაკი, რომელშიც მოთავსებულია ნიშნები, მზგავსი მეათე საუკუნის საგალობელთა ნოტებისა. მე ამაში დავრწმუნდი მაშინ, როდესაც ანტონ დუმბაძისაგან საგალობლებს ვსწერდი გურიაში. სხვათა შორის ერთს მშვენიერს „ჭრელს" საგალობლებს ვსწერდი. ეს საგალობელი ბ. ა. დუმბაძეს ორმოცისა თუ მეტის წლის განმავლობაში არ ეგალობნა. დავსწერე თითქმის ნახევარი. მგალობელი შეჩერდა, ვეღარ განაგრძო, დამავიწყდაო თქვა. მეორე დღეს მოიტანა ქართული ნოტებით აჭრელებული წიგნი, ჩახედა შიგა, დამამთავრებია საგალობელი და მითხრა: „შენ თუ ნოტებით სწერ, მეც ნოტებით ვგალობო."[22]

ანტონ დუმბაძე საეკლესიო გალობის არა მარტო საუკეთესო მცოდნე, არამედ საუკეთესო ლოტბარიც იყო. მის ნიჭიერ მოსწავლეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მელქისედეკ ნაკაშიძე, გიორგი მოლარიძე, რომელიც შემოქმედის მონასტერში მოღვაწეობდა, ნესტორ კონტრიძე, სიმონ შარაშიძე, სვიმონ მოლარიშვილი და სხვ. დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი (შემდგომში ეპისკოპოსი), რომელმაც იმოგზაურა ათონის მთაზე, აღნიშნავს: „ათონის ქართველთა სავანეში ყოფილა კეთილ განწყობილი მწყობრი ტკბილად მგალობელთა 1880 წლებში, ვიდრემდის ყოფილან ათონზედ მგალობელთა შორის: თავადი მელქისედეკ ნაკაშიძე, მ.

გიორგი მოლარიძე, ღირსეულად მოღვაწე შემოქმედის მონასტერში გურიაში, მ. მ. კონტრიძე, ჭინჭარაძე და მ. ფილიპე შარაშიძე... ამ ზემოხსენებულ პირთა შეუსწავლიათ ქართული გალობა საფუძვლიანად რვა ხმაზედ ბ. ანტონ დუმბაძის ხელმძღვანელობის ქვეშ."[23] ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ათონის მთის ივერიის იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანის აღმაშენებელს სქემ-მონაზონ ბენედიქტეს (ბარკალაია). მას უთხოვია ანტონ დუმბაძისათვის მგალობელთა აღზრდა: „მივეცი ცხრანი ყმაწვილნი ხმოვანნი განსაწვრთნელად ხუთსა წელსა და შემდეგ წარყვანილ იქმნა იგინი ჩემ მიერ ქართველთა სავანესა, მას იოანესისა, ღვთისმეტყველისა, სადაც კიდევ ორსა წელსა განიწვრთნებოდნენ და აღიშენა მით მიერ გუნდი მგალობელთა."[24] ბენედიქტე ბარკალაია, 1869 წელს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ეპისკოპოსების კურთხევით 12 სასულიერო პირთან ერთად გაემგზავრა წმიდა ათონის მთაზე. XIX საუკუნის I ნახევარში ბერძენმა ბერებმა ქართველი ბერები, რომლებიც ივირონის მონასტერში მოღვაწეობდნენ, იქიდან გამოაძევეს და თავად დაეპატრონენ სავანეს. ქართველმა მამებმა X საუკუნის დანგრეული და იავარქმნილი იოანე ღვთისმეტყველის ძველი ქართული ეკლესია შეიძინეს. ბერძნები აქაც წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველ ბერებს. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ეკლესიის აღდგენა. სწორედ ამ მონასტრისათვის სთხოვა მამა ბენედიქტემ მგალობლების მომზადება ანტონ დუმბაძეს.

ანტონ დუმბაძის ასეთი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის, ქართული ეროვნული საუნჯის გადარჩენის აუცილებლობის გამო იმდროინდელი ქართული პრესა აქტიურად უჭერდა მხარს ფილიმონ ქორიძის საქმიანობას. სისტემატიურად ქვეყნდებოდა ინფორმაციები საქმის მიმდინარეობაზე. საზოგადოება წუხდა იმაზე, რომ გალობის მცოდნეთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა და შესაძლოა ერთ დღეს მისი მცოდნე არავინ აღმოჩენილიყო: „ამ საგალობლების ზედმიწევნით მცოდნე გურიაში ამ ჟამად ერთადერთი კაციღა მოიპოვება და ეს გახლავთ აზნაური ანტონ დუმბაძე, რომელსაც თუ გალობის ცოდნაში, თუ ხმის სიმშვენიერეში ტოლი და ბადალი არ მოეპოვება. რომ გაწყრეს ღმერთი და ანტო-

ნი ან მოგვიუძლურდეს, ან ხელიდან გამოგვეცალოს, მასთან ერთად დაიმარხება ჩვენებური გალობაც." – წერდა „ივერია".[25]

ხუთი თვის შემდეგ „მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბამ" თბილისში ფილიმონ ქორიძისაგან უკვე მიიღო ანტონ და დავით დუმბაძის დახმარებით ნოტებზე გადაღებული საგალობლები, რომლებიც „გადაღებულია „პარაკლიტონის" პირველ ხმიდგან. აი, ეს საგალობლები: 1) სამწუხრონი ლოცვანი; 2) მოადეგით ერნო სიონსა; 3) ყოვლისა სოფლისა დიდებასა; 4) დასდევ საცო პირსა ჩემსა; 5) ღმერთი უფალი; 6) უფალო ღაღად ვყავ; 7) დიდება და აწ. და სხვ. სულ ათი ნაჭერი."[26]

საგალობლების გამოცემისთანავე მათზე მოთხოვნილება დიდი იყო. წმიდა ათონის მთის იოანე ღვთისმეტყველის სავანის მღვდელმონაზონი იონა „ივერიის" რედაქციას სთხოვდა დროულად მიეწვდინა ახლად გამოცემული ნოტების ორი გეზემპლარი. ამისათვის გამოუგზავნა კიდეც ოცდაათი მანეთი. დარჩენილი ფული კი ნოტების გამოცემა-შედგენას შესწირა: „მოხარული ვართ, რომ ბ-ნ ქორიძემ, ანტ. დუმბაძემ და სხვ. შესძინეს ჩვენს დაჩაგრულ და დაობლებულ ეკლესიას დაუვიწყარი და დაუფასებელი ნაშთი, რაზედაც ვსთხოვთ უფალს მაგათ დღეგრძელობას მრავალჟამიერ", - წერდა მღვდელმონაზონი იონა ათონის მთიდან.[27]

ოზურგეთში საგალობლების ნოტებზე გადაღების დასრულებისთანავე ფილიმონ ქორიძე მცირე ხნით თბილისში დაბრუნდა. 1907 წელს ანტონ დუმბაძე გარდაიცვალა. ოზურგეთში დაბრუნებული ფ. ქორიძე ინახულა ოზურგეთის საკრებულო ტაძრის მღვდელმა დავით დუმბაძემ, ანტონის შვილმა. თხოვნა ერთი იყო – ტაძარში მგალობელთა გუნდის ჩამოყალიბება, მისი ხელმძღვანელობა და ნოტებზე გადაღებული გალობის შესწავლა. ფილიმონმა თანხმობა მისცა. დავით დუმბაძესა და სვიმონ მოლარიშვილთან ერთად მან ასევე გააგრძელა ერთ ხმაზე ჩაწერილი საგალობლების გამართვა. „მათ დაასრულეს ყოველივე რვა-ხმა საგალობლები და მთლიანად სძლის-პირთა საგალობელნი. ეგრეთვე კილოს წირვის წესები..."[28] ასე სახელოვნად გააგრძელა დუმბაძეთა გვარის ტრადიციები დეკანოზმა დავით ანტონის ძე დუმბაძემ.

გ) მღვდელი დავით დუმბაძე



დავით დუმბაძესა და მის მუღლეს – მაკა ტუსკიას 9 ასული და ერთი ვაჟი ჰყავდათ. ერთ-ერთი ქალიშვილი – სონია საქართველოსა და იტალიაში კარგად ცნობილი საოპერო მომღერალი გახლდათ. იგი 1963 წელს ჩამოვიდა თბილისში.[29] ვაჟიშვილი ვასო კი მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპია. იგი ამერიკაში, ემიგრაციაში გარდაიცვალა 1943 წელს.[30]

დავით დუმბაძეს მღვდლად ხელი დაასხეს 1870 წელს. 1875 წელს ქ. ოზურგეთის წმიდა მარინეს სახელობის ეკლესიაში დაინიშნა წინამძღვრად. ამ დროს მამა დავითი უკვე ბლაღოჩინია. გურიისა და სამეგრელოს ეპარქიების გაერთიანების შემდეგ (1886წ.) ეკლესია ოზურგეთის საკრებულო ტაძრად გადააკეთეს და მის წინამძღვრად დანიშნეს. 1908 წლის 12. თებერვალს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. მღვდელი დავით დუმბაძე იყო ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მმართველობის წევრი. აქვე ასწავლიდა ქართულ გალობას.[31]

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქივში დეკანოზ დავით დუმბაძესთან დაკავშირებით რამდენიმე საქმეა დაცული. 1883 წლის 24 მარტს გურიის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქ-

როპირიძე) თხოვნით მიმართა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას; ყოვლადსამღვდელო ითხოვდა, მოქალაქეობრივი გმირობის გამო, ბლაღოჩინ დავით დუმბაძის დაჯილდოებას: 1881 წლის 13 ივლისს ყოვლადსამღვდელო გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი (ტუსკია) შემოქმედის მონასტრის მოსალოცად და რევიზიის ჩასატარებლად მიბრძანებულა. უკან გამობრუნებისას მდინარე ბჟუჟის ადიდების გამო ეპისკოპოსი ცხენიდან გადმოვარდა და წყალმა ხუთ საჟენზე წაიღო. მამა დავითი მაშინვე შევარდნილა წყალში და დიდი წვალებით გამოუყვანია წყლიდან ეპისკოპოსი გაბრიელი.[32]

წმიდა სინოდის წარდგინებით ხელმწიფე იმპერატორმა ბლაღოჩინი დავით დუმბაძე ოქროს მედლით დააჯილდოვა.[33] 1908 წლის 25 იანვარს მღვდელი დავით დუმბაძე აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.

სიცოცხლის ბოლო წლები მამა დავითისთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა. საქართველოში დრო შეიცვალა – ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა საქართველოს ეკლესიის მიმართ თანადგომით თავს არ იწუხებდა. მამა დავითს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მასწავლებლის, პუბლიცისტისა და ქართული დრამატული წრის ერთ-ერთი აქტიური წევრის დიმტრი დუმბაძისათვის (1869-1932) მიუწერია:

„დიდათ პატივცემულო ძმაო და მეგობარო დიმიტრი მოისეევიჩ!

ქრისტე აღსდგა და იცოცხლე გრძელ ჟამიერად, ლოცვა-კურთხევით მოგიკითხავ და თქვენს ჟამიერს სიცოცხლეს ღმერთსა ვთხოვ; ჩვენში იციან, რომ დაელავს, პირის ჯვარი უნდა გამოისახო, სწორეთ ეხლა არის ის დრო. 12 მარტს ახალმა თაობამ ყოელითურთ უმართლოთ და გამოუკლეველად დამიჭირეს და ჩამაგდეს ნაობახშიდ. ერთი თვე გადის ჩვენება არ ჩამოურთმევია და არც მე ვიცი რისთვის მტანჯავენ, კარგათ მოგეხსენება ავათმყოფი კაცი ვარ და 70 წლის მოხუცი კაცი, ძველ დროშიდ ძველს ვემსახურებოდი, ეხლა დიდი სიხარულით ახალს ვემსახურები. აქ არის ერთი მხოლოდ მეზობლური მტერობა, რომელიც ვინღაცას ჩემი შტატის ადგილის მიცემა დაპირებია, ხალხი მთხოვილობს, სამღვდელოება მთხოვილობს, და კათოლიკოსის მოადგილემ ვრცელი ტელეგრამა გამოუგზავნა აქაურ კამისრებს, მაგრამ ხმას არ იღებს, ნაობაღშიდ კინაღამ

მოვკვდი რევმატიზმით და ჭაჭების ტკივილით – და ძლივს ძლივობით დომაშნი არესტით დამამწყვდიეს სახლშიდ, სადაცა თოფიანი კაცი მადგანა თავზედ და ვიტანჯები. ვიცი რომ თავმოყვარე, პატიოსანი კაცი ბრძანდები, გაჭირვებულ კაცს ზღვამ პირი გაუღოო, მეც გაქირვებული ვარ. ახალი მოხელენი შენი ყველა ნაცნობი არიან, განსაკუთრებით პატივცემული ნოე ჟორდანია, ჩემი ცოლის ნათესავი. ამასთანავე თქუენ სხვებიც გყავს კარგი მოსახმარი და მომეხმარე – რაც მოგახსენე რომ ჩემის მხრით არაფერი საწინააღმდეგო კანონიერი არაფერი შესაფერხებელი თქვენ არ შეგხვდება.


გაფიცებ ცოცხალს და მკვდარს, ნურაფერს ძველს ჩემსას ნუ გაიხსენებ და მოიხმარე ყველა შენი ნაცნობი და მომეხმარე, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქმნება უმაღლეს მართებლობასთან საქმის მიხწევა, ისიც მაცნობე საიდუმლოდ; მომიტევე შეწუხებისათვის.

დავშთები თქუენი მაღალ კეთილშობილების

ღვთისადმი მლოცველი **დეკანოზი დავით დუმბაძე. 7 აპრილი**"[34]

დრო კიდევ უფრო მძაფრდებოდა საქართველოში. მალე პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ნითელი კომისრების მიერ დაემხო. ქალაქ ოზურგეთში ორივე ეკლესია დაანგრიეს. დაიკეტა შემოქმედის მონასტერი, სადაც გადმოცემით, დაკრძალულნი არიან ანტონ და დავით დუმბაძეები...[35] ჯერჯერობით ვერ დავაზუსტეთ მამა დავითის გარდაცვალების თარიღი. ვერც ის, მისი სიკვდილით მიიცვალა თუ რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა. დავით დუმბაძის შთამომავლები ბუნდოვნად იხსენებენ იმას, რაც მათი წინაპრებისაგან სმენიათ – იგი წამებით მოკლეს ბოლშევიკებმა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები არ ჩანს. შემოქმედის მონასტრის გალავანში დუმბაძეთა საფლავის ქვებიც არ არსებობს... ამ ღვთიურ ტაძარში მრავალხმიანი ქართული გალობა 1989 წლიდან კვლავ ისმის.

დ) მღვდელი ნესტორ კონტრიძე



გურიის ლამაზი სოფელია ლიხაური. მშვენიერი ბუნებით, ანკარა აჭისწყლის ხეობით, ჰავით, ძველი ციხით, ეკლესიებით და მათში დაცული სიძველეებით სოფელმა თავიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. პირველად იგი დიმიტრი ბაქრაძემ აღწერა თავის მოგზაურობაში. ლიხაურში დაიბადა და გაიზარდა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი), რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია მშობლიური სოფლის სიყვარული და მონატრება: „... ლიხაური მესიზმრება... ვნანობ, რომ ლიხაურში ვერ ჩავედი!“ – ამბობდა სიცოცხლის ბოლო წლებში ღვთისკაცი.

ქრისტიანული რწმენა და მისადმი სიყვარული ამ სოფლის ისტორიიდან იმზირება. სოფლის ცენტრს, რომელსაც XX საუკუნის 80-იან წლებამდე ამშვენებდა საუკუნეებგამოვლილი მუხა, დღესაც ჯვარი ჰქვია. გადმოცემით, აქედან სწორედ ჯვრის ფორმის მიხედვით იშლებოდა სოფლის შარა-გზები. თ. სახოკიას მიხედვით კი „ხსენებული მუხის ძირას ერთი ტლანქი ქვის ჯვარია მიყუდებული, და ალბათ, იმიტომ დაერქვა „ჯვარი“.[2] ჯვარზე იმართებოდა ლიხაურის თემში შემავალი სოფლების (ოქროს მუხურო, ნიაბაური, აჭი, ჭანიეთი, ქაქუთი, მაკვანეთი, ექადია) მცხოვრებთა

ზეიმი – ალეგრო. ეს იყო საქველმოქმედო და მხიარული ზეიმი, რომელსაც ამშვენებდნენ კარგი მგალობლები და მომღერლები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ალეგროზე შემოსული თანხები ხმარდებოდა ეკლესიის და სოფლისათვის საჭირო სხვა საკეთილდღეო საქმეებს.

ალეგროს მონაწილეები დიდი პატივით იწვევდნენ ზეიმზე ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის წინამძღვარს მამა ნესტორ კონტრიძეს, შესანიშნავ მოძღვარს, სათნო და კეთილ ადამიანს, ქართული გალობის უბადლო მცოდნეს და უებრო ბანის მქონეს.

ნესტორ ეგნატეს ძე კონტრიძე 1854 წელს დაიბადა, სოფლის მღვდლის ეგნატე კონტრიძის (გარდაიცვალა 1892 წ.) ოჯახში. ოჯახშივე მიიღო მან თავდაპირველი განათლება. 1878 წლის 5 ოქტომბრიდან 1882 წლის 10 დეკემბრამდე თბილისის ეკლესიებისათვის მედავითნეებს და საეკლესიო გალობის მასწავლებლებს ამზადებდა. 1882-83 წლებში საეკლესიო გალობას ასწავლიდა თბილისის რეალურ სასწავლებელში, 1885-89 წლებში კი – თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1889 წლის 28 მარტს ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, ხოლო 23 აპრილს მღვდლად და განწესდა ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში. 1889 წლის 27 სექტემბერს სამღვდელოების მიერ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მმართველობის დეპუტატად აირჩიეს. 1894 წელს განმეორებით იქნა არჩეული, 1911 წლამდე.[3] ცოლი და მცირეწლოვანი შვილი ადრე გარდაიცვალა, რის შემდეგაც ლიხაურის ეკლესიასთან ახლოს სენაკში გადავიდა საცხოვრებლად.

1878 წელს, როცა თბილისში გადაწყდა ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და ნოტებზე გადაღებისათვის საგანგებო ღონისძიებების გატარება, გურიიდან მოწვეულ მგალობლებს შორის, მაქსიმე ჩხატარაიშვილთან, მელქისედეკ ნაკაშიძესა და ივანე ხავთასთან ერთად, ნესტორ კონტრიძეც იყო. 2 სექტემბერს მგალობლებმა ანჩისხატის ტაძარში იგალობეს, მეორე დღეს კი – ორბელიანთა ეკლესიაში. გალობის აღმდგენელმა კომიტეტმა გურული მგალობლები თბილისში დატოვა. ნესტორ კონტრიძეს გასამრჯელოდ ერთი თუმანი დაუნიშნეს და საცხოვ-

რებელი მისცეს, მოგვიანებით კი ხუთი მანეთი მიუმატეს.[4] თბილისში დარჩენილი მგალობლები სასულიერო სემინარიის მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საეკლესიო გალობას ასწავლიდნენ: „გურიიდან მოწვეულმა ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებლებმა თავ. მელქისედეკ ნაკაშიძემ და მისმა თანაშემწემ უუ. კონტრიძემ და ი. ხავთასმა იწყეს სწავლება გალობისა ამ თვის 24-მდგან; ამისათვის ვაცხადებთ იარონ მსურველთ გალობის გაკვეთილებზედ ანჩის-ხატის სობოროსთან სინოდის კანტორის სახლებში, საღამოს ხუთი საათიდან რვამდე", - იუწყებოდა არქიმანდრიტი მაკარი (მატათაშვილი),[5] საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის ხელმძღვანელი. სწვალება უფასო იყო სასულიერო პირებისათვის. სხვა პირებს უნდა გადაეხადათ სწავლების საფასური.

მ. ნაკაშიძისა და ნ. კონტრიძის პედაგოგური მოღვაწეობა თბილისში ნაყოფიერი გამოდგა. ამ საქმეში ხშირად გასამრჯელოსაც არ იღებდნენ, რადგან კარგად ესმოდათ რა დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ. სასულიერო სემინარიის მოსწავლეები „დროებაში" წერდნენ: „ამ უკანასკნელ დროს მივმართეთ თხოვნით ბ-ბ. მელ. ნაკაშიძეს და ნესტ. კონტრიძეს, რომელთაც საუცხოოდ იციან ნამდვილი, ძველებური გალობის კილო, რომ მიეღოთ შრომა და ესწავლებინათ ჩვენთვის ეს საეკლესიო გალობა... ბ-ბ. მელქ. ნაკაშიძისა და ნესტორ კონტრიძის შემწეობით ვეღირსეთ ქართული ხმების გაგონებას ჩვენს სასულიერო სემინარიაში... ამ კეთილ საქმისა და ჩვენი დიდად დაკავებისათვის გულითად მადლობას ვუძღვნით საქვეყნოდ ბ-ბ. ნაკაშიძეს და კონტრიძეს მათი შაგირდები – სემინარიელები."[6]

მამა ნესტორი არა მარტო უბადლო ხმის, განსაკუთრებით ბანის მქონე, არამედ რამდენიმე სიმღერის ავტორი იყო. გურიაში ხალხური სიმღერების ძველ შემსრულებლებს, დღესაც ახსოვთ საოცრად მელოდიური და ლამაზი სიმღერა – „აჭისწყალო ანკარაო" სიმღერის მშვენირება სრულად რომ შეიგრძნოთ აჭისწყლის ხეობა, თავადაც მშვენიერი და ანკარა მდინარე უნდა ნახოთ, რომელსაც გვირგვინად ადგას XIII საუკუნის აჭის წმიდა გიორგის ეკლესია.

აი, სიმღერის ტექსტი:

„აჭის წყალო ანკარაო,
ხან გიჟო და ხან წყნარაო,
შხუილით მორბი – მოქუხარ
და ბრაზდები ჩქარ-ჩქარაო.
კარგი დროის მოწამე ხარ,
მტერებმაც ვერ დაგცალაო.
სულ სავსე ხარ კალმახითა,
ძირქვიანო და წყნარაო.
ორი მხრივ გიდგას ტაძარი
მადიდებელი ღვთისაო...“

გურიაში ცნობილი „ოთხი ნანაც“ ასევე ნესტორ კონტრიძეს ეკუთვნის:

„ვუთხრათ ერთი ოთხი ნანა,
გურულების ოთხი ნანა,
შემოვძახოთ ოთხი ნანა,
სიმღერით ვთქვათ ზოგი რამა:
ოთხი სიტყვა, ოთხი ნანა,
სულ ხარობდეს ეს ქვეყანა,
ახატული, ჩახატული,
თვალმარგალიტისათანა“*

ნესტორ კონტრიძის არაჩვეულებრივი ბანი გურიასა და საქართველოში საყოველთაოდ იყო ცნობილი. მისი უბადლო გალობით, 1910 წელს გურიაში მოგზაურობისას, მოხიბლულა ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი: „ლიხაურის ეკლესია სავსე იყო ხალხით და ტკბებოდა მღვდელ მ. ნესტორ კონტრიძისა და მელქ. ნაკაშიძის გუნდთა ძვირფასი გალობით.“[7] წირვის შემდეგ ყოვლადსამღვდელო ლეონიდე მღვდელ

* სიმღერათა ტექსტი გადმოცემულია მიხეილ შავიშვილის მიხედვით.



ნესტორ კონტრიძე ახალგაზრდობაში

ნესტორ კონტრიძეს სადილზე მიუპატიჟებია, სადაც გალობდა ორი გუნდი თავად მამა ნესტორისა და მელქისედეკ ნაკაშიძის.

1932 წელს გარდაიცვალნენ ცნობილი გურული მგალობლები: სამუელ ჩაველეიშვილი, ნესტორ კონტრიძე და გიორგი ბაბილოძე. ამასთან დაკავშირებით არტემ ერქომაიშვილმა შექმნა სიმღერა „დავკარგეთ სამი მომლხენი“; სიმღერა გურიაში მეტად პოპულარული ყოფილა:

„.... პირველ ხმაში ჩაველეშვილი
კაკანებდა ვით ბულბული,
წვრილს ეტყოდა ბაბილოძე,
სხვაფრივ ენა მოქარგული,
ბანს კონტრიძე შესძახებდა,
დასტკბებოდა სული, გული,
სიხარულით აგავსებდათ,
სამივეს ხმა ერთად თქმული...“[8]

XIX საუკუნის 80-იან წლების ბოლოს მამა ნესტორი მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა. ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესია სოფლის ცენტრში, შემაღლებულზე დგას. ეკ-

ლესია ძველია; იგი გურიის ერისთავთა შორის პირველს, კახაბერ გურიელს აუგია, 1352 წელს. ტაძრის ბოლო წინამძღვარი, ვიდრე მას კომუნისტები დაარბევდნენ, მამა ნესტორი იყო. იგი თავისი სოფლის საუცხოო მოძღვარი ყოფილა. მან ერთ-ერთმა პირველმა გააუქმა ე.წ. დრამის* (საკლესიო) გადასახადი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. ცნობილი ლოტბარი და მომღერალი, მგალობელი არტემ ერქომაიშვილი იგონებს: „ნესტორ კონტრიძე არა მარტო კარგი მომღერალი, იშვიათი პიროვნებაც იყო. ძველად მღვდლები თავიანთ სამრევლო კომლზე ორ მანათს ახდევინებდნენ. ამას ერქვა „დრამაფული", მაგრამ ნესტორ კონტრიძემ ლიხაურის მოსახლეობა სამუდამოდ გაათავისუფლა ამ გადასახადისაგან, ხალხმა მას დიდი მადლობა გადაუხადა. სამაგიეროდ ნესტორს სხვა სოფლის მღვდლებმა უსაყვედურეს: - აწი ჩვენც აღარ გადაგვიხდიან გადასახადსო, მაგრამ ნესტორმა მათ ასე უპასუხა: - ჩემი სურვილი ასეთია და თქვენ როგორც გინდათ ისე მოიქეცითო."[9]

ტაძრის შემოსავლებით მამა ნესტორმა გარკვეული თანხა შესწირა მდინარე აჭისწყალზე რკინის ხიდის მშენებლობას.

ლიხაური თავისი მდებარეობით გასაკუთრებული მნიშვნელობის თემი იყო. სოფლის ბოლოს გადიოდა რუსეთ-თურქეთის საზღვარი. ხშირი იყო თურქთა შემოსევა და ეკლესია-მონასტრების დარბევა, მოსახლეობის აწიოკება. მამა ნესტორის მოღვაწეობა, მისი თანადგომა სოფლის მცხოვრებლებისათვის ამ ძნელბედობის ჟამს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო.

თედო სახოკია, რომელმაც 1897 წელს აღწერა სოფელი ლიხაური და მისი სიძველენი, თავის „მოგზაურობანში" აღნიშნავს:

---

* „დრამა" საქართველოში ყველაზე გავრცელებული საეკლესიო გადასახადი იყო. სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად გადაიხდებოდა. გამოიხატებოდა მარცვლეულის (ძირითადად ხორბლის) გარკვეული რაოდენობით გადახდაში სასულიერო პირების სასარგებლოდ... XIX საუკუნის II ნახევარში "დრამა" განისაზღვრებოდა ერთი კოდი პურითა და ნახევარი კოდი ქერით კომლზე" (ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბ. 1961. გვ. 221)

„ლიხაურის ეკლესიაში შენახულია ტყავზე დაწერილი ოთხთავი ასომთავრული ხუცურით. აქაურს მღვდელს კონტრიძეს დაუკაზმინებია ეს განძი ჩვენის საეკლესიო მწერლობისა და საკმაოს სისუფთავითაც შემოუნახავს..."[10] თ. სახოკია გულისხმობს XI საუკუნის ოთხთავს (ლიხაურის სახარება), რომელიც დღეს დაცულია აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდში (Q-645). დღეისათვის სახარება დაზიანებული და დაშლილია. აკლია გვერდები. ტექსტი ნუსხურია (საზედაო ასოები ოქრომელნით). ოთხთავს აქვს სამი მინაწერი:

„1. ლიხაურის სახარება. 1924წ.

2. „ეს სახარება ეკუთვნის ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიას, გურია, მღვდელი ნესტორ კონტრიძე."

3. „სახარება ესე ძლიერ დაშლილი იყო, რავდენსაც მოვასწარი შევაგროვე და შევაკაზმიე, მე, მღვდელმა ნესტორ კონტრიძემ, 1890-სა წელსა მარტის 21-სა დღესა."[11]

ვინ იცის, რამდენი დაბრკოლება გადახდა თავს გულისხმიერ მოძღვარს ამ საღვთისმსახურო წიგნის ჩვენამდე მოტანისათვის. იგი ხომ გამუდმებით ფიქრობდა და ზრუნავდა ძველი საეკლესიო ნივთების გადარჩენაზე. უფრო მეტიც, უმაღლესი სამღვდელოების (რუსი ეგზარქოსების) ბრძანებებსაც კი არ ასრულებდა. 1912 წელს საქართველოს ეგზარქოსის ინოკენტის (ბელიაევი 1909-1913) საიდუმლო მიწერილობით, ეკლესია-მონასტრებს დაევალათ საეკლესიო ძველი ნივთების სიის შედგენა და თავად ნივთების რკინიგზით გაგზავნა რუსეთის გუბერნიებში. შეწუხებული მღვდელი ექვთიმე ღვთისკაცს (თაყაიშვილი) წერდა:

„ძვირფასო და უღრმესად პატივცემულო ექვთიმე სვიმონის ძევ!

ვთხოვ ღმერთს თქვენთვის ხანგრძლივ სიცოცხლეს თანახმად თქვენი სურვილებისა. სხვა ამ დღეებში გამოგვეცხადა მღვდლებს საიდუმლო მოწერილობა უმაღლესი სასულიერო მთავრობისა, რომლის ნება არ გვაქვს რომ ხალხში ვილაპარაკოთ, რომლებთაც გვევალება მღვდლებს რომ შევადგინოთ სია ეკლესიის ძვირფასი ძველი ნივთებისა, მაგალითად ხატებისა, ჯვარისა, წიგნებისა და სხვადასხვა საუკეთესო სიძველისა; ამნაირი სია უკვე შეადგინა ბლაღოჩინმა თანახმად მოწერილობისა ოთხ წიგ-

ნათ. ერთი აქვე დატოვა და სამი ცალი წარადგინა მოწერილობისამებრ მთავრობის წინაშე. შემდეგ ამისა, როცა იმავე მთავრობისაგან მოწერილობისა ის აწერილი საკლესიო ძველი ნივთები, რომლის სია უკვე წარდგენილია, უნდა ჩავაწყოთ ყულაბაში (იაშიკში), დავბეჭდოთ საკლესიო ბეჭდით და უნდა მივიტანოთ რკინიგზის მახლობელ სადგურზედ და მერე თვითონ წაიღებენ სახელმწიფო ხარჯით, შიდ რუსეთის გუბერნიებში შესანახად. ეს მოწერილობა ეხება დამონებული ერების ეპარქიებს. სახელდობრ, კავკასიის, პოლშის მხარეს, ფილლანდიის ნაწილს, და თურქისტანის მხარეს. ასეთი განკარგულება დიდად საეჭვო მიმაჩნია. ვაითუ ჩვენი ეკლესიის სიძველენი, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარსული ცხოვრებით, მიისაკუთრონ ისე, როგორც ამის გარდაც ჩაუდენიათ ჩვენი საეკლესიო ძველი ნივთების მითვისება. მე არა მგონია, რომ დაგვიბრუნონ უკანვე. ამაზედ მე დიდად ეშიშობ და ვფიქრობ, მაგრამ საშვალება ამ არასასიამოვნო მოვლენისა ჩვენ ვერ მიგვიგნია. ამისათვის მაქვს პატივი მოვაწვდინო თქვენს ცნობამდე, როგორც საუკეთესო მამულიშვილს და გულშემატკივარს თავის ერისას. დაუკვირდით ამა ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და გაგვაგებინოთ როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიდ მართლა თუ მოგვივიდა ყოველივე ეკლესიის განძეულობის გაგზავნის შესახებ მოწერილობა, ან მანამდე რა ზომები მივიღოთ ამ საქმის საშველათ.

დავშთები მარად თქვენი მლოცველი,
მღვდელი **ნესტორ კონტრიძე.**
ს. ლიხაური. 1912 წ. ნოემბრის 19-სა."[12]

საარქივო მასალებში არ ჩანს რუსმა ეგზარქოსებმა აიღეს ხელი თავიანთ განზრახვაზე თუ სამღვდელო პირებმა არ შეასრულეს ბრძანება. უეჭველია, ექვთიმე თაყაიშვილი ბრძანების შეუსრულებლობისკენ მოუწოდებდა მღვდლებს. ისიც ფაქტია, რომ ძველი საეკლესიო ნივთები ლიხაურის ეკლესიისა კომუნისტების მიერ ქვეყნის ოკუპაციამდე შენარჩუნებული იქნა. ზოგი რამ მერე გაანადგურეს და დაიტაცეს, რამდენიმე ნივთმა კი მუზეუმში დაიდო ბინა. ლიხაურის სახარება 1924 წელს ქარ-

თველმა მეცნიერებმა ა. შანიძემ და შ. ამირანაშვილმა ოზურგეთიდან თბილისში ჩამოიტანეს და ასე გადაარჩინეს დაკარგვას.[13]

მამა ნესტორი სოფელ ლიხაურში ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების ხელმძღვანელი ყოფილა. განყოფილება 1912 წელს შეიქმნა, რომელმაც მიზნად დაისახა სახალხო სკოლისა და სამკითხველოს დაარსება; მოღერალთა გუნდის ჩამოყალიბება; ძველი საეკლესიო და ისტორიული ნივთების მოვლა-პატრონობა, მათი აღნუსხვა. 1914 წელს საზოგადოებას ლიხაურში სამკითხველო შენობის აგება დაუწყია და მთავარი გამგეობიდან შემოსაველის ოცი პროცენტის დატოვებას ითხოვდა.[14] უფრო ადრე კი, 1910 წელს, საზოგადოებას მიმართავდა თხოვნით ლიხაურში სამკითხველოს გახსნის გამო: „გთხოვთ რაც შეიძლება დაგვიჩქაროთ; პასუხისმგებელი მთავრობის წინაშე მე ვიქნები."[15] განყოფილებასთან დაუარსებიათ დრამატული სექცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს წარმოდგენების გამართვა. ამით შეწუხებული მამა ნესტორი თხოვნით მიმართავს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას უშუამდგომლოს ქუთაისის გუბერნატორთან, რადგან აქედან მიღებული შემოსავლით განყოფილება ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებდა. ამ და სხვა შემოსავლებით ლიხაურის სამკითხველოს ამ დროისათვის გააჩნდა 404 ქართული და 302 რუსული წიგნი, რომლითაც მოემსახურა 790 კაცს. სამკითხველოს გამოწერილი ჰქონდა თითქმის ყველა ქართული და რუსული გაზეთი. 1915 წელს ლიხაურის განყოფილებას სპეციალური დელეგაცია გაუგზავნია აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე, ლიხაურის ოთხ ეკლესიაში პანაშვიდი გადაუხდია; მოგროვილი თანხა აკაკის ზეპირსიტყვიერების ფონდს გადასცეს. ამავე წლის 6 ივნისს საზოგადოებამ გამართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი 40 მანეთი ყოფილა.

1918 წელს, ოსმალთა შემოსევისას, ლიხაურის წიგნთ-საცავი სამკითხველო მთლიანად იქნა განადგურებული. არ გადარჩენილა არც ერთი წიგნი, ავეჯი, სხვა მოწყობილობა. სამკითხველოს შენახვას ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ლიხაურის განყოფილება უზრუნველყოფდა. „დღეს არავითარი იმედები არ

არის შამოსავლის, რაც აისახება იმით, რომ ხალხი უკიდურეს შიმშილს განიცდის, და მხოლოდ გამოკვებაზედ ჰფიქრობს და ზედმეტია მათ იმედებზედ დამყარება. რაც განყოფილებას ებადა ის თითქმის დახარჯულია

გამგეობა იძულებულია სახსრის უქონლობის გამო დახუროს სამკითხველო", - ატყობინებდა მამა ნესტორი საზოგადოების მთავარ გამგეობას და სთხოვდა დახმარებას სამკითხველოს აღდგენისათვის[16].

წერა -კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას განუხილავს მამა ნესტორ კონტრიძის შუამდგომლობა და 1919 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ბიბლიოთეკისათვის გაუგზავნია 500 მანეთის წიგნები[17].

ლიხაურის განყოფილება 1920 წლამდე არსებობდა. თემის საბჭომ გადაწყვიტა თავად მიეხედა სამკითხველოსათვის; გადაწყვეტილება სამაზრო ერობამ დაამტკიცა. მღვდელმა ნესტორ კონტრიძემ შეატყობინა საზოგადოების მთავარ გამგეობას, რომ 1919 წლის 28 ენკენისთვეს ლიხაურის თემის საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა, სოფ. ლიხაურში გაუქმებულ იქნეს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების განყოფილება. სამკითხველოს ყოველგვარი ხარჯი თემმა იკისრა[18]. ასე დაასრულა თავისი მოღვაწეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებამ ლიხაურში, რომელმაც ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა სოფლისათვის.

მალე დრო კიდევ ერთხელ შეიცვალა საქართველოში; იგი უფრო საშინელი და მძიმე გამოდგა, ვიდრე აქამდე. უპირველესად კი ეკლესიისათვის. სოფლის გზაზე მომავალ მღვდელს სალამს აღარ ეუბნებოდნენ. ხმატკბილი საგალობლებისა და სიმღერების ნაცვლად მკრეხელურად მღეროდნენ:

„მღვდელს ანაფორა გაეხადე;
ზარი ჩამოვხსენი
ეკლესია დავანგრიე,
თეატრი გაეხსენი".

მამა ნესტორი დიდი მოთმინებითა და სულიერი მხნეობით იტანდა ყოველივეს. ეკლესია – მონასტრების დანგრევა, საეკ-

ლესიო სიძველეების ფეხქვეშ გათელვა ყოველდღიურ ხასიათს იღებდა. ამის მიუხედავად, მამა ნესტორი მაინც ცდილობდა თავისი მოვალეობა ბოლომდე აღესრულებინა. 1926 წლის 4 სექტემბერს, კომუნისტური ტერორის მძვინვარების პირობებში, ლიხაურის თემაღმასკომს განუხილავს უკვე შევიწროებული ნესტორ კონტრიძის განცხადება „ეკლესიისათვის დასახურავ ქერაბინდის მიცემაზე, რომელიც მართებს თემს მისი მისაცემი.

დაადგინეს: მიენდოს აღმასკომს მოაგვაროს ეს საქმე საამისო წყაროს გამონახვით"[19]. ამის შემდეგ კი, სოფელ ლიხაურის მკვიდრის, უხუცესი მასწავლებლის მიხეილ ვაშაყმაძის მოგონებით[20], კომკავშირლებმა ერთ დღეში დაარბიეს აჭის წმიდა გიორგის, ხიტილაურის (ოქროს მუხურო), ქაქუთის, ჭანიეთის ეკლესიები. შეურაცხყვეს სამღვდელოება. აჭის წმიდა გიორგის ეკლესიის მოძღვარს მამა იოსებს (კონტრიძე) გზაში დახვდნენ, შეიპყრეს, გათოკეს და ანაფორა შემოახიეს. ტაძრიდან გამოტანილი წმიდა ნივთები ცეცხლს მისცეს.

ეკლესიიდან ძალით გამოიყვანეს ქაქუთის ფერისცვალების ეკლესიის მოძღვარი მამა გიორგი (კონტრიძე). ანაფორა გახადეს და წვერი შეკრიჭეს.

დიდხანს ვერ ბედავდნენ ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის დარბევას. მამა ნესტორის დიდი აეტორიტეტი და მოსახლეობის უსაზღვრო სიყვარული მოძღვრისადმი აფიქრებდათ ადგილობრივი რევკომის წარმომადგენლებს. მიხეილ ვაშაყმაძე იგონებს: „მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ლიხაურის ეკლესიის დარბევა. 1924 წლის აგვისტო იდგა. „მაუზერისტებმა" თავიანთი ძალები გააორმაგეს, რადგან ხალხის წინააღმდეგობის ეშინოდათ. ტაძრის ტერიტორიას ალყა შემოარტყეს. მამა ნესტორი სენაკიდან გამოიყვანეს, ხელები გაუთოკეს. ტაძრის გასაღები წაართვეს და ეკლესიის ძარცვას შეუდგნენ. ლიხაურის ეკლესიაში მრავალი ძვირფასი ნივთი და სიწმინდე ინახებოდა. ყველაფერი გარეთ გამოიტანეს და მოძღვრის თვალწინ ცეცხლში ჩაყარეს. თვალცრემლიანი მამა ნესტორი შესცქეროდა ამ საშინელებას და ღმერთს ევედრებოდა: „შეუნდე, უფალო, რამეთუ არ იციან რას იქმან"...

ტაძრიდან გამოიტანეს ძვირფას ყდაში ჩასმული სახარება. ყდა მოაძრეს და ცეცხლში ჩააგდეს. ამ დროს, მამა ნესტორს, კომკავშირელმა ბენია სალუქვაძემ ხელები შეუხსნა. მოძღვარმა ცეცხლიდან აიტაცა სახარება და გულში ჩაიკრა. მას ხელი ვერავინ ახლო"[21]...

ტაძრის დარბევა ამით არ დასრულებულა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი ტაძრიდან გამოიტანეს, ძვირფასი ჩარჩო შემოხსნეს, გამოაბეს თოკი და სოფლის ცენტრამდე ათრიეს. ხატს უკან მოყვებოდა გულში სახარებაჩაკრული მოძღვარი. რევკომისა და კომკავშირის წარმომადგენლები ხატს მუხის გარშემო ატარებდნენ თოკზე გამობმულს და მღვდელს დასცინოდნენ თურმე:" - აბა, ახლა მოახდინოს სასწაული ღვთისმშობელმაო". მამა ნესტორმა მიუგო: „-მეტი სასწაული რაღა გინდათ, გაგაგიჟათ ხატმა და მუხის გარშემო გარბენინებთო."[22]

სიცოცხლის ბოლომდე მას ანაფორა არ გაუხდია. ეკლესიისა და მრევლის გარეშე დარჩენილი მოძღვარი საცხოვრებლად საკუთარ სახლში გადავიდა. ტაძრის დარბევიდან რამდენიმე ხანში სოფლის ცენტრში, მუხის ქვეშ, მჯდარ მამა ნესტორს ვინმე კომკავშირელმა მეგრელაძემ მათრახი გადაჰკრა. თავიდან სისხლმა იფეთქა. დაჭრილი მღვდელი ძმის, ანტონის ოჯახში გადაიყვანეს, სადაც აღესრულა კიდეც.

ცნობილი მომღერალი და მოკრიმანჭულე მიხეილ შავიშვილი, რომელსაც კარგად ახსოვს ნესტორ კონტრიძე, უგალობია კიდეც მასთან ერთად, იგონებს, რომ ტაძრის დარბევის შემყურეს მამა ნესტორს ვერ მოუთმენია და შეუჩვენებია დამრბევები. ორივე უშვილძიროდ გადაგებულა – ერთი სრულიად ახალგაზრდა, მეორე – შუა ხნის ასაკში.[23]

ცნობილი მგალობელი, ხალხის საყვარელი მოძღვარი ლიხაურის ეკლესიის ეზოში განისვენებს*

---

* **საფლავს წარწერა არა აქვს. ლიხაურის ეკლესიის ნინამძღვრის მამა ზაქარიას (მარგალიტაძე) ცნობით, ზუსტადაა ცნობილი ადგილი, სადაც მოძღვარია დაკრძალული. მას, ალბათ, უახლოეს ხანში გაუკეთდება წარწერა.**

ე) მელქისედეკ ნაკაშიძე



„ოდეს საქართველოსა შინა კეთილმზრუნველთა მემამულეთა აღსძრეს კითხვა აღდგინებისათვის ძველისა ჩინებულისა ქართულის გალობისა, მე უღირსმან გავგზავნე მამულსა ჩემსა შინა ერთი ჩემის გუნდისაგან უწარჩინებულესი ცოდნითა გალობისათა თავადი მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელიცა საჯაროსა გამოცდასა ზედა მონოდებულ იქმნა სხვათა მგალობელთა შორის და მიღებული განმწრთვნელად სხვათა", - წერდა „დროებაში" ათონის მთაწმინდის ივერიის იოანე ღვთისმეტყველის ქართველთა სავანის აღმაშენებელი სქემ-მონაზონი ბენედიქტე (ბარკალაია)˙ მ. ნაკაშიძე იმ ცხრა ყმაწვილს შორის ყოფილა, გალობის შესასწავლად მამა ბენედიქტემ გურიაში ანტონ დუმბაძეს რომ მიაბარა, შემდეგ კი ათონის მთაზე წაიყვანა. კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ დეკანოზ პეტრე კონჭოშვილს, რომელმაც იმოგზაურა ათონის მთაზე: „ათონის ქართველთა სავანეში ყოფილა კეთილგანწყობილი მწყობრი ტკბილად მგალობელთა 1880 წლებში, ვიდრემდის ყოფილან ათონზედ მგალობელთა შორის: თავადი მელქისედეკ ნაკაშიძე..."[2] თავად მგალობელიც აღნიშნავდა: „ძველ ათონზე, ივერიის მონასტერში, საეკლესიო გალობისა და წიგნების შესწავლის საქმე სათანადო სიმაღლეზე ავიყვანე."[3]

ნაკაშიძეები გურიის სამთავროს სათავადო გვარებში ერთ-ერთ უწარჩინებულესი გვარის წარმომადგენლები იყვნენ. ასე იუწყება ამ გვარის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო... გურიას გურიელი, იგიცა თვით ფლობს და იტყვის ვარდანის ძეობასა, და სხვანი მის ქვეშენი არიან ესენი: თადგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდამ, ბერიძე, კერლელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხვანი, ეგრეთვე აზნაურნიცა.“[4] წყაროებში ნაკაშიძეები XVII საუკუნიდან მოიხსენიებიან. ნაკაშიძეთა ყველაზე ადრინდელ წარმომადგენლად მამუკა ნაკაშიძე სახელდება. ეს უნდა იყოს გურიის ის წარჩინებული თავადი, რომელსაც XVII საუკუნის პირველი ნახევრის იტალიელი მისიონერი პატრი ჯუზეპე ჯუდიჩი ასახელებს. მამუკა ნაკაშიძისა და მისი ოჯახის წევრთა ფრესკული პორტრეტები ციხის (გურიამთასთან) წმიდა გიორგის ეკლესიაში 1873 წელს უნახავს დ. ბაქრაძეს.[5] ნაკაშიძეთა სათავადოში შვიდი სოფელი შედიოდა: გურიამთა, ვაშნარი, ციხისფერდი, ჭანიეთური, გამოღმა ბაილეთი, ახალსოფელი, მაკვანეთი[6].

მელქისედეკ გიორგის ძე ნაკაშიძე 1858 წელს დაიბადა. დაამთავრა გურია – სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო სასწავლებლის კურსები. 1877 წლის 3 სექტემბერს გამწესებულ იქნა გურიის ფეხოსანი რაზმის ეკლესიის მედავითნედ ოზურგეთში; 1878 წლის 20 ოქტომბერს დაინიშნა ქართული საეკლესიო გალობის მასწავლებლად თბილისის სიონის საკათედრო ტაძართან. 1880 წლის 20 ნოემბერს საკუთარი თხოვნის საფუძველზე გაამწესეს ანჩისხატის ტაძრის მედავითნედ, საიდანაც 1882 წლის 3 აგვისტოს გადაიყვანეს ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. 1886 წლის 14 თებერვლიდან ავლაბრის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში მსახურობს. 1889 წლის 3 მარტიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლის ქართულ საეკლესიო გალობას. 1905-1915 წლებში კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მისიონერია ოზურგეთის მაზრაში[7].

მელქისედეკი გიორგი ნაკაშიძის უკანონო შვილი იყო. ათონის მთიდან დაბრუნებისას, ძმები დაარწმუნა, რომ ათონზე ბერად აღვიკვეცა და მალე ეპისკოპოსი გავხდებიო. ამისთვის კი საჭირო იყო მოწმობა იმის დასადასტურებლად, რომ „კანონიერი“ ძმა იყო

და მაშასადამე თავადი. „ძმებმა“ დაიჯერეს და მისცეს ასეთი მოწმობა, რის შემდეგაც მელქისედეკს ბერობა „გადაუფიქრებია“, ორჯერ შეურთავს ცოლი, ძმებისგან კი მამულის წილიც მიუღია[8]. ალბათ, ამ შემთხვევას გულისხმობდა კათოლიკოს – პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. როცა მისი დახასიათებისას წერდა: „ არის კაცი უეჭველად ნიჭიერი და „ მანქანა“[9].

მელქისედეკ ნაკაშიძეს უნდა გულისხმობდეს წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი), რომელიც თავის მოგონებებში, ოდნავ შეცვლილად, მაგრამ ძირითადად იმავეს ყვება გიორგი ნაკაშიძის უკანონო შვილის ისტორიასთან დაკავშირებით, თუმცა მის სახელს არ ახსენებს[10].

მელქისედეკის მამა და ძმები რუსეთის მეფის არმიაში მსახურობდნენ: „განსვენებულმა მამაჩემმა, თავადმა გიორგი როსტომის ძე ნაკაშიძემ, გურიის ფეხოსანთა რაზმის მეთაურმა და მისმა რაზმმა, მამაცობისა და თავდადებისათვის, იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს ძისაგან წმიდა გიორგის დროშა მიიღო. ჩემმა უფროსმა ძმამ ივანე გიორგის ძე ნაკაშიძემ, ყირიმის კამპანიამდე ოზურგეთში პირველმა გახსნა სამთავრობო პროგიმნაზია და თავად იყო მისი ზედამხედველი. მეორე ძმამ – ილარიონ გიორგის ძემ, დაიმსახურა პოლკოვნიკის ჩინი და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, იმპერატორ ალექსანდრე ალექსანდრეს ძის ყურადღება, რომელმაც მონათლა მისი შვილი ალექსანდრე ილარიონის ძე“[11]- იგონებს მ. ნაკაშიძე.

ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე დღესაც ცხოვრობენ მელქისედეკ ნაკაშიძის შთამომავლები. აქ ჰქონდა მას სახლი, სადაც ასწავლიდა გალობას; მათი მოგონებების მიხედვით, გიორგი ნაკაშიძე პენსიაზე გასვლის შემდეგ ოზურგეთში დასახლებულა, ყმა გლეხის, ჭანიშვილის ქალი შეყვარებია და ცოლადაც მოუყვანია. ნაკაშიძეებს ის არ მიუღიათ. დადიანთან სტუმრობისას იმპერატორი ნიკოლოზი მოხიბლულა გიორგის მეუღლის სილამაზით და ვინაობა უკითხავს. მორიდებიათ იმის თქმა, ყმა ქალიაო და მოუტყუებიათ – ჭანა –ოღლი ბეგის ქალიშვილიაო. აქ გიორგის მეუღლე გაციებულა და ფილტვის ანთებით გარდაცვლილა კიდეც.

მ. ნაკაშიძემ მთელი თავისი ცხოვრება წმიდა წერილის, საეკლესიო-საღვთისმეტყველო წიგნების, ტიპიკონისა და საეკლესიო გალობის შესწავლას მიუძღვნა ბრძენი დამრიგებლებისა და გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

1878 წელს, როცა თბილისში ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გალობის საუკეთესო მცოდნენი თბილისში მოიწვიეს, გურიიდან მაქსიმე ჩხატარაიშვილს თან ჩამოყვნენ მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე და ივანე ხავთასი. სასიამოვნო მოსასმენი ყოფილა ანჩისხატის ტაძარში წირვაზე შესრულებული საგალობლები. გამოცდა ორივე კილოსი (ქართლ – კახური და დასავლურ-გურული) რამდენჯერმე შედგა. პრესა ხან დადებით, ხან უარყოფით შეფასებებს იძლეოდა. პოლემიკაში თავად მელქისედეკიც ერთვება. იგი მომავალშიც არაერთხელ გამოთქვამს თავის მოსაზრებებს პრესის ფურცლებზე. მისი სტილი საკმაოდ თვითდაჯერებულია და ზოგჯერ უხეშიც.

გაზეთ „დროებაში" ვინმე ანჩხატელის წერილზე პასუხისას მ. ნაკაშიძე ცდილობს დაასაბუთოს გურული გალობის უპირატესობა და პირველობა. მოჰყავს ისტორიული ცნობები და გვთავაზობს შემდეგ დასკვნას: „გურიაში არსებობდა და არსებობს კიდევაც ნამდვილი ქართული გალობა." იგი პასუხობს ავტორის ცილისწამებას, თითქოს მას და მის ამხანაგებს ოთხი წლის მანძილზე თბილისში არაფერი უსწავლებიათ. არადა, ქართული გალობის კომიტეტმა მათ მადლობა გამოუცხადა გალობის სწავლებისა და ნოტებზე გადაღებისათვის[12] სამადლობელი წერილი გამოაქვეყნეს თავად სემინარიის მოსწავლეებმაც.[13]

პირობები, რომელშიც უხდებოდა გალობის სწავლება მელქისედეკს თბილისში, არ იყო საუკეთესო. თავიდან მისთვის დაუნიშნავთ ჯამაგირი – ოცი მანეთი. მეცადინეობები სიონის გალავანში ყოველდღიურად ოთხი საათი გრძელდებოდა. პირველი ნოემბრის შემდეგ სახლის უქონლობისა და სიცივის გამო მოსწავლეები მეცადინეობაზე აღარ დადიოდნენ. ცხრა თვე ჯამაგირიც აღარ ეძლეოდათ მგალობლებს. „დღე დღეზე გვპირდებიან და შიმშილით ვიხოცებით." - წერდა მელქისედეკი[14].

ფილიმონ ქორიძის იტალიიდან თბილისში დაბრუნებისათვის გალობის ნოტებზე გადატანის შესახებ პირველი (თუმცა, უშედეგო) ცდები არსებობდა და პოლემიკაც მიმდინარეობდა. ამ დროს მაქსიმე შარაძემ დაარსა თავისი ძმობა და კაბინეტი, სადაც საეკლესიო გალობასაც სწავლობდნენ. მ. შარაძემ ქაშვეთში მოისმინა მელქისდეკისა და მისი გუნდის შესრულებული საგალობლები: „მაქსიმეს გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო და ამბობდა: თურმე რა ტკბილი და კარგი გალობები ყოფილაო!“[15] იგი გამოეცნობილა მელქისდეკს და სთხოვა ესწავლებინა მისთვის გალობა. მელქისედეკი ხშირად დადიოდა მ. შარაძის კაბინეტში და ძმობის წევრებს ამეცადინებდა. მალე იგი, რამდენიმე თანამოაზრე მგალობელთან ერთად, ფილიმონ ქორიძეს ეწვია და სთხოვა მოესინჯათ საგალობლების ნოტებზე გადატანა. ასე დაიწყო ეს თანამშრომლობა. ფ. ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებული საგალობლების ექვთიმე კერესელიძისეულ ხელნაწერებში ხშირადაა დასახელებული მელქისედეკ ნაკაშიძე, რომლისგანაც მოსმენილი საგალობლები ჩაუწერია ფილიმონს.

მ. ნაკაშიძე, საგალობლებისა და სალხინო სიმღერების საუკეთესო მცოდნე, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1908 წელს მასთან დაიწყო საგალობლების შესწავლა არტემ ერქომაიშვილმა. ამავე წლის შობა დღეს, წირვის შემდეგ ნესტორ კონტრიძეს გიგო ერქომაიშვილთან სტუმრად მიუყვანია მელქისედეკ ნაკაშიძე, რომელიც ამ დროისთვის მოსწავლეებს აგროვებდა. ნესტორს გიგოს ვაჟისთვის-არტემისთვის გაუწევია რეკომენდაცია:

„მელქისედეკს ძალიან მოეწონა არტემის ხმა და გიგოს შესთავაზა: - მომეცი ეს ბიჭი, წავიყვან ჩემთან ოზურგეთში, გალობას ვასწავლი უფასოდ და კაცს გამოვიყვანო.“[16] ასეც მომხდარა. არტემ ერქომაიშვილმა მელქისედეკისაგან ორი ათასამდე საგალობელი შეისწავლა, რომელიც 1966 წელს მაგნიტოფირზე ჩაწერა კომპოზიტორმა და ფოლკლორისტმა კახი როსებაშვილმა. 2002 წელს კი ნოტებზე გადაიღო და გამოსცა დავით შუღლიაშვილმა. არტემ ერქომაიშვილთან ერთად მ. ნაკაშიძე გალობას ასწავლიდა კონსტანტინე სალუქვაძეს, ილია ხომერიკს, სამსონ ჭანუყვაძეს, დომენტი ხინთიბიძეს, დომენტი პატარავას. „ჯერ გალობას ვეუფლებით, შემდეგ იმავე გალობას ვარჯიშით. როცა მ. ნაკაში-

ძე ვარჯიშით გალობას გვასწავლიდა, ხშირად დაიხმარებდა ნესტორ კონტრიძეს, რომელსაც ვარჯიშით საგალობლები ძალიან კარგად ესმოდა," - იგონებს არტემ ერქომაიშვილი[17].

მაკვანეთის წმიდა მთავარანგელოზთა ეკლესიის მღვდელს ერმალოზ კალანდარიშვილს 1909 წლის 29 ნოემბერს შემდეგი მოწმობა გაუცია:

„მოწმობა ესე, მიეცა ჩემგან მისიონერს თავადს მელქისედეკ გიორგის ძე ნაკაშიძეს მას შინა, რომელ ზემოთ ხსენებულმა მისიონერმა რწმუნებულ ჩემს მაკვანეთის შტატის ეკკლესიაში ამა მდგომარის წლის განმავლობაშიდ რიცხვით ექვსხელ, წარმოთქვა ქადაგება სამღვრთო სჯულზედ, რომელიც მისი ქადაგებით დიდი მადლობა მიიღო ამავე ეკლესიის მრევლისაგან, და ერთი ჩემი მრევლთაგანი კიდევა თან წაიყვანა გალობის სასწავლად სახელად არტემ გიგოს ძე ერქომაიშვილი, რომელიც ხშირად კვირა უქმე დღეებში გალობს ამავე ეკლესიაშიდ. რასა შინა ვემოწმები ხელის მოწერით ჩემითა და საეკლესიო ბეჭდითა"[18].

როგორც ჩანს, ერთი წლის მანძილზე არტემ ერქომაიშვილი ისე მოუმზადებია მელქისედეკს, რომ იგი ლიტურგიის დროს გალობდა ტაძარში. ასეთი მოწმობები სხვა ეკლესიებსაც ბევრი გაუციათ, მაგრამ ამაზე უფრო ქვემოთ.

მ. ნაკაშიძე აქტიურად მონაწილეობდა გურიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ალიხანოვ-ავარსკის, ტოლმაჩოვის თუ კრილოვის დამსჯელი ექსპედიციების დროს გურიაში ყოველთვის ხალხის მხარდასაჭერად გამოდიოდა. პატივს სცემდა გლეხობას, განსაკუთრებით გალობისა და სიმღერის მცოდნეებს. საკუთარ სახლში ხშირად მართავდა გალობის საღამოებს. აქვე იმართებოდა თვითმოქმედი კოლექტივების წარმოდგენები, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას დები – ეველინა და ცეცილია, ვასო ურუშაძე, ნინუცა ჩიგოგიძე და სხვები[19].

1900 წელს, ყოლადსამღვდელო წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს, რომელიც მაშინ გურია-სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა, ფრიად სასარგებლო საქმე განუზრახავს – ქ. ოზურგეთში ქართული გალობა – სიმღერების შემსწავლელი კაბინეტის გახსნა. საამისოდ წმიდა ეპისკოპოსმა ქალაქის თვითმმართველობას სთხოვა შე-

საფერისი ბინა გამოეყოთ კაბინეტისთვის. ქალაქის თავი დახმარებას შეჰპირდა. გალობის მასწავლებლად მელქისედეკ ნაკაშიძე მოიწვიეს[20]. ამ დროისთვის ოზურგეთში მას საკუთარი გუნდი ჰყავდა.

1860 წელს დაარსდა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება. იგი მიზნად ისახავდა ქრისტიანული სარწმუნოების ინტენსიურ გავრცელებას საქართველოში. განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, ისტორიულ კუთხეებში, რომლებიც არამართლმადიდებლური აღმსარებლობის მოსახლეობით იყო დასახლებული. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე კავკასიის მეფის ნაცვალი ბარიატინსკი იყო, ხოლო 1885 წლიდან მას ეგზარქოსები მართავდნენ. ამ ნაბიჯით მეფის ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას იმედოვნებდა. საზოგადოების მისიონერები ვალდებულნი იყვნენ განემტკიცებინათ და დაეცვათ როგორც ადგილობრივი, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების ინტერესები[21]. მეფის ხელისუფლებამ, რომელიც დარწმუნდა, რომ მოსახლეობა სულ უფრო და უფრო იმსჭვალებოდა ანტისამთავრობო და ანტირელიგიური იდეებით, დაავალა საზოგადოებას გაეძლიერებინა საეკლესიო – საგანმანათლებლო ცხოვრება ეპარქიებში. აგიტატორ – პროპაგანდისტების საქმიანობა განსაკუთრებულად ძლიერი იყო ოზურგეთის მაზრაში, რომელიც 1905 წელს რევოლუციური მოძრაობის კერა გახდა. გადაწყდა, რომ ოზურგეთის მაზრაში შემოღებულიყო მისიონერის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე, ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წარმომადგენლის თავად ერისთავის თხოვნით, მელქისედეკ ნაკაშიძე დაინიშნა. თავის არჩევანს თავადი ერისთავი იმით ხსნიდა, რომ მ. ნაკაშიძე არის ადამიანი, რომელიც სახარების სიტყვით და ქართული გალობით ავრცელებს ხალხში ქრისტიანობას. საზოგადოების საბჭომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გიორგის სთხოვა შუამდგომლობა. ასეთი დოკუმენტი ეპისკოპოსმა 1905 წლის 15 სექტემბერს გაუგზავნა ეგზარქოსს ნიკოლოზს და სრულებით გაიზიარა იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს დადებითი მოსაზრებანი მელქისედეკ ნაკაშიძის შესახებ. 26 ნოემბერს მ. ნაკაშიძე შეუდგა მისიონერის მოვალეობის შესრულებას.

1907-10 წლებში აღიძრა შეკითხვები მ. ნაკაშიძის საქმიანობასთან დაკავშირებით, თუ როგორ ასრულებდა ის მისიონერის მოვალეობას. ეგზარქოსსა და კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები გაეგზავნათ. ეს მასალები ქართული გალობის ისტორიისათვის მეტად საყურადღებოა. ერთი მათგანი ზემოთ გაგაცანით არტემ ერქომაიშვილთან დაკავშირებით. გადავხედოთ სხვა მასალებსაც:

„მოწმობა

ესე მიეცა ჩემ მიერ ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავად მელქისედეკ გიორგის ძე ნაკაშიძეს, მას შინა რომელ ხსენებული მისიონერი, როგორც წარსულს წლებში, ისე ამა 1909 წელში, იყო რწმუნებულს ჩემდამო ლეხოურის ღვთისმშობლის ეკკლესიაშიდ რამოდენიმეჯერ, თავის მიერ შედგენილ მგალობელთა გუნდით. იგალობეს მწუხრზედ, ცისკარზედ და წირვაზედ. განუმარტა ხალხს საღმრთო წერილის მნიშვნელობა, შეაგონა მართლმადიდებლის მეფის ერთგულება და სიყვარული. მის მიერ საეკლესიო გალობით გალობას, ქადაგებას და სწავლებას სასურველი ნაყოფი მოაქვს ხალხშიდ. ერი ყურადღებით ისმენს და საქმითაც ცდილობენ საღმრთო სჯულის აღსრულებას, რომელსაც ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და საეკლესიო ბეჭდის დასმითა. ოკდომბრის 14-ისა დღესა, 1909 –სა წელსა.

ლეხოურის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი

ნესტორ კონტრიძე.“[22]

ლანჩხუთის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე, მის მიერ გაცემულ მოწმობაში აღნიშნავს: „რწმუნებულ ჩემდამი ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიის მთავარს [ ] კონსტანტინე სალუქვაძეს... კარგად აქვს შესწავლილი გურული საელესიო გალობა თავ. ნაკაშიძიდან დუმბაძის კილოზე. მგალობელთა გუნდი შეადგინა რწმუნებულის ჩემდამი ეკკლესიაზე და ლესის ღვთისმშობლის ეკკლესიაზე. ამზადებს ხოროს ლანჩხუთის ნათლისმცემლის ეკკლესიაზედაც. ასწავლის ქართულ გალობა - სიმღერებს ლანჩხუთის ორკლასიან საქალებო საშუალო სკოლაში უსასყიდლოდ. 1912 წლის 14 იანვარი.“[23]

მ. ნაკაშიძე დატოვეს მისიონერის თანამდებობაზე. მიუხედავად მისი ნაყოფიერი საქმიანობისა, რასაც ამ საზოგადოების ანგარიშები ადასტურებენ, ეგზარქოსს ინოკენტის წინადადებით მისთვის ხელფასი 800 – დან 300 მანეთამდე შეუმცირებიათ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მან არაერთხელ მიმართა ეგზარქოსს და წმიდა სინოდის ობერპროკურორს:

„მიუხედავად იმისა, რომ ეგზარქოსმა ინოკენტიმ და საზოგადოების საბჭომ არ დამაკმაყოფილეს, მე არ დავყრი ფარ – ხმალს, არ მივატოვებ წარმატებით დაწყებულ საქმეს, რომლის სულიერ ნაყოფს, იმკის მოსახლეობა.“[24]

საინტერესოა გავეცნოთ, როგორ აფასებდა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება მისიონერ მ. ნაკაშიძის საქმიანობას:

„მისიონერი 80-მდე ეკლესიაში კითხულობდა ღვთის სიტყვას და განმარტავდა მას. ასეთივე ქადაგებებს ატარებდა იგი სოფლებში, მოედნებსა და კერძო სახლებში... თავადი ნაკაშიძე ავრცელებდა წმიდა წერილის წიგნებსა და საღვთისმეტყველო-ზნეობით ბროშურებს. მისიონერის დიდი დამსახურება გამოიხატება იმაში, რომ მან მოახერხა მრავალ სამრევლოში ორგანიზაცია გაეკეთებინა საეკლესიო გუნდებისათვის. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისიონერმა თავისი ქადაგებებით საეკლესიო ღვთისმსახურებაზე მიიზიდა ისინიც, ვინც პოლიტიკური ზეგავლენით საერთოდ მიატოვა ეკლესია... იყენებდა რა ხალხის ნდობას, მისიონერი ნაკაშიძე რევოლუციური მოძრაობის დროს წარმოადგენდა შუამავალს მთავრობასა და ხალხს შორის... ასეთი საქმიანობის დროს მთავრობამ, მისი წარდგინებით, 80 ჯარისკაცი – დეზერტირი შეიწყალა გურიაში“[25]...

„მისიონერის მთავარი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან გურიაში ააღორძინა ძველქართული გალობა. ამ მიზნით, მან ორგანიზაცია გაუკეთა მგალობელთა გუნდებს, და როგორც საეკლესიო გალობის საუკეთესო მცოდნე, ხალისით მიდიოდა საეკლესიო საგალობლების შესწავლის ყველა მსურველთან, დასახმარებლად. მისი ერთ-ერთი მოსწავლე (დიაკონი სალუქვაძე) ოზურგეთის საეკლესიო – სამრევლო სკოლებში ახლაც ასწავლის საეკლესიო გალობას.“[26] ამ შეფასებების მიუხე-

გიორგი ბაბილოძის, გიგო ერქომაიშვილის, გიორგი იობიშვილის, არტემ ერქომაიშვილის, ეგნატე იობიშვილის, ნანიკო გურაძესა და შამა ბერაძის თხოვნის წერილი მელქისედეკ ნაკაშიძისადმი. 1907 წ. 19 მარტი.

დავად, 1915 წლის 12 იანვარს მისიონერის თანამდებობა ოზურგეთის მაზრაში საერთოდ გააუქმეს. მომავალში პენსიის აღდგენაზეც უარი უთხრეს.

როგორც ვნახეთ, 1905-1915 წლები მ. ნაკაშიძისათვის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, განსაკუთრებით საეკლესიო გალობის სწავლებისა და ფეხზე დაყენებისათვის. მივმართოთ ისევ საარქივო მასალებს:

„მის ბრწყინვალებას
ოზურგეთის მაზრის მისიონერს თავადს **მელქისედეკ ნაკაშიძეს,**
სოფელ მაკვანეთის მცხოვრებლების
გიორგი ბაბილოძის, გიგო ერქომაიშვილის,
გიორგი იობიშვილის, არტემ ერქომაიშვილის,
ეგნატე იობიშვილის, ნანიკო ბურძგლასა და შამა ბერაძისაგან
თხოვნა

არა უცნობელი ბრძანდება თქვენი ბრწყინვალება მაზედ რომ, ჩვენ გვეხალისებოდა და ჩვენის ნებით და სურვილით მოვემზადეთ რამოდენათაც შესაძლებელია საეკლესიო საგალობლებში. როგორც თქვენთან, იგრე სხვა პირებთანაც, შეგვიძლია ვიგალობოთ სამი წირვის წესები, წესის აგების საგალობლები და აგრეთვე ქორწინების საგალობლებიც. ვალდებულად ვხდით ჩვენ თავს ზემო აღნიშნული პირები ჩვენი შტატის ეკკლესიის მღვდელს დავესწრათ ყოველ დღესასწაულებზედ, კვირა უქმე დღეებზე და აგრეთვე ყოველივე საჭიროების დროს, უკეთუ გვექნება თქვენი შემწეობით დანიშნული ჯამაგირები. ამასთანავე ვალდებული ვიქნებით დავემორჩილოთ ყოველივე განკარგულებას, რაშიდაც ვალდებულს გაგხვდის თქვენი ბრწყინვალება, რამოდენათაც მას ჩვენ შევძლებთ, ვეცდებით მოვამზადოთ ყოველივე საგალობლები, რაც შეიძლება უფრო უკეთესად.

ხელმოწერები.
1907 წ. 19 მარტი.“[27]

ასეთივე თხოვნით, მელქისედეკ ნაკაშიძისათვის მიუმართავთ სოფელ კვირიკეთიდან – იულიანე კეჭაყმაძეს, ქიშვარდი ჩხატარაიშვილს, სამსონ საბაშვილს; ბოხვაურიდან-ნიკო ჩაელეიშვილს, იოსებ მენაბდეს, ისიდორე მუჯირს, რაჟდენ მუჯირს; ნაგომრიდან – მალაქია, ალექსანდრე და გრიგოლ ცქიტიშვილებს, პავლე

ჩიჩუას, ბესარიონ ჯაშს, გლახუნა ლომთათიძეს, ფარნა კობალაძეს; შემოქმედიდან – თეოდოსი მაქსიმეს ძე ჩხატარაიშვილს, ნიკიფორე ბარამიძეს და დავით ქველის ძე ჩხატარაიშვილს; ფარცხმიდან – მასიკო, გიორგი, ფარნაოზ, სეფე ცინცაძეებს, ალექსანდრე ჩხიკვაძეს, კაპიტონ ცინცაძეს; იანეულიდან -მიხეილ, გიგო, გრიგოლ კეკელიძეებს, ესე კალანდაძეს, ანტონ თოდრიას, ონიფანტე ცინცაძეს, სოლომონ კეკელიძეს. საფიქრებელია, რომ ამ დიდი მგალობლებისაგან შეადგინა საეკლესიო გუნდები მ. ნაკაშიძემ, რომელზედაც საუბარია კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ანგარიშებში[28].

სიცოცხლის ბოლო წლები მ. ნაკაშიძემ ბათუმში გაატარა. 1919 წელს იგი ბათუმის სკოლებში გალობის მასწავლებლად მიუწვევიათ. დაქვრივებულ მგალობელს ცოლად შეურთავს მოახლე ელისაბედი. პირველი ქორწინებიდან მას ორი შვილი ჰყოლია – მართა, პროფესორ კალიაშინსკის მეუღლე, გარდაიცვალა მოსკოვში, შვილები არ დარჩენია; და გიორგი, რომელიც 1937 წელს გადაასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკაშიძე იყო. იგი სასწაულებრივად გადაურჩა დახვრეტას. გიორგის ჰყავდა შვილები – ვალერიანი და თამარი. ვალერიანის ოჯახი დღესაც ცხოვრობს ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე.

ბათუმში ცხოვრებისას იგი აგრძელებდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. ცნობილი ლოტბარი, მისი მონაფე ნესტორ ჯიბლაძე წერს: „მ. ნაკაშიძესთან ჩემი მონაფეობის წლები იყო საუკეთესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. ამ დროს გავიგე და ვიგრძენი ხალხური ხელოვნების სიტკბო, სიმდიდრე და შთამაგონებელი ძალა.“[29]

1925 წელს მგალობელი ბათუმში ინახულა ფილიმონ ქორიძის შვილმა მიხეილ ქორელმა. ამ დროისათვის მ. ნაკაშიძე ძალზე მოხუცებული იყო. „მძიმედ და უცნაურად ლაპარაკობდა, იგონებდა, საუბრის საგანს უხვევდა.“[30] მ. ქორელს მამამისის დაკარგული ხელნაწერი ნოტების ბედი აწუხებდა. იგი ამ დროს ხელოვნების საქმეთა აჭარის კომიტეტის თავმჯდომარე იყო და მატერიალურ გაჭირვებაში მყოფმა მგალობელმა მას დამსახურებული მომღერლის „ჩინი და პენსია" სთხოვა. მ. ქორელს ამის გაკეთება არ შეეძლო, რადგან კომუნისტები, სასულიერო დამსახურებისათვის არც



მღვდელი ნესტორ კონტრიძე, მელქისედეკ ნაკაშიძე და ეარლამ სიმონიშვილი

პენსიას და არც წოდებას არ იძლეოდნენ და უარი გულახდილად უთხრა. „ეწყინა, ძალიან ეწყინა. ეხედავდი, რომ ამ უარით ჩემივე საქმე გავაფუჭე. მიუხედავად ამისა ბინაზე წავედი სამჯერ და სამივეჯერ უშედეგოდ."[1]

1929 წელს მელქისედეკი თბილსში ჩასულა, უნახავს კოტე ფოცხვერაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ეაშაკიძე. ისინი დაპირდნენ, რომ ნახავდნენ ფილიპე მახარაძეს და გადაუწყვეტდნენ პენსიის გადიდების საკითხს, მაგრამ, ამაოდ. 1932 წლის 13 დეკემბერს მელქისედეკს კოტე ფოცხვერაშვილისათვის მიუწერია: „...თქვენ რომ ორი ქალალდი გამომატანე მელქისედეკ ნაკაშიძეს პენსია მოუმატეთო, დაიდვეს წინ. ჯერჯერობით უყურადღებოდ არის. ზოგმა მოხელემ მითხრა იმგენს თითონაც შეეძლოთ მოემატებინათ პენსია – ათას ორ ადგილას ჩამომექცა, ჩამომიდვინდა გაჯი წვიმისაგან, ფეჩის და შეშის ფული არ მაქვს რომ ვიყიდო, ღვინოს ხომ ვეღარ დალევს კაცი და ასეთი გაჭირვებით თუ შევძელი და დაგხვთი ცოცხალი მეტი ბედნიერება რაღა მინდა. თქვენი ერთგული სიმონ



გიგო, არტემ ერქომაიშვილები (მარჯვნიდან)
მელქისედეკ ნაკაშიძის დაკრძალვაზე. 1934 წ.

წერეთელი მწერდა, შემოდგომაზე ჩამოვალ და იუბილეის გადაგიხთიო, აღარც ის ვიცი რა დაემართა, ოღონდ კარგად იყოს, იგიც მწყალობელია ჩემი."[32]

ბათუმის მუსიკალურმა საზოგადოებამ გულთბილი შემოქმედებითი საღამო გაუმართა მ. ნაკაშიძეს 1933 წელს. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობდა აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული ანსამბლი არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

1934 წელს მელქისედეკ ნაკაშიძე გარდაიცვალა. თებერვლის სუსხიან დღეს დიდი მგალობელი „სოუქსუს" სასაფლაოზე დიდი პატივისცემით დაკრძალეს. გაისმოდა სამგლოვიარო საგალობლები – გიგო, არტემ ერქომაიშვილებისა და დიმიტრი პატარავას შესრულებით. მისი ზანდუკის გახსნაზე მეუღლემ უარი თქვა. ვინ იცის, რა საუნჯეს ინახავდა შიგნით ცნობილი მგალობელი: „ჩემს სკივრსაც გადავსინჯავ... რაცხა პატარა ქაღალდებია, ფურცლებია... რა ვიცი გამოდგება თუ არა" – ეუბნებოდა იგი მ. ქორელს, მაგრამ... ამაოდ. ყველაფერი დაიკარგა. მხოლოდ სახელი დარჩა დიდი მგალობლისა და მოღვაწისა.

ესტატე კერესელიძე

ისტორია ქართულ საეკლესიო საგალობლების წიგნებზე გადაღებისა

წინასიტყვაობა

წმიდა ექვთიმე ალმსარებლის (კერესელიძე) ეს ნაშრომი ქართული საეკლესიო გალობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც საინტერესოდ გადმოგვცემს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში საეკლესიო გალობის გადარჩენისა და ნოტებზე გადატანის რეალურ სურათს.

ხელნაწერი ინახება აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-ფონდში, ნომრით 840.

ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია წიგნში: „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი Q კოლექცია. ტომი II," სადაც ვკითხულობთ: „ექ. კერესელიძე. ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია. 1936. 136 გვ. 20, 3X14. 5 ქაღალდი: მუყაოს კოლენკორგადაკრული ყდა; მხედრული; აეტორი: ექვთიმე კერესელიძე: 1936 წ. 18 თებერვალი (118 გვ); დაუწერელია 122-135 გვ. შეძენილია ექვთიმე კერესელიძისაგან 1944წ".

ხელნაწერის ბოლოს ე. კერესელიძეს დაურთავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორთან 1941 წლის 22 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების პირი (ავტორის მიერ გადაწერილი).


თავად ხელნაწერში, მე-5 გვერდზე ჩაკრულია „წესდებანი საღმრთო წიგნთ საკითხავად დაარსებული კაბინეთისა" გ. ჩარკვიანის სტამბაში დაბეჭდილი, სულ 11 ნაბეჭდი გვერდი, 1886 წლის 17 მაისს ცენზურისაგან ნებადართული. 28-29 გვერდებს შორის კი ჩაკრულია ფოტო, რომელსაც უკან აქვს შემდეგი მინაწე-

რი: „ნოტის პრეისკურანტი. ამათგან წარმოსდგა საქართველოში ნოტის ამწყობლობა“.

ხელნაწერის ენობრივი ნორმები XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისაა. გადაეწყვიტეთ ავტორის წერის სტილი ძალაში დაგეეტოვებინა, რადგან იგი ეპოქის სულისკვეთებას გადმოსცემს. თანაც, სასურველად არ მიგიჩნიეთ ტექსტის მთლიანი გადამუშავება. რამდენიმე უხეში ორთოგრაფიული, სტილისტური და პუნქტუაციური ფორმა გავასწორეთ თანამედროვე ქართული ენობრივი ნორმებით.

ხელნაწერს დაეურთეთ კომენტარები იმ სასულიერო და საერო პირთა, ზოგიერთი პერიოდულ გამოცემისა თუ წიგნის შესახებ, რომელსაც წმიდა ექვთიმე მოიხსენიებს. რამდენიმე მგალობლის შესახებ ცნობები ზოგადია, რადგან უფრო მეტის მოპოვება ვერვერობით შეუძლებელი გახდა.

ყოველ შენიშვნას, რომელიც დაკავშირებული იქნება ტექსტის სრულყოფასა და მასში მოცემული ფაქტების დაზუსტებასთან, სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ.



წმიდა ექვთიმე ალმსარებლის
(კერესელიძის) ტროპარი:

„მარგალიტნი მრავალსასყიდლისანი სიღრმით
უმეცრებისაით აღმოიტაცენ და ხმათა მიერ
ანგელოზებრთა ეკლესიაი ქართველთა კვალად
განაშუენე; გალობათა სადმრთოთა
გამომხატველო, ღირსო მამა ექვთიმე ეველრე
ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა
ჩუენთათვის.“

ესტატე კერესელიძე. "ისტორია ქართულ საეკლესიო საბალოზლების ნოტებზე გადაღებისა"

1882 წელს თბილისის ქალაქში სცხოვრობდა მაქსიმე როსტომის ძე შარაძე[1]. იგი იყო გურიიდგან ოზურგეთის მაზრის, სოფელ ეწერიდგან; და მსახურებდა ექსპედიტორად გაზეთ „ივერიის" რედაქციაში[2] (ჩვენ დიდ მგოსნის ილია ჭავჭავაძესთან). მან თავისი კეთილი ცხოვრებით, ყველასი გული მოიგო, და არ იპოვებოდა ქალაქში იმისი მომდურავი ან ძვირის მთქმელი კაცი; ყველა იმისი მაქებარი იყო, როგორც მართალი, მოწყალე, კეთილმოქმედი და სხვისი დამხმარე, ყველასთან თავაზიანი, მშვიდობიანი და საქმის ერთგული. და რაცხდენ მას ძლიერ სანდოდ და გონიერ კაცად, ამიტომ მთლად იმას ებარა გაზეთ „ივერიის" საექსპედიციო წარმოების საქმეები. და ისე სახელოვნად უძღოდა, რომ რედაქცია ხშირად მადლიერების წერილებს მიიღებდა გაზეთის გამომწერელთაგან, შეუფერხებლად გაზეთების მიღებისათვის.

მაქსიმეს უყვარდა: ზნეობრივი წიგნების კითხვა და გატაცებული იყო ქართული გალობის სმენითა და სიყვარულით. ამისთვის ჯერ გაიცნო მდაბიო მოსამსახურეთა რიცხვი და ყველას თავისი გულის-პასუხი გადასცა თუ რა კარგი იქნება უფასო წიგნთსაკითხავი დააარსონ, მდაბიო ხალხთა სასარგებლოდ, და მასთანავე შეიღონ ქართული გალობის სწავლა. – ყველას ეს აზრი ძალიან მოეწონათ და გულითადი თანხმობა გამოუცხადეს, მაშინ მაქსიმემ უთხრა მათ: თქვენ ხომ იცით, მე მაქვს თვეში 25 მანეთი ჯამაგირი, და ამ ჩემს ჯამაგირს მთლად შევსწირავ და მოვანდომებ ამ კეთილ საქმესო, ოღონდ თქვენც დამეხმარეთ თვიურად, რამე შემოიტანეთ საძმოთ ამ კეთილი საქმისათვისო. ყველამ თანხმობა გამოუცხადეს და ფულიც შეაგროვეს ვისაც რა შეეძლო.

ამ ფულებით ჯერ ბინა დააქირავეს ბაზრის ქუჩაზე (სასულიერო სემინარიის ქვემოთ), ერთი დიდი სუფთა ოთახი საკუთარის შესასვლელით, ეს იყო 1882 წ. ქირას თვეში აძლევდნენ 25 მანეთს. მასთან შეიძინეს შკაფები, სტოლები და ყოველგვარი ზნეობრივი

წიგნები, და იმ დროის ჟურნალ – გაზეთები და სხვა... ამ რიგად მოაწყვეს უფასო წიგნთ-საკითხავი მდაბიო ხალხთათვის, და დაარქვეს „კაბინეთი"[3]. ექვსი თვის განმავლობაში, ეს ამბავი მივიდა ეგზარხის ყურამდე, თუ ამა და ამ ადგილას შემდგარან ქრისტიანობის მოწინააღმდეგე გუნდიო. ეგზარხმა[4] მაშინვე მისწერა ადგილობრივ ბოქაულს: ბოქაული მივიდა და უთხრა: ვინ არის თქვენში მოთავეო? მაშინ წარმოსდგა მაქსიმე შარაძე და უთხრა: მე ვარ ამ საქმის მოთავე და გამგეო. წაიყვანეს მაქსიმე შარაძე და საპყრობილეში ჩასვეს; სამი დღის შემდეგ ეგზარხის ბრძანებით წარსდგა მაქსიმე მის წინაშე. ეგზარხმა დაწვრილებით გამოიძია – გამოიკითხა თუ რა აზრით, რა განზრახვით და რა სურვილით იყვნენ იგინი შეერთებულნი. ამ ნაირი გამოძიებით ეგზარხი დარწმუნდა, რომ ამათ კეთილი ტრფიალება და სურვილი ჰქონიათ გულში და არა სარწმუნოების გარდაქმნაო. მხოლოდ ეს დანაშაულობა არის: მე რომ არ დამკითხებიანო, მაგრამ ესეც საპატივო არის, რადგან გამოუცდელები ყოფილანო. მაშინ ეგზარხმა მაქსიმეს ნება დართო, „კაბინეთი" ქართული საგალობლო, და იგივე უფასო წიგნთსაკითხავის წარმოება გაეგრძელებინა მხოლოდ წეს-კანონით. წესდება შეადგინეს და მასვე დაამტკიცებინეს, მაშინ დანიშნა მათთვის ორი დეკანოზი ეგზარხმა ამ კაბინეთის ზედა-მხედველად, რომ არაფერი ურიგო არ მომხდარიყო და ექადაგნათ ამ შეკრებულ მდაბიო წრისათვის. ამ ორ დეკანოზთაგანი მხოლოდ ერთი პეტრე კონჭოშვილი[5] ხშირად მოდიოდა ჩვენთან კაბინეტში (გლახა ამინდების განურჩევლად). ბევრი კარგი და საჭირო სიტყვები ვისმინეთ და გავიგეთ ჩვენ მისგან.

წმ. გიორგობის დღეს (10 ნოემბერში) შევიდა მაქსიმე ქვაშუეთის ეკლესიაში; იქ გალობდა მელქისედეკ ნაკაშიძე[6] თავისი გუნდით, მაქსიმეს ძალიან მოეწონა მათი გალობა! სხვათა შორის იგალობეს იმათ წმ. გიორგის ტროპარი: „ტყვეთა განმათავისუფლებელო"... ამ გალობის დროს მაქსიმეს უკვე გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო და ამბობდა: თურმე რა ტკბილი და კარგი გალობები ყოფილაო! გული დაიშოშმინა, და ეკლესიიდგან რომ მგალობლები გამოვიდნენ, მივიდა მაქსიმე და გამოეცნაურა მელქისედეკ ნაკაშიძეს და სთხოვა: თქვენი კარგი გალობა ჩვენც გაგვიზიარე

და გვასწავლე ჩვენცაო. მელქისედეკი დაჰპირდა მოსელას და გალობის სწავლის დაწყებას. ეს იყო 1885 წ.

ეგზარხისაგან ნება-დართული წესდება მაქსიმემ სტამბაში დააბეჭდინა 1886 წ. და გვქონდა სახელმძღვანელოთ ყველა მასში შემავალთ. ჩვენ მდაბალ მოსამსახურეთა ახალი შემდგარი მცირე წრე შევსდგებოდით ათი-თორმეტი კაცისაგან და წესად გვქონდა დილით 6 საათიდგან 9 საათამდი ღია იყო „კაბინეთი" საგალობლო წიგნთ-საკითხავი და საღამოს 4 საათიდგან 10 საათამდე. იმიტომ რომ სხვა დროებში არ ეცალათ მდაბიო მოსამსახურე ხალხს მოსვლა. კერძო შემომავალი ხალხი ბევრი შემოდიოდა, როგორც ქართველები, ეგრეთვე ოსებიც.

ერთ დროს მოსულა მ. ნაკაშიძე (როგორც დაპირება ჰქონდა), მოსდგომია გარედგან შემოსასვლელ კარებს, გაჩერებული ყურსუგდებდა აბა რას შვრებიანო, შენიშნა რომ, გალობას რამდენს დაიწყებდენ იმდენს შეეშლებოდათ. მაშინ მელქისედეკს გულმა არ მოუთმინა და შევიდა შიგნით; ყველას მშვიდობა და გამარჯვება უთხრა, შემდეგ დასხდნენ და გალობაზე ლაპარაკი დაიწყეს. მაქსიმემ უთხრა: ოღონდ გალობა გვასწავლეთ და ფულს რამდენიც გნებავთ მოგართმევთო. მელქისედეკმა უთხრა: მეც მინდა რომ დაგეხმაროთ და თქვენ რაც გინდათ ის მომეცითაო, და აღუთქვა საღამ-საღამოობით ვივლი და თქვენც ეცადეთ ვისაც გალობის სწავლა სურს ყველა ერთად იყოთო.

მეორე დღის საღამოს მელქისედეკს თავისი გუნდი შეეგროვებია, მივიდენ კაბინეთში საგალობოთ, მათ იგალობეს და ყველა იქ დამსწრეებმა ისმინეს და ძალიან აღტაცებაში მოვიდნენ. მაშინ ვისაც ხმა ჰქონდა, ყველამ გალობის სწავლა მოინდომეს. შემდეგ დღეებში დაარჩია თუ რომლებს უფრო შეეძლო სწავლა დამაგრება.

გალობას ყველაზე უფრო ნიჭიერად და ჩქარა სწავლობდა მ. შარაძე, და მასვე ავალებდა მელქისედეკი რომ დილ-დილაობით მას დაესწავლებია სხვებისათვის. ამ რიგად დაიდვა წესად და ჩვეულებად მოსვლა და თავის დროზე წასვლა. ხშირად მოიყვანდა დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი ეპისკოპოს ალექსანდრეს' და შემოსვლისთანავე გახარებული იტყოდა: გამარჯობა ჩვენო საქარ-

თველოს შვილებო! ქართველებო, გურულებო, იმერლებო, მეგრელებო და ოსებო! ეცადეთ, ეცადეთ! ხოლო ჩვენ დამხდომი მგალობლები, მათ შემოსვლისთანავე, ღირსა არსს უგალობდით და მერე დასხდებოდენ სამუსაიფოთ... ეპისკოპოსი ალექსანდრე მაშინვე წამოიძახებდა ხოლმე: აბა გურულებო, იმერლებო, ერთი „სული-გული" მიგალობეთ „სული-გულიო". მაშინვე ავსდგებოდით და ვიგალობებდით და შემდგომ ამისა სხვა რამეებსაც გვაგალობებდა და ამით ძლიერ გახარებული იყო. ბოლოს წასვლის დროს კიდევ ღირს არსის გალობის თქმით გავისტუმრებდით. ასე გრძელდებოდა ჩვენი ცხოვრება: და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, ბევრი საგალობლები დავისწავლეთ მისგან.

ეს დროება იყო, როდესაც იტალიის ოპერის მომღერალი ფილიმონ ქორიძე[8] იტალიიდგან ჩამოვიდა ქალაქ თბილისში, რომელსაც ხალხი დიდის დიდებით და პატივით მიეგება.

შემდეგ დროში, მელქისედეკმა მოისურვა ფილიმონის გაცნობა, მივიდა მის ბინაზე და ერთმანეთის გაცნობით, ორივემ ფრიად ისიამოვნეს... მაშინ მელქისედეკმა ჰკითხა: ამბობენ რომ ქართული გალობა ნოტებზე ვერ გადავა ვერ დაიწერებაო, მაგრამ მე ვფიქრობ, თუ კი რუსულად არის და სხვა ტომთა ენებზე გადაღებული და დაწერილი, რატომ ქართულადაც არ უნდა შეიძლებოდეს? ფილიმონმა უთხრა, როგორ არა! ქართული სიმღერა და გალობა კარგად. შეიძლება, რომ ნოტებზე გადავიღოთ და დავსწეროთო. მაშინვე კიდევაც უჩვენა ფილიმონმა ქართული სიმღერები ნოტებზე დაწერილი, უმღერა და დაარწმუნა, რომ ნოტებზე ყველა ნაირი ხმა და სიტყვები დაიწერებაო. მაშინ მელქისედეკმა განაგრძო: გურიის დიდი მგალობლები: ანტონ[9], გიორგი[10], დავით[11] დუმბაძეები, და სხვები, რომელთაგან მისწავლია, დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ეროვნული დიდება და ცოდნა ნოტებზე იქმნეს დაწერილიო, რადგან დროის განმავლობაში ემჩნევა, რომ სრული ქართული გალობის მოსწავლენი მცირდება და ბოლოს და ბოლოს, ეს დიდი მცოდნე მგალობლებიც დაიხოცებიან და გალობაც დაეკარგება ჩვენს მომავალ თაობასო.

მაშინ ფილიმონმა უთხრა: მართლაც რომ დიდად საჭირო არის, ჩვენი ეროვნული სიმღერა და გალობა ნოტებზე დაიწეროს,

ამიტომ მე ჩემის მხრიდგან ძალიან ვეცდები, რომ ეს საკეთილო საქმე ფეხზე დავაყენოთო. მას დროსვე მოილაპარაკეს თუ როგორ მოიქცნენ ამ საქმის შესახებ. ფილიმონმა უთხრა: შენ შენის გუნდით მოდით აქვე, აგერ დასაკრავი ფორტოპიანო, თქვენ იგალობეთ, მე დაუკრავ და დავსწერო. დანიშნულ დროს მოიყვანა მელქისედეკმა თავისი თანაშემწე მგალობლები; ფილიმონმა უთხრა მელქისედეკს: დაიწყეთ გალობა, რომელიც უნდა დავსწეროთ ჯერ რამდენჯერმე სთქვით, რომ ვისმინო და დაუკრაო; მელქისედეკმა და მისმა ამხანაგებმა დაიწყეს ჭრელი საგალობელი: „განმანათლებელი ჩვენი“. ფილიმონმა უყურა-უყურა და მერე სთქვა: ჯერ-ჯერობით კრიმანჭულებს ნუ დავსწერთ, სანამ გაუჩვეველი ვართ და როცა გავეჩვევით, მაშინ კრიმანჭულებიც შეიძლება და ქაჯურიც. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჯერ წირვის წესის საგალობლები დავსწეროთ პატარ-პატარა, და როცა რომ დავასრულებთ წირვის წესს, მაშინ ვიგალობოთ კიდეც და ამითი დაუმტკიცოთ საზოგადოებას, რომ შესაძლებელ არის ქართული გალობის ნოტებზე დაწერა - გადაღება და გალობა. ეს რჩევა მოსაწონი გახდა, და დაიწყეს წირვის წესის გადაღება 1884 წ. სწერდნენ თავისუფალ დროებში და როცა დაასრულეს ერთი წირვის – წესი, მაშინ ფილიმონმა სთქვა: ახლა მე ეს ჩემ ხოროს უნდა ვაგალობებიო, რომელთა არ იციან ქართული გალობა, თუმცა ჩემ ხოროში რუსებიც არიან მომღერლები და ერთად რუსებთან რო ვიგალობებთ, მაშინ საზოგადოება უფრო დარწმუნდება, რომ რუსებმაც კი იგალობეს ნოტების საშვალებით ქართული გალობაო.

ამ რიგად გააწყო ფილიმონმა ახლად დაწერილი გალობა; ჯერ აგალობა აქ თბილისში, ყველასათვის სასიამოვნო და გასაკვირველი გახდა და ფილიმონმა საზოგადოებისაგან დიდი მადლობა მიიღო.

შემდგომ ამისა, ქუთაისში მისწერა ფილიმონმა გაბრიელ ეპისკოპოსს[12], თუ ჩვენ აქ ქ. თბილისში ნოტებზე გადავიღეთ და დავსწერეთ იმერულ კილოზე წირვის –წესის საგალობელი და თუ ნებას მოგვცემთ ჩამოვალთ და თქვენი საზოგადოების თანა დასწრებით ვიგალობებთ?.. ამ წერილით გაბრიელ ეპისკოპოსმა დიდათ გაიხარა, და მაშინვე პასუხი მოსწერა ფილიმონს: დიდათ მო-

ხარული ვიქნებით, პირ-იქით ამ დროსთვის ბევრ გამოჩენილ პირებსაც დავისწრებო. ფილიმონმა მიიღო პასუხი და მოემზადა თავისი გუნდით ქუთაისში წასასვლელად.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა მისწერა წერილები სხვა და სხვა ადგილებში, სადაც გამოჩენილი პირები და მგალობლები იყვნენ; დანიშნულ დროს მოვიდნენ გურიიდგან, დიდი მგალობლები: ჯაბა გურიელი და მისი ძმა ტელემონი[13] თავის კრებით; ეგრეთვე ანტონ, გიორგი, დავით დუმბაძეები და მათთან სხვა მრავალნი. ქ. ხონიდგან და მარტვილიდგან მოვიდნენ დიდი მგალობლები: დიმიტრი ჭალაგანიძე თავის გუნდით, და ვასილ და არისტოვლე ქუთათელაძეები და სხვები. რაჭა ბარაკონიდგან მოვიდნენ დიდი მგალობლები ასლან ერისთავი თავისი მგალობლებით. ნიკორწმიდიდგან მგალობლები კანდელაკები, და დაბა ჩხარიდგან: დიდი მგალობლის დავით ჩხარელის მგალობლები. ეგრეთვე, გელათიდგან შოთაძეები და კანდელაკები. ჯრუჭიდან და საჩხერიდან, მგალობლები წერეთლები და სხვები.

ყველა აქ ხსენებულ პირებს საკვირველად მიაჩნდათ, თუ როგორ შეიძლება რომ ქართული გალობის ხმები ქაღალდზედ დაიწეროსო, და ამიტომ სახალისო ამბის გასაგებად მივიდნენ და დაესწრნენ.

დანიშნულ კვირა დღეს, გაბრიელ ეპისკოპოსი ქუთაისის სობოროში წირვას შეუდგა, ამავე დროს ფილიმონ ქორიძე თავისი გუნდით სამგალობლოზე შესდგნენ. ამ დროს ჩავარდა ხალხში ჩემი სიტყვა: რუსებმა ქართულად უნდა იგალობონო! ხალხი ისე ბევრი იყვნენ რომ შიგნი და გარეთ აღარ იტეოდა.

დაიწყეს წირვა და დაიწყეს გალობაც, ყოველი ხალხი განკრძალულად იდგნენ და სულ სმენად იყვნენ გადაქცეულნი. ფილიმონ ქორიძემ და მისმა გუნდმა ძლიერ მტკიცედ და მშვენიერად აღასრულეს მთელი საგალობლები, ფილიმონი თავის დიდ ბანს ხანდახან გაურევდა ხოლმე გალობის დროს. და ყველა აღტაცებული შეიქმნენ ტკბილი გალობის სმენით. გაბრიელ ეპისკოპოსმა და მასთან გამოჩენილმა ხალხმა დიდი საქები და სადიდებელი სიტყვები მოახსენეს ფილიმონს, რომლების სიტყვების შინაარსი ესე გამოიხატებოდა: ემადლობთ ჩვენს დიდ მოთავე ქართველებს,

რომლებმაც ჩვენ ნიჭიერ ერის შვილს ფილიმონს, დახმარება გაუწიეს და უცხო ქვეყნებით სწავლა დაასრულებიეს, და მერე მობრუნდა თავის საყვარელ ქვეყანაში. მათი სწავლა-განათლება, ჩვენს ხალხსა და ერს ძღვნათ მოუტანა. ჩვენი ხალხის სიმღერა-გალობას, მძლავრის ხმით დასძახა: აწი უნდა აღსდგეო; და ჩვენი ხმათა სიმშვენიერე და სიდიადე, სხვათა სამეფოთა შორის უნდა იდიდებოდეს.

ამის შემდეგ მივიდნენ ფილიმონთან გალობის მცოდნე პირები და უთხრეს: ჩვენ ყველა დარწმუნებულები შევიქენით, მით რომ, თურმე ქართული გალობა-სიმღერის ნოტებზე დანერა შესაძლებელი ყოფილა, მაგრამ ეს რათ გინებებიათ რომ, ზოგიერთი გალობები, მაგ. რომელი ქერუბიმთა, დავითარცა მეუფისა და შენ გიგალობთ, გადაქმნილი და გადაგვარებული ხმით დაგიწერიათო, ასე რომ თავის ბუნების ხმაზე არ დაგიწერიათო? ფილიმონი შეჩერდა და სთქვა: კარგათ მოგეხსენებათ, მე ქართული ზეპირი გალობა არ მისწავლია, მე ვიცი ნოტები; ნოტებს რასაც ჩასძახებთ, იმას ამოგაძახებსთ და მე რაც მიგალობეს, ის დავსწერე და ის ვიგალობეთ და კანონიერი გალობა იყო თუ უკანონო, ის მე არ ვიცი, ეგ გადამცემლის ბრალიაო. მაშინ მისცვივდნენ მელქისედეკ ნაკაშიძეს და დიდ ბიაბრობაში ჩააგდეს, როგორ გაბედე გალობებს თავის ბუნების ხმას უკარგავ და გარდაქმნილს და გარდაგვარებულად აწერიებო! ამით ჰკარგავ შენ გალობის ღირსებას და შენი თავის პატივსაცაო.

ამ დროს, სანამ ყველა მგალობლები იქ იყვნენ, შეიკრიბნენ და მოილაპარაკეს, სთქვეს: ვსთხოვოთ გაბრიელს ეპისკოპოსს რომ ჩვენი გალობა, რომელსაც ვგალობთ მასთან და ყველაგნ, ნოტებზე დავაწერიოთ, ამაზე თხოვნა მიართვეს, ეპისკოპოსმა გაბრიელმა ეს თხოვნა მიიღო და სთქვა: მეც ძალიან საჭიროთ მიმაჩნია, რომ ჩვენი ქართული გალობა ნოტებზე დაიწეროს, იმიტომ რომ მე როგორც ვამჩნევ ჩვენი გალობის მცოდნეები თანდათან მცირდებიან, და ბოლოს მთლათაც დაგვეკარგება, თუ ეს ნოტებზე არ დავაწერიეთ. ამ დიდ საქმისათვის დაჩქარებაც უნდა და თანხის შეგროვებაც. ამაზე ფილიმონი დაითანხმეს და მერე თანხის ძიებას შეუდგნენ. ამისთვის დააარსა ეპისკოპოსმა გაბრიელმა ქ. ქუ-

თაისში 1884 წელს ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი, რომელმაც ეპისკოპოს გაბრიელის თავმჯდომარეობით გადასწყვიტა: დაევალოს მთელ მის ეპარქიაში შეძლებულ გლეხებს გარდაიხადონ ორ-ორი მანეთი გალობის აღსადგენად და დასაწერად, ამაზე ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიმართვები დაგზავნა თავის ეპარქიაში და შეაგროვეს ფული ხუთასი თუმანი.

მაშინ გალობის აღმადგინებელმა კომიტეტმა აღმოირჩიეს მგალობელთაგანი სამი კაცი: დიმიტრი ჭალაგანიძე[14], რაჟდენ ხუნდაძე[15] და ივლიანე წერეთელი[16], რომელთაც უნდა გადაეცათ ფილიმონისთვის გალობები. ხოლო მეოთხე კაცი ანტონ დუმბაძე იყო დანიშნული, როგორც მათი ზედამხედველი და ამიტომ ხშირად ესწრებოდა ხოლმე მათ გალობას წერის დროს. გალობის წერა დაიწყეს ქ. ქუთაისში 1885 წელს და დაასრულეს 1886 წელს. მათი მორიგება გალობის წერისა და გადაცემისა იყო ასეთი: ყოველ თვითეულ ნომერზე, გინა დიდი გალობა ყოფილიყო, გინა პატარა იღებდნენ თითო თუმანს, და მერე შუაზე იყოფდენ, ნახევარი ფილიმონს, როგორც გადამღებელს და შავათ და თეთრად დამწერს, და ნახევარი სამივე მგალობლებს; ამ რიგად დასწერეს მათ ორი წლის განმავლობაში ხუთს თუმნად, ხუთასი ნომერი საგალობელნი, ვარჯიშით და გამშვენებით. მხოლოდ დაიწერა იმისთანა საგალობლები, რომელნიც ყველაზე უფრო საჭირო იყო წლის განმავლობაში, მაგალითად: სამი წირვის –წესი (ვასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და გრიგოლი დიოლოღოზისა), მეცხრე სძილის - პირები, კატავასიეები, მიცვალებულის წესის აგება, პანაშვიდის წესი, ქორწინების წესი, სადღესასწაულო ტროპარები და ზოგიერთი დიდ-მარხვის საგალობელნი.

ეს საგალობელნი იყო და არის ხუთწიგნად და ყველა წიგნზე აწერია დღესაც გადამღებელი და გადამცემელთა სახელი და გვარი და რიცხვი. ეს ხუთი წიგნი შემდგომად გათავებისა, გადაეცა მათგან ქუთაისის საეპარქიო კანცელარიას და ინახებოდა მუნ.

ამ საგალობელთა დაწერის დროს 1885 წ. ქ. თბილისში მოისურვეს ქართველ მგალობლებმა ძმათა მღვ. პოლიევკტო[17] და მღვ. ვასილ[18] კარბელაშვილებმა და მღვ. მოლოდინოვმა[19] ქართლ-კახურ კილოზე დააწერიეს წირვის წესი, თავიანთის გადაცემით,

ფილარმონიურ სკოლის დირექტორ იპოლიტოვ-ივანოვს[20]; ეპისკოპოს ალექსანდრეს ხარჯით. მერმეთ რუსეთში კაპელაში გაგზავნეს შესადარებლად, და იმათ იქ ყურადღება არ მიაქციეს და დარჩა იქ სამი წელიწადი ხელ-უხლებლად, მერე დაიბარეს და უკან მოუვიდათ, მიღების შემდეგ თვითონვე შეადარეს და შეასწორეს დასაბეჭდად.

1884 წლიდგან, ესტატე კერესელიძემ დავიწყე ერთად მ. შარაძესთან ზეპირი გალობის სწავლა, მელქისედეკ ნაკაშიძისაგან; იმდენად გამიტაცა გალობის სწავლამ რომ ველარც-კი მოვშორდი, და დიდ-დიდ სამზარეულო ადგილებს, რომელიც იყო თბილისის „კრუჟოკი" და სხვა სასტუმროებს (რომელშიდაც ვმსახურებდი) გაურბოდი და გალობას ვეტანებოდი. ამ რიგად მე და მაქსიმე შარაძე გავხდით ერთგული მეგობრები და თანა-ძმა ყოველი კეთილ საქმეებში. ვხედავდი რომ სხვა ამხანაგები შემოეცალნენ, თუმცა დადიოდნენ კაბინეთში. მაგრამ ფულით არ ეწეოდნენ; ყოველივე ხარჯს, თავის საკუთარი ფულიდგან ასწორებდა და სხვებს არასა სთხოვდა, ამისთანა კეთილ მოქმედ კაცს, მეც მხარი დაეუჭირე, სხვები რომ ჩამოშორდა, მე უფრო შეუერთდი და ყოველ ხარჯებს ჩვენ ორი კაცი ვსწევდით. ამასობაში გაგძელდა ექვსი წელიწადი და მეშვიდე 1890 წ. მოვისურვეთ საბეჭდავი სტამბის შეძენა. ამაზედაც იტყოდა ხოლმე მაქსიმე: იმისათვის კი არ გვინდა სტამბის შეძენა, რომ ბევრი ფული მოვიგოთ და მდიდრულად ვიცხოვროთ, არა, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი სტამბით ბევრ კეთილ საქმეს აღვასრულებთო. მეც მომეწონა ეს აზრი და შევთანხმდით სტამბის შეძენის შესახებ.

სწორედ ამავე 1890 წელს გამოეწერა თავის თვიური ჟურნალის საბეჭდავად და გამოსაცემად სომხის მღვდელს ნიკოლოზს, რომლის გვარი არ მახსოვს, გერმანიის უპირველეს საბეჭდავ მანქანათა ფაბრიკიდგან, რომელიც უკვე მიღებული ჰქონდა: დიდი და მშვენიერი ახალი მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინა, სამი ათას მანეთად ღირებული. და რადგან იმას რუსის მთავრობამ ნება არ მისცა სტამბის გახსნისა, ამის გულისთვის თავის ახლად გამოწერილ სტამბის გაყიდვა დააპირა და სწორედ ჩვენ შევხვდით და შევისყიდეთ ეს ხსენებული საბეჭდავი მანქანა, აგრეთვე საკაზმავი, საჭრელი და საპრესო მანქანები. დაგვითმო იმავე ფასებში, როგორც



სახლი თბილისში, ნიკოლოზის ქ. №21-ში.

თვითონ ეყიდა მის ანგარიშის ჩვენებით და ჩვენგან იმ პირობით: რასაც ის ჩვენთან დაბეჭდავდა ჟურნალს თუ ან სხვას ნახევარ ფასში. ასოები კი მისი იყო. ამავე დროს გუბერნატორისაგან სტამბის გახსნის ნებართვა მივიღეთ, ამ ფორმით: „მ. შარაძე და ამხ. სტამბა" – ეს ჩვენი ახალი შეძენილი სტამბა გავხსენით ნიკოლოზის ქუჩა № 21[2]. იმ სახლში, სადაც თვით ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა და თავისი გაზეთი „ივერიის" რედაქცია იქვე მოთავსებული ჰქონდა. ხოლო ქართული, რუსული და ფრანგული ასოები, ასოთჩამომსხმელ მადერისაგან შევიძინეთ მეტი ნაწილი ნდობით.

ჩვენ სტამბის ამხანაგები ვიყავით ოთხი კაცი: მ.შარაძე, ე. კერესელიძე, ვასილ გძელიძე და ივანე ზაქარაშვილი და ჩვენ ერთმანეთ შორის იყო ამ ნაირი პირობა დანერილი:

ჩვენ ოთხი ამხანაგი, ესა და ეს პირნი ვსდებთ ერთმანეთ შორის ასეთ პირობას: სტამბაში ყველა ამხანაგებმა უნდა ვიმუშაოთ და სტამბისაგან რაც სარგებლობა შემოვა, უნდა მოვახმაროთ საზოგა-



ნმიდა ილია მართალი (ჟაჟჟაჟაძე)

დო საკეთილ-მოქმედო საბეჭდავ საქმეებს: ქართული ზნეობრივი წიგნებისა და წიგნაკების ბეჭდვა, გალობის გავრცელება, ნოტებზე გადაღება და დაბეჭდვა და სხვა... ჩვენ ვიმუშაოთ უჯამაგიროთ და ხარჯი კი საერთო თანხიდგან, ისიც უბრალო და მცირე ოდენი. და თუ ჩვენ ამხანაგთაგანი ვინმე გარდაიცვლებოდა, მისი კუთვნილი სტამბა და შეძენილი ქონება რჩება მის დანარჩენ ამხანაგებს, ამავე დადგენილ საკეთილო მიზნის გაგრძელების და აღსრულებისათვის. ასე რომ, მემკვიდრეობაზე და ნათესაობაზე მიცვალებულის კუთვნილი ქონება არ გადადიოდა, და ეს ჩვენი ასეთი პირობა, ნათესავებმაც იცოდნენ. და ჩვენც უნდა გვეცხოვრა პატიოსნებით.

ამ რიგად დავიწყეთ სტამბის წარმოება ხსენებულ ადგილზე 1891 წ. ვბეჭდავდით გაზეთ „ივერიას", სომხურ ჟურნალს, რუსულ «Сельск. хозайств. журнал»[22] და რუსულ Кавказский календарь[23] –ს, აგრეთვე ვალერიან გუნიას გამოცემებს „ცნობის ფურცელს"[24] და საქართველოს კალენდარს[25] სურათებით. აგრეთვე რუსულ, ქარ-

თულ და სომხურ გამოცემულ წიგნებს და ყოველგვარ საქმეებს. ამაეე დროს ვბეჭდავდით ჩვენ გამოცემულ წიგნაკებს და ვეტანებოდით ქართული გალობის გავრცელებას მსურველთა შორის.

ამ დროს ბაზრის ქუჩიდგან გადმოვიტანეთ ჩვენი უფასო სამკითხველო და საგალობო „კაბინეთი" ჩვენივე სტამბის გვერდით ქუჩის მხრისკენ საკუთარ შემოსასვლელით.

ამავე 1891 წელს გაგვაცნო მ. ნაკაშიძემ გამოჩენილი მსახიობი ფილიმონ ქორიძე, რომელიც იმ დროს ქ.თბილისში იმყოფებოდა. ამისათვის ეთქვა ჩვენი ანბავი და მოიყვანა ჩვენს კაბინეთში ერთ საღამოს. და რო გვნახა მუშაობის შემდეგ ყველა შეგროვილი, წიგნების კითხვას და გალობას ვეტანებოდით, ძალიან ესიამოვნა! მან გვითხრა: ახლა ჩამოვედი, ჯერ ბინა არა მაქვს ნაქირავებიო, ჩვენ უთხარით: ოლონდ ნოტები გვასწავლეთ და ჩვენ ბინასაც მოგცემთ და სასწავლებელ ფულსაც მოგართმევთ. მთხოვნელი ვართ, ისე კარგად ვიცოდეთ ნოტები რომ თქვენი დაწერილი საგალობლებით ჩვენცა ვგალობდეთ მეთქი. იგი ამ თხოვნაზედ დაგვთანხმდა და გვითხრა: კარგი, ნოტებს გაწავლით და მასთან სიმღერებსაც, თუ რომ წარმოდგენებში გამყვებითო. ჩვენ თანხმობა გამოუცხადეთ და იმ დროსვე ერთი სუფთა ოთახი წყლით მოწყობილი მივეცით საცხოვრებლად და ამასთან თვიური ჯამაგირი, თვეში ათი თუმანი დაუნიშნეთ შემოსავლიდგან. ამ რიგად დაიწყო ჩვენთან ცხოვრება და ნოტების სწავლება. შევგროვდით არჩეული ხმები ხუთმეტი კაცი და გვასწავლიდა ნოტებს. ჩვენ ხუთმეტ კაცში, სამმა თავი დაანება და თორმეტი დავრჩით. ერთ თვეში კარგად გავეცანით ნოტებს და მერე თან-და-თან სიმღერების სწავლას შეუდექით, შემდგომად სამი თვისა, წარმოდგენებში წავყევით, კარგად და ფრიად სასიამოვნოთ ვასრულებდით კონცერტების წარმოდგენებს.

ერთი წლის შემდეგ ნება გამოვითხოვეთ ფილიმონისაგან ჩვენის მოუცლელობისა გამო მესტამბეები სამი კაცი წარმოდგენებში წასვლას ვერ ვიცლით მეთქი და ნება დაგვრთო.

1891 წელს, ვკითხეთ ფილიმონს: თუ სადმე არის რუსეთის ქალაქებში ნოტების შრიფტი (ასოები), ჩვენ გვინდა გამოვიწეროთ და შევიძინოთ მეთქი. გვითხრა: მოსკოვში უნდა იყოსო, იმიტომ ვიცი რომ, მე შევხვედრივარ იქაურ სტამბაში ნოტებით დაბეჭდილი სიმ-

ღერა გალობის წიგნებსაო. იქ მოკითხვა და გამოძებნა უნდაო. ამის შესახებ იფიქრა მაქსიმე შარაძემ და მივიდა ილია ჭავჭავაძესთან საკითხავად და უთხრა: გვსურს ნოტების ასოები შევიძინოთ, აქ თბილისში არ არის მისი შრიფტი, გვითხრეს მოსკოვში არისო, ხომ არავინ გყავს იქ ნაცნობთაგანი კაცი რომ მივსწეროთ და გვიშოვნოს ნოტების შრიფტი. მან უთხრა: როგორ არა მყავს იქ კარგი მეგობარი ქართველი კაცი, პროფესორი ალ. ხახანაშვილი[24]. ის მოგიხერხებს მაგ საქმესო. თვითონაც წერილი მისწერა და მაქსიმესაც მისამართი გადასცა; ამ მისამართით მიწერეთო. ჩვენ მივსწერეთ და მან მოგვწერა: არის მხოლოდ ამ ნაირიო. ნიმუში გამოეგზავნათ, რომელიც იყო სულ ძველებური მოდა, ოთხ-ოთხ კუთხიანები. ეს ნოტების ნიმუში უჩვენეთ ფილიმონს და სთქვა: ეს არ ივარგებსო, ეს კი არა, ახალი სისტემა უნდა, რომელსაც ახლა ხმარობენ, სიმღერა გალობაზეო. ჩვენც ასე მივსწერეთ. და ზედ-მეტად მივსწერეთ: თუ შეიძლება ეგ ნოტები უსწავლელად ააწყოს, იმისთანა კაცმა, რომელმაც ნოტები კარგათ იცის, ასოთ ამწყობიც და დამბეჭდავიც კარგი არის? იმათ გამოგვიგზავნეს, ნოტების კასის პრეისკურანტი და მოგვწერეს: ამ პრეისკურანტის მიხედვით, ყველაფერს კარგათ შეასრულებსო. ერთი თვის შემდეგ ნოტების ასოები მივიღეთ, სამი ათას მანეთად ღირებული; ჩვენ ძალიან გაგვეხარა ნოტის ასოების მიღება 1891 წელს 10 დეკემბერს. ეს იყო მთელ საქართველოში პირველი შემოღება ნოტების ასოებისა. ნოტის ასოები ჩავარჩიე იქიდგან თან გამოგზავნილ ნოტის კასაში, მის პრეისკურანტის მიხედვით და დავიწყე ჯერ პატარ-პატარა მისი აწყობა. პირველ შემთხვევაში მრავალჟამიერი ავაწყვე, უჩვენე მისი ანაბეჭდი ფილიმონს და მაქსიმეს და დიდად გაიხარეს. ამ დროს ჩვენ და ფილიმონმა მივსწერეთ ქუთაისში ეპისკოპოს გაბრიელს: გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ნოტებზე გადაღებული ქართული საგალობლები, ჩვენს სტამბაში ნოტის ასოები შევიძინეთ და მსურველი ვართ დავბეჭდოთ და გავავრცელოთ მთელ საქართველოში. ეპისკოპოს გაბრიელს ძალიან სასიამოვნოთ დარჩენოდა ეს კეთილი ამბავი. მან მოუწოდა გალობის აღმადგინებელ კომიტეტს და სხვებს; უთხრა მათ, აი, ეს წერილი მივიღე ჩვენი ნოტებზე დაწერილ გალობის შესახებ, და გვთხოვენ: ეგ საგალობლები ჩვენ გადმოგვეცით და დავბეჭდავ-

თო, თქვენ რას იტყვით? ჩემი ფიქრი კი ეს არის, შეიძლება რომ ჩვენ ეგ ვერ დავბეჭდოთ, რადგან რომ მაგის დაბეჭდვას ბევრი ფული უნდა, ჩვენ ფული არა გვაქვს და ტყუილა აქ რო იდვას შეიძლება დროთა განმავლობაში სრულებითაც დაიბნას და დაიკარგოსო. ამ რიგად გადასწყვიტეს თბილისში ე.ი. ჩვენს სტამბაში გამოგზავნა დასაბეჭდად. საგალობელი წიგნები რო მივიღეთ გადავშინჯეთ და შიგადაშიგ წიგნებში ფურცლები იყო ამოჭრილი და საგალობლების რიცხვი აკლდა. ეს ამბავი მივსწერეთ ეპისკოპოს გაბრიელს. გაბრიელმა მაშინვე თავისი სეკრეტარი[27] მიიხმო და უთხრა: რატომ აკლია საგალობლების ფურცლები და სად და როგორ დაკარგეთო?

მაშინ სეკრეტარს გაახსენდა, რომელიც დავიწყებოდა და უთხრა: შარშან მასწავლებელ ბენაშვილმა[28] მთხოვა: ნება მომეცით რომ რამდენიმე საგალობლები გარდმოვიწეროვო, მე ნება მივეცი და თუ იმან ფურცლები შიგა-და –შიგ ამოაკლო ეს მე არ ვიცოდი. მაშინვე გააფრინეს კაცები მის სახლში, თვითონ შინ იყო. მაშინ იმან ძებნა დაუწყო, სადაც ეგულებოდა იქ არ იყო, ბევრი ძებნის შემდეგ სრულიად შეუდარებელ ადგილას იპოვეს ფურცლები და მოუტანეს სეკრეტარს. მან ფოსტით გამოგზავნა, მივიღეთ ნოტები. ეს ფურცლები თავ-თავის ადგილას ჩავაწებეთ და შეიქმნა სრული წიგნები.

ამის შემდეგ მომავალ 1892 წლიდგან დავიწყე ნოტების წყობა, რომელმაც ექვსი თვის განმავლობაში კარგათ შევისწავლე ნოტების აწყობა და შემდეგ ჩვენსავე ამწყობლებს კონსტანტინე სალუქვაძეს და ძმებს ნიკოლოზ და დავით დალაქიშვილებს ვასწავლე, ჯერ ნოტები და მერე ნოტების აწყობა. იგინი რო აწყობდნენ, ფილიმონი კარიქტურას ასწორებდა და დედანზე ადარებდა, ვბეჭდავდით 1500 ეგზემპლიარს. № 1 პარტიტურა ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელ მთავრისა, და გავათავეთ 1895 წელს[29].

ამ წიგნზევე დაგვჭირდა ნოტის ასოების დამატებითი კვალად გამოწერა და მიმატება.

ამასთანავე ვბეჭდავდით ამავე წიგნის ცალკე წიგნად დაწყების ხმას. კიდენ ცალკე წიგნად მოძახილის ხმას. და კიდენ ცალკე წიგნად ბანის ხმას – ასე რომ გალობის გუნდის მმართველს ეჭირა ხელში გალობის დროს სამხმიანი პარტიტურა და მგალობლებს კი თავ-თავისი ხმის წიგნები. ამ ხსენებული წიგნების ბეჭდვის დროს

დავბეჭდეთ თვით ფილიმონის შედგენილი ნოტების სასწავლო სახელმძღვანელო წიგნი[30] 1500 ეკზ. ეგრეთვე მისივე დაწერილი 15 ნაირი გურულ-იმერულ კილოზე სიმღერები, და ესენი ყველა მასვე გადავეცით, მისსავე სასარგებლოთ.

კვალად ამავე დროს 1894 წ. დავბეჭდეთ ნოტებზე გადაღებული ქართლ-კახური გალობა, რომელიც არტისტს იპოლიტოვ-ივანოვს დაეწერა წირვის წესი, ძმათა კარბელაშვილების გასწორებით და ეპისკოპოს ალექსანდრეს გამოცემით[31].

დაიბეჭდა 1902 წ. პარტიტურა № 2. 80 გვ. პირველ - შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა.

დაიბეჭდა პარტიტურა № 3. 28 გვ. მიცვალებულთა წესის აგებისა.

დაიბეჭდა პარტიტურა № 4. 82 გვ. ბრწყინვალე აღდგომის საგალობელთა.

დაიბეჭდა პარტიტურა № 5. 74 გვ. 1908 წ. სადღესასწაულო განიცადეებისა.

იბეჭდებოდა 1905 წლიდგან პარტიტურა № 6 ყოველ სადღესასწაულო საწირვო საგალობელთა, რომელიც დაიბეჭდა 18 ფორმა 864 გვ. და უნდა დაბეჭდილიყო 22 ფორმა და მით დამთავრდებოდა ეს წიგნი, მაგრამ ბეჭდვის დროს დაიკარგა ყველა ეს დაბეჭდილი ფორმები ქუთაისში, ქუთაისის სამღვდელოების ღალატით და ბრალით 1910 წელს.

1893 წელს ჩვენთან ყოფილმა მეოთხე ამხანაგმა ივანე ზაქარიაშვილმა გვითხრა: მე ცოლშვილიანი კაცი ვარ, უჯამაგიროდ სტამბაში ყოფნა ხელს არ მაძლევსო. მოითხოვა თავისი შემოტანილი საამხანაგო ფული, მიიღო და გავიდა. მის მაგივრად მიიღეთ მეოთხე ამხანაგათ, ბაგრატ არშაკუნი, ტომით სომეხი, იმანაც 1894 წელს გვითხრა: მე ეჩმიაძინში უნდა წავიდე, გამოითხოვა თავისი შემოტანილი საამხანაგო ფული, მიიღო და წავიდა.

ჩვენი სტამბის საამხანაგო პირობით და ხელ-შეკრულებით, წესი ასეთი გვქონდა: თუ ვინმე ჩვენ სტამბის ამხანაგთაგანი მოისურვებდა სტამბიდგან გასვლას, სტამბიდან წაიღებდა მარტო იმდენ თანხას, რამდენიც შემოტანილი ექნებოდა, და არა მეტს და არც ნაშრომს. ამავე 1894 წელს შემოგვიამხანაგდა სტამბაში, სპირიდონ

ლოსაბერიძე თავისი მცირე თანხით 900 მანეთით, რომელიც (როგორც შემდეგ გამოირკვა) თურმე იმას სურდა, რომ გამდიდრებულიყო სტამბის შემოსავლიდგან, და არა თუ სტამბისათვის სარგებლობა მიეცა. მის შემოსვლის შემდეგ ვამჩნევდით, რომ შემოსავალს გვპარავდა, სტამბაში ცუღლუტობდა და არას აკეთებდა.

1898 წ. ჩვენი მესამე ამხანაგი, რომელიც იყო ვასილ გრძელიძე, იგი ძალიან დიდი მშრომელი და მშვიდობიანი კაცი იყო, სამწუხაროდ დასნეულდა და 1899 წ. გარდაიცვალა. მისი წილი სტამბის ქონება (როგორც პირობა გვქონდა) ჩვენ დანარჩენ სამ ამხანაგს დაგვიტოვა. თუმცა იმისი დისწულები ჩვენთან სტამბაში მუშაობდნენ და დამწუხრებულნი უნაწილოო დარჩნენ.

ამის შემდეგ 1901 წელში, რუსის მთავრობამ სტამბა დაგვიკეტეს და ნება აღარ მოგვცეს წარმოებისა, გვაბრალებდნენ პროკლამაციების დაბეჭდვას, თუმცა დასამტკიცებელი საბუთი ვერაფერი ნახეს. ერთი წელიწადი სტამბა გაუქმებული იყო. ამ დროს მ. შარაძე ძალიან მძიმე ავათ-მყოფობაში ჩავარდა, ნამეტანი ჯავრისაგან, რომ სტამბის გაღება ვერაფრით ვერ მოვახერხეთ. მეორე წელს 1902 ჩვენი დიდად ერთგული გიმნაზიის მასწავლებლის არისტოვლე ვასილის ძე ქუთათელაძის[2] სახელით და პასუხის-გებით ნება მოგვივიდა სტამბის გაღებისა. ამ დროს მ. შარაძე ცოტათი გამორჩა და განვაგრძეთ მუშაობა ნოტებისა და სხვა... მაშინ ვსთხოვეთ ფილიმონ ქორიძეს ქ. ოზურგეთში წასვლა და დუმბაძეებისაგან ნოტებზე გალობის გადაღება; მან გვითხრა: კარგი იქნება, მაგრამ მე იქ ფორტოპიანოს ვერ წავიღებ, თუ მიყიდით ფისგარმონიას მაშინ წავალ და გადავიღებ, მხოლოდ თვიური ჯამაგირი იგივე ათი თუმანი თვეში და რამდენსაც გადავიღებთ იმდენი სამ-სამი მანეთიო. ჩვენ დავეთანხმეთ და ფისგარმონია გამოუწერეთ, და როცა მივიღეთ, მაშინ წავიდა გურიაში გამოჩენილ მგალობელ ანტონ დუმბაძესთან, იგიც დაგვეთანხმა თითო გალობის სამ-სამ მანეთად გადაცემას.

ფილიმონ ქორიძეს დავალებული ჰქონდა ჩვენგან: 1-ლი რომ მთლიანად სძლისპირების საგალობელნი გადაეღო უკლებლად. – მეორე დავალება: მთელი წლიური სადღესასწაულო საგალობლები ყოველნაირი, მასთან სხვა და სხვა უცხო და ჭრელი საგალობლები. – მესამე დავალება: რომ დაეწერა ყოველგვარი რვა ხმების

საგალობელნი. – მეოთხე დავალება: რაც ქუთაისში საზოგადოების ხარკით საგალობლები დაეწერა, თუმცა ძლიერ კარგი დანერილია, როგორც გამშვენებული ეარჯიში, მაგრამ უეჭველი საჭიროება მოითხოვს, რომ ყველა იგინი, კილოს ხმითაც დაიწეროს.

მათ დაბინავებისთანავე დაიწყეს მოღვაწეობა, მტკიცე და მხნე შრომა. ყოველ თვეში მოგვდიოდა ხოლმე მათი ნაშრომი ნოტები და ჩვენც უგზავნიდით მათ აღთქმულ საშრომს. ანტონ დუმბაძე იხმარებდა ხოლმე (როცა თვითონ არ ეცალა) თავის შვილს დავითს და ეგრეთვე სვიმონ მოლარიშვილს[33], ამრიგად გალობის წერა შეუფერხებლად სწარმოებდა. და ამ წესით დიდ-ძალი საგალობლები დაიწერა, ზოგი სამ-ხმაზე და ზოგიც ცალხმაზე იმიტომ რომ, უფრო ბევრსა სწერდნენ და ჩვენი სურვილიც ის იყო რომ დაუწერავი არ დაგვრჩენოდა. მოძახილის და ბანის დაწერა, შემდეგ დროებშიდაც შეუძლებლად მიგვაჩნდა.

კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე, ძლიერ ხალისიანად და აღფრთოვანებით ეკიდებოდა ამ ნოტებზე სიმღერა-გალობათა გადაღების შრომას! ერთხელ კიდევაც მოგვწერა წერილობით ოზურგეთიდგან თბილისში, გადაღებული ნოტების გამოგზავნის დროს:

„ხშირად ვსთხოვ ხოლმე ანტონს: იმისთანა უცხო-უცხო საგალობელთა ჭრელები დამაწერიე, რომელიც სხვამ არავინ იცოდეს და დარჩეს შენდა სასახელოთ მეთქი, და ვართ გართობილი ამ შრომით. ახლა ამას მოგახსენებთ:

ხომ სხვა და სხვა სამეფოებში ვყოფილვარ და მომივლია; და მათი ყველაფერი შემისწავლია, მაგრამ, მთელ ქვეყანაზე არც ერთ ტომს, და არც ერთ სამეფოებს არა აქვს, ისე მრავალი, ისე რთული, ისე გამტაცი, ისე კაცის აღმაფრთოვანებელი წყობილი მუსიკა, გალობა და სიმღერა, როგორც ამ ჩვენ პატარა საქართველოს ერსა გვაქვს! ამისთვის დღე და ღამე თავს ვაკლავ, მეტის მეტით შრომით, რომ არ დამრჩეს ნოტებზე გადაუღებელი და დაუწერავი სიმღერა გალობის სხვა და სხვა ხმებიო“.

ჩვენ ძალიან ეშიშობდით, ანტონ დუმბაძის ისე ღრმა მოხუცებულობისა, რომ კაცი ხელიდგან არ გამოგვეცალოს და გალობა დაუწერელი არ დაგვრჩეს და არ დაიკარგოს მეთქი. ჩვენი ასეთი სურვილი გამოგვადგა: მით რომ 1907 წელში ანტონ დუმბაძე გარდაიცვალა და

მის მაგივრად განაგრძეს გალობის წერა მისმა შვილმა დეკ. დავითმა და სვიმონ მოლარიშვილმა ფილიმონთან ერთად, იმათ ბევრი საგალობლები დასწერეს, მათ დაასრულეს ყოველივე რვა-ხმა საგალობლები და ყოველივე სადღესასწაულო საგალობლები და მთლიანად სძლის-პირთა საგალობელნი. ეგრეთვე კილოს წირვის წესები და სხვა... დაამთავრეს 1910 წლამდი, და ჩავიბარე თვით მე ესტატე კერესელიძემ, ყოველივე მათი ნამუშევარი ნოტის საგალობლები.

1907 წელს, ჩვენი (ნოტის გალობის დიდად მზრუნველი) ძმა და ამხანაგი მაქსიმე როსტომის ძე შარაძე, ძლიერ დასნეულდა და გარდაიცვალა 1908 წელს დეკემბრის თვეში და ჩვენგან შეძენილი, მოსკოვის ქუჩის № 5 სამ სართულიანი სახლები, ეზო მიდამოთი, და მასში მოწყობილი ელექტრო საბეჭდავი სტამბა, ჩვენი საამხანაგო პირობითა და ნატარიუსის ძალით გადმოვიდა სამფლობელოთ დანარჩენ ორ ამხანაგზე. ამ დროდგან სპირიდონ ლოსაბერიძე სულ სხვა გზას დაადგა! უარჰყო ჩვენი სტამბის საამხანაგო საკეთილო პირობები, და თურმე ფიქრობს მეც ესტატე კერესელიძე როგორმე მალე მოვკვდე, რომ სტამბა და სახლები მას საკუთრად დარჩენოდა! ამის ფიქრსა და ღონისძიებას შესდგომია და მე არ ვიცოდი. მის პირობისაგან გადამდგარობას ამით დავრწმუნდი რომ: მაქსიმეს ბოლოს დროს ვბეჭდავდით შვიდ ნაირ წიგნს ჩვენი სტამბის გამოცემით და ეგრეთვე ვბეჭდავდით სადღესასწაულო ნოტების საგალობელს, რომელიც უკვე 18 ფორმა დაბეჭდილი გვქონდა, და 4 ფორმა უკვე აწყობილი და დასაბეჭდი იყო, და ამითი დაბეჭდვით წიგნებიც დასრულდებოდა! ხოლო ის ცოფიანივით მოვარდა და ყველა ამ წიგნების აწყობილი ფორმები, და ნოტების აწყობილი ფორმები, სულ დაშალა, დააბნია და ამბობდა: ამათ ბეჭდვა-გამოცემაში ფულს არ დავხარჯავო. ამითი შესწყვიტა ჩვენს სტამბაში ნოტებისა და წიგნების ბეჭდვა გამოცემა და არავითარი ჩემი სიტყვა არ გაიკარა და არ დაიჯერა!

როგორც უკვე აღვნიშნე: სპირიდონ ლოსაბერიძე ჩვენი მეოთხე ამხანაგი იყო. მაგრამ ცუღლუტი და უმუშაო. ჯანმრთელი კაცი სხვა და სხვა ავათმყოფობას იგონებდა. განგებ ხველებას ყველა ატყობდა, რომ განგებ ახველებსო. წამლების ფული გაჰქონდა ჩვენგან თითქმის ყოველ დღე, წამალს არ ყიდულობდა, ფულს ინახავდა!

გარდა ამისა სხვა ბევრს მპარაობას ჩადიოდა თურმე და ჩვენ გვიანამდი ვერ გაუგეთ. იმას თვეში სამი თუმანი ჯამაგირი გაპქონდა ჩვენგან და ჩვენ, მე და მაქსიმე კი, სტამბიდგან მარტო მცირე ხარკის ფულს ვხარჯავდით, დანარჩენი სტამბის შემოსავლით ნოტების გალობას ვბეჭდავდით, გალობას ნოტებზე ვანერიებდით, ეგრეთვე სხვა და სხვა მოწონებულ წიგნებსა და წიგნაკებს ვბეჭდავდით. არც ერთ ამბებში სპირდონა მონაწილეობას არ იღებდა, და არც გვეხმარებოდა ჩვენ რომ რაიმე კეთილ საქმეებში დავბრკოლებულიყავით, ამისი მეცადინი იყო. სანამ მაქსიმე შარაძე ცოცხალი იყო, თავისი სიბოროტე სრულად არ გამოაჩინა და როცა მ. შარაძე გარდაიცვალა, მან ნაცვლად გლოვისა, დიდი სიხარულის ლხინი სადღაც პადვალში გამართა! და რო ჩაიგდო ხელში მთელი ქონების მენახევრეობის საბუთი, მაშინ საკეთილო საქმის გაკეთებას ვერ გააგონებდა ადამიანი. აღარც მე გამიშვა, რომ მოსათავებელი წიგნები და ნოტის საგალობელი, რომელიც იმან დააბნია და გადაარჩევია, რომ საკუთარ ჩემის ხარჯით მომეთავებინა.

დღე და ღამე თურმე სულ იმას ჰფიქრობს, თუ როგორ მომსპოს, რომ საკუთრად დარჩენოდა მთელი ქონება! ამ ჩვენ საამხანაგო პირობას, ჩუმად დაატარებდა სპირდონა, სხვა და სხვა ვექილებთან და სხვა და სხვა სუდებთან და მათგან სწავლობდა სხვა და სხვა საღალატო ხერხებს. როგორც შემდეგ გავიგეთ, თურმე დაურიგებიათ, რომ შენს ხელში იყოსო: სტამბის პატენტი,- სტამბის ნებართვა, - საამხანაგო პირობა, – შემოსავალ-გასავლის წიგნი, – სასტამბო ქონების წიგნი.- ყოველ გვარი ფულის შემოსავლის ანგარიშის წიგნი გადამალე. ამ რიგად კერესელიძეს თავის ხვედრს შემოსავალ ფულს ნურაფერს ნუ მისცემთო და მთლად უსაშველო და უფულო იყოსო! სახლების ქირაც შენ აიღე, მას ნუ მისცემო. სახლების ნასყიდობის ქაღალდს მას ხელში ნუ ჩაუგდებო და სხვა...*

---

* ეს მისი ჩამოწერილობა, ერთი ნლის შემდეგ გადმომცა ჩვენმა ყოფილმა ასოთ ამწყობმა იოსებ ფურცელაძემ, რომელსაც მიეღო სპირდონასაგან საკარიქტურო ქაღალდები და სწორედ იმ ქაღალდებში გარეულიყო საიდგანღაც ერთი ერთი ნახევი ქაღალდი, რომელშიდაც ენერა ყველა ეს მისგან ჩასადენი საქმეები.

ასეც იქცეოდა, ყველაფერი ხელთ იგდო. მე დილიდგან შუა ღამემდე დაუსვენებლად ვმუშაობდი და გროშ-ფულს კი არ მაძლევდა. ძალიან გამიჭირდა ცხოვრება და სპირდონამ კი ასეთი უდიდესი იერიში მოიტანა ჩემზე. არაფერში არ მზოგავდა, მოკვლასაც კი მიპირებდა. მეტის გაჭირვებისა გამო გავცივდი და მძიმედ ავათ გავხდი! ავათ მყოფთან ექიმებს არ უშვებდა ჩემ მოსარჩენად, წამლებისათვის ფულს არ მაძლევდა, ერთხელ კიდევაც მცემა ავათ-მყოფს! ბედმა მაინც არ გამწირა და მოვრჩი, სხვა ამხანაგების დახმარებით.

შემდეგ ამისა, სხვა ღონისძიებას ცდილობს სპირდონა ჩემ სამტროდ: ხან მეტყოდა, ბეთანიის მონასტერშიდ წავიდეთ, ხან მეტყოდა ზედაზენის მონასტერში წავიდეთ უქმის დღეებში და მერე მოვიდეთო. მე მაშინვე ფიქრს ვეძლეოდი: ეს ხო ვიცი რომ ეგ ჩემი მტერია, რათ მირჩევს ახლა იქით-აქეთ მონასტრებში წასვლას თუ მაგას ბოროტი განზრახვა არა აქვს ჩემზედ; რადგან ორივეგანაც ტყეებია სავლელი და ვინ იცის რას მიზავს მეთქი. ამიტომ უარი უთხარი და არსად არ გავყევი.

რადგანაც მისგან არავითარი კეთილი აღარ გამოდის და მოსისხლე მტერობასაც მიწევს, ამისათვის გადავწყვიტე: მის ამხანაგობაზე ხელი ავიღო და გამოვშორდე, ჩემი წილი გამოვჰყო. მაგრამ ის არც ამას სჩადის, ანგარიშს არ ასწორებს, არც ფულს იძლევა და არც შინაურულად მორიგებას ყაბულდება! ამბობს: მე არ გიყოფ ქონებას, წადი და სუდში მიჩივლეო.

რომ ქონება გამომიყოს და ჩამაბაროს დავიქირავე ერთი ვექილი (გვარი: გუნცაძე) ვასილ კარბელაშვილის ჩვენებით, რომელსაც ჩემი ამბავი ვუთხარი და დამეთანხმა და მითხრა: წადი ნატარიუსთან რომ ქონების გაყოფის განცხადება მისწეროს. ნატარიუსის განცხადება სპირდონამ რომ მიიღო, წავიდა მონახა ჩემი ვექილი და დაქრთამა და ჩემ საქმეზე ხელი ააღებინა. შემდეგ ორი კიდევ სხვა ვექილები დამიფრთხო, დაქრთამა იგინიც და თავი დაანებებია ამ ჩემი საქმის გაკეთებაზე. ახლა დავრჩი უსაშველოდ და ვფიქრობ რომ უშველო თავს.

არ გასულა ერთი კვირა რომ მოვიდა ჩემთან ქუთაისიდან მღვდელი სვიმონ მჭედლიძე[34], რომელმაც გამაცნო თავი: კვირე-

ულ ჟურნალ „შინაური საქმეების"[35] რედაქტორ-გამომცემელი ვარო, და ერთი ნომერი მისი ჟურნალისა მომცა.

ჩვენ ქუთაისში დავაარსეთ სასულიერო (სახელწოდებით) „წმიდა გიორგის ძმობა"[36]. ძმობის წევრებად არიან შესულნი მთელი დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება და ყველა საეროთა გამოჩინებულნი პირნი, ორივე სქესისა. ეგრეთვე ძმობის წევრებად ითვლებიან იქაური აწ მყოფ მამა და დედათა მონასტერთა წინამძღვრები, თავიანთი უხვი შეწირულებით. ძმობას შეუვიდა და შეგროვდა მილიონ ნახევარი სათანხო ფული, დასაარსებლად და საწარმოებლად. ეს ხსენებული ფულები დაიდვა ქუთაისის სახელმწიფო ბანკში, ამ წესით: ერთი მილიონი, როგორც ძმობის ძირითადი საუნჯე და ხელშეუხებელი კაპიტალი, რომლიდგანაც გამოვა ყოველ წლიურად პროცენტის ფული და გადაეცემა ძმობის კანტორას, თავის კეთილ დანიშნულებების საწარმოებლად. ხოლო ნახევარი მილიონით უნდა შეიძინოს ძმობამ კარგი მსწრაფლმბეჭდავი მანქანები და ყოველივე სასტამბო და საკაზმავი იარაღები, და მასთან ყოველგვარი ასოები: რუსულ-ქართული და ხუცური. ამ რიგად, ძმობის მიზანი და კეთილი დადგენილება არის შემდეგი:

1. გამოიცეს ყოველ დღიური სახალხო ქართული გაზეთი.
2. გამოიცეს ყოველ კვირეული სურათებიანი ჟურნალი.
3. გამოიცეს ყველა ნაირი საეკლესიო ხუცური წიგნები.
4. გამოიცეს რჩეული სიტყვა-ქადაგებანი, საქართველოს ყოველ კუთხეთა უფასოდ დასარიგებლად.
5. გადაღებულ იქნას ნოტებზე დასრულებით, ქართული საეკლესიო საგალობლები, სამ ხმაზე გაწყობით და დაბეჭდვით.
6. გამოიცეს ყოველ წლიურად საერო და საეკლესიო კალენდარი.
7. გამოიცეს საღმრთო სჯულის სასკოლო წიგნები.
8. გამოიცეს წმიდათა მამათა ნაწერები, სახარების და დავითნის თარგმანი და ყველა წმიდათა ცხოვრებანი.
9. დადგენილ იქნას ქართული გალობა, ყველა კუთხეში სწავლება და გავრცელება
10. დაარსებულ იქნას საქველმოქმედო კასა (სალარო) სამრევლო შკოლების დასაარსებლად და განსაძლიერებლად.

ყველა ესენი რო მითხრა, მე ვსთქვი: ყველა კარგი და კეთილი საქმეებია! ჩვენც, მე და მაქსიმე ამნაირ პროგრამას ვადექით და ვმუშაობდით მეთქი. მან მითხრა: ჩვენც თქვენგან ავიღეთ მაგალითი და ამისთანა კეთილი საქმეების გაჩერება და შეწყვეტა, დიდი ცოდვაა და დიდი ზარალი სამშობლოსათვის! ამიტომ მოვედი და გთხოვთ ყველა ჩვენი დაწესებულება, რომ შენი წილი სტამბა შემოგვწირე, ან შემოგვიერთე ჩვენ ძმობას, შენ შენი მუშაობისათვის ჯამაგირი მიიღე ჩვენგან, და დაინიშნები ერთ უფროს დამფუძნებელ წევრად.

მაშინ მე ვიფიქრე: ეს ისე გამოდის, კაცმა რო ძალიან სასიამოვნო სათამაშო მუსიკა გინა დაირა დაუკრას მათის სასიამოვნო სმენით, თავის თავად გული აფანცქალდეს, ფეხები და ხელები ათამაშდეს, ეგრეთ რო მესმა მისგან, ეს ჩემი სასიამოვნო საკეთილო საქმეები, გული შემექნა და სურვილზე მომიყვანა და უთხარი: ასე უცბათ არც დაპირება შეიძლება და არც აღსრულება! ჯერ უნდა დამტკიცდეს შენი სიტყვა და თქვენი ძმობა რამდენად მტკიცეა, რამდენად მართალია, რამდენად ძლიერია და რამდენად სანდოა?! თუ ყველაფერში უეჭველობა და დარწმუნება არის, შეიძლება მაშინ გავბედო თქვენი თხოვნის აღსრულება.

მაშინვე ამოიღო ჯიბიდან მათი შედგენილი და რუსულ ენაზე დაბეჭდილი „წესდება", მე ამით არ დავკმაყოფილდი, განვუცხადე, რომ უნდა დავრწმუნდე, მართლა გაქვსთ ეს თანხა, თუ ქაღალდზეა მხოლოდ; ჩემის აზრით საჭიროა დამოწმება თქვენი მდგომარეობისა ისეთი კაცებისაგან, როგორც მაგალითად არიან: ქუთაისის ეპისკოპოსი გიორგი[37], გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი[38], ალავერდის ეპისკოპოსი დავითი[39], აგრეთვე ახალ-სენაკში ჩემი მოძღვარი ალექსი შუშანიას[40] მოწერილობა. თუ ეს რჩეული პირები დაამტკიცებენ, რომ ქუთაისში დაარსებული „წმ. გიორგის ძმობა" მტკიცე უტყუარ ნიადაგზე ადგია, მაშინ გავბედავ, თორემ ისე არა. სვიმონ მღვდელმა განაცხადა: რომ ის წარმოადგენს ყველა საბუთებს ერთ კვირაშიო, და წავიდა. მართლაც ერთი კვირის შემდეგ მოვიდა და თან მოიტანა ზემოხსენებულ პირთაგან მოწერილობები და გადმომცა. მაშინ მე წარუყენე ასეთი პირობები:

1)ჩემ კუთვნილ სტამბას, თქვენის ხარჯით, ამხანაგისაგან გამოჰყოფთ და გადაზიდავთ ქუთაისში, ხოლო მე იქ თვითონ დავსდგამ და მოვანყოფ ყველაფრად და ჩაგაბარებთ.

2) სტამბის უფლება, ჩემი იქნება ჩემ სიცოცხლეში.

3) მე მხოლოდ ვწირავ თქვენს ახალ საქველ-მოქმედო დაწესებულებას, სტამბის მოგებას; ესე იგი, არა სტამბას, არამედ მის შემოსავალ-გასავალს. თქვენ ხომ ამბობთ, ბევრი საქმეები გვაქვსო, რასაკვირველია ბევრ საქმეებს, ბევრი შემოსავალიც ექმნება: ეს სულ თქვენი იქნება და მეც თქვენგან დანიშნულ ჯამაგირში ვიშრომებ.

4) თუ სტამბა ვერ აწარმოვეთ კარგად და მოგების მაგიერ ვალები დაგედვათ მაშინ ჩემ სტამბას, როგორც უვალოთ მოგიტანეთ, ისე უვალოთვე უკან წავიღებ თბილისში როგორც საკუთრებას.

ასე თუ დათანხმდებით, მაშინ თქვენი ამხანაგებისაგან ხელმოწერილი ნატარიუსის პირობა ჩამომიტანე და მაშინ სრულ უფლებას მოგცემთ ჩემ წილ სტამბის გამოყოფისას და გადატანისას. მან მითხრა:

სრული თანახმა ვარ ამ ჩემ პირობაზე და იმედი მაქვს რომ ყველა ჩემი ამხანაგებიც დათანხმდებიან. და წავიდა ქუთაისში, იქ მოლაპარაკებია ამხანაგებს და ეთქვათ: ჩვენც სრული თანახმა ვართ მაგ პირობაზე, ხოლო ჯერ სტამბა ჩამოვიდეს და თვალით დავინახოთ და მაშინ, როგორც იმისათვის სასურველი იქნება, ისეთს დამტკიცებულ პირობას მივსცემთო.

ეს ამბავი რო მოიტანა, იმავე დღეს ნაველით ნატარიუსში და სრული უფლების ქაღალდი დავაწერიე და გადავეცი სტამბის გამოყოფის შესახებ. იმავე დღეს მივიდა ის სპირდონასთან და უთხრა: აი, მე უფლება მაქვს ხვალ დილიდგან სტამბა უნდა გავყოთ და ჩავიბარო.

მაშინ სპირდონამ უარი ველარ მოახერხა. მხოლოდ იმ ღამეს, რაც საუკეთესო სასტამბო სამუშაო იარაღები და ასოები იყო მოეპარა და გადაემალა, ველარ ვიპოვეთ.

მეორე დღეს სპირდონამ განმყოფლები პირველად მიგვიყვანა იმ შკაფზე, სადაც საგალობლების წიგნები გვეწყო, სთქვა: ჯერ ეს

საგალობლები უნდა გავყოთო. ამაზე მე უთხარი: ეს საგალობელთა წიგნები არ გაიყოფება, ესენი უნდა იყოს ყველა ერთად, რადგან ამათ ჯერ კიდევ ბევრი დამუშავება სჭირდება, და თუ ესენი ერთმანეთს დავაშორეთ, მაშინ დამუშავება კი-არა, სრულიადაც დაიბნევიან და დაიკარგებიან მეთქი. მან არ დამიჯერა და გაყვეს! მე მხოლოდ დავიწერე, იმას რომელი ნოტის წიგნები ერგო და მე რომელი მერგო. ამის შემდეგ სახლის ქონება გაიყო და მერე სტამბის ქონება.

დიდ სამწუხაროდ გამიხდა ჩემი საყვარელი საგალობლების წიგნების გაყოფა, და ჩემი ხელიდგან დაკარგვა. ვსთხოვე გადავიწერავ მეთქი, არა ჰქნა, მერე ისინიც გადამალა სადღაც! ერთი თვის შემდეგ გავიგე, რომ მისი ვექილის რჩევით, ნოტის წიგნები გადაეცა უნივერსიტეტის მუზეუმში[41] დასაცავათ. კარგი ეს რო გავიგე, წავედი და მუზეუმის გამგის ნებართვით წიგნები გადავშინჯე და ყველა იქ იყო.

მეორე დღეს მივედი მუზეუმის დირექტორ ექვთიმე თაყაიშვილთან[42], რომელიც მე კარგათ მიცნობდა და ვსთხოვე: ის ნოტის წიგნები, რომლებიც მუზეუმში შეტანილ იქნა, ხელ-წერილ ქვეშ მათხოვეთ, თითო თითოდ გადავიწერავ და ისევ უკან ჩავაბარებ მეთქი. იმან ნება დამრთო, მიმიწერა მუზეუმის გამგესთან და გადმოვიწერე ყველა იმ წიგნების საგალობლები ერთი წლის განმავლობაში და ამ ნაირად ყველა საგალობლებს ისევ ერთად შეუყარე თავი. ექვთიმე თაყაიშვილს მე მაშინვე ვუთხარი:

„ყველა ეს წიგნები და საგალობლები ფილიმონ ქორიძის დაწერილია, ესენი კიდევ მოუთავებელია, ჯერ კიდევ ბევრი ხარჯი და შრომა სჭირდება რომ ყველა მოთავდეს, და სწორედ როცა მოთავდება, ყველასათვის დიდათ სასიამოვნო და სასარგებლო იქნება! და მეც ამისი მსურველი ვარ, რომ ასე მოთავებულად მუზეუმში დავაწყოთ დასაცავად, ჩვენს მომავალ თაობის სასარგებლოთ. ამისათვის მე თვითონ სულითა და გულით ვზრუნავ, ვშრომობ, ხარჯს ვეწევი, ვათეთრებ, ვაწყობ და რაც აკლია ვაწერიებ სამ ხმაზე გამშვენებით. მე ჩემს შეძლებას და ფულს მაგ კეთილ საქმისათვის არა ვზოგავ და სხვის შეწევნას და დახმარებას არავისა ვსთხოვ.“

ჩემი ახლად გამოყოფილი სტამბა და ყველაფერი ქონება გამოვაწყვე და რკინის გზით გავგზავნე ქუთაისში. მხოლოდ ნოტის საგალობელი წიგნები კი არავის ვანდე და მე თვითონ წავიღე და იქ ჩემს შკაფში ჩემ ბინაზევე შევინახე. ყველა იმ გაგზავნილ ბარგსა და სტამბას, სამი ვაგონის დაქირავება დასჭირდა, რომელიც ერთი კვირის შემდეგ მივიღეთ ქუთაისში, იქ სასტამბოდ დაქირავებული იყო ბინა, ტფილისის ქუჩაზე, პარტნოი კირიჩევის სახლი. მთელი იმ სახლის ეზო-მიდამო ბარგით გაივსო, ერთი კვირის განმავლობაში საბეჭდავი მანქანები დავსდგი და მთელი სტამბა მოვაწყვე და ამხანაგობას გადავაბარე. ამის გარდა 36 იაშიკი სხვა და სხვა წიგნებით და ნოტის დაბეჭდილი ფორმებით სავსე, კიდევ მის ეზოში ეწყო. ახლად დაწესებული ძმობის წევრებად თურმე ყოფილიყო მარტო სამი კაცი: მღვდელი სვიმონ მჭედლიძე, მასწავლებელი ტრიფონ ჯაფარიძე და მისი სიმამრი დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილი[43]. ამ სამმა კაცმა ჩაიბარეს სტამბა და მასთან ყველაფერი, მაშინ მე იმათ უთხარი: ამ წიგნებსაც, რომელიც იაშიკებში აწყვიან, ერთი ადგილი უნდა უშონო, რომ დავალაგოთ მეთქი. მაშინ დეკ. ნესტორმა წარმოსთქვა: მთელი ჩვენი საძმო და საამხანაგო თანხა, მარტო თორმეტი თუმანი მქონდა მოძიებული და ისიც სტამბის გადმოტანაში დაიხარჯა და რითი უნდა უშოვნო ადგილი მაგ წიგნების შესანახად, რო ფული არ არისო!

ამ სიტყვის გაგონებაზე, უცბად გული წამივიდა და ძირს დავეცი, ვიგრძენი რომ აქ მოტყუებაში ჩაჭერილი ვარ, ერთ-ხანს ხმა ველარ ამოვიღე, მითხრეს რა მოგივიდა, რა დაგემართაო?! მერე მე უთხარი: როგორ რა მომივიდა, იმ კაცმა დამარწმუნა რომ ერთი მილიონი ფული ხელ-შეუხებელ კაპიტალად ბანკში გვაქვს შენახული, და ნახევარი მილიონი საწარმოებლად გვაქვს ხელშიო; ახლა შენ ამბობ მარტო თორმეტი თუმანი გვქონდაო! თორმეტი თუმნით გინდოდათ ასეთი დიდი უზარმაზარი საქმის დაწყება?! რა მიყავით ეს, ან რატომ თავშივე არ გამაგებიეთ მე! მაშ ასე 36 წიგნებით სავსე იაშიკები ასე გარედ უნდა ეყაროს?! ამას საკუთარი საწყობი ოთახი არ უნდა?! შკაფები მაინც შემოსწირეთ რომ ეს წიგნები ამოვიღოთ და დავალაგოთ შიგ?! მითხრა პასუხად დეკ. ნესტორ ყუბანეიშვილმა: ჩემი შკაფი ხუთი მანეთი ღირსო. მე უთხარი: შენი

შკაფი ხუთი მანეთი ღირს და არ გემეტება ძმობას დაუთმო და ჩემგან კი გინდათ რომ 20000 მან. ღირებულების სტამბა და 5000 მან. ღირებული წიგნები მუქთად დაგითმოთ?! როგორც მე გულ-უხვად მოვენდე ამ თქვენ დაწყებულ საქმეს, ისე თქვენც გულ-უხვად უნდა მოეკიდოთ, რომ საქმე გაკეთდეს, თორემ, ასე როგორ შეიძლება?! მითხრა პასუხად: ეს სვიმონ მღვდლის ბრალია, თურმე შენ იქ სხვას გეუბნებოდა და ჩვენ აქ სხვას გვეუბნებოდაო.

რადგან წიგნებს ყურადღება არ მიაქციეს, ამიტომ დარჩა იგი ეზოში დაწყობილი ორ-თვეზე მეტი, ამასობაში, იქვე მყოფ პარტნიო კირიჩევის ქარგლებს გაეხსნათ იაშიკები და მოეპარათ რაც დაბეჭდილი ნოტის ფორმები და წიგნების ფორმები იყო და ბაზარში გაეტანათ გასაყიდათ და იაშიკების თავები ისევ დაეხურათ. მემრეთ მოვიდა სვიმონ მღვდელი და მითხრა: ბაზარში ყველი ვიყიდე და ჩვენი ნოტის ქაღალდში გამიხვიეს, დავაცქერდი და ვკითხე: ვინ მოგცათ ეს ქაღალდი მეთქი? იმათ მითხრეს: ერთი კვირა იქნება რაც ჩვენ ვიღაც უცნობ კაცისაგან ვიყიდეთო. – გავშინჯეთ თავდახურული იაშიკები და ცარიელი იყო – სამი ურმის ოდენა დაბეჭდილი ნოტები მოეპარათ და ერთი ურმის ოდენა წვრილი წიგნაკებისა გაეშვათ. ამისათვის იმათ გული არ შეიტკივეს, და დავრჩი ისევ მე დაზარალებული და გულ ნატკენი. ის დარჩენილი წიგნაკები ჩემ ბინაზე შევინახე.

სტამბის დადგმისა და მოწყობისთანავე, სვიმონ მღვდელმა თავისი ჟურნალი „შინაური საქმეების" აწყობა დააწყებინა და უფასოდ ბეჭდავდა! – თურმე სვიმონ მღვდლის ერთად-ერთი სურვილი და მეცადინება ის ყოფილა, რომ თავისი ჟურნალი მუქთათ ებეჭდა და სხვა არაფრის კეთილის სურვილი და ზრუნვა არა ჰქონია. და არც სტამბის საბეჭდავ საქმეებისათვის იზრუნეს. ვხედავ რომ საქმე გლახად არის, ვეუბნები სამივე ამხანაგებს: სტამბას საქმეების მომტანი და მზრუნველი კაცი უნდა მეთქი, - მოიყვანა ტრიფონ ჯაფარიძემ თავისი ნათლული კანტორჩიკად, შემოსული ფული მაგან უნდა ჩაიბაროსო, რომელსაც არავითარი სტამბის წარმოება და საქმის შოვნა მას არ შეეძლო და იყო მთელი დღე სტამბაში ტყუილად! თუ საიდგანმე დასაბეჭდი საქმე გამოჩნდა, მისთვის ქაღალდის მაღაზიიდგან, სტამბის სახელობაზე ქაღალ-

დებს ნისიად ეზიდებოდენ. ამ ნაირად წამოღებული ქაღალდის ვალები თანდათან ემატებოდა და არ ისტუმრებდნენ! ამაზე კიდენ მომუშავეების ჯამაგირები ვალად ედებოდათ და მიმცემი არავინ იყო. გავიდა სამი თვე. არც მე და არც სხვას ჯამაგირი არ მიგვიღია, ამიტომ უფულობისა გამო ტანისამოსი ვერაფერი ვიყიდე, დაზამთრების ხანებია, კიდევ გაციებული ვარ და გავხდი ავათ; მიველი ექიმ ხაჩინოვთან, ვეჩვენე და მითხრა: გაციებული ხარ და ტიფად გადაგქცევიაო; მარტო რძე სვი და თბილად იყავი და მომველელი დაგჭირდებაო. მთელი ერთი თვე ლოგინზე ვიწევი. მძიმე ავათმყოფი, მართლაც რძის მეტს არაფერს არ იღებდა ჩემი გული. ჩემ მომველელად მყავდა ჩემი ძმის-წულები სამი კაცი, რომელნიც სტამბაში მომუშავეებად მყავდა და იგინი მორიგეობით მიელიდნენ, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, მე რომ გამოვრჩი, ახლა იგინი გამიხდნენ ავათ! ყველანი ერთი მეორის შემდეგ. მე კიდევ განვაგრძე სტამბაში მუშაობა. ყველა მომუშავეები შემომჩივიან: რა მიზეზია რომ აქამდი ჯამაგირები არ მიგვიღიაო? მე ვეუბნები: მეც არ მიმიღია, მაგრამ გვპირდებიან საიდანმე მივიღებთ და მოგცემთო.

ამ ამხანაგებმა გაიგეს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს აქვს დატოვებული და ბანკში შენახული სამასი თუმანი ფული თავისი ქადაგებების გამოსაცემად, და ის ფული გამოვითხოვოთო. მართლაც წავიდნენ იქვე, ქუთაისში მყოფ გიორგი ეპისკოპოსთან, და სთხოვეს ის გაბრიელის დატოვებული ფული, იმდენი ჰქმნეს, რომ დაითანხმეს ეპისკოპოსი გიორგი იმ ფულის გადმოცემაზე, იმ პირობით, ამ ფულში მის ქადაგებას დავბეჭდავთ და გადმოგცემთო. ამ რიგად სამმა ამხანაგმა შეაცდინეს ეპისკოპოსი გიორგი და ის ხსენებული გაბრიელის ფული სამასი თუმანი მიიღეს. ამ ფულით მარტო სტამბის მომუშავეებს მოგვცეს ოთხ – ოთხი თვის ჯამაგირი, დაეხარჯათ ორმოც თუმნამდი, დანარჩენი თვითონ იმ სამმა ამხანაგმა გაინაწილეს, თავის სასარგებლოდ და ქაღალდის მაღაზიის ნისიად წამოღებული ვალი და სახლის ქირა არ გაისტუმრეს და ისევ ვალად დარჩა.

ამასობაში დადგა კიდეც 15 დეკემბერი, მიველი სვიმონ მღვდელთან და ვუთხარი: შენ ხომ იცი თბილისში ჩვენი სახლი ბანკშია დაზღვეული, 28 დეკემბერს არის დანიშნული სახლების საჯარო ვაჭრობა, თუ მანამდე ვალი არ შევიტანეთ, იმ დღეს სახლები

გაიყიდება და ჩვენ დავრჩებით ცარიელი. ფული მასესხა, ჩამოვედი თბილისში, სპირდონა თუმცა დამპირდა ჩემ წილს შევიტანო, მაგრამ ხუთი დღე მოტყუებით მაცდევინა და საჯარო ვაჭრობის დღეს 28 დეკემბერს გამომიცხადა, რომ ფული ვერ ვიშოვნე და თუ გაიყიდება სახლი გაიყიდოსო; ეს იყო ხრიკი: მას გაყიდვა კი არ უნდოდა, პირიქით მას უნდოდა დაენარჩუნებინა სრულიად თავისთვის; კაცებიც კი დაექირავებინა ტორგში შესასვლელად! მე არტემ ახნაზაროვი დამეხმარა და მან ტორგში სპირდონას მეტოქეობა გაუწია: სახლის ფასი აუწია და ისე მიატოვა მათზე.

არტემ ახნაზაროვმა აიღო თავისი ზალოგად დადებული ორმოცდაათი თუმანი, ჩაიდვა ჯიბეში, მოვიდა ჩემთან და მითხრა: ორ კვირაში თუ დაიხსნეს სახლი, მაშინ შენ ბლომად ფული შეგხვდება, თუ არ დაიხსნეს, მაშინ იმათგან ჩარჩენილ ზალოგიდგან ბანკის ფული გასწორდება და სახლი ისევ ორივეს ზიარი იქნება: მეც ძლიერ გახარებულმა მადლობა გადავუხადე.

ორი კვირა გავიდა, სპირდონამ სახლი ვერ დაიხსნა და სახლი ისევ საზიარო შეიქმნა. ამიტომ ჩემი წილი სახლი, ჩემ დამცველ ვექილ არტემ ახნაზაროვს მივჰყიდე და ფულიც ჩამაბარა ბანკში. ეს ამბავი სპირდონამ გაიგო, რო ჩემი წილი სახლი მივჰყიდე არტემ ახნაზაროვს, მოვიდა და მისაყვედურა: რატომ მე არ მომყიდეო. მე ვუთხარი: შენ მუქთად გინდოდა, იმ კაცმა კი სრული ფასი მომცა! შენ სრულიად წართმევა გინდოდა ჩემგან და მე იმ კაცმა დამიხსნა მეთქი.

სამი დღის შემდეგ, არტემ ახნაზაროვმა, სპირდონას ნატარიუსის ძალით განცხადება მისწერა: აქამდი თუ ესტატე კერესელიძე იყო შენი სახლის მონახევრე, ახლა მე ვარ მის მაგიერი, ერთი სიტყვით, ყოველი თითოეული ოთახები ნახევარი ჩემია, არ მინდა რომ ჩემ ზიარ სახლებში შენ იცხოვრო. გიცხადებ ორი კვირის განმავლობაში დამიცალე ყოველი თითოეული ოთახი, ჩემ წილში მე თვითონ მინდა ვიცხოვროვო.

ეს მიწერილობა აჩვენა მან თავის ვექილებს, იმათ უთხრეს: უეჭველად ან უნდა დაუცალო და ან თუ გაყიდის თავის წილს, უნდა შეისყიდო, თუ დაცლა არ გინდაო. ეს გამოცხადება დაცლა სახლებისა თავის ბარგის და სტამბის მოწყობილობის, იანვრის თოვლიან დღეებში შეუძლებელი იყო მისთვის, ამის ჯაერი ცალ-

კენ აწუხებდა და მეორე ის აწუხებდა, რომ სახლების შესყიდვა და შესაკუთრება არ შეეძლო, ამ მწუხარებაში მყოფმა, არჩია, შევისყიდი მის წილს თუ მომყიდაო, ამისთვის ნავიდა და სთხოვა: დამდევ პატივის-ცემა, რადგან სახლების დაცლას ვერ ვახერხებ, შემაყიდე შენი წილიო? იმან უთხრა: მე რაც მიეცი, ერთი ორად იმდენს თუ მომცემ შეგაყიდი თორემ ისე არა. ესე იგი, მე რომ ოთხასი თუმანი მიეცი, შენ უნდა მომცე, რვაასი თუმანი ფული. ნაკლებ არ შეგაყიდიო. ძალიან ემწუხარა, მაგრამ რა ექნა. ჩაუთვალა რვაასი თუმანი ხელში და სახლი შეისაკუთრა.

ქუთაისში ჩასვლისთანავე, სვიმონ მღვდელმა ლაქუცი დამიწყო, გაიგო სახლების გაყიდვა და ფულის სესხებას მემუდარება. მე უარს ვეუბნები, მაგრამ ის მაინც არ მეშვება და ვითომც თავისი ხრიკებით მუქთად ნაშოვ სახლს მიგირავებს. მე კიდე არა ვშვები. მე უკვე გავიგე, თუ რა კაცები ყოფილან ეს სამი პირი და აღარ ვენდე, მათ შური აიღეს ჩემზე, ბევრი მაწამეს, სიცოცხლე გამიმწარეს, ვალებს უფრო მოუმატეს, ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ თავიანთი ვალები, მე გადამახდევინეს! რა მექნა: სტამბა ამინერეს მათ ვალში და ხომ არ დავკარგავდი! გავიღე ფული და გამოვშორდი მათ*.

სტამბა კვალად თბილისშივე გადმოვიტანე, დავსდგი, გავმართე ელექტრონით და საქმეებითაც გაივსო. ამ დროს მე გულ- დაიმედებულმა ეს სტამბა გადავეცი ჩემ ძმისწულებს.

ამის მერე მე თავი გავითავისუფლე. ვიშოვე დრო და გადავედი საშრომლად დიდად ცნობილ გელათის მონასტერშიდ, ჩემის ნოტებით, იგივე გიორგი ეპისკოპოსის დროს 1912 წ. პირველ რიცხვებში.

ამ დროიდგან დავიწყე ნოტის საგალობლებზე ზრუნვა, დავაწყვე წეს-რიგზე და გადავარჩიე ცალ ხმიანი საგალობლები, რომ სამ ხმაზე დავაწერინო ვისმეს. 1912 წ. ქორიძე უკვე ცოცხალი არ იყო, აღარ იყვნენ არც დუმბაძეები. ამისათვის გელათიდგან ქუთაისს,

---

* უკეთუ ვისმე სიტყვა გაგრძელებულად მიაჩნდეს, მე ამ სინამდვილეს მოვახსენებ: რაც მე ჩემმა მატყუარმა ამხანაგებმა ღალატი, ტანჯვა და შავი დღე დამაყენეს, იმის მცირე მოვიხსენე და ათი იმდენი მოუხსენებლად გამოვტოვე.

მღვდელ რაჟდენ ხუნდაძესთან მივედი და შევეკითხე: მე მაქვს ცალ-ხმაზე ქორიძისაგან დაწერილი ათასამდე საგალობელნი და ვეძებ იმისთანა მცოდნე მგალობლებს, რომ ის ცალფა ხმაზე დაწერილი საგალობლები სამ ხმაზე გაიწყოს და ნოტებზე გადაღებულ იქმნას მეთქი. მან მითხრა: რაღა შორს ეძებ მგალობლებს და გადამღებს, ესენი მე თვითონ კარგად შემიძლია, ვიგალობო სამ ხმაზე გავაწყო, დავსწერო და გამზადებული გადმოგცე და გადმოცემის დროს ორივემ ვიგალობოთ ნოტებით, რომ კარგად მოწონებულად იყოს ნოტებზე დაწერილი და გადაღებული, და ჩემი შრომის ქირას, სულ ცოტას დაგჯერდები. მაგალითად: ჩვენ რომ ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსის დროს, ფილიმონ ქორიძესთან გალობას ვსწერდით, თითო ნომერ საგალობელზე თითო თუმანს ვახდევინებდით დასაწერ გადასაცემს და შენ დაგჯერდები თითო ნომერ საგალობლის გასაწყობ დაწერაში თითო მანეთს: -შენ მომიტანე მე ის ცალფა ხმაზე დაწერილი საგალობლები და რამდენი ნომერიც გაწყობილი ჩაგაბარო, იმდენი მანეთიც ჩამაბარეო. მე დავთანხმდი, მაშინ გადავეცი ცალ-ხმა საგალობლები და შეუდგა წერას 1912 წელს. ხოლო რომელ დროსაც დამითქვამდა, იმ დროს მივიდოდი მასთან, მის ნაწარმოებს ვიგალობებდით, შევადარებით და შევასწორებდით. მართალია, ზოგიერთი საგალობლები არ იყო კაი გაწყობილი და დაწერილი, თუ ვეტყოდი უარგისობას, პირში ვერ შევიცილებდი და არ იჯერებდა, რადგან დაუჯერებელი კაცი იყო; ამ დროს მე ნიშანს ვუწერდი, იმ საგალობელს, რომელიც არ მომწონდა. ამრიგად ჩავიბარებდი იმის გადმოცემულ საგალობლებს და ფულსაც მაშინვე ვაძლევდი. ყველა იმ ჩემ მოტანილ საგალობლების წერას მოუნდა სულ ორი წელიწადი და ყველა ამ საგალობლების ჩაბარების დროს, ჩემგანაც ჩაიბარა ჩვენის გარიგებისამებრ სრული ანგარიში: ათასოცდახუთი მანეთი (1025 მან.). ამრიგად მე იმასთან საქმე მშვიდობიანად გავათავე.

ამის შემდეგ, მივედი იქვე ქუთაისში, მგალობელი ივლიანე ნიკოლაძესთან“ და ვუთხარი: რ. ხუნდაძეს დავაწერინე ბევრი სხვადასხვა საგალობლები, და ზოგიერთი იმათში არ მომწონს, ხელახლა შრომა და გასწორება სჭირდება. ახლა შენ მოგმართე, როგორც ფილიმონ ქორიძის ერთ უნიჭიერეს მოწაფეს და მისგან გა-

ლობის ლოტბარობაშიდაც გაწვრთნილს. მე ვიცი, რომ შენ ხუნდაძეზე ბევრად უკეთ შეგიძლია გალობის გაწყობა და დაწერა. ყველა ეს ხუნდაძისაგან დაწერილი საგალობლები ვერ არის კაი გაწყობილი, ამისთვის გთხოვ, რომ ყველას თავითგან დაეპყეთ და კარგად გავაწყოთ და გავამშვენოთ და შენი მუშაობის ფულს, რასაც მეტყვი მოგცემ მეთქი. მან მითხრა, მე ეს საქმე დიდ კეთილ საქმედ მიმაჩნია, მე რომ ცოლშვილი არა მყამდეს, ამ საქმეში ფულსაც არ გამოგართმევდი, მაგრამ შენ რაც გინდოდეს ის მომეცი, მე მადლობელი ვიქნებიო.

ამის შემდეგ დავიწყეთ ორივემ ერთად ამ საგალობელთა ხელახლა გაწყობა და გამშვენება 1914 წელში. ხუნდაძის დაწერილი, იქა – აქა, ზოგ-ზოგიერთი თუ გამოდგა მარტო, დანარჩენის სულ წაშლა დაგვჭირდა და ხელახლად დაწერა! ვშრომობდით არა გამუდმებით, არამედ დროგამოშვებით, რადგან ის თავის სამსახურშიდაც იყო, ქუთაისის სობოროს მგალობელთა გუნდს ლოტბარობდა. რადგან ჩვენ დროგამოშვებით ვმუშაობდით, ამიტომ დიდხანს გასტანა ჩვენმა შრომამ და გავათავეთ 1915 წ. ამ დროში მას გარდა ბევრი სხვა საგალობლებიც დავსწერეთ. ამ ერთგულ შრომისათვის ჩავაბარე ივლიანე ნიკოლაძეს 500 მან. რომელმაც მადლობასთან ერთად მითხრა: თეთრად გადაწერის დროს, თუ ვინიცობა არის საგალობელთა რიგზე მიყოლების დროს, რომელიმე გაუწყობელი საგალობელი დაისაჭიროს, მოიტანე და ისინიც გავაწყოთ, რომ მთელი საგალობლები, მთლიანად მშვენიერი და ფრიად სასიამოვნო იქნესო. და ასედაც ვიქცეოდი ყოველ საჭიროების დროს.

1917 წ. ჩემი გელათში ცხოვრების დროს შემატყობინეს ერთი უცხო კაცი გეძებს და შენი ნახვა უნდაო! ამისათვის გამოვედი გარეთ და ვნახე: ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელი ნიკო შარაბიძე[45] იყო და მითხრა: მე ესა და ეს კაცი ვარ. კითხვა კითხვით მოვედი შენს სანახავად.

მე მაქვს ქართული სიმღერები ნოტებზე გადაღებული და მათი დაბეჭდვა მინდა, ამისთვის ქალაქ თბილისში წავედი და ვიკითხე: ის ფ. ქორიძის სიმღერები და საგალობლები, რომ დაბეჭდილა სტამბაში, სად არის ის სტამბა? და ან მისი ნოტების ამწყობ - დამ-

ბეჭდავი? მითხრეს: ახლა არც ნოტების სტამბა არის და არც ნოტების ასოების ამწყობიო; იყო მართალია ესტატე კერესელიძე, რომელსაც ჰქონდა ამხანაგ მაქსიმე შარაძესთან ერთად გამართული ნოტების საბეჭდავი ქ. თბილისში, რომელიც დიდხანს მოღვაწეობდა კომპოზიტორ ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადაღებულ, სიმღერა – გალობის დაბეჭდვა - გავრცელებაზე, შემდეგ იმან თავისი სტამბა გადასცა და თვითონ წავიდა გელათის მონასტერში საცხოვრებლათო! ახლა ამისთვის მოვედი შენთან, რომ უეჭველი გავიგო! ნოტების ასოები ქუთაისში მესტამბე, ი. კილაძეს[46] ჰქონია, მაგრამ ნოტების აწყობა კი არავინ არ იცის და ახლა როგორ მოვიქცე რომ სიმღერები დავბეჭდო? შენ გამომიწყვე საქმეო.

მე ვუთხარი: შენ ეს რაც გიკითხავს და გაგიგია, ყველა ეს მართალი არის, მაგრამ მას შემდეგ, მე რომ ჩემი სტამბა სხვას გადავეცი, იმათ ის კარგად ვერ აწარმოეს, ამიტომ იმათაც სხვაზე გაყიდეს და ყოველი სასტამბო საქმე შესწყდა! ახლა მე ამას გეტყვით: მე ნოტების აწყობა და დაბეჭდვა კარგად ვიცი და კარგად შემიძლია აღვასრულო, მაგრამ მე აქ სამსახურში ვარ, ამ შენი საქმის შესრულებისათვის, თუ დროებით განმათავისუფლებს ქუთაისის ეპისკოპოსი გიორგი, თავისი მოწერილობით, მაშინ შემიძლია წამოვიდე ქუთაისში და შენი სიმღერები ნოტებზე ავაწყო და დაგიბეჭდო და მოწონებულად ჩაგაბარო.

ეს ჩემი დაპირება, ძალიან გაეხარა ნ. შარაბიძეს და სულ მალე მოაწყო საქმე.

მე ამ საქმის აღსრულებისათვის დროებით გადავედი ქუთაისში და დავიწყე ი. კილაძის სტამბაში სიმღერების ნოტებზედ აწყობა (თუმცა ძალიან არეული დამიხვდა ნოტების ასოების კასა, რადგან ნოტის უცოდინარ კაცს ჩაერჩია კასაში). მაშინ აუწყვე პირველად: „ნოტები და მათი განმარტება;" 6 გვერდი და მასთან, 18 ნომერი სხვადასხვა სიმღერები, სულ 32 გვერდი,[47] და ეს ნამუშევარი საქმე ნ. შარაბიძეს პირნათლად ჩავაბარე. იმ დროს, როდესაც მე ქუთაისში ი. კილაძის სტამბაში ნ. შარაბიძის ნოტებზე ვმუშაობდი შემოვიდა ჩემთან პროფესორი, დიდი მომღერალი და მუსიკოს – კომპოზიტორი, კოტე ფოცხვერაშვილი[48], გამომეცნო და მითხრა: მეცა მაქვს ნოტებზე ასაწყობი სიმღერები და ამ საქ-

მის შემდეგ ჩემიც ააწყვე, უნდა დავბეჭდო და გამოვსცეო. მეც დავეთანხმე და ავუწყვე მისი შედგენილი და დაწერილი სიმღერები: პირველი „ დ ი დ ე ბ ა", ქართული ეროვნული ჰიმნი[49] № 1. ეგრეთვე მეორე ნაირი: „ლაშქრული", ქართული საომარი სიმღერა[50] № 2. ეს ორივე გამოცემა ჩემგან პირნათლად ჩაიბარა.

ამ საქმის მუშაობის დროს, მე მოვახსენე პროფესორ კოტეს: თქვენი ქება მრავალ სხვათაგან გაგონილი მაქვს, და შენი ნახვა გაცნობა, ძალიან მინდოდა. ახლა მოგახსენებ დალაგებით ჩემი საქმის ამბავს:

მე და კომპოზიტორ ფილიმონ ქორიძემ, მრავალი საგალობლები შევჰკრიბეთ და ნოტებზე გადავიღეთ! ამ ნაწარომოებიდგან ერთი წიგნი კიდევაც ვანახვე შემდეგ დროში. ეს იმას ძალიან ესიამოვნა და ვსთხოვე: თქვენი მხრიდგან ერთგული ხელმძღვანელობა გამიწიე მეთქი. მან მითხრა: „დიდის სიამოვნებით, მე ყოველთვის დაგეხმარები მაგ შენ ნოტების საგალობელთა საქმეშიო". და ეს თავისი დაპირება, კიდევაც ერთგულათ აასრულა: ყოველთვის მასთან მივდიოდი, ვკითხავდი და ის დიდ ხელმძღვანელობას და დახმარებას მიწევდა ყველაფერში. ამრიგად ბ-ნ კოტემ დიდი შრომა და მოღვაწეობა დასდვა ამ ჩემი ნოტების საგალობლებს.

მისის ერთგულის მეცადინეობით: მთავრობასთან იშუამდგომლა, მორიგება მოახდინა – ეს ქართული ეროვნული საგალობელთა სიმდიდრე და სასიქადულო განძი მთლიანად გადავეცით საქართველოს დიდებულს სააკადემიო მუზეუმს, ყველა საგალობელთა წიგნები; და მათგან ყოველთვიურად დამენიშნა საბუთიანი პირობით და ხელშეკრულებით (როგორც ამ წიგნის ბოლოში აღნიშნული არის) ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ნივთიერად დახმარების ფული. ამიტომ დიდ მადლობას ვუძღვნი, როგორც პატივცემულ მთავრობას, ისე პროფესორ ბ –ნ კოტე ფოცხვერაშვილს.

1924 წელში, მე კიდევ არა მქონდა მოთავებული ამ ხსენებული საგალობლების საქმე. კიდევ წერასა და ზრუნვაში ვიყავი.

ამავე წელს, რაიმე სამწუხარო მიზეზით ყველგან უეცრად შეიცვალა დრო! მაშინ მე დიდ შიშში და ფიქრში ჩავარდი: (ნაწერები არ დამეკარგოს მეთქი) იმისათვის, რომ საგალობლების წიგნები

უფრო კარგად ყოფილიყო დაცული, მე გადავწყვიტე მისი საიდუმლო ბინის მოძებნა, გადატანა და შენახვა.

ამის გულისათვის წავედი ქუთაისში და ვუთხარი მღვდელ რაჟდენ ხუნდაძეს (რადგან მანამდის ერთმანეთში კაი განწყობილება გექონდა) და ვსთხოვე: თუ შეიძლება შენთან ჩემი საგალობლების წიგნების შენახვა მეთქი. იმან მითხრა:

მოიტანე აქ ჩემთან და მე შეგინახავ. მე თვითონ ერთგული ვარ ამ საქმის და სრული იმედი გქონდეს, რომ არაფერი ვნება არ მოეწევა იმ შენს საგალობლებს ჩემთანაო.

მეც დამაჯერა და დამარწმუნა მისი დროებით შენახვა და უვნებლად დაცვა. წავედი გელათში ჩემ ბინაზე და ვიქირავე ერთი ურემი ხუთ თუმნად და წიგნებით სავსე იაშიკები დავაწყვე მას ზედ და ფრთხილად წავიღე ქუთაისს. რომ მივიტანე ხუნდაძესთან, გაუკვირდა და სთქვა: ამდონა წიგნები სად გქონდაო?! ნამდვილად შევატყვე, რომ შეშურდა. მაშინ ზოგი წიგნებით სავსე იაშიკები, ნალიაში შეინახა, ზოგი საბძელში და ზოგიც პადვალში. ასე დავალაგე და მივაბარე წიგნები.

ამის შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი და როდესაც მე განვიზრახე ისევ საქმის გაგრძელება 1925 წელს შუა ზაფხულში, მივედი რაჟდენ ხუნდაძესთან და მოვსთხოვე ჩემი წიგნები: ვნახოთ ის წიგნების წაღებაზე უარს მიცხადებს და მეუბნება: წიგნებს ვერ გაგატან, რადგან მე მაშინ ძალიან ეფად გაგირიგდი გალობაზე მუშაობას და ახლა ჩემი დანაკლისი უნდა ავივნაზღაურო უთუოდ. მაშინ მე ვუთხარი მას: მას დროს შემდეგ, მე რომ გაწერიებდი, თორმეტი წელიწადია გასული, შენ კარგა გაიხსენე, მე მაშინვე ჩაგაბარე ის ფული, რაც შენ თვითონ მთხოვე და მოგირიგდი: თვითო ნომერ საგალობელზე თვითო მანათი ფული, ესე იგი შენ ჩაიბარე ჩემგან ათასი მანეთი ათას საგალობელში, თუ მეტის ღირსი იყავი და გერგებოდა რატომ მაშინ არ მითხარი?! ან და მას უკან ამ თორმეტი წლის განმავლობაში, რატომ არ მომთხოვე, რომ ჩემი ფული გმართებსო! მან მითხრა: ყველა ნოტის წიგნები უნდა გავყიდოთ, მთავრობასთან ჩემი შვილი დადის და ჰპირდებიან ყიდვას, რო გაიყიდება, შენი იქნებაო. მე ვუთხარი: რას მეუბნები კაცო, მე ჩემი წიგნების გაყიდვა არ მინდა, წიგნებს გავყიდი და ფულს მოვიგებ თქო, ამისთვის არ მიზრუნია და არც მიფიქ-

რნია, მე წიგნებისა და საგალობელთათვის პირიქით თუ რამე გამაჩნია ფულსაც ვხარჯავ და შრომასაც ვდებ, რომ მთელი საგალობლები რიგზე დაწყობილად დასრულებული მექნეს და შემდეგ მე იმას საიმედოს და საუკუნო ბინას უშოვნი მეთქი. მაშინ იმანა სთქვა: შენ თუ ხარ უგუნური ვირივით მუქთა მშრომელა, მე არა ვარ, მე ვშრომობ იმისათვის, რომ ფული ავიღო. შენ არ გინდა რომ გაყიდო, და მე მინდა ჩემი ნაშრომი გავყიდო და ფული ავიღო. მაშინ დაიძახა: მომეცით დანა, (უბრძანა თავის ცოლ-შვილს) დანა მისცეს, მან ამოიღო იაშიკიდგან ოთხი დიდი წიგნი და მეუბნება: აი ამ წიგნში, ამ გვერდიდან ამ გვერდამდი ჩემი ნაშრომი არის და უნდა ამოვჭრაო და ამოჭრა კიდეც! სამი დიდი წიგნები და მეოთხე წიგნი მთლიანად წამართვა და ამოჭრილები 2000 ფურცლამდი წაიღო და მითხრა: აი, ამათ გავყიდი, ამათში პირველი ხმა შენი საკუთრება არის და დანარჩენი ორი ხმა ჩემია, რამდენ ფულადაც გაიყიდება, ორი წილი ჩემი იქნება და მესამედი შენი. ამისი პირობის პატარა ქაღალდი დაეწერა და გადმომიგდო. მაშინ რო უყურებდი წიგნებში დანის ტრიალს: გული ბოღმით ამევსო, კანკალი დამანყებია, და ცრემლი თვალებში წამომანვა, მოკლედ რომ ვსთქვა: ჯოჯოხეთური ცეცხლი ტრიალებდა ჩემ გულში. როგორც დედ-მამა თავის საყვარელ მკვდარ შვილს ცრემლით დასტიროდეს და გოდებდეს, ისე ვგოდებდი მე ჩემს გულში! და ჩემი პირი ერთთავად გამოიტყოდა: ვაი მე, ვაი მე.

ასეთი მკაცრი მოთმინებით გადავატარე ის საშინელი სასისხლე ჟამი! მერე დავიქირავე სხვა სოფლის, იქვე მყოფი ურემი და გადავიტანე დანარჩენი წიგნები იქვე ქუთაისში, კიბულაში მცხოვრებ ნაცნობ მოვაჭრის* სახლში, შევეხვეწე: გელათის სოფლის შეშიანი ურემი ჩამოვა პარასკევს და მე იმას დავაბარებ წამოღებას და თქვენ იმას გამოატანეთ ეს ოთხი იაშიკი. ამ თქვენ ეზოში ამ საქათმეში დავაწყობ დროებით. სამი დღის შემდეგ მოიტანა ურმით ჩემი ნოტის წიგნები შეპირებულმა კაცმა. ამის შემდეგ ველარ მოვისვენე და ვერც მუშაობა გავაწყვე: წიგნები და საგალობლები რო მაკლდა, მგლოვიარედ ვიყავი, თითქო ავადმყოფივით...

---

* იაკოფ მორჩაძის

ერთი თვე რო გავიდა, წავედი კიდევ ქუთაისს, მცირე ძღვენი მივუტანე რაჟდენ ხუნდაძეს, ბოდიში მოვითხოვე და ვუთხარი: მამაო რაჟდენ, იმედი მაქვს, ჩვენ ერთმანეთს შორის უწინდებული ძმობა და სიყვარული კიდევ გვაქვს და ეს მომხდარი უსიამოვნება, სიმოვნებად შევსცვალოთ! ასე წარმოიდგინე, იმ დროიდგან ავად-მყოფივითა ვარ! ვერაფერი საქმის გაკეთება ვერ მოვახერხე! ახლა ამას გთხოვ: თითო თითო წიგნი მათხოვე ხელწერილქვეშ, იმას გადავიწერ, მერე მოვიტან, ჩაგაბარებ და სხვას წავიღებ, ასე ბოლომდი. და თუ ის ამოჭრილი საგალობლები გაიყიდება, მაშინ კარგი იქნება, სარგებლობას მოგვცემს.

ამ თხოვნაზე დამეთანხმა, მივეცი ხელწერილი და გამოვართვი ერთი წიგნი, წავიღე გელათში და დღე და ღამე სულ თავაუღებლად გადაწერაში ვიყავი, თანაც ნაწერებს ვადარებდი, რომ შეცდომა არ გამპარვოდა. გავათავე ეს წიგნი, წავიღე, ჩავაბარე და სხვა გამოვართვი, ასე ოთხივე წიგნის გადაწერას ერთი წელი მოვუნდი. ამათ წერის დროს შემოდიოდნენ ჩემთან ხანდახან ბერები და მორჩილები და მეტყოდნენ: ვაი რა ტუტუცი ხარ! რატომ მეთქი ვეტყოდი, იმიტომ, რომ როცა შემოვდივართ დღე და ღამე სულ კრუხივით დაყრდნობილი ხარ მაგიდაზე, სულ წერ და სულ წერ! ნეტავი რა სარგებლობა გაქვს! უფულოდ ტყუილად რათ უჭირვებ შენ თავს! ხოლო მე პასუხს ვეტყოდი: მე მაგაზე არა ვფიქრობ, თუ უფასოდ რათა ვმუშაობ მეთქი, რადგან მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს თვითონ ფულია, თვითონ ძვირფასი განძია, ეს ოქროვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა! მე არ ნამომიდგენია როგორც მუქთა საქმე. არა, არამედ მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროს მჭედელი და თვალმარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი იმაში ხელს ურევ მეთქი. –ასე პირდაყოფილი წავიდოდნენ.

როცა ქუთაისში ჩავდიოდი, ხუნდაძეს ვკითხულობდი ხოლმე, სად არის მამა რაჟდენი? მითხრეს: მამა რაჟდენი მძიმე ავად გახდა და საავადმყოფოში წევსო. ერთი წლის შემდეგ, როცა ყველა წიგნები ჩავაბარე, მაშინაც ვიკითხე და მითხრეს: სახლშია, მაგრამ კიდევ ავად არის, წევსო. ვუთხარი: თუ შეიძლება რომ ვნახო

მეთქი. კარგიო და შემიყვანეს იმასთან, თავ-ქვეშ დამაჯინეს, იმან თითქო აღსარებასავით მომიყვა თავის თავგადასავალი და მითხრა: რა ჭირად მინდოდა შენი ნოტები და საგალობლები მე! უმჯობესი იყო ჩემთვის სრულებით თვალით არ დამენახა იგინი! რატომ მეთქი მე ვუთხარი, იმან მითხრა: იმიტომ რომ მათი გაყიდვის გულისათვის წავედი თბილისში, რომ მიეღოთ და ეყიდათ. მაშინ მითხრეს: ამა და ამ სახლებში, სულ მაღლა სართულში ადი და იქ იკითხეო. მეც მართლა ცალ-ფეხა კაცი ავშოკინდი მაღლა მესამე სართულზე კიბის თავში, ამისხდა ჯოხი და გადმოვარდი ძირს, დავეცი მწარედ და ორ საათს მკვდარივით ვეგდე, და იქიდგან საავადმყოფოში წამიყვანეს. და ეს ერთი წელიწადია სულ იქ ვიყავი, ას თუმანზე მეტი დავხარჯე და ვერც მოვრჩი კარგადო.

ამის შემდეგ გარდაიცვალა მამა რაჟდენი რამდენიმე დღის შემდეგ. 1937 წ. მისმა შვილმა შალვა ხუნდაძემ გაყიდა ჩემგან ნანართვი საგალობელთა წიგნები და მთავრობისაგან დიდი ფული აიღო (13000მან.).

მე რომ გელათის მონასტერში გადავედი, მაშინ განგებ ვიყიდე ძალიან ბევრი დაუწერავი სუფთა ნოტის ქაღალდები და თან წავიღე, წესრიგიანად გადასაწერად ყველა ნოტის საგალობელთა, რადგან სრული ტიპიკონის წესრიგი, ყველა მონასტერზე უფრო იქ სრულდებოდა და ამიტომ საჭირო იყო ჩემთვის მათი კანონიერი შესწავლა, და მისდაგვარად ნოტების გალობათა მწყობრად დალაგება. მე ყველა ამეებს ვმეცადინეობდი იქ. ყველა საგალობლები გაყოფილია ხუთ ნაწილად.

პირველ ნაწილში ირგვლივ მთელი წლის ყველა საწირვო საგალობლები ერთად არის მოქცეული, რომელიც არის სამი წირვის წესი:

1) ვასილი დიდის წირვისა, რომელიც სრულდება და იგალობება, დიდ-მარხვის კვირა დღეებში.

2) წმ. იოანე ოქროპირის წირვისა, რომელიც სრულდება და იგალობება გარდა დიდ – მარხვისა, მთელი წლის განმავლობაში ყოველ დღეს.

3) წმ. გრიგორი დიოლოღოსის პირველ – შეწირულის წირვა, რომელიც სრულდება დიდ – მარხვის სადღესასწაულო დღეებში.

ყველა ამ ხსენებულ წირვებს, თავ-თავის დროებში, თავ – თავისი წესრიგი და თავ – თავისი საგალობელთა სიმრავლე აქვსთ! და გარდა ამ საგალობელთა სიმრავლისა, შესულია ყველა საუფლო დღესასწაულის, მეცხრე სძლისპირნი, რვა- ხმა, სამოციქულოს წარდგომები, რვა ხმა, მომიხსენენის საგალობლები. ეს ხსენებული რვა ხმები ყოველკვირაობით იცვლებიან.

ამ პირველ ნაწილ საწირვო წიგნში დაიწერა 595 № საგალობელნი და 835 გვერდი.

მეორე ნოტის წიგნში არის: ირგვლივ მთელი წლის განმავლობაში სახმარებელი, ყოველგვარ მწუხრის საგალობელთა! საზოგადოდ, მწუხრის წესრიგში არის დადგენილი: ხუთმეტი აღსავალი (კიბე):

1. აკურთხევს სული ჩემი უფალსა;
2. დიდი კვერექსი;
3. დავითნის კანონი;
4. უფალო ღაღად ვყავ;
5. უფალო ღაღად ვყავის დასდებელნი;
6. ნათელი მხიარული;
7. სამწუხრო წარდგომები;
8. საწინასწარმეტყველოები;
9. დიდი კვერექსი: ვსთქვათ ყოველთა;
10. და ღირს მყვენ;
11. აღუსრულოთ სამწუხრო ვედრება;
12. სტიქარონსა ზედა დასდებელი;
13. აწ განუტევე;
14. ტროპრები, იმ დღისანი;
15. ჩამოლოცვა.

თითოეულ აღსავალში ყოველ დღესასწაულებში, ყოველ კვირაობით და ყოვე დღე, ჩადგება თავ-თავისი რიგის საგალობლები, მარტო დიდი და მცირე კვერექსები იხმარება ყოველთვის. ერთი და იგივე თავ – თავის ადგილზე, დანარჩენი ყველა აღსავლის მუხლები იცვლებიან დღესასწაულის მიხედვით, კვირეების რვა – ხმის მიხედვით. და ყოველ დღეს რიგის მიხედვით. ესე იგი, ყოველ დღეს და დღესასწაულებში ყოველ აღსავლის რიგებში ჩასადგომში თავ-თავისი საგალობელთა სიმრავლე აქვს. ხოლო კვირეების

დღეებში ჩასდგებიან რიგის შემდეგი რვა- ხმათა სამწუხარო საგალობელნი.

რვა- ხმა, სამწუხარო წარდგომები;

რვა – ხმა, უფალო ღაღად ვყავი;

რვა – ხმა, უფალო ღაღად ვყავის დასდებელნი;

რვა – ხმა, ლიტის დასდებელნი;

რვა – ხმა, სტიქარონი დასდებელნი;

რვა – ხმა, საუფლო ტროპრები;

რვა – ხმა, - დოღმატიკები.

ამ მეორე ნაწილ მწუხრის საგალობელ წიგნში არის ნოტებით დაწერილი სულ 452 № საგალობელნი და 814 გვ.

მესამე ნოტის წიგნი არის:

ირგვლივ მთელი წლის განმავლობაში სახმარებელი საცისკრო საგალობლები.

საზოგადოდ საცისკრო დადგენილ წესწყობილებასა აქვს 40 აღსავალი (კიბე).

1. ექვს ფსალმუნება.
2. დიდი კვერექსი
3. ღმერთი უფალი (დიდ-მარხვაში ამის მაგიერ ალილუია არის)
4. ღმერთი უფალის ტროპრები (დიდ-მარხვაში ალილუიას ტროპრები არის).
5. დავითნის კანონი 1-ლი.
6. დავითნის წარსდგომა 1-ლი.
7. დავითნის კანონი, მეორე.
8. დავითნის წარდგომა, მეორე.
9. დავითნის მეჩვიდმეტე კანონი. ნეტარ არიანი ანუ დღესასწაულებში, მეცხრამეტე კანონის აქებდი და აუარებდით
10. გუნდნი ანგელოსთანი (თუ კვირაა) თუ სხადასხვა დღესასწაულია: მეოთხე ხმის ანტიფონი, სამი მუხლი
11. სადიდებელი წმიდათა
12. სადიდებელთა დასდებელი
13. ანტიფონების რიგი

14. წარდგომა სახარებისა
15. ყოველი სული აქებდით
16. რიგის სახარებისა წაკითხვა
17. აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ
18. მიწყალე, დიდი
19. მოციქულთა ვედრებითა
20. აცხოვნე ღმერთო ერი შენი
21. პირველისა გალობათა კანონი
22. მესამე გალობათა კანონი
23. კატავასიეები (დასაფარი სძლისპირნი) და კვერექსი მცირე
24. კონდაკი და იკოსი და მცირე კვერექსი
25. მეოთხე საგალობელთა კანონი
26. მეხუთე საგალობელთა კანონი
27. მეექვსე საგალობელთა კანონი
28. კონდაკი და იკოსი
29. სვინაქსარი (თვენის წმიდის მოხსენიება)_და მცირე კვერექსი
30. მეშვიდე საგალობელთა კანონი
31. მერვე საგალობელთა კანონი
32. ადიდებს სული ჩემი უფალსა
33. მეცხრე საგალობელთა კანონი
34. მცირე კვერექსი და წმიდა არს უფალი
35. განმანათლებელთა მუხლები
36. ყოველი სული აქებდით უფალსა
37. აქებდითსა ზედა დასდებელნი სადაგ დღეებში, აღვერიენითსა ზედა დასდებელნი
38. დიდება მაღალიანი
39. დიდება მაღალის ტროპარები
40. დიდი კვერექსები: შეგვიწყალენ და აღუსრულოთ და ჩამოლოცვა

მარტო დიდი და მცირე კვრექსები სრულდება ყოველთვის ერთი და იგივე თავ-თავის ადგილებზე, დანარჩენი ყველა აღსავლებში ჩასდგებიან მდგომარე დღესასწაულის ანუ დღის წმიდის საგალობლები, და აგრეთვე კვირა დღეობით შემდეგი რვა-ხმები:

რვა-ხმა: ღმერთი უფალი
რვა-ხმა: აღდგომის ტროპრები.
რვა-ხმა: ალილუია. დიდ-მარხვის
რვა-ხმა: დიდ მარხვის სამებიანის ტროპრები
რვა-ხმა: შუა-ღამიანის სძლისპირები
რვა-ხმა: ფსალმუნთა სტიხოლოღიები
რვა-ხმა: ანტიფონების საგალობლები
რვა-ხმა: სახარების წარდგომები
რვა-ხმა: ყოველი სული აქებდით
რვა-ხმა: იპაკოები
რა-ხმა: სძლის-პირები
რვა-ხმა: სძლისპირთა ზედა კატავასიეები
რვა-ხმა: აღდგომის კონდაკები
რვა-ხმა: წმიდა არსის საგალობლები
რვა-ხმა: განმანათლებელი აღდგომისა და სხვა დღესასწაულთა
რვა-ხმა: განმანათლებელი სადაგ დღეებისა
რვა-ხმა: განმანათლებელი დიდ-მარხვისა
რვა-ხმა: სტიხოლოღიები დიდ-მარხვისა
რვა-ხმა: აქებდითსა ზედა, დასდებელნი.
რვა-ხმა: აღვივსენითა ზედა დასდებელნი
რვა-ხმა: დიდება მაღალიანის 2 ტროპარი
რვა-ხმა: დიდება... და აწდა...

ყველა ეს ხსენებული რვა ხმები, სულ სხვა და სხვა ხმისა არიან! და ერთმანეთს არა ჰგვანან. რვა კვირის განმავლობაში, ყველა ხმები გალობს თავთავის ხვედრ კვირის განმავლობაში და მერე ისევ თავიდგან, ესე იგი ისევ პირველ ხმიდგან იწყებენ მორიგს, ყველა საგალობლების ხმები თავის მიმდინარეობით.

ამ საცისკრო მესამე საგალობელ წიგნში არის მოთავსებული ცხრა ჟამნის საგალობელნიც: პირველი ჟამნის... მესამე ჟამნის... მეექვსე ჟამნის... და მეცხრე ჟამნის საგალობელნი. ყველა თავთავის მუხლებით და ჩასართავებით.


ყველა აქა მოხსენებული საცისკრო და ეგრეთვე, ცხრა ჟამნის საგალობლები სწერიან თეთრად, თავთავის რიგზე წყობილობით, და არის რიცხვით 791 № საგალობელი და 1338 გვერდი.

მეოთხე წიგნი დამზადებული არის თეთრად გადასაწერად: მთლიანი სძლისპირთა კრებული და მათ გარდა ჭრელი საგალობლები... რომელთა რიცხვი იქნება უმეტეს ათას ხუთასისა.

მეხუთე წიგნი ნოტებზე დაწერილი არის: მთელი წლის თორმეტ საუფლოთა დღესასწაულთა საგალობლები ცალ-ხმაზე ფანქრით. ესენიც სამ ხმაზე გასაწყობია და დასაწერი არის, და მერე თეთრად მელნით გადასაწერი.

მე ექვთიმე ს. კერესელიძე ბოდიშს ვიხდი ყველა ახლანდელ დიდად პატივ-ცემულ მთავრობასთან და ახლანდელ მოძმე ქართველებთან: მე ჩემს არსებობაში მყავდა მარტო ერთი ერთ-გული თანამშრომელი ამხანაგი, მაქსიმე როსტომის ძე შარაძე! იმანაც ცოტა ხანს იცოცხლა, მის შემდეგ სულ ყოველ-გვარად დატანჯული შევიქენი, მატყუარ ბოროტ ამხანაგებიდან! ბევრ-ჯელ მშიერი ვიყავი, ბევრ-ჯელ მწყურვალე, ბევრ-ჯელ შიშველი და ბევრ-ჯელ ავათ მყოფი და საპყრობილეში. მაგრამ ამავე დროებში მტერთაგან მიკნინებულმან იმდენი კიდევ ვცადე რომ, ეს ხსენებული საგალობელნი 1. წირვის, 2. მწუხრის, 3. ცისკრის, და 4. სძლის პირთა კრებულის, სამ ხმაზე მშვენივრად გაწყობილი მოვიმუშაკე და შევიძინე; რომელიც ზემოთ მოგახსენეთ.

ხოლო მეხუთე წიგნი: თორმეტ საუფლო დღესასწაულთა საგალობლები და მარხვანის და ზადიკის ჭრელი საგალობლების ცალ-პირველ ხმაზე დაწერა მოვასწარით ჩვენ და ფილიმონ ქორიძემ, დიდ მგალობლების სიცოცხლის ბოლო დროებში და ეს ცალ პირველ ხმაზე დაწერილი საგალობლები, ძალიან ბევრ რიცხვს შეიცავს! და ამიტომ ჩემი უსაშვალობისა, და მტერთა კვეთებისა გამო, დამრჩა სამ ხმაზე გაწყობილი და გადაუწერავი! რომელიც სწორედ ძლიერ სასურველია, და დიდათ საჭიროც არის, რომ როგორც ძველად უგალობნიათ კარნახით სამ-ხმაზე უწინდელ ჩვენ მამა-პაპებს; ყველა დღესასწაულთა საგალობლები, ისე სამ ხმაზე გაიწყოს და დაიწეროს ნოტებზე, ჩვენ მომავალი თაობის სიმდიდრის ქონების ძეგლად.



ზედაზნის მონასტერი

●

1925 წელში, გელათის მონასტრითგან გადმოვედით საცხოვრებლად მცხეთის საკათედრო სობოროში, მუნ მყოფ ეპისკოპოს პავლე ჯაფარიძის[51] თხოვნით, და ჩემს იქ მყოფობა – სამსახურში შევხვდი იქვე სობორის წიგნებში ერთ ხელთ-ნაწერ წიგნს, რომელშიდაც ეწერა: ყოველი დღიური წმინდანების სახელებზე აწყობილი საგალობლები! მე ამ წიგნის ამბავი გაგონილი მქონდა მგალობლებისაგან და თვითონ არა მქონდა ნახული და ძალიან კი მწადოდა მისი ნახვა; და სწორედ ახლა რო აქ შემხვდა და ვიპოვნე, საოცრად გამეხარდა! მაშინვე დავჯექი და როგორც რომ იქვე გალობის ხმას უჩვენებდა, ისე იმ ხმაზე ვიგალობე სულ! და დავსწერე ნოტებზე სამ ხმაზე განყობით, ისე როგორც ძველად უგალობნიათ მგალობლებს.

ეპისკოპოს პავლეს გარდაცვალების შემდეგ, გადავედი საცხოვრებლად ზედაზნის მონასტერში 1932 წელს, ჩვენი დღევანდელი პატივცემული მთავრობის ნებართვით, და ამის შემდეგ გავიცანი კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის მუზეუმ „მეტეხის"[52]

უფროსი ინსპექტორი დავით დავითაშვილი[34], და დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე[35]; ამ ხსენებულ პირებთან ხშირად დავდიოდი ზედაზნის მონასტრიდგან რაიმე საქმისათვის.

ერთხელ დავით დავითაშვილმა მკითხა: ბეთანიის ბერებმა მითხრეს, ბერ ექვთიმე კერესელიძეს ხელთნაწერი ნოტები აქვსო, მართლა გაქვს თუ არა? მე ვუთხარი, მართალია მაქვს მეთქი. რა ნაწერებია? მკითხა, ქართული საგალობლები ნოტებზე გადაღებული მეთქი; მკითხა, ბევრი გაქვს თუ ცოტა? მე ვუთხარი, ერთი ცხენის საპანე იქნება მეთქი; მაშინ მითხრა, რატომ აქამდი არ გვითხარი თუ კი მართლა გქონია. მაშინ მე ვუთხარი: არავის არ ვეუბნებოდი, ჩემთან მაქვს ნამუშევარი და ჩუმათა მაქვს შენახული, რადგან მეშინია, არავინ არ დამეცეს, არ წამართვან, ან არ დახიონ, ან არ დასწვან და მეც ციხეში არ მიმცენ. შენ საეკლესიო საგალობლები რომ გიწერიაო, არ მითხრან. მაშინ მკითხა: სია გაქვს მაგ საგალობლებისა? მე ვუთხარი მაქვს მეთქი. აბა, მოგვიტანეო და თანაც მითხრა: კარგი დიდი საქმე გაგიკეთებია შენ თუ მართალია. მაგ საქმის გაკეთებას მეც თვითონ ვფიქრობდი და მინდოდა გამეკეთებია, მაგრამ ვერ მოვახერხე და თუ შენ ეს საქმე მართლა გიზრუნია, ძალიან გასახარელიაო.

მეორე დღეს საგალობელთა სია გადავეცი ბატონ დავითაშვილს, და რომ ნახა სიხარულით აღივსო და მაშინვე ეუბნება დირექტორ დ. შევარდნაძეს: მოქალაქე ექვთიმე კერესელიძეს დახედე რა დიდი საქმე გაუკეთებიაო! ამ თავის ნაშრომს ხელნაწერებს გადმოგვცემს დასაცავად და თვითონ იგი დავაჯილდოვოთო! იგივე საგალობელთა სია მთავრობის ყველა დაწესებულებებში შეაქვს და ახარებს ყველას: თუ რა ძვირფასი ეროვნული სიმდიდრე, ვიპოვნეთო! ამ პატივცემულმა და გახარებულმა კაცმა, მეც კი გამახარა: გამიყოლა და გამაცნო მთავრობის დიდ-დიდი პირები, რომელნიც არიან ფ. მახარაძე[36] და მისთანანი სხვები. ამ დროს ვფიქრობ ჩემ თავად: ეს რა სასწაული მოხდა ჩემ თავზე! დღემდის მე ქვეყანაზე კაცად არავინ მთვლიდა! ჩემთან ლაპარაკსაც არ კადრულობდენ, ყველას დაწუნებულად მივაჩნდი და ზოგი ზედაც არ მხედავდა, და ზოგს სასაცილოდ მივაჩნდი! ახლა დღეს რო ჩემთა ფეხებმა დიდ-დიდი დაწესებულებები მოიარა, ხელის ჩამორთმე-

ვით გამეცნენ! ეს ჩემთვის დიდი საოცრება და გახარება არის!!!

ამ პატივ-ცემული მთავრობის კრების გადაწყვეტილებით ერთ-დროულად დამაჯილდოეს ას-ორმოცდაათ თუმნით, და აგრეთვე თვეში თხუთმეტი თუმნის პენსიის დანიშვნაც აღმითქვეს.

მაშინ მე ექვთიმე კერესელიძემ გადავეცი მთავრობას დასაცავად, ყველა ჩემი ნოტის საგალობელთა ნაწერები, ისე როგორც ამ ჩაბარების ოქმში მოხსენებული არის.

ო ქ მ ი

1935 წელს 20 ნოემბერს, ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერელთა, საქართველოს განსახკომისაგან დანიშნულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა: ექვთიმე კერესელიძისაგან 41-42 წლის წინად გადაღებული საეკლესიო საგალობელთა ხელთნაწერი ნოტების მიღება, შევასრულეთ ეს დავალება და ჩავიბარეთ ხსენებულ მოქ. კერესელიძისაგან, ამასთანავე დართული სიით, როგორც ხელთნაწერი ნოტები თავის საძიებელით, ისე ხელთნაწერი წიგნი სათაურით: „ფსალმუნთა განმარტებანი“ და ეგრეთვე: ხელთნაწერი წიგნი: „ისტორია ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა.“

კომისიის წევრები:

თავმჯდომარე გ. მიროტაძე

1. წევრნი დ. არაყიშვიალი
2. „ გ. ბოჭორიძე
3. „ დ. დავითაშვილი

ქართულ საგალობელთა სია:

ა. 1-ლი წიგნი: წირვის წესისა: ამ წიგნში მოთავსებულია 71 № 127 გვერდი

ბ. 1-ლი წიგნი: სამი წირვის წესისა, მთელი წლის განმავლობაში, ყველა სადღესასწაულო საწირვო საგალობლებითა. ამ წიგნში მოთავსებულია 595 ნომერი საგალობელი და 835 გვ.

2. წიგნი, ამ წიგნშიდაც არის მოთავსებული წირვისა და მიცვალებულთა წესის საგალობელნი: სამ ხმაზე გამშვენებული 112 ნომერი და 1990 გვერდი.

3. წიგნი, ამ წიგნში არის სხვა და სხვა 100 ნომერი საგალობელი და 268 გვერდი.

4. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სძლის-პირნი და სხვა და სხვა 58 ნომერი საგალობელნი და 198 გვერდი.

5. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სძლის-პირნი და კიდევ სხვა და სხვა 66 ნომერი საგლობელი და 183 გვერდი.

6. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სძლის-პირნი და კიდევ სხვა და სხვა 71 ნომერი საგალობელი და 183 გვერდი.

7. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სხვადასხვა საქართველოს წმიდანების ტროპარები და სხვა 64 ნომერი საგალობელი და 228 გვერდი.

8. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სძლის-პირნი და სხვა და სხვა 287 ნომერი და საგალობელი და 320 გვერდი

9. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სძლის-პირები და სხვა და სხვა 149 ნომერი საგალობელნი და 173 გვერდი.

10. წიგნი, ამ წიგნში არსი მოთავსებული: რვა-ხმა სძლის-პირნი და რვა-ხმა დიდება... და აწდა... და სხვა, 107 ნომერი საგალობელი და 340 გვერდი

11. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: მარხვან – შეხვეტილიანის და სხვა ჭრელების 89 ნომერი საგალობელი და 188 გვერდი.

12. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სძლის-პირნი და დასდებელნი 132 ნომერი და 212 გვერდი

13. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული რვა-ხმა სძლის-პირები და რვა-ხმა ანტიფონები, კიდევ სტიხოლოლიები და რვა-ხმა ალილუიანი. რვა-ხმა წმიდა-არსნი და რვა-ხმა მომიხსენენი. და საბოვშო სადა-კილო წირვის-წესის და სხვა: 229 ნომერი საგალობელი და 814 გვერდი.

14. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სულ სხვადასხვა ნაირი ხმის სძლის-პირები 232 ნომერი საგალობელი და 284 გვერდი

15. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: თორმეტ საუფლო სადღესასწაულო 378 ნომერი საგალობელი და 876 გვერდი.

16. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა-ხმა სამწუხრო აღდგომის ყოველნი საგალობელნი და ეგრეთვე საქართველოს წმიდანების და სხვა დღესასწაულთა საგალობელნი. ეგრეთვე ღვთისმშობლის პარაკლი-

სის საგალობელნი. და ეგერთვე, მაცხოვრის პარაკლისის საგალობელნი. ყველა ესენი სუფთად და თეთრად დაწერილნი არიან 452, ნომერი და 814 გვრდი.

17. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: სრულიად წელიწადისა შინა სახმარებელი რვა-ხმა აღდგომის საცისკრო საგალობელნი და ეგრეთვე რვა-ხმა შუაღამის სძლისპირნი და რვა-ხმა სტიხოლოღიები. სულ არის 791 ნომერი და 1338 გვერდი.

18. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული 8 სექტემბრის ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის სრული საცისკრო საგალობელი ცალ-ხმაზე დაწერილი 93 ნომერი და 95 გვერდი.

19. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: 21 ნოემბრის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების საცისკრო სრული საგლობელი ცალ ხმაზედ დაწერილი, სულ არის 143 ნომერი და 132 გვერდი.

20. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული 25 დეკემბრის ქრისტე-შობის საცისკრო ყველა საგალობელი, ცალ-ხმაზე დაწერილი, სულ 90 ნომერი და 134 გვერდი.

21. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული 29 ივნისის პეტრე-პავლობის დღის საცისკრო ყველა საგალობელნი, ცალ ხმაზე დაწერილი, სულ 148 ნომერი და 118 გვერდი.

22. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: 6 აგვისტოს, ფერისცვალების საცისკრო ყველა საგალობელი, ცალ ხმაზე დაწერილი, რომელიც არის 123 ნომერი და 105 გვერდი.

23. წიგნი, ამ შიგნში არის მოთავსებული 15 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების საცისკრო ყველა საგალობელი 98 ნომერი და 114 გვერდი.

24. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული 29 აგვისტოს იოანე ნათლის-მცემელის თავის-კვეთის საცისკრო ყველა საგალობელნი 136 ნომერი და 112 გვერდი.

25. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის საცისკრო და საწირვო ყველა საგალობელნი, გამშვენებით სამ ხმაზე გაწყობილი სულ 134 ნომერი და 218 გვერდი.

26. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: დღესასწაულების საგალობლები და რვა-ხმა პარაკლიტონის საგალობელი 247 ნომერი და 220 გვერდი.

27. წიგნი, ამ წიგნში არის მოთავსებული: დიდ-მარხვის ჭრელების გალობები. რვა-ხმა აღდგომის დასდებლები და რვა-ხმა იპაკოები 139 ნომერი და 210 გვერდი.

28. დედანი საგალობლებისა წიგნი 1
29. „ 2
30. „ 3
31. „ 4
32. „ 5

33. საძიებელი, ანუ სარჩევი წიგნი საგალობელთა.

34. მღვდელ-მთავრის პარტიტურა

35. „ფსალმუნთა განმარტებანი" ხელთნაწერი

36. „ისტორია" ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა.

თავმჯდომარე (გ. მიროტაძე)
წევრები (დ. არაყიშვილი)[56]
„ (გ. ბოჭორიძე)
„ (დ. დავითაშვილი)

ზემოხსენებული ნოტები ჩავიბარე საქ. მუზეუმის ხელთნაწერთა განყოფილებაში დასაცავად. თანამშრ. გ. ბოჭორიძე

ამ ხსენებულ ნოტის საგალობელთა წიგნში ჩაბარების შემდეგ მივიღეთ თვით მთავრობისაგან მოწერილობა, შესახებ პენსიის დანიშვნისა შემდეგი შინაარსიით:

ზედაზნის ისტორიული ძეგლის მეთვალყურეს ექვთიმე კერესელიძეს: თქვენ მიერ საქართველოს მუზეუმში ხელთნაწერ ნოტების გადაცემის ამბავი მოხსენდა კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, წარსულის 28 დეკემბერში.

კომიტეტი, გაეცნო რა ამ ნოტების შექმნის, შენახვის და გადმოცემის ისტორიას

დაადგინა: მოქ. ექვთიმე კერესელიძეს იშვიათი და ძვირფასი კულტურულ ნამუშევარის დაცვა-შენახვისათვის მადლობა გამოეცხადოს კომიტეტის სახელითაც და მისთვის დასანიშნ პერსონალურ პენსიის საკითხის საბოლოოთ გამორკვევამდე, მას ეძლეო-

დეს კომიტეტის სპეცოპერატიულ თანხებიდგან ყოველ თვიურად ას ორმოცდაათი (150) მანეთი.

კომიტეტი გაცნობებთ ამ დადგენილებას და დასძენს, რომ თქვენ ზემოთაღნიშნულ ანგარიშით ფული მოგეცემათ წარსული წლის 1-ლ ნოემბრიდგან.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ.
დ. შევარდნაძე
უფროსი ინსპექტორი დ. დავითაშვილი

უღრმესად პატივის მცემელი თქვენი
მოქ. ექვთიმე კერესელიძე
1936 წ. 18 თებერვალი

ეს ზემო ხსენებული ჩემზე დანიშნული პენსია, 1935 წ. 1-ლ ნოემბრიდგან, ყოველ თვეს დაუბრკოლებლად მეძლეოდა, ვიდრე 1939 წლის გასვლამდე; 1940 წელს თვით იმ დანესებულებაში, საიდგანაც ფული მეძლეოდა, მოხდა რაიმე დაბრკოლება და მითხრეს: შენ უმაღლეს მთავრობასთან, ხელახალი თხოვნა უნდა მისცე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავაწყვე; მერე ავდექი და მივედი ჩვენი ნოტის საგალობელთა გულშემატკივარ პროფესორ კ. ფოცხვერაშვილთან და უთხარი: თქვენ ხართ ერთადერთი ჭირისუფალი, აპეკუნი, მზრუნველი და ერთგული გამგე; როგორც დიდი მუსიკოსი და გამოჩენილი კომპოზიტორი, და ჩემი ნაშრომი ნოტების ხელმძღვანელი! – გთხოვთ რომ, ამ ფულის დაბრკოლების საქმე, ფეხზე წამოაყენოთ; თხოვნა მიცემული მაქვს უმაღლეს მთავრობასთან, მაგრამ არ დამიშვეს სალაპარაკოდ! ამიტომ ჩემ თხოვნას დიდი დაბრკოლება აქვს, მან მითხრა:

წავიდეთ ნატარიუზში და ვექილობის უფლების ქაღალდი გამოვართვათ, და მე იმით ვიმოქმედებ უმაღლეს მთავრობასთან.

ვექილობის ქაღალდის შემდეგ, უმაღლეს მთავრობამ ჩარკვიანმა[37], ბრძანება გამოსცა: „რადგან რომ ის კერესელიძის ნამუშევარი საქმე, დიდმნიშვნელოვანი ყოფილა, ამიტომ დაინიშნოს კო-

მისია, კომპოზიტორებისა და დირექტორებისაგან, და შეამოწმონ ნამუშევარი ქონება და შეაფასონ, და გადასწყვიტონ კერესელიძის გადასაცემი ფული".

ამ ბრძანების აღსრულების საქმე, კარგად მოაწყო ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილმა, რომელმაც შეკრიბა საეკსპერტო მთავარი პირები და კომისია შეადგინა! კომისია რომ გაცნობილა, ყველამ ერთ ხმად სთქვეს და დაადგინეს:

ეს საქმე, მეტად ძვირფასი და ფას-დაუდებელი არისო!!! ამიტომ კერესელიძეს გადაუწყვიტოთ, არა ერთბაშად ფულის მიცემა, არამედ ნაწილ ნაწილად, რომ მისთვის და ჩვენთვის საადვილო და უმჯობესი იქნეს; ამრიგად ჩვენს დიდ ნაშრომ მოხუცებულს კერესელიძეს, თავის საბოლოო უზრუნველ საცხოვრებლად, თვეში დაენიშნოს ოცდაათი (30მ) თუმანი; ამ გადაწყვეტილებაზე ყველამ ხელი მოაწერა და ამასთანავე, დაავალეს: საქართველოს სააკადემიო მუზეუმის დირექტორ შ. ამირანაშვილს[38], რომ ამ ხსენებული ყოველთვიურად ფულის მიცემით, სააკადემიო მუზეუმის თანხიდგან, თავის საკუთრებად შეიძინოს მუზეუმმა, თვის შორის დაცული და შენახული: ქართული ნოტების საგალობელთა წიგნები, შემდეგის ხელშეკრულებით:

ხელშეკრულება

1941 წლის 22 მარტს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, მისი დირექტორის შალვა იასონის ძე ამირანაშვილის სახით, ერთი მხრით და კერესელიძე ექვთიმე სოლომონის ძე, ქვემოთ შემოკლებისათვის „კერესელიძედ" ნოდებული, მეორე მხრით, სდებენ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ექვთიმე კერესელიძე უთმობს საკუთრებად სახელმწიფო მუზეუმს, მის მიერ შეგროვილი საქართველოს ყველა კუთხეების ძველს ქართულს საეკლესიო საგალობელთ, ნოტებზე გადაღებულთ; რომელიც მოთავსებული არის 37 წიგნში, და რომელიც შესდგება 5532 ნომრისაგან.

2. ამა ხელშეკრულების 1-ლ პუნქტში აღნიშნული საეკლესიო საგალობლის გადაცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმზე ხდება აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მუზეუმის

დირექტორის მიერ გამოყოფილი პირი და თვით ექვთიმე კერესელიძე და რომელიც დაერთობა ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყრელი ნაწილი.

3. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი კისრულობს ვალდებულებას: აღმოუჩინოს ექვთ. კერესელიძეს დახმარება ამ ხელშეკრულების დადებისთანავე, მისცეს მას ერთდროულად ერთი ათასი (1000) მანეთი და აძლიოს ყოველთვიურად სამას-სამასი (300)მანეთი სიცოცხლის განმავლობაში.

4. ყოველთვიურად დახმარებას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი გაუგზავნის ფოსტით ექვთიმე კერესელიძეს, ყოველი თვის გასვლისას, იმ მისამართით, რომელსაც მუზეუმს მიანოდებს.

5. ექვთიმე კერესელიძე, ახლანდელ მისამართად აცხადებს ს. საგურამოს, ზედაზნის ძეგლი. სამყოფელო ადგილის გამოცვლისას, ექვთიმე კერესელიძე ვალდებულია აცნობოს მუზეუმს ახალი სამყოფელი ადგილი.

6. მხარეები აწერენ ხელს სამ (3) ეგზემპლიარად დაბეჭდილ ხელშეკრულებას. ერთი ეგზემპლიარი ექვთიმე კერესელიძეს მიეცემა, ორი დანარჩენი ეგზემპლიარი კი მუზეუმის განკაგულებაში რჩება.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი
(პროფ. ამირანაშვილი)

ექვთიმე სოლ. კერესელიძე

სახელმწიფო ბეჭდით დამტკიცებული.

კომენტარები:

1. **მაქსიმე შარაძე** – (1859 – 1908), დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ ეწერში (ახლა კახური, გურიანთის საკრებულო) ილია ჭავჭავაძის „ივერიის" სამეურნეო ნაწილის გამგე და ხაზინადარი. 1882 წ. დააარსა „საღმრთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი" და სტამბა. აქ იბეჭდებოდა „ივერია", „ცნობის ფურცელი", „საქართველოს კალენდარი", „Кавказский календарь"-ი, ფილოსოფიური, საღვთისმეტყველო, სახელმძღვანელო წიგნები. პირველად საქართველოში ჩამოიტანა სანოტო შრიფტი და გამოსცა ქართული საეკლესიო საგალობლების კრებულები. თავადაც კარგად გალობდა, დიდი ამაგი დასდო საეკლესიო გალობის გადარჩენის საქმეს.
2. **"ივერიის"** საექსპედიციო საქმეებს მაქსიმე შარაძე განაგებდა 1886 -1900 წლებში.

   „ივერია" – ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან, როგორც ყოველკვირეული გაზეთი, 1879 – 85 წლებში ჟურნალის სახით, 1886 წლიდან – ყოველდღიურ გაზეთად. დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე (1901 წლამდე). რედაქტორები: ს. მესხი, ი. მაჩაბელი (1882 – 84), ა. სარაჯიშვილი (1901 – 1903), გ. ყიფშიძე (1903 – 05), დ. გოგიჩაიშვილი (1905 – 06). დაიხურა 1906 წლის 24 აგვისტოს.
3. **"საღმრთო წიგნთ საკითხავი კაბინეტი"** დაარსდა 1882 წ. ცენზურისაგან ნებართვა მიიღო 1886 წლის 17 მაისს. გამოიცა წესდება და წესები მართლმადიდებელი ძმობის კაბინეტისა. ეს ნაბეჭდი წიგნაკები Q-840 ხელნაწერის 4 – 5 გვერდებს შორის ჩაუკრავს წმ. ექვთიმე აღმსარებელს.
4. **საქართველოს ეგზარქოსი** 1882 – 87 წლებში იყო **პავლე ლებედევი**, ცნობილი თავისი ქართველთმოძულე პოლიტიკით. მისი ეგზარქოსობის დროს დაიკარგა მეტეხის ტაძრის ღვთისმშობლის ოქროსკარედიანი ხატი. თბილისის სიონის ტაძრიდან გაქრა წმიდა ნინოს სასწაულმოქმედი ხატი. მისივე განკარგულებით, თბილისის

სასულიერო სემინარიის ეზოში ცეცხლს მისცეს რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის გამო ამბიონიდან დაწყეველა ქართველი ერი, რამაც ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

5. **ეპისკოპოსი პეტრე** (კონჭოშვილი. 1836 – 1908) – ალავერდისა და გორის ეპისკოპოსი. გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი. ავტორი ცნობილი წიგნისა „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმს და წმინდა ათონის მთაზედ“ (1901წ).

6. **მელქისედეკ ნაკაშიძე** (1852 – 1934), ცნობილი მგალობელი. გალობას სწავლობდა ანტონ დუმბაძესთან. მოღვაწეობდა ათონის მთაზე. იყო ანჩისხატის მედავითნე, შემდეგ გალობდა ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში, ოზურგეთის საკათედრო ტაძარში; ასწავლიდა გალობას თბილისის სასულიერო სემინარიაში. იყო კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების მისიონერი ოზურგეთში. ფ. ქორიძესთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებას.

7. **წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე** (ოქროპირიძე. 1824-1907) - საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი. 1862 წ – აფხაზეთის ეპისკოპოსი, 1869 – 1882 და 1886 – 1898 წ. წ. – გორის ეპისკოპოსი და ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსი. 1882 – 85 წლებში იგი მართავდა გურიის ეპარქიას, ხოლო 1898-1903 წლებში – გურია-სამეგრელოს ეპარქიას.

   წმიდა მღვდელმთავარმა ალექსანდრემ დიდი ღვაწლი დასდო ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლების საქმეს. მთლიანად აღადგინა შიო-მღვიმის მონასტერი, გაიყვანა გზა მონასტერთან, თბილისში დააარსა ეპარქიალური ქალთა სასწავლებელი, გამოსცა მრავალი სასულიერო და ისტორიული წიგნი, სახელმძღვანელო და საგალობლების კრებული, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ შერაცხულია წმიდანად 1995 წლის 19 სექტემბერს. ხსენების დღე 26.10 (8-XI).

8. **ფილიმონ ქორიძე** (1835 – 1911) – პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი (ბანი), პედაგოგი, ფოლკლორისტი, ხალხური

გუნდების ორგანიზატორი და ლოტბარი. საოპერო ხელოვნებას ფ. ქორიძე იტალიაში დაეუფლა, მღეროდა მილანის „ლა-სკალაში". 1881 წ. ერთხანს მღეროდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული საეკლესიო საგალობლებისა და ხალხური სიმღერების თავმოყრის, ნოტებზე გადატანისა და გავრცელების საქმეს. დაკრძალულია ქ. ოზურგეთში.

9. **ანტონ დუმბაძე** (1824 - 1907) - ცნობილი გურული მგალობელი, რომელიც ათონის მთაზე გალობდა. იყო გურიის მილიციის (სახალხო რაზმის) ასეულის მეთაური.
10. **გიორგი დუმბაძე** – (1788 – 1883) - შემოქმედის მონასტრის მღვდელი, მგალობელი.
11. **დავით დუმბაძე** (1850 - ?) – ანტონ დუმბაძის შვილი, დეკანოზი, ქ. ოზურგეთის წმ. მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, მგალობელი, ოზურგეთის სასულიერო სასაწავლებლის გალობის მასწავლებელი.
12. **წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი** (გერასიმე ქიქოძე. 1825 – 1891) – იმერეთის ეპისკოპოსი, მოწყალე და ქველმოქმედი, ქართული ენის მხურვალე დამცველი, ცნობილი მქადაგებელი (ავტორი „ქადაგებების" ორტომეულისა) და მეცნიერი (ავტორი ნაშრომისა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები"), ეკლესია – მონასტრების აღმშენებელი. დაკრძალულია გელათში.
    საქართველოს ეკლესიის მიერ შერაცხულია წმიდანად 1995 წლის 19 სექტემბერს. ხსენების დღე - 25.1. (7. 02).
13. **ჯაბა, ტელემაკ გურიელები** – გურიის მთავრის გიორგი V გურიელის შვილიშვილისა და უკანასკნელი გურიელის მამია სიმონის ძის ბიძაშვილის დავით გურიელის შვილები. ძმები ცნობილი პოეტის მამია გურიელისა. „გურიის საზოგადოების შესამჩნევი წევრები" (ი.მეუნარგია). საეკლესიო გალობის ცნობილი მცოდნე და შემსრულებლები. ჩინებულად იცნობდნენ ქართულ, რუსულ, ევროპულ, ბერძნულ-რომაულ ლიტერატურას და ფილოსოფიას. ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და-ძმა უორდროპებთან.
14. **დიმიტრი ჭალაგანიძე** (1818 – 1917) – ქართული გალობის საუკეთესო მცოდნე. დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. მისი წინაპრები გურულები ყოფილან. ერთი მგალობელი ჭალაგანიძე

ჭყონდიდელს მარტვილის მონასტერში მიუწვევია XVII ს – I ნახევარში გუნდის ხელმძღვანელად. დიმიტრის ბაბუის მამა იქ დასახლებულა და თაობიდან თაობას გადასცემდა სიმღერა – გალობის ტრადიციებს. იგი ჭალაგანიძეთა მეოთხე თაობის წარმომადგენელია. გალობდა მარტვილის მონასტერში თეიმურაზ გეგეჭკორთან და მის ერთადერთ ვაჟთან, ანდრია ჭალაგანიძესთან ერთად. ერთ საეკლესიო დღესასწაულზე, ეპისკოპოს დიმიტრი აბაშიძეს მოუნდომებია მთელი დავითნის სიმღერით შესრულება, რისთვისაც გურიიდან გამოუძახიათ ანტონ დუმბაძე. მასთან ერთად დიმიტრის და მის გუნდს ხმებად დაყოფილი დავითნის ნასაკითხები სიმღერით შეუსრულებიათ. მის მოწაფეთაგან გამორჩეულია რაჟდენ ხუნდაძე.

15. **რაჟდენ ხუნდაძე** (1845 – 1929) - მღვდელი, ცნობილი მგალობელი, მონაწილეობდა ქუთაისში ფილიმონ ქორიძის მიერ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებაში. მან რამდენიმე წლის განმავლობაში სამხმიანი გუნდისათვის გამართა 3 100 საგალობელი. ქუთაისის არქიელის გორის წმ. გიორგის ეკლესიის მოძღვარი. დაკრძალულია ქუთაისში, გოჭოურის სასაფლაოზე.
16. **ივლიანე წერეთელი** – ქუთაისის საკათედრო ტაძრის იპოდიაკონი
17. **პოლიევქტოს კარბელაშვილი** (1855 – 1936) – ცნობილი მგალობლის გრიგოლ კარბელაშვილის ვაჟი. მწერალი, ისტორიკოსი, მგალობელი, ავტორი წიგნისა: „ქართული საერო და სასულიერო კილოების ისტორიული მიმოხილვა“ (1898 წ.). მან მოამზადა და გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი", „ანტონ I –ის „მზა-მეტყველება", „აბო თბილელის წამება", „წმ. ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციები“ და სხვ. მასვე ეკუთვნის ისტორიული მიმოხილვა: „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ და „ ძველი ანჩისხატის ტაძარი თბილისში".
18. **ვასილ კარბელაშვილი** (ეპისკოპოსი სტეფანე. 1858 – 1936) – ცნობილი ქართველი მგალობლის გრიგოლ კარბელაშვილის ვაჟი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, მოსკოვის კონსერვატორია, 1888 წელს გამოსცა ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული. 1919 წელს აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში, 1921 – 22 წლებში თელავის ტაძრის წინამძღვარია. 1925 წლის 24 ოქტომ-

ბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით ხელდასმულ იქნა ბოდბელ ეპისკოპოსად. 1928 წლის 24 მარტს გადაიყვანეს ალავერდელ ეპისკოპოსად. 1928 წლის 1 ოქტომბერს ალავერდის ტაძარი დაიკეტა. 1936 წელს პენსიაზე მყოფი გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად დაკრძალეს წმიდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში (ნავთლული)

19. **მღვდელი მოლოდინოვი** – მღ. ალექსანდრე მოლოდინაშვილი, გალობის საუკეთესო მცოდნე, გარდაიცვალა 1900 წელს.
20. **მიხეილ იპოლიტოვ – ივანოვი** (ნამდვილი გვარი ივანოვი. 1859 – 1935) – რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. 1882 – 93 წლებში ცხოვრობდა თბილისში. იყო რუსეთის მუსიკალური საზოგადოების საქართველოს განყოფილებისა და თბილისის მუსიკალური სასწავლებლის ხელმძღვანელი. 1899 წელს გამოსცა საეკლესიო საგალობლების კრებული – „ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი). წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი".
21. **ნიკოლოზის ქ. №21** (დღეს ჯავახიშვილის ქ. № 7), სადაც მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.
22. **Сельско хозяйственный журнал** – ჩვენი აზრით, საუბარი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის ყოველწლიურ გამოცემაზე (1909 - 1915)
23. **Кавказский календарь** – გამოდიოდა თბილისში 1845 – 1916 წლებში, ყოველწლიურად, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით.
24. **"ცნობის ფურცელი"** – ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1896 – 1906 წლებში. რედაქტორ-გამომცემლები: ვალერიან გუნია (1896 – 1899), ალ. ჭყონია (1899 – 1900), ალ. ჯაბადარი (1901 – 1906 წ.). 1904 წლიდან გაზეთი გახდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის ორგანო. 1901 წლიდან ჰქონდა ყოველკვირეული სურათებიანი დამატება.
25. **"საქართველოს კალენდარი"** – გამოდიოდა თბილისში 1888 – 1898, 1903 – 1905 წლებში. შემადგენელი და გამომცემელი ვალერიან გუნია. ყოველწლიური გამოცემა. სულ გამოვიდა 14 წიგნი.
26. **ალექსანდრე ხახანაშვილი** (1864 – 1912) – ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი, ისტორიკოსი. ავტორი ფუნდა-

მენტური ნაშრომისა: „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (რუსულ ენაზე, 4 ტომად). გამოავლინა და გამოაქვეყნა ძველი ქართული ხელნაწერები. 1911 წ. ა. ხახანაშვილის ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით მოსკოვში ჩამოყალიბდა ქართველი მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება.

27. ამ დროს გაბრიელ ეპისკოპოსის მდივანი გახლდათ ვინმე თუთბერიძე.

28. **ანდრია ბენაშვილი** (1852 - 1908) – ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებლისა და სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელი, ქუთაისის არქიელის ტაძრის გუნდის ხელმძღვანელი. გამოსცა კრებული „იოანე ოქროპირის ლიტურგია“, საეკლესიო საგალობლები. დაკრძალული იყო ბაგრატის ტაძრის გალავანში. არქეოლოგიური გათხრების გამო საფლავის ქვა გადატანილია მწვანეყვავილას პანთეონში.

29. **საუბარია გამოცემაზე:** „ქართული გალობა. ლიტურგია იოანნე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელ-მთავრისათვის. გადაღებულია ფილიმონ ი. ქორიძის მიერ. გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან, რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. გამოცემა მ. შარაძის და ამხან. (ე. კერესელიძისა, ვ. გძელიძისა და ს. ლოსაბერიძისა). ბანი № 1. ტფილისი 1895 წ. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქუჩა № 21“. ნიგნი დაცულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების ფონდში.

30. **საუბარია გამოცემაზე:** „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. შედგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ. თბილისი. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქუჩა №21. 1895“. ნიგნი დაცულია საქრთველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტის განყოფილებაში. თავფურცელზე ახლავს ავტოგრაფი: „თავადს ილია გრიგოლის ძეს ჭავჭავაძეს ავტორისაგან“.

31. **საუბარია გამოცემაზე:** „ქართული გალობა“ (ქართლ –კახური კი-

ლოთი) ლიტურღია წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი. მიხეილ მიხეილის ძე იპოლიტოვ – ივანოვის მიერ ნოტებზე გადმოღებული და დაწერილი მღ. მღ. ძმათა პოლ. და ვას. კარბელაშვილთა, ალ. მოლოდინაშვილის და გრ. მღებრიშვილის დახმარებითა. გამოცემულია ალექსანდრე ეპისკოპოსის აწ გურია - სამეგრელოს მწყემსთ – მთავრის წარსაგებელითა. დედანზედ გამართვა – შესწორებით მღ. ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილისათა. თბილისი. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქუჩა 21. 1899". გამოცემა დაცულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების ფონდში.

32. **არისტოვლე ქუთათელაძე** – (1850 – 1912) – ცნობილი პედაგოგი, ავტორი მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა და მეცნიერულ-პოპულარული წერილებისა: „პირველდაწყებითი ქართული გრამატიკა", „წყარო – სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის", „ქართული ზმნების კლასიფიკაცია", „საზოგადო გეოგრაფია". იგი იყო ძველი ქართული სიმღერა-გალობის საუკეთესო მცოდნე. ფილიმონ ქორიძეს მისგან ჩაუწერია ნოტებზე 551 საგალობელი.

33. **სვიმონ მოლარიშვილი** (1861 – ?) – ცნობილი გურული მგალობელი, ანტონ დუმბაძის მოწაფე. ჰქონდა საოჯახო განათლება. ასწავლიდა ქართულ საეკლესიო გალობას ოზურგეთის მაზრის ბახვის საბლაღოჩინო ოლქის საეკლესიო – სამრევლო სკოლებში, ასევე ხიდისთავის (ჩოხატაური) საბლაღოჩინოში. 1909 წლის 20 ნოემბრიდან ოზურგეთის საკრებულო ტაძარში მედავითნედ მსახურობდა.

34. **წმიდა მოწამე სვიმონი** (მჭედლიძე – 1865 – 1924). 1894 წლის 7 მაისს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, 23 მაისს მღვდლად სოფელ სვირის წმ. თომას ეკლესიაში. რედაქტორ-გამომცემელი სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთისა „შინაური საქმეები". მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავასთან, მღვდლებთან - გერმანე ჯაჯანიძესთან, იეროთეოზ ნიკოლაძესთან და პროტოდიაკვან ბესარიონ კუხიანიძესთან ერთად დახვრეტილ იქნა 1924 წლის 18 აგვისტოს კომუნისტების მიერ.საქართველოს ეკლესიის მიერ შერაცხულ იქნენ წმიდანებად 1995 წელს. ხსენების დღე 14 (27) 08.

35. **"შინაური საქმეები"** – სარწმუნოებრივ - ზნეობრივ - საზოგადოებრივი გაზეთი. გამოდიოდა ქ. ქუთაისში 1908 – 1912 წლებში. რედაქტორ - გამომცემელი – მღ. სვიმონ მჭედლიძე.
36. ჩვენი აზრით საუბარი უნდა იყოს „იმერეთის სარწმუნოებრივ – განმანათლებელ ძმობის" შესახებ, რომელიც დაარსდა 1910 წელს.
37. **ეპისკოპოსი გიორგი** (დავით ალადაშვილი. 1850 – 1924) – დაიბადა ქიზიყის სოფელ არბოშჩიკში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, კიევის სასულიერო აკადემია. 1899 წლის 25 სექტემბერს აღიკვეცა ბერად, 1 ოქტომბრიდან არქიმანდრიტია. 1905 წლის 25 სექტემბერს ხელდასხმულ იქნა გურია – სამეგრელოს ეპისკოპოსად. 1908 – 1917 წლებში – იმერეთის ეპისკოპოსია, 1917 წლის 17 სექტემბრიდან გადაჰყავთ წილკნის ეპისკოპოსად, 1920 წლიდან ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტია და განაგებდა (დროებით) ბათუმ – შემოქმედის ეპარქიას.
1922 წელს პენსიაში გავიდა. გარდაიცვალა 1924 წელს, დაკრძალეს სოფელ არბოშჩიკში.
38. **ეპისკოპოსი ლეონიდე** (ლონგინოზ ოქროპირიძე. 1861 – 1921) – 1887 წლის 19 ივნისს აღიკვეცა ბერად, 1898 წლის 19 აპრილს წმიდა სინოდის მიერ ხელდასხმულ იქნა გორის ეპისკოპოსად. 1900 წლის 12 აგვისტოს გადაყვანილ იქნა იმერეთის ეპარქიაში, 1908 წლის 1 თებერვალს კი გურია – სამეგრელოს ეპარქიაში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ერთ-ერთი გამოჩენილი მებრძოლი. 1917 წლის 12 აგვისტოდან თბილისის მიტროპოლიტია. 1919 წლის 23 თებერვალს აირჩიეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქად. გარდაიცვალა 1921 წლის 11 ივნისს. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.
39. **ეპისკოპოსი დავითი** (ექვთიმე კაჭახიძე. 1872 – 1935) – დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. 1898 ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზონად. 1899 წელს დაინიშნა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად. 1903 წელს გადაჰყავთ რუსეთში – ჯერ ვიტებსკის სასულიერო სემინარიის რექტორად, შემდეგ - ქ. დონის სემინარიისა. 1907 წელს ხელდასხმულ იქნა ალავერდელ ეპისკოპოსად. ეპისკოპოსმა დავითმა ხმა

აღიმაღლა ეგზარქოს ინოკენტის წინააღმდეგ, რომელიც დევნიდა ეპისკოპოსებს ლეონიდესა და გიორგის (ალადაშვილს). ამიტომ, 1912 წელს ეგზარქოს ინოკენტის მიერ გადასახლებულ იქნა საქართველოდან და პიატიგორსკის ეპისკოპოსად დაინიშნა. 1914 წლიდან ვინიცკის ეპისკოპოსია. 1917 წელს საქართველოს ეკლესიის კრებამ დაადგინა ურბნისის ეპისკოპოსად, 1921 წელს გადაიყვანეს ჭყონდიდის, 1923 წელს კი ბათუმ – შემოქმედის ეპარქიაში. 1924 წელს – ალავერდის ეპარქიაში, შემდეგ კი – ქუთაის - გაენათის ეპისკოპოსია. 1930 წელს უკვე ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტია. 1935 წელს გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის ტაძარში. მისი ნაშრომებია: „კონდაკის ტექსტის შესწორების აუცილებლობის შესახებ", „სიტყვები", და სხვ.

40. **წმიდა ღირსი ალექსი** (შუშანია. 1852–1923) – 1885 წელს დაემკვიდრა გელათის მონასტერში. 1886 წ. ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, 1888 წელს კი – მღვდელ-მონაზონად. 1890 წელს ალექსი ბერი თავის მონაზონ დედასთან და დებთან ერთად – თეკლათის მონასტერში დაემკვიდრა. 1891 წელს მან მენჯში (სენაკის რ.) ბერული სენაკის მშენებლობა დაიწყო ე. წ. მთავარანგელოზთა გორაზე. 1898 წელს ალექსი ბერმა დაყუდებული ცხოვრება დაიწყო. სენაკში მას ჰქონდა კაცის სიმაღლის ხის ჯვარი, რომელსაც ლოცვის დროს ზურგით იპყრობდა ხოლმე, მნახველთა მისაღებად მხოლოდ შაბათ-კვირას გამოდიოდა. ხანგრძლივი მოღვაწეობით დამაშვრალი ბერი 1923 წლის 18 ივნისს მიიცვალა.

1960 წლის 8 იანვარს ეპისკოპოს ეფრემის (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ლოცვა-კურთხევით მამა ალექსის უხრწნელი გვამი თეკლათის დედათა მონასტრიდან გადაასვენეს და დაკრძალეს ალექსი ბერის მიერ აშენებულტაძრის აღმოსავლეთის კედლის მახლობლად. 2001 წელს წმიდა ბერის საფლავზე პატარა ეკლესია აიგო.

საქართველოს ეკლესიის მიერ ალექსი ბერი შერაცხულია წმიდანად 1995 წლის 19 სექტემბერს ხსენების დღე 18 (31) 01.

41. **წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის** (თაყაიშვილის) მოგონებების მიხედვით „ნოტების ალბომები ყველა შეიძინა საისტორიო-საეთნოგ-

რაფიო მუზეუმმა (მანამდე ამხანაგები რაღაც ვერ მორიგდნენ ერთმანეთში და გაიყვეს ისინი)".

42. **წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი** (თაყაიშვილი. 1863 – 1953) – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. საქართველოს ეროვნული საგანძურის გადამრჩენელი.

საქართველოს ეკლესიის მიერ შერაცხულია წმიდანად 2002 წლის 17 ოქტომბერს. ხსენების დღე 3(16) იანვარი.

43. **ეპისკოპოსი ნესტორი** (ყუბანეიშვილი. 1853-1938) – დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1883 წელს ხელდასხმულ იქნა ბარსადოკაოხნის ეკლესიის მღვდლად. 1887 წლის 18 ოქტომბრიდან ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელია. 1909 წლიდან ქუთაისის საკათედრო ტაძრის მღვდელი, დეკანოზი. 1909 წლის დეკემბრიდან მოწამეთის მონასტრის არქიმანდრიტია, შემდეგ შუამთის, ალავერდის, თეთრი გიორგის და გელათის მონასტრების არქიმანდრიტი. 1924 წლის 18 მაისს უწმიდესი ამბროსის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში. 1926 წლიდან ჭყონდიდის ეპისკოპოსია, 1928 წლიდან კი – ცაგერის, 1929 წლის 16 ნოემბერს წილკნელ ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1930 წლიდან პენსიაზე გავიდა. გარდაიცვალა 1938 წელს. დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის სამების ეკლესიის გალავანში. ავტორია წიგნებისა: „სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად", „შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია", „ათი მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა" და სხვ.

44. **ივლიანე ნიკოლაძე** – ქუთაისის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის ლოტბარი

